ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეთნოლოგიის კათედრა

ვახტანგ შამილაძე

ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ

უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე

თბილისი 2001

მონოგრაფიაში განხილულია ქართველი და უცხოელი მოგზაურ-მკვლევარების ცნობები კავკასიის ხალხების ეთნოლოგიის შესახებ უძველესი დროიდან ვიდრე XIX საუკუნის დასასრულამდე. ავტორი მიმოიხილავს ასურულ-ურარტულ წყაროებსა და ბიბლიურ მონაცემებს, ანტიკური და ბიზანტიური ხანის მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერებს, ადრე და შუაფეოდალური ხანისა და აღორძინების ეპოქის ავტორთა ნაშრომებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა XVII-XIX საუკუნეების მოგზაურ-მკვლევართა ცნობებს, რომელიც ასახავენ კავკასიის „აღმოსავლური დიპლომატიის" გლობალურ პროცესებში მოქცევას და ამ რეგიონისადმი ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისა და რუსეთის იმპერიის გაძლიერებულ დაინტერესებას სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენების მოპოვების თვალსაზრისით. შესაბამისად, თხრობა ბიო-ბიბლიოგრაფიულ მონაცემებზე გაშლილია აღნიშნულ პერიოდში კავკასიაში მიმდინარე ისტორიული პროცესების განვითარების ფონზე.

მონოგრაფია გათვალისწინებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობითი ფაკულტეტების სტუდენტთა და ასპირანტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ, საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

რედაქტორი: ს. ჭანტურიშვილი
რეცენზენტები: თ. ღუდუშაური
ნ. კალმახელიძე

© გამომცემლობა „უნივერსალი", 2001

ISBN 99928-812-1-6

შესავალი

"ჯერ შენ აქედან მზის აღმოსავალს მიაშურებ უხნავ ყანებით და ასე მიხვალ მომთაბარე სალხთან – სკვითებთან, დაწნულ ფორნებში რომ ცხოვრობენ და მიილტვიან ახალ და ახალ საძოვრებზე ჩქარის ბორბლებით, შორს გამტყორცნელი მშვილდისრებით შეჭურვილები. ახლოს ნუ მიხვალ, წადი, სადაც თაედება ხმელი და კლდოვან ნაპირს ეჯახება ტალღა მგმინავი. მარცხნივ მხარეა რკინის მწრთობელ ხალიბებისა – უფრთხოდე მათაც, არ არიან სტუმართმოყვარე, არამედ ავი, უხეში და უკარებელნი. მიხვალ მდინარე ჰიუბრისტე – "მჩაგვრელთან", შეჰფერს მას ეგ სახელი, ფონს ნუ ეძებ გაუვალია. ბოლოს მიაღწევ მთათა მეფეს – მთას კავკასიონს, მის მწვერვალიდან დიდმრისხანე მოჰქუხს მდინარე ... მიხვალ ტბის ვიწრო კარიბჭესთან კიმერიისა, უნდა უშიშრად მეოტიის გასცურო სრუტე და ხალხს დარჩება ამ გასაელის დიდება მარად, და შეარქმევენ მას შენს გამო "ბოსფორს"... ევროპის ველებს აქ დააგდებ და ფეხს დაადგამ აზიის ხმელეთს".

ესქილე. მიჯაჭვული პრომეთე

ასეთ მხატვრულ კონტექსტშია პირველად მოხსენიებული *მთათა მეფის – კავკასიონის სახელი* ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნის ანტიკური ხანის გამოჩენილი ტრაგიკოსის ესქილეს თხზულებაში. ტერმინ "*კავკასიის*" ეტიმოლოგიის შესახებ სხვადასხვა შეხედულებები არსებობს, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო რეალურად ამ სახელწოდების ეთნონიმ "*კასპებიდან*" მომდინარეობაა მიჩნეული. კასპები ოდითგან კასპიის ზღვის აუზში დასახლებული ხალხებია, რომლებმაც თავისი სახელი მისცეს ამ ზღვას. ცნობები კასპების შესახებ

ჯერ კიდევ მეორე ათასწლეულის ასურულ წყაროებში გვხვდება. კასპების სახელწოდებას უკავშირებენ ძველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებულ ეთნონიმს "კუშ"//"კაშ" (კაშუ-კასიტები, კუშიტები, კუშანები და ა.შ.). და საერთოდ, თვით სახელწოდება "კავ"–"კაზ", სავარაუდოდ ამ ეთნონიმთან კონტექტსშია განხილული.

კავკასია თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ძველთაგანვე ევრაზიის დამაკავშირებელი გზაჯვარედინის როლს ასრულებდა. ერთი მხრივ, იგი აღმოსავლეთ ევროპის კულტურულ- ისტორიულ ოლქებს, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერას – შუამდინარეთს უკავშირდებოდა.

პალეოანთროპოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემები უტყუარ მასალებს გვაწვდიან იმის შესახებ, რომ წინა აზიის უძველესი ცივილიზაციის ცენტრები, საზოგადოების განვითარების ადრინდელი ეტაპებიდან, კეთილისმყოფელ კულტურულ გავლენას ახდენდნენ კავკასიაზე. ამ თვალსაზრისით, კავკასია, ერთგვარი გადამცემიც იყო ამ გავლენისა უფრო ჩრდილოეთი ოლქების – აღმოსავლეთ ევროპისათვის, თუმცა ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ კავკასიის ხალხების ისტორიული როლი მხოლოდ კულტურის გადამცემის როლით იფარგლებოდა. კავკასიაში, განსაკუთრებით კი ამიერკავკასიაში, ძველოაგანვე ჩაისახა დამოუკიდებელი კულტურული კერები, რომლებიც, თავის მხრივ, უწყვეტ იმპულსებს გადასცემდნენ მეზობელ ხალხებსა და ქვეყნებს.

და თუმცა, კავკასია არასოდეს არ ეკუთვნოდა მსოფლიო ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს და დამოუკიდებელ ცენტრთა რიცხვს, მისი როლი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ძალზე დიდი იყო.

ბოლო პერიოდში აქ ჩატარებული ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და პალეობოტანიკური კვლევა-ძიების შედეგები თვალნათლივ ადასტურებენ, რომ სწორედ ამიერკავკასია იყო ბრინჯაოს, მოგვიანებით კი რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი უძველესი ცენტრი, ხორბლეულის ზოგიერთი ენდემური ჯიშისა და მეფუტკრეობის სამშობლო, მიწათმოქმედების, მევენახეობა-მეღვინეობისა და მესაქონლეობის განვითარებული ცენტრი. კავკასიის ხალხების მიერ ამ დარგებში მოპოვებული მაღალკულტურული მიღწევები სათანადოდ აისახა აგრალური ცივილიზაციის საგანძურში და, შესაბამისად, კავკასიის ხალხებს სამეურნეო-კულტურული და

ეკონომიკური პროგრესის აქტიური შემოქმედის სახელი დაუმკვიდრა.

ბუნებრივია, კავკასიური ცივილიზაციის ამ მაღალკულტურული რეალიების საფუძველზე უნდა შექმნილიყო და ჩამოყალიბებულიყო გარესამყაროს ის რომანტიკული ელფერი, რომელიც გამუდმებით სდევდა თან კავკასიურ რეალობას, არა მარტო, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ათასწლეულებში, არამედ ახალი ისტორიის პერიოდშიც.

ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ მონაცემთა არქაულ სიუჟეტებში წინა აზიის უძველესი კულტურული ხალხები კავკასიას უკავშირებდნენ თავიანთ სანუკვარ თქმულებებსა და ლეგენდებს. ებრაელების ბიბლიურ ფოლიანტებში ფიგურირებს არარატი, როგორც წმინდა მთა, სადაც მიბმული იყო ნოეს კიდობანი და, საიდანაც დაიწყო მსოფლიო წარღვნის შემდგომი დედამიწის ხელმეორედ განსახლება ადამიანებითა და ცხოველებით.

ბერძნებისათვის ბარბაროსული გარესამყაროდან კავკასიის მთები იდუმალებით მოცული ქვეყნის დასასრულს წარმოადგენდა. ჰეროდოტეს "ისტორიაში" ადამიანებით დასახლებული სამყაროს ჩრდილო საზღვარი სწორედ აქ გადიოდა, რომლის იქითაც ბერძნებს ფანტასტიკური არსებებით დასახლებული სივრცეები ეგულებოდათ. აქ, კავკასიის მაღალ მთაზე იტანჯებოდა მკაცრი და შეუბრალებელი ზევსის მიერ მიჯაჭვული პრომეთე – კულტურული გმირი, რომელმაც ადამიანებს მისცა ცეცხლი. სწორედ აქ ჩაიდინა ჰერაკლემ თავისი კეთილშობილური გმირობა, გაათავისუფლა რა ხალხის ეს მფარველი საშინელი სასჯელისა და ტანჯვისაგან.

განუმეორებელი დრამატიზმითაა აღსავსე "თქმულება არგონავტებზე", რომელშიც რაინდული თავგადასავლებით სახელგანთქმული არგონავტები ათასგვარი გასაჭირისა და ხიფათის მიუხედავად შეუპოვრად მოისწრაფვიან კავკასიის ნაპირებისაკენ, შორეული კოლხეთისაკენ, რათა ხელთ იგდონ ჯადოსნური ძალისა და სიმდიდრის სიმბოლო – "ოქროს საწმისი".

აპოლონოის როდოსელის "არგონავტიკაში" მითოლოგიურ-ფანტასტიკურ ფერებშია გადმოცემული მაშინდელი საქართველოს, კერძოდ კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა იმ დროისათვის უჩვეულოდ მაღალგანვითარებული კულტურულ-ყოფითი რეალიები. ეს სიუჟეტები კიდევ უფრო გამძაფრებულია ევრიპიდეს ტრაგედიაში ასახული კოლხი ქალის მედეას სახეში, რომელიც სოფოკლეს

"ოიდიპოს მეფესთან" ერთად, ყველა დროისა და ეპოქის თანადროულ მაღალმხატვრულ ქმნილებად დარჩა.

კავკასიის ცადაზიდული მთები და მეომარი სულისკვეთებით აღსავსე "ბარბაროსები" მიუწვდომელ ოცნებად დარჩა ჰიმალაისა და ჰინდიყუშის ქვეყნის მპყრობელ ლეგენდარულ ალექსანდრე მაკედონელსაც კი. მაკედონელის ისტორიკოსთა ცდა კავკასია პონტოდან დედამიწის აღმოსავლეთ ნაწილში – ინდოეთში გადაეტანათ და მისი სახელი ბერძენი სარდლის დალაშქრულ პარაპამისოსის მთისათვის ეწოდებინათ, ამით კი თავიანთი კუმირი კავკასიის მპყრობელადაც გამოეცხადებინათ, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ფლავიუს არიანეს მიერ იქნა გაკრიტიკებული. "მე მგონია ეს მაკედონელების ტრაბახია, ისე როგორც ის ამბავი, რომ პარაპამისოსს ისინი კავკასოსს უწოდებენ, თუმცა არაფერი აქვს მას საერთო ნამდვილი კავკასოსთან" – წერდა ფლავიუს არიანე "ინდოეთის ისტორიაში" (5,10-11).

მაკედონელმა ვერ შეძლო ფეხი შეედგა გოროზ კავკასიონზე, თუმცა არავინ იცის რომ დასცლოდა როგორ დასრულდებოდა მისი გუმანი მომავალ ბრძოლებში დაეპყრო ევქსინოს პონტო, სკვითეთი და მეოტია. არიანეს ამ ასრს ასაბუთებს ისიც, რომ მაკედონელი თავისი მიზნის მისაღწევად შუა ასიიდან ელჩებსა და მეთვალყურეებსაც კი გზავნიდა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ანტიკური სამყაროსა და კავკასიის კავშირურთიერთობა უფრო რეალურ საფუძველზე დადგა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძნული კოლონიების დაარსებისა და კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ხმელთაშუაზღვის კულტურულ სამყაროში მოქცევასთან ერთად. აქედან მოკიდებული კავკასია მუდმივად შედის ევროპული ცივილიზაციის თვალსაწიერში.

რამდენადმე მოგვიანებით ბერძნულ კოლონიზაციას კავკასიაში რომაული და ბიზანტიური სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული მეტოქეობა ჩაენაცვლა, თუმცა იგი არ გადაზრდილა ფართომასშტაბიან ანექსიასა და დაპყრობებში. ეს პროცესები VIII საუკუნიდან დაიწყო, მაშინ როდესაც ამიერ და ჩრდილო კავკასიის ხალხებსა და ქვეყნებს გრიგალივით გადაუარეს არბმა დამპყრობლებმა.

კიმერიელებისა და სკვითების შემდეგ ჩრდილო კავკასიის ხალხთა მყუდროებასა და სიმშვიდეს რეგულარულად არღვევდნენ კასპიის სტეპებიდან ჩრდილოეთ წინაკავკასიის ველებზე შემოჭრილი სარმატ-ალანების, ხაზარების, ჰუნებისა თუ ყივჩაღთა ურდოები, რომელთა ნაწილი კიდეც დამკვიდრდა აქ.

XI საუკუნიდან ამიერკავკასია თურქ-სელჩუკთა შემოსევების არენად იქცა, ხოლო XIII–XIV საუკუნეებში კავკასიის ხალხებს მონღოლები და თემურ-ლენგის ურდოები იპყრობენ.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და ევროპული რენესანსის ხანაში კავკასია ევროპელთათვის აღმოსავლეთის ოქროთი მდიდარ ზღაპრულ ქვეყნებში გამავალ გზად და ხიდად იქცა. შემთხვევითი არ იყო, რომ იტალიელები კავკასიას ყველაზე შორეულ ნახევრადზღაპრულ აღმოსავლურ ქვეყნად თვლიდნენ. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ყირიმსა და კავკასიაში გენუელ და ვენეციელ კოლონისტთა ახალი დასახლებები, რომელთა ფლოტს არა მარტო შავი, არამედ კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებიც დაემორჩილნენ.

სავაჭრო კაპიტალის განვითარებისა და ახალი ბაზრების ძიების პერიოდში კავკასია, ირანისა და თურქეთის გვერდით, ევროპელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ამ პერიოდს ემთხვევა მოსკოვის სამთავროს გაძლიერება და გაფართოებაც.

რუსეთის აღმავალმა სახელმწიფომ ხელთ იგდო ვოლგა-კასპიისა და ამიერკავკასიის და აზერბაიჯანის სავაჭრო გზები და ზღვარი დაუდო ევროპელთა ინტერესების ესკალაციას კავკასიაში. აქედან შოკიდებული "აღმოსავლეთის საკითხში" კავკასიის პრობლემას სერიოზული ადგილი დაეთმო და იგი მსოფლიო გლობალური პოლიტიკის მუდმივ შემადგენელ ნაწილად იქცა. სამწუხაროდ, ამან ვერ შეაჩერა რუსეთის სწრაფვა კავკასიისა და წინა აზიისაკენ, რაც კავკასიის ხალხებისა და ქვეყნების დაპყრობითა და სრული ანექსიით დასრულდა.

ახალ პერიოდში, განსაკუთრებით კი XIX საუკუნეში კავკასიამ ღრმა კვალი დაამჩნია რუსულ და ევროპულ კულტურას. ნახევრადზღაპრულ–ლეგენდარული წარსულის მქონე კავკასიის ბუნების გასაოცარი სილამაზე და მრავალფეროვნება, მეომარ მთიელთა პატრიარქალური ყოფის მკაცრი რომანტიკა თუ კავკასიელ ოსტატთა მდიდარი ფანტაზია და მაღალმხატვრული შემოქმედება ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა ევროპისა და რუსეთის ინტელექტუალურ სამყაროზე.

უკან დარჩა საბჭოთა კავშირის 70-წლიანი ტოტალიტარული რეჟიმის ეპოქაც. კავკასიის ხალხების ეროვნულ–განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა რეპრესიებს, დევნასა და შევიწროებას თან მოყვა საბჭოთა წყობილებისათვის არასაიმედო მოსახლეობის ნაწილის, ზოგჯერ კი მთლიანად ხალხების არნახული დეპორტაცია და გენოციდი.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და პოსტსაბჭოურ წლებში კავკასიაში თავი იჩინა ბოლო პერიოდში ტრადიციულად მოიმდინარე, ზოგჯერ კი დღეს ინსპირირებულმა მძაფრმა შინაგანმა ეთნოკომფლიქტებმა. აშკარაა, რომ კავკასიის ხალხები ხარკს უხდიან ახლო წარსულის "ხალხთა ძმობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის" დამახინჯებულ და ყალბად გაგებულ მემკვიდრეობას.

დღეს ორ ბანაკად გაყოფილი კავკასიის ქვეყნები და ხალხები მსოფლიო გლობალურ სისტემაში ახალ რეალობებს ამკვიდრებენ. დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შეუქცევად გზაზე დამდგარი ამიერკავკასიის ქვეყნები დასავლეთის ცივილიზაციაში, მათ მიერ საუკუნეების წინათ მოპოვებული ადგილის დამკვიდრებისათვის იბრძვიან. ეროვნული დამოუკიდებლობის მაქსიმუმის მიღწევას ცდილობენ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილო კავკასიის ხალხებიც.

კავკასია თანდათან იბრუნებს საუკუნეების წინათ დაკარგულ ევრაზიის დერეფნისა და აბრეშუმის სავაჭრო გზის ფუნქციებს. იგი კვლავ ცდილობს ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს აღმოსავლურ დიპლომატიასა და პოლიტიკაში, ცივილიზებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და გახდეს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მშვიდობიანი სტაბილური კავშირურთიერთობის მტკიცე გარანტი.

I. *ისტორიულ–ეთნოლოგიური წყაროების ზოგადი მიმოხილვა*

კავკასიის ხალხების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა ზოგადად ეთნოლოგიური მეცნიერების წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და მეთოდოლოგიური პრინციპების განსაზღვრისა და ჩამოყალიბების პერიოდთანაა დაკავშირებული. მართალია, ეს პროცესები თავისთავად XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეთნოლოგიური მეცნიერების დამოუკიდებელ დისციპლინად ფორმირებას უკავშირდება, მაგრამ ცნობებს მსოფლიოს ხალხთა ყოფისა და კულტურის, მათ შორის კავკასიის ხალხების შესახებ ძველაღმოსავლური ცივილიზაციებისა და ანტიკური ხანის პერიოდიდან ვხვდებით. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ეთნოლოგიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა მხოლოდ წერილობითი წყაროებით როდი განისაზღვრება. საყოველთაოდ ცნობილია ეთნოლოგიის წყაროთა არსენალში წარმოდგენილი ფართო სპექტრი, რომელიც პირველყოფილი ადამიანის გამოქვაბულის მხატვრობიდან დაწყებული ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების, კერძოდ კოსმოსური სივრციდან ამა თუ იმ რეგიონის აეროფოტოგადაღებების გამოყენებასაც გულისხმობს.

ეთნოლოგთა ფუნდამენტური გამოკვლევების კლასიკურ ნიმუშებში საკუთრივ საველე-ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, რაც თავისთავად ეთნოგრაფიის პირველწყაროს წარმოადგენს, მეტად საყურადღებოა *ძველეგვიპტური, შუამდინარული და ასურულ-ურარტული იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობის ძეგლები, პაპირუსები, კლდეზე ამოკვეთილი წარწერები* და ა.შ.

მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ *ანტიკური ხანის წერილობითი წყაროები, ბიზანტიელი მწერლების,* აგრეთვე *შუა საუკუნეების მოგზაურ-მკვლევართა და მისიონერთა ჩანაწერები,* კოლონიური ექსპანსიის მსვლელობაში *დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მრავალრიცხოვანი აღწერები* და *პირველი პროფესიონალი ეთნოლოგების საველე-ეთნოგრაფიულ აღწერილობათა კორპუსები.* ამავე რიგის წყაროთა არსენალშია ჩართული *სახვითი ხელოვნების ნიმუშები: სურათები, ბარელიეფი, სკულპტურა, მცირე პლასტიკა* და სხვა, რომლებიც ფაქტობრივად მიგვითითებენ მათი შექმნის ადგილისა და

დროის, გამოსახვის სტილის, მხატვრობის ტრადიციების, დამზადებული მასალის თავისებურებებისა და სხვ. შესახებ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიული შესწავლისათვის.

ამის საილუსტრაციოდ თუნდაც ბარელიეფის ან კიდევ გრაფიკული წყაროების არქაული ნიმუშების ანალიზი გამოგვადგებოდა, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნოგრაფებს წარმოაჩინონ არა მარტო ამა თუ იმ მოვლენის არსებობის ფაქტი, არამედ ისიც, თუ როგორ გამოიყურებოდა და გამოიყენებოდა გარდასულ ეპოქათა საბრძოლო და შრომის იარაღები, ტანსაცმელი, მეურნეობის ფორმები და ხასიათი, სხვადასხვა წეს-ჩვეულებები და რიტუალები და ა.შ. ამ რიგის წყაროთა ბაზაზე წარმატებული კვლევის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ვერცხლის თასისა და ქართველ ტომთა უძველესი გრაფიკული ხელოვნების ნიმუშების შესწავლა აკად. შ. ამირანაშვილის, პროფ. ვ. ბარდაველიძისა და სხვ. შრომებში, რომლებშიც დასმული და გადაწყვეტილია ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის არაერთი კარდინალური საკითხი.

ფერწერა თუ *ორნამენტი* ხშირ შემთხვევაში ბევრად ძველია დამწერლობაზე, რაც ეთნოგრაფებს საშუალებას აძლევს ჩაიხედონ ხალხების საკმაოდ შორეულ წარსულში. თავი რომ დავანებოთ თრიალეთის გამოქვაბულთა ზოომორფულ ჩანახატებსა და პიქტოგრაფიულ ნიშნებს, რომელთა მეოხებითაც გამოთქმულია საინტერესო ვარაუდები უძველესი ტომების სამეურნეო მაგიისა თუ დამწერლობის ადრეული ფორმების შესახებ, ანალოგიურ სიძველეებსა და რიტუალებს ვხვდებით XIX საუკუნის კავკასიის ზოგიერთი ხალხის ცოცხალ ყოფაშიც, რაც უდაოდ უწყობს ხელს ეთნოლოგიაში ფართოდ ცნობილ კვლევებს შედარებით–ისტორიული და რეტროსპექტრული რეკონსტრუქციის მეთოდების გამოყენებით.

საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანსა თუ კავკასიის კიდევ სხვა კუთხეებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ორნამენტებზე გამოსახულია მეტად საინტერესო სიუჟეტები ძველი მითოლოგიიდან და რელიგიური რწმენა-წარმოდგენებიდან. მიუხედავად ქრისტიანობის წარმართობასთან თითქმის ათასწლოვანი ბრძოლისა, კავკასიის ხალხების ქსოვილზე ქარგულობის ნიმუშებში XIX საუკუნეში შემონახული იყო წარმართულ ღვთაებათა და რწმენა-წარმოდგენათა მრავალფეროვანი სიმბოლიკა.

კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის წყაროების განსაკუთრებული კატეგორიაა *სამუზეუმო კოლექციები.* უმდიდრესი სამუზეუმო კოლექციებია შეგროვებული და დაცული თბილისში ჯერ კიდევ 1850 წელს დაარსებულ კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდებში, სადაც ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ამსახველ მასალებთან ერთად საინტერესო მონაცემებს ვხვდებით კავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან შემოსულ მრავალფეროვან კოლექციებშიც.

კავკასიის ხალხების ყოფისა და კულტურის ამსახველი მდიდარი სამუზეუმო კოლექციებია წარმოდგენილი ერევნის, ბაქოს, მახაჩყალის, ვლადიკავკაზისა და სხვა დიდი და მცირე ქალაქებისა თუ ზოგჯერ რაიონების სახელმწიფო და სამხარეო, სპეციალურ ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. ასე მაგალითად, ხეთურ-ურარტული პერიოდის უნიკალური კოლექციებია დაცული ერევნისა და სარდარაბადის სახელმწიფო მუზეუმებში, ბაქოს სახელმწიფო, აგრეთვე ხალხური ფეიქრობისა და ხალიჩების მუზეუმთა უმდიდრეს საცავებში, ვლადიკავკაზის, ნალჩიკისა და მიკოპის სახელმწიფო-სამხარეო მუზეუმებში და ა.შ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საბჭოთა კავშირის ხალხთა ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი ლენინგრადში, აგრეთვე მოსკოვის უნივერსიტეტთან შექმნილი ანთროპოლოგიური მუზეუმი და ა.შ., რომელთა ფონდებსა და საგამოფენო დარბაზებში, ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, თავმოყრილი და ექსპონირებულია კავკასიის ხალხების მეურნეობის, ჩაცმულობის, საცხოვრებლის, მორთულობისა და სამკაულის, ავეჯის, დგამ-ჭურჭელის, საკულტო საგნებისა თუ ხალხური ხელოვნების ამსახველი სხვა კოლექციები.

ამ სამუზეუმო საცავების ეთნოგრაფიული ფონდების მრავალრიცხოვანი კატალოგები ფართოდაა ცნობილი და სამეცნიერო მიმოქცევაშია შესული კავკასიის ფარგლებს გარეთ—ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში.

სანამ უშუალოდ წერილობით წყაროებზე გავამახვილებთ ყურადღებას შეუძლებელია არ შეეხოთ ეთნოლოგიის *მომიჯნავე მეცნიერებათა წყაროებსა* და შესაბამისი კვლევის დასკვნებს, რომლებშიც არც თუ ისე იშვიათადაა ასახული კავკასიის ხალხთა ეთნიკური პროცესები, ზოგჯერ კი ეთნიკური სპეციფიკის ამსახველი თავისებურებები. კავკასიის ხალხთა ლინგვისტური კლასიფიკაციის მიმოხილვა, გვიჩვენებს *ენათმეცნიერების, ლინგვისტიკის* მონაცემთა განსაკუთრებული

მნიშვნელობას ეთნოლოგიურ კვლევებში. ენა – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეთნიკური ნიშანია, რომელიც განვითარების პროცესში მუდმივ ცვლილებებს განიცდის – ხდება ენათა ასიმილაცია, ერთი ენის შეცვლა მეორეთი, მისი განვრცობა და გავრცელება ხალხთა წინარე სამშობლოდან ახალ ტერიტორიებზე და ა.შ.

კავკასიათმცოდნე ეთნოლოგები არაერთხელ მიუთითებდნენ კავკასიური ენების თავდაპირველ ნათესაობასა და ბუნებაზე, მათ კავშირებზე წინააზიურ ცივილიზებულ ხალხთა ენებთან, ტოპონიმებისა და ეთნონიმების ანალიზის შედეგად ხალხთა მოძრაობისა და გადასახლების გზებსა და მიმართულებებზე, რომელთა მეოხებითაც გაირკვა ქართველი, აფხაზურ-ადიღეური, ნახურ-დაღესტნური და კავკასიის სხვა ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის არაერთი საკვანძო საკითხი და პრობლემა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოგვეტანა ძვ.წ. IX-VI საუკუნეებში ქვაზე კვეთილი ვანის წარწერები, რომელიც ვანის სამეფოს – ურარტუს მოსახლეობას ეკუთვნოდა.

ურარტუს ადგილი და როლი ქართველთა და სომეხთა ეთნოგენეზში ეჭვს არ იწვევს, რომლის ერთ-ერთ დამადასტურებლად სწორედ ურარტუს ხალხებში გაბატონებულ ენას მიიჩნევენ. მის ახლო ნათესაურ კავშირზე კავკასიურ ენებთან, ჯერ კიდევ 1890-იან წლებში, მ. ნიკოლსკი მიუთითებდა, მაგრამ შემდგომში ამ თვალსაზრისით არაერთი საწინააღმდეგო მოსაზრება გამოითქვა. ი. მეშჩანინოვი ფიქრობდა, რომ ურარტუელთა ენა ყველაზე ახლოს იყო თანამედროვე დასავლეთ ქართველურ ენებთან, კერძოდ სვანურთან და მეგრულ-ჭანურთან, მაგრამ აკად. გ. მელიქიშვილი შეუძლებლად თვლის ურარტული ენა დაუკავშიროს რომელიმე ცალკე აღებულ კავკასიურ ენას. სამაგიეროდ, იგი ურარტულ ენას წინააზიურ ძველ ენათაგან ხურიტულს უკავშირებს, რომელსაც თავის მხრივ ახლო ნათესაობა გააჩნდა კავაკსიურ ენებთან.

არანაკლებ მნიშვნელოვანია *ფოლკლორული მასალა* ყველა მისი მრავალფეროვნებით – სიმღერებით, ზღაპრებით და გადმოცემებით, გამოცანებით, ხალხური მუსიკით, ცეკვებით და ა.შ. არქაულ ფოლკლორულ დანაშრევებში ასახულია კავკასიის ხალხთა მითოლოგიურ-ლეგენდარული სიუჟეტების პარალელები შუამდინარული გილგამეშის ეპოსთან, ბიბლიურ გადმოცემასთან მსოფლიო წარღვნის შესახებ, ბერძნულ მითებთან პრომეთესა და არგონავტების შესახებ და ა.შ. ზემოთ ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი არგონავტების თქმულებაში მოცემული ცნობების უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი

ხასიათის, აგრეთვე კოლხეთის უძველესი პერიოდის სამეურნეო-კულტურული ყოფის მაღალი დონის შესახებ. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ ზოგადად ფოლკლორულ მასალებში თვალნათლივ ჩანს კავკასიის მეზობელი ხალხების კულტურულ ღირებულებათა ერთობა მატერიალურ, განსაკუთრებით კი სულიერ სამყაროში მრავალფეროვანი წეს-ჩვეულებების, რწმენა-წარმოდგენების რიტულებისა და ცერემონიალების სახით.

ცნობილია თუ რა დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ *პალეოანთროპოლოგიურ* და *არქეოლოგიურ მონაცემებს* ხალხთა უძველესი ისტორიის, ანთროპოლოგიური შემადგენლობისა თუ ეთნო-გენეტიკური და ეთნო-კულტურული პრობლემების ურთულესი ასპექტების გაშუქების პროცესში. ცხადია, პალეოანთროპოლოგიური თუ არქეოლოგიური მონაცემები ბევრს არაფერს ამბობენ ცალკეული ეთნიკური ჯგუფების წარმოშობის შესახებ. ამასთან არქეოლოგიურ მასალებში დადგენილი სამეურნეო-კულტურული ტიპების კორელაცია, რომელიმე ძველ თუ თანამედროვე ეთნოსთან, ურთულეს პრობლემებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამ მეცნიერებათა მონაცემების ანალიზი, ზოგად ფონს ქმნის და ერთ-ერთ, ზოგჯერ კი ერთადერთ სანდო წყაროს წარმოადგენს კავაკსიაში ადამიანთა საზოგადოების განვითარების უადრეს ეტაპებზე, ვიდრე კლასობრივი საზოგადოებების ჩამოყალიბებამდე და წერილობითი წყაროების გამოჩენამდე. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია სამხრეთ-კავკასიის პალეოარქეოლოგიური მონაცემების ანალიზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ უძველესი განვითარების უწყვეტ პროცესს ნეანდერტანელის სტადიიდან ნეანტროპისაკენ მთელი კავკასიის მასშტაბით. უკანასკნელი ათეული წლების პალეოანთროპოლოგიური და არქეოლოგიური გამოკვლევები ახლებურად აყენებენ კავკასიაში უძველესი ადამიანის გამოჩენის საკითხს. დმანისის ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ქვედა ყბის ძვალი, ქვის მარტივ შრომის იარაღებთან ერთად, ახანგრძლივებენ კავკასიაში უძველესი ჰომინიდების გამოჩენის ხანს 1,5 მილიონ წლამდე.

მიუხედავად ამისა, არც ეს თარიღი აღმოჩნდა კავაკსიაში საპიენტაციის პროცესის ქვედა ზღვარი. იმავე დმანისში თავის ქალების ამასწინანდელი სენსაციური აღმოჩენების შედეგად, ევრაზიის სივრცეში უძველესი ადამიანის ასაკი 1,8 მილიონი წლით განისაზღვრა, რის შედეგადაც დიდი ევროპოიდური რასის სამშობლომ ევროპიდან კავკასიაში გადმოინაცვლა.

საკმარისია დავასახელოთ კიდევ ერთი მაგალითი არქეოლოგიური მონაცემების მნიშვნელობის შესახებ, რომ ნათელი გახდეს თუ რაოდენ დიდი ცვლილებები შეუძლიათ შიტანონ მათ კავკასიის უადრესი ტომებისა და ხალხების კარდინალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. XX საუკუნის 20-30-იან წლებამდე ითვლებოდა, რომ ამიერკავკასიისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მაღალგანვითარებული კულტურის ფორმები პირველად ძვ.წ. IV საუკუნის ვანის ანუ ურარტუს სამეფოს ეპოქაში ჩნდება. აღნიშნულ პერიოდში პროფ. ბორის კუფტინის მიერ ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა ე.წ. *„თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურა"*, რომელმაც უძველესი კავკასიური ცივილიზაციის საწყისები ათასი წლით ადრე, ჩ.წ. II ათაწლეულის პირველ ნახევარში – შუა ბრინჯაოს ხანაში გადაიტანა. სწორედ ამ აღმოჩენების შედეგებმა შეავსო და განამტკიცა მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებანი კავკასიური კულტურის ახლო კონტაქტების შესახებ ხეთურ, ხოლო აქედან კი უფრო ადრეულ შუამდინარეთის უძველეს ცივილიზაციებთან.

. საყურადღებოა ისიც, რომ ბრინჯაოს ამ მაღალგანვითარებული კულტურის ცენტრი დასავლეთ ამიერკავკასიაში უნდა ყოფილიყო, რომლითაც იგი მოგვინებით დასავლეთ ამიერ და წინა კავკასიაში კოლხურ და ყობანურ კულტურებს უკავშირდებოდა. სამწუხაროდ, თრიალეთის არქეოლოგიური კულტურა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც ბოლომდე გაურკვეველი რჩება მისი ეთნიკური კუთვნილების საკითხი. კუფტინის შეხედულება იმის შესახებ, რომ თრიალეთის კულტურა ხურიტებს მიაწეროს, ბუნებრივია ვარაუდის ფარგლებს ვერ სცილდება. უფრო დამაჯერებელია ქართველ და კავკასიელ არქეოლოგთა მიერ ბოლო წლებში გამოთქმული მოსაზრებანი, რომლის მიხედვითაც თრიალეთის კულტურის ტრადიციების უშუალო გამგრძელებლებს ერთი მხრივ კოლხური, ხოლო მეორე მხრივ ამავე ეპოქაში ცენტრალურ ამიერკავკასიაში ჩამოყალიბებული კულტურის ლოკალური ვარიანტები უნდა წარმოადგენდნენ.

აქ მიმდინარე მოვლენების ამგვარი ანალიზი და დასკვნები თავისთავად მიუთითებენ საზოგადოების აღამავალი განვითარების კანონზომიერ პროცესებზე და გამორიცხავენ მეცნიერებისათვის უცნობი და ამოუხსნელი კატასტროფებისა და კატაკლიზმების ბაზაზე კულტურათა გაუგებარი გაქრობისა

და მისი მატარებელი მოსახლეობის უმისამართო მიგრაციებისა და გადაშენების გაუმართლებელ ფაქტებს.

კავკასიათმცოდნე-ეთნოლოგთა ნებისმიერ სერიოზულ გამოკვლევაში, მეცნიერული ანალიზის პროცესში ინტეგრირებულია მრავალი, მათ შორის ძალზე სპეციალური, თითქოსდა ისტორიისაგან შორსმდგომი მეცნიერების მონაცემებიც. ასე მაგალითად, *ხალხური მედიცინის* შესწავლისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ფართოდაა გამოყენებული *ბოტანიკისა* და *მედიცინის მონაცემები. ბოტანიკის, აგრონომიის, ზოოლოგიისა* და *მექანიკის საფუძვლები* პირველწყაროს დონეზეა აყვანილი მეურნეობის განვითარების ისტორიის, მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, ხალხური კლიმატოლოგიისა და მელიორაციის შესახებ კავკასიოლოგ–ეთნოლოგთა მიერ გამოცემულ არაერთ ნაშრომსა და მონოგრაფიაში.

II. ისტორიულ–ეთნოლოგიური წყაროები და მოგზაურ–მკვლევართა ცნობები

ასურულ-ურარტული წყაროები, ბიბლიური მონაცემები ძვ.წ. XII-VIII სს.

კავკასიის ხალხთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის შესახებ *წერილობითი წყაროები* ადრეულ პერიოდს განეკუთვნება.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ქართველ ტომთა უძველესი გაერთიანების–ნაირის მთიანი ქვეყნების, *დიაოხისა* და *კოლხას* სამეურნეო–კულტურული მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ძველასირიულ და ურარტულ წყაროებში.[1]

ასურული წყაროების მიხედვით ძვ.წ. 1112 წელს ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I ამ ქვეყნებში ლაშქრობისას ნადავლის სახით წაუყვანია ცხენების, ჯორებისა და მინდვრის პირუტყვის მრავალრიცხოვანი ჯოგები. ასურეთის მეფეს ხარკი დაუდეს ნაირის ქვეყნების მეფისათვის, რომელიც 1200 ცხენითა და 2000 სული მსხვილფეხა საქონლით ყოფილა განსაზღვრული (Luck., 660-661).

ტიგლათფილესერ I წრწერაში პირველადაა მოხსენიებული *ნაირისა* და *დაიანას* ქვეყნები, რომლებიც მას დაუპყრია ხაბხიდან დიდ ზღვამდე ლაშქრობისას. მასვე უგდია ხელთ ურმიელებისა და აბეშლას მიწები 4000-იანი მოსახლეობით, რომლებიც მიუერთებია კიდეც ---- ჯავისი ქვეყნისათვის. ასურეთის მეფე სალმანასარ III (ძვ.წ. 845 წ.) და ურარტუს მეფე მენუას (ძვ.წ. IX-VIII სს. მიჯნა) სხვა ხარკთა და ტყვეთა შორის დიაოხის მეფისაგან ცხენის ჯოგებიც მიუღიათ (УКН, 361).

უხვი ნადავლი, კერძოდ 41 მინა სუფთა ოქრო (მინა=505 გრ.), 37 მინა ვერცხლი, 10 ათასი მინა სპილენძი, 1104 ცხენი 35015 მსხვილფეხა და 1829 წვრილფეხა პირუტყვი მიუღია ურარტუს მეფე არგიშთი I (ძვ.წ. 786-764 წწ.) დიაოხისა და სხვა ქართული პროვინციების წინააღმდეგ გამართული დიდი

---

[1] *Luckenbile D.* Ancient records of Assiria and Babilonia, I, Chicago, 1926; *Меликишвили Г.А.* Урартские клинообразные надписи (УКН) М., 1960; *მისიეე.* Наири-урарту, Тб., 1964; *იოსებ ფლავიუსი.* იუდეველთა სიძველენი, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ნინო მელიქიშვილმა, თბ., 1987.

ლაშქრობებისას (УКН, 127,1). სხვა წყაროს მიხედვით ამავე ლაშქრობისას არგიშთი I წაუსხამს 4426 ცხენი, 10478 მსხვილფეხა და 73770 წვრილფეხა რქოსანი საქონელი. დამარცხებულ დიაოხთა მეფეს ხარკად უკისრია 1000 საჯდომი ცხენი, 300 სული მსხვილფეხა საქონელი, ხოლო ყოველწლიურად ოქრო-ვერცხლთან ერთად 100 ძროხა, 500 ცხვარი, 300 საჯდომი ცხენი და ა.შ. (УКН, 128,1). დიაოხის მოკავშირე ქართველ ტომთა (ლუსა, ქათარზა, ვიტერუხი) ეკონომიური ძლიერების ნიშნები ასახულია ურარტულ ძეგლებშიც, რომელთა მიხედვითაც ამ ქვეყნებში ერთ-ერთი ლაშქრობისას ურარტუს მეფეებს ხელთ უგდიათ მრავალი ასეული ცხენი, 13540 მსხვილფეხა და 20785 წვრილფეხა საქონელი და დიდძალი სხვა სახის ნადავლი. ბუნებრივია, ეს წარწერები მოწმობენ, რომ დიაოხი მდიდარი ქვეყანაა (УКН, 20) განვითარებული მეტალურგიითა და სხვა სამრეწველო დარგებით. ქვეყანაში აღმავლობას განიცდის სოფლის მეურნეობაც, სადაც განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობა, აგრეთვე მეცხენეობა.

ასურული წყაროები საყურადღებო მონაცემებს იძლევიან უძველესი ქართველი ტომების განსახლების შესახებაც. ასურული დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც ძ.წ. XII საუკუნის ასურელ მეფეთა ლაშქრობებს ასახავენ, ვანის ტბის მიდამოებში – შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს აღმოსავლეთ ნაწილში, ტრაპეზუნტისა და სინოპის ახლოს მდინარე ჰალისამდე დასახელებულია *მუშქების ტომი,* რომელსაც პარალელი ებრაულ ბიბლიაში ნახსენებ *მეშეხებთან* (ეზეკიელი, 39,1) უნდა ჰქონდეს. თავის მხრივ, მეშეხები VI საუკუნიდან ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული იგივე *მოსხების ანუ მესხების* ტომობრივი სახელია, რომელიც უძველეს ქართველ ტომთა კონსოლიდაციის პერიოდში ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა და გეოგრაფიული განსახლების მიხედვით სამხრეთ საქართველოს ერთერთ მთაგრეხილს – *მესხეთის ქედის* სახელწოდება შემოუნახა.

ბიბლიურ სიუჟეტებთანაა დაკავშირებული კავკასიის ხალხების შესახებ არსებული უძველესი წერილობითი ცნობებიც. ძ.წ. IX საუკუნის ეს ებრაული წერილობითი ძეგლი დაინტერესებულია წარღვნისშემდგომი მსოფლიოს ხალხთა წარმოშობისა და განსახლების პრობლემით (ცხოვრება, თავი 9,18-19). სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციით ბიბლიური გენეალოგია ნოეს 3 შვილს – სემს,

ქამსა და იაფეტს უკავშირდება (ცხოვრება, თავი 9,18-19), რომლებიც სემიტების, ქამიტებისა და იაფეტელების წარმოშობა – განსახლების მამამთავრებად ითვლებიან. ბუნებრივია, კავკასიის ხალხთა გენეალოგიის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს იაფეტი და იაფეტელები, რომლებიც კავკასიის უძველეს მაცხოვრებლად არიან მიჩნეული.

ბიბლიურ სიუჟეტებშია მოხსენებული ქართველთა ერთ-ერთი ადრინდელი ტომის *თუბალების* სახელწოდებაც. იაფეტის სხვა შვილებთან ერთად ბიბლიაში დასახელებული *თობალი, მუშეხი, თირსენი* და *იოვანი* შესაბამისად *იბერთა, მესხთა, ეტრუსკთა* და *იონიელთა* ფუძემდებლებად ითვლებიან. ვარაუდობენ, რომ ბიბლიური *თუბალი* იგივე *ტიბარები* ან *ტიბარენებია,* ხალხი რომელთა შესახებაც ბერძენი მწერლები ძვ.წ. VI საუკუნიდან გვამცნობენ. ტიბარებს ანტიკური წყაროები, კერძოდ ამაიანე მარცელინი უკანასკნელად IV საუკუნეში მოიხსენიებს, რაც მკვლევართ იმის საფუძველს აძლევს ისინი *იოსებ ფლავიუსის* (37-95წწ.) მიერ მოხსენიებულ მის თანამედროვე იბერებს დაუკავშირონ, მით უმეტეს, რომ თვით ფლავიუსის აზრითაც ბიბლიურ სიუჟეტებში იბერები თობალების სახელწოდებით ყოფილან ცნობილი. თუ ქართველ ტომთა ისტორიული განვითარების რეტროპერსპექტული რეკონსტრუქციის ამ გზას გავყვებით, მაშინ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თავად იბერები პირველად უფრო ადრე ძვ.წ. I საუკუნეში რომაელი მხედართმთავრის პომპეუსის ლაშქრობის აღწერისას არიან მოხსენიებულნი. იბერთა ტომობრივი სახელი არაერთხელაა მითითებული მომდევნო პერიოდის წყაროებშიც. მანიშნებელია, რომ ძველ რუსულ წყაროებში იბერები *ივერთა* სახელწოდებითაა („*ივერთა მიწა*") მოხსენიებული, ხოლო იგივე ეთნონიმი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს დასავლეთ საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის *იბერების // იმერლების* სახით შემორჩა.

ბიბლიური თობალის შემოდგომდროინდელი ქართველი ტომის – *თუბალი // ტიბერი // იბერის,* აგრეთვე *მეშეხისა* და *მოსხი // მესხის* იდენტურობის საკითხი აკად. თინა ყაუხჩიშვილს ბოლომდე დასაბუთებულად არ მიაჩნია. იგი მიუთითებს ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა მოსაზრებების არსებობაზე და აღნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ბიბლიისა და იოსებ ფლავიუსის თუბალსა და მოსოხს უკავშირებენ ჰეროდოტეს *ტიბარენებსა* და *მოსხებს* (Herod., III, 94, VII, 78), რასაც ქართველურ სამყაროში მოვყევართ, ხოლო, მეორე მხრივ, მათთან აიგივებენ ასირიულ დოკუმენტებში მოხსენიებულ

თაბალსა და *მუშქს,* რაც ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ მის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს უნდა წარმოადგენდნენ.

მესხი // მოსხი // მუშქისა და *„თეობელისა"* და *„იბერის"* მიმართების გასარკვევად თ. ყაუხჩიშვილი მიმოიხილავს ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ი. ყიფშიძის, თ. მიქელაძისა და სხვ. მოსაზრებებს და შესაძლებლად მიაჩნია, რომ იოსებ ფლავიუსს კარგად უნდა ცოდნოდა ქართველი იბერების არსებობა, თუმცა იგი არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას მათი ლინგვისტური ინტერპრეტაციისა და იდენტურობის საკითხში.

პირველად ასურულ-ურარტულ წყაროებშია მოხსენიებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი *დიაუხი* და *კოლხაც* (ძვ.წ. XI-VIII სს.). მართალია, ურარტულ ძეგლებში შედარებით მცირე ცნობებია დაცული კოლხას შესახებ, მაგრამ არსებული მონაცემებიდან ჩანს, რომ ქვეყანა განიცდიდა მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას. კოლხას ქვეყანაში სარდურ II ორგზის (ძვ.წ. 750-748 და 747-742/1 წწ.) ლაშქრობისას ურარტუს მეფეს დიდძალი სიმდიდრე ჩაუგდია ხელთ. მარტო მეორე ლაშქრობისას სარდურ II კოლხას ქვეყნებიდან ურიცხვ ტყვეებთან ერთად გამოურეკია 1500 ცხენი, 17300 სული მსხვილფეხა და 31600 წვრილფეხა პირუტყვი და ა.შ. (УКН, 155, Д, 1-44).

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დიაუხი ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში არაერთხელ მოხსენიებულ *ტაო // ტაოხებთანაა* გაიგივებული. უფრო გვიან კი სამხრეთ საქართველოს ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მესხებთან და სხვა ქართველ ტომებთან ერთად მათ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს მეთაურობით საფუძველი ჩაუყარეს ფეოდალური ხანის ქართულ სახელმწიფოებრიობას, რომელმაც XI-XII საუკუნეებში დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქებში წინა აზიაში უძლიერესი სახელმწიფოს სახელი დაიმკვიდრა.

რაც შეეხება *კოლხას სამეფოსა* და მის მოსახლეობას, *კოლხებს,* რომელთა შესახებაც ძვ.წ.V საუკუნიდან მოკიდებული არაერთგზისაა საუბარი ბერძენ–რომაელ ავტორთა თხზულებებში, საბჭოთა და საზღვარგარეთის ისტორიოგრაფიაში გამოთქმული არაერთგვაროვანი მოსაზრებების მიუხედავად, ქართველ მეცნიერთა მიერ ჩატარებული ფუნდამენტური კვლევების შედეგების მიხედვით

ისინი სვანების შემდეგ ერთიანი ქართული ფუძე ენიდან გამოყოფილი სანურენოვანი ლაზური, ხოლო შემდგომ მეგრულ-ჭანური მოსახლეობის უშუალო წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა ადგილი და როლი ასევე განუსაზღვრელად მაღალია ქართული ეთნოსის ისტორიული განვითარების პროცესში.

იგივე ასირიულ-ურარტული წყაროები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან სამხრეთ კავკასიის ადრეკლასობრივი პოლიტიკური წარმონაქმნების (*ურარტუ, ნაირი, ხაისა, დაიანი* და სხვ.) შესახებ. ასირიელთა გამუდმებული შემოსევების შედეგად შემდგომში ამ ტომთა ცალკეულ გაერთიანებებს სათავეში ჩაუდგა ასირიულ წყაროებში მოხსენიებული *ურარტუს ქვეყანა* ანუ ძველებრაული წყაროებით – *არარატის ქვეყანა.* სწორედ ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო ძვ.წ. IX საუკუნეში კაცობრიობის ისტორიაში ერთერთი უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო *ურარტუ ანუ ვანის სამეფო,* რომლის მაღალი სოციალური–ეკონომიკური და კულტურული დონის შესახებ არაერთგზის მოგვითხრობენ ურარტული და ასირიული ლურსმული დამწერლობის ძეგლები.

ასურულ–ურარტული წყაროები არაერთ საინტერესო ცნობას იძლევიან აღმოსავლეთ კავკასიის შესახებაც. ამ ცნობათა მიხედვით· აღმოსავლეთ კავკასიის, კერძოდ კასპიის ზღვის აუზი, ოდითგან დასახლებული იყო ხალხებით, რომლებმაც თავისი სახელი მისცეს ამ ზღვას. შესავალში ავღნიშნეთ, რომ ამ პერიოდში აქ მცხოვრებ კასპებს, რომელთა შესახებ ცნობები ძვ.წ. V საუკუნემდე მოდის, ბ. გროზნი ძველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებულ ეთნონიმს *კუშ//კაშ* (*კაშშუ – კასიტები, კუშიტები, კუშანები*) უკავშირებს. ასევე ამ ეთნონიმს უკავშირებენ გეოგრაფიულ სახელწოდებასაც *კავ-კაზ.* კასპიელთა სახელწოდებასთან უნდა იყოს დაკავშირებული დაღესტნის ზოგიერთი დღევანდელი ტოპონიმიც (მდ. *კოისუ* ლაკურ ენაზე ჟღერს, როგორც *კას* და ა.შ.).

ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში კასპებს ცვლიან ახალი ტომები, რომლებიც მოგვიანო ხანის სომხური ქრონიკების მიხედვით *აგვანების,* ქართულ წყაროებში – *ალვანების,* ხოლო ანტიკური ხანის ბერძნულ–რომაულ წყაროებში *ალბანების* სახელწოდებითაა ცნობილი.

წერილობითი წყაროები კავკასიის ხალხებისა და ტომების შესახებ რეგულარულ ხასიათს იღებს ძვ.წ. VII–V საუკუნეებიდან მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი *ბერძენთა დიდი კოლონიზაციის* ობიექტად იქცა. კავკასიის სანაპიროზე ბერძნული კოლონიები ჩნდება ძვ.წ. V საუკუნიდან: *დიოსკურია* – ახლანდელი სოხუმის ადგილას, *პიტიუნტი* –

ბიჭვინთასთან, *ფაზისი* – მდ. რიონის შესართავთან და ა.შ. ბერძენ „ლოგოგრაფოსთა" პირველი წერილობითი წყაროები აქ მოსახლე ტომებისა და ხალხების შესახებ, რომლებიც *ჰეკატე მილეთელს* (ძვ.წ. IV ს.), *ჰელანიკე მიტილენელსა* (ძვ.წ. Vს.) და *ფსევდო სკილაქს კარიანდელს* (ძვ.წ. IVს.) ეკუთვნით, ჩვენამდე მოგვიანო ხანის ავტორთა ჩანაწერების სახით მოაღწია.

ჰეკატე მილეთელი
ძვ. წ. VI-V სს.

ანტიკური ხანის ავტორთაგან დასავლეთ ამიერკავკასიის, კერძოდ კოლხური და მეზობელი ტომების შესახებ უადრესი ცნობები *ჰეკატე მილეთელს*[1] ეკუთვნის. ბერძენი ლოგოგრაფოსი კორაქსებს კოლხურ ტომად მიიჩნევს. მასვე ეკუთვნის პირველი ცნობა კოლების-კავკასიის ხალხების განსახლების შესახებ, რომლის მიხედვითაც ასახელებს *კოლის მთებსა* და *კოლის ქვეყანას*. აქვე ასახელებს იგი კორაქსების ზღუდესა და კორაქსების მხარეს (Fragm.,186). მილეთელს ასევე კოლხურ ტომად მიაჩნია მოსხები, რომლებიც *მატიენებს* მეზობლობენ. საგულისხმოა, რომ მატიენების ქალაქ გიონეში მოსახლეობა ატარებს ისეთივე ტანსაცმელს როგორც პაფლაღონიელები (Fragm.,189).

მილეთელი ასახელებს კოლხების მეზობელ *ბეხირებს, დიზერებს, მაკრონებს* (სანებს), *მარებს, მოსინიკებს, ტიბარენებს, ხალიბებსა* და ა.შ. აქვეა მითითებული ამ რეგიონის ქალაქები – ქოირადესი (მოსინიკები), *სტამენა* (ხალიბები), *გერმანოსა* (ტრაპეზონის კოლონია) და ა.შ. (Fragm.,190 და შმდ.).

ფსევდო სკილაქს კარიანდელი
ძვ. წ. 521-485 წწ.

ადრეანტიკური ხანის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომების ეთნონიმებისა და განსახლების შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებია მოტანილი *ფსევდო სკილაქს*

---

[1]*Гекатей.* Fragm. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, Сборник материалов для описания местностеи и племен Кавказа (СМОМПК), 4, Тифлис, 1884;.*Латишев В.В.* Известия древних писателей о Скифии и Кавказе, I, Вестник древней истории (ВДИ), 1947, №1.

სკარიანდელის[1] თხზულებაშიც. ავტორის მონაცემებით ასია იწყება მდ. ტანაისიდან. განსაკუთრებით საინტერესოა აქ განსახლებული *სავრომატების* სოციალური ორგანიზაციის *კარიანდისეული ინტერპრეტაცია* (Periplus, 70). მისი აზრით სავრომატები, სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, ქალთა მიერ იმართება. აქედან მოკიდებული, განსახლების თანმიმდევრობის მიხედვით, იგი ასახელებს *მეოტებს, სინდებს, კერკეტებს, ტორეტებს, ახეელებს, ჰენიოხებს, კორაქსებს, მელანხლენებსა* და *ტელონებს* (Periplus, 71 და შმდ). შემდეგ იწყება კოლხეთი ქალაქებით – დიოსკურია, ფაზისი და აია. ეს უკანასკნელი მისივე ცნობით მედეას მშობლიურ ქალაქს წარმოადგენდა (Periplus, 81). კოლხების მეზობლად კარიანდელი ასახელებს *ბიზერებს, ბეხირებს, მოსინიკებს, ტიბარენებსა* და *ხალიბებს* ამ მხარეთა მდინარეების, ქალაქებისა და ნავსადგურების მითითებით (Periplus, 81 და შმდ).

ჰეროდოტე ჰალიკარნასელი
ძვ.წ. 484-406 წწ.

V საუკუნეს განეკუთვნება გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსის - „ისტორიის მამის" – *ჰეროდოტე ჰალიკარნასელის*[2] ცნობები, რომლებიც იმ დროისათვის იშვიათ პრობლემას – კოლხების ეთნოგენეზისა და ეთნო-კულტურული ვითარების ამსახველ მასალებს შეიცავს. საგულისხმოა, რომ იგი ერთერთი პირველთაგანია, რომელმაც ხალხთა, ამ შემთხვევაში კოლხებისა და ეგეიპტელების გენეტიკური ნათესაობის

---

[1] *Скилакс Карианденскии.* Periplus. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884. *В.В.Латишев.* Известия аревних писателей о Скифии и Кавказе, I, ВДИ, 1947, №2; *თ.ყაუხჩიშვილი.* სკილაქს კარიანდელის ზოგიერთი ცნობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965; *მისივე.* ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967; *ნ.ლომოური.* ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ., 1963.

[2] *Геродот.* Hist., Известия древных греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884; *Геродот,* История в девяти книгах. Перевод и примечания Г.А.Стратоновского, Л. 1972; *Рибаков Б.А. Геродотова* Скифия, М., 1979; *Нейхардт А.А.* Скифский рассказ Геродота в отечественной историографии, Л., 1982; *ჰეროდოტე.* ისტორია, ტ. I, თბ., 1975, ტ. II, თბ., 1978, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო თ.ყაუხჩიშვილმა; *მისივე.* ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960.

დასამტკიცებლად, რასობრივ მონაცემებთან (თმის მოყვანილობა და კანისფერი) ერთად, სამეურნეო – კულტურული მიღწევებისა (სელის მოყვანა) და ადათ – წესების (წინდაცვეთის ჩვეულება) შემცველი ფაქტორებიც მოიშველია და შეეცადა კომპლექსურად გადაეწყვიტა ეს მეტად რთული პრობლემა. „ჩემი აზრი ავაგე იმაზე, რომ კოლხებს კანის ფერი მუქი და ხუჭუჭა თმები აქვთ. თუმცა ეს მიზეზი ნაკლებმნიშვნელოვანია, რამდენადაც არიან სხვა ხალხები, რომლებიც ამ ორი ნიშნით ჩამოგავან ურთიერთს, მაგრამ მე ვამტკიცებ ჩემს აზრს უფრო მნიშვნელოვან ფაქტზე. კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპიელები ერთადერთი ხალხია, რომლებიც მუდმივად მისდევენ წინდაცვეთის ჩვეულებას... აი კიდევ ერთი შენიშვნა კოლხებზე, რაც მიუთითებს მათ ეგვიპტელებთან მსგავსებაზე. ეგვიპტელები და კოლხები ერთადერთი ხალხია, რომლებიც სელს ერთნაირად ამუშავებენ“ - წერს ჰეროდოტე (Herod., 103-105).

ბუნებრივია, ჰეროდოტეს ეს შეხედულებანი ისტორიული რეალობისაგან ძალზე შორს დგას, მაგრამ რამდენადაც იგი ამ სფეროში ეთნოგრაფიული მონაცემებით დაინტერესების უპირველეს მაგალითს წარმოადგენს, მისი მნიშვნელობა ეთნო–გენეტიკური კელევებისათვის უეჭველად დიდი მეთოდოლოგიური ღირებულების შემცველია.

მეტად მნიშვნელოვანია ჰეროდოტეს ცნობები ქართველი ტომების შესახებ, რაც ქრონოლოგიურად მათ შესახებ ერთერთ უადრეს ინფორმაციას წარმოადგენს. „ისტორიაში“ მოხსენიებული არიან კოლხები, სასპერები, ხალიბები, მაკრონები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მარები და სხვ... აქვე მოცემულია ზოგიერთ ამ ტომთა ლოკალიზაციაც. მეწამულ ზღვასა და ფასისს შორის ჰეროდოტე ასახელებს სპარსელებს, მიდიელებს, სასპერებს, კოლხებს (Herod., IV, 37,40), კოლხიდასა და მიდიას შორის – სასპერებს (Herod., I, 104), ხოლო, მისივე ცნობით, მაკრონები სირიელებს ემეზობლებიან (Herod., II, 104).

ჰეროდოტე დაინტერესებულია ქართველ ტომთა საქმიანობით, მეურნეობისა და შინახელოსნობის ფორმებით, საერთოდ ქართველთა ცხოვრების წესით. მისი ცნობით კავკასიონის მთებში ბევრი ტომი ცხოვრობს, რომლებიც იკვებებიან ტყის გარეული მცენარეებით. ამავე მცენარეებისაგან აღწერს იგი საღებავის დამზადების საინტერესო ტექნოლოგიას, ტანსაცმლის მოხატვას ამ საღებავით, რომელიც, მისივე შენიშვნით, იმდენად გამძლეა, რომ ნახატი მხოლოდ ტანსაცმლის გაცვეთასთან ერთად იშლება (Herod., I, 203).

ანტიკური ხანის ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად ჰეროდოტეს ჩვენთვის საინტერესო რეგიონებიდან კოლხეთის გარდა უშუალოდ უმოგზაურია სკვითების ქვეყანაში. ამით მან თავის თანამედროვეთა შორის ერთერთმა პირველმა შეადწია ანტიკური სამყაროს თვალსაწიერისათვის ცნობილ უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვარს, რომლის იქითაც ბერძენ მოგზაურ–მკვლევართა მოსაზრებით მუდმივად თოვლით დაფარული, ადამიანის საცხოვრებლად გამოუსადეგარი უკიდეგანო სივრცეები უნდა ყოფილიყო. ერთადერთი რაც ჰეროდოტესა და სხვა ანტიკურ ავტორთათვის ცნობილი იყო ევროპის ჩრდილოეთის შესახებ ის გახლდათ, რომ ჩრდილოეთ'ში უნდა ყოფილიყო ქარვის წარმოების ცენტრი, ხოლო აქვე ეგ'ულებოდათ მათ კუნძულები, საიდანაც გამოჰქონდათ კალა.

მანიშნებელია, რომ ჩვ.წ-დე პირველი საუკუნის შუა წლებამდე რომაელები მხოლოდ ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებს იცნობდნენ. ყველაზე ადრე რომაელები გაეცნენ ჩრდილო იტალიას, საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროებს, ესპანეთს, დასავლეთ აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს (კართაგენს), უფრო გვიან კი – საბერძნეთს, დალმაციას, მაკედონიას, ქვემო დუნაის ქვეყნებს, ხოლო მითრიდატეს წინააღმდეგ ომებთან დაკავშირებით – მცირე აზიას (პონტოს), სომხეთს, იბერიას, თანამედროვე ამიერკავკასიის დანარჩენ ნაწილებს.

რომაელებმა პირველად იულიუს კეისარის დროს დალაშქრეს გერმანელები და გაიმარჯვეს მათზე, მანამდე კი ისინი გიგანტებად წარმოედგინათ და შიშის ზარით ახსენებდნენ მათ. იულიუს კეისარმავე გასწია რისკი მოეველო დიდი ბრიტანეთი, სადაც როგორც ირწმუნებოდნენ „ღამე სამ თვეს გრძელდებოდა“.

ჰიპოკრატე
ძვ.წ. 460-337 წწ.

საყოველთაოდ ცნობილია, ანტიკური ხანის ცნობილი ექიმისა და ბუნებისმეტყველის, ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვის – *ჰიპოკრატეს*[1] ცნობები იგივე კოლხეთის

[1] *Гиппократ.* De aeribus, equis et locis. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884; *Гиппократ.* Избранные книги,

შესახებ. იგი დიდი გულმოდგინებით აღწერს კოლხეთის ბუნებრივ გარემოს, რომელიც მას ჭაობიან, თბილ და ნესტიან ქვეყნად მიაჩნია. წვიმის სახით აქ მოსული უხვი ნალექების გამო ქვეყნის დიდი ნაწილი წყლითაა დაფარული, რის გამოც თბილ ამინდებში იგი ორთქლის ბურუსშია გახვეული (Hip., 13). სწორედ ამით ხსნის ჰიპოკრატე კოლხების კანის სიყვითლეს, რაც აქ მალარიის გავრცელების უტყუარ საბუთს უნდა წარმოადგენდეს, მით უმეტეს რომ ეს დაავადება კოლხეთში საუკუნეების განმავლობაში იყო ცნობილი და მხოლოდ XX საუკუნის შუა ხანებში გახდა შესაძლებელი მისი საბოლოო ლიკვიდაცია. ჰიპოკრატემ ერთერთმა პირველმა აღწერა კოლხებში გავრცელებული ერთ ხეში ამოღებული ე.წ. *ვარცლა ნავები,* რომლითაც ისინი დაცურავდნენ მდ. ისტროსში და იჭერდნენ თევზს. ამ ნავებით მიდიან ისინი ქალაქსა და ემპორიონში, ზოგჯერ კი მეკობრეობენ კიდეც (Hip., 14).

ქსენოფონტე
ძვ.წ. 445-355 წწ.

შედარებით უხვი ეთნოგრაფიული მასალებია დამოწმებული ბერძენი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის *ქსენოფონტეს*[1] ნაშრომში - „ანაბაზისი", რომელიც ბერძენთა სპარსეთში ლაშქრობის შემდეგ ათი ათასი ჯარისკაცით ამიერკავკასიაზე გავლით ბრუნდებოდა სამშობლოში. ქსენოფონტეს დაწერილებით აქვს აღწერილი მის მიერ განვლილი გზა ბაბილონიდან შავი ზღვისაკენ. გზად ქსენოფონტემ საინტერესო ეთნოგრაფიული ცნობები შეაგროვა ქართველების წინაპარი ტომების – *მოსინიკების, ტაოხების, კოლხების, კარდუხებისა* და სხვ. შესახებ (Anab., IV, 1,2 და შმდ).

М., 1936; *მისიევ.* Сочинения, перевод с греческого проф. В.И.Руднева, редакция и примечания проф. Карпова В.П. М., 1944; *თ.ყაუხჩიშვილი.* ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

[1] *Ксенофонт.* Anabasis, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884. *Ксенофонт.* Анабасис, перевод и примечания М.И.Максимовой. Под редакцией И.И.Тольстого, М. – Л., 1951; *Фролов Э.Д.* Жизнь и деятельност Ксенофонта, Уч. зап. ЛГУ, 1958; *თ. მიქელაძე.* ქსენოფონტეს „ანაბასისი". ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ., 1967.

კერძოდ, ბერძენი სარდალი ყურადღებას აქცევს ტაოხთა საცხოვრისს – მთის წვერზე გალავანშემოყლებულ გამაგრებულ ნაგებობებს, სადაც ისინი მტრის შემოსევისას თავს აფარებენ ოჯახით და მიერეკებიან პირუტყვსაც. ტაოხთა გამაგრებული ადგილის ხელში ჩაგდებისას ბერძნებს ხელთ უგდიათ ურიცხვი პირუტყვი, სახედრები, ცხვრები და ა.შ. (Anab., IV, 7). ქსენოფონტეს არაერთხელ აქვს აღნიშნული აგრეთვე მესაქონლეობით და მეცხვარეობით მდიდარი მთიანი *დრილების* ტომებიც (Anab., V, 2).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ქსენოფონტე ასევე არაერთხელ მიუთითებს ბარის სამეურნეო პროფილზეც და იქ ხაზგასმით აღნიშნავს მიწათმოქმედების, მებაღეობა-მევენახეობის, მეთევზეობისა და მეფუტკრეობის მაღალ დონეს (Anab., IV, 8; V, 2) მაშინ მარტო ამ ერთი ავტორის მონაცემებითაც კარგად ჩანს კოლხეთის ბარისა და მთიანეთის სამეურნეო კომპლექსების, შესაბამისად კი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის ნათელი სურათი.

ერთ-ერთი ყველაზე რეალური საფუძველი ქსენოფონტეს აღწერაში კოლხეთში ხის კოშკების კულტურის ფართო გავრცელებას შეეხება, საიდანაც თვით ტომის ბელადებიც განაგებდნენ თავიანთ საქმეებს (Anab., V, 4 და შმდ). და თუმცა, ამ საკითხშიც ბევრი რამ რომანტიკოსი მოგზაურის თვალითაა დანახული და მოთხრობილი, მთავარი მაინც ისაა, რომ ძველ კოლხეთში ხის ჯარგვალური კოშკების მშენებლობის ტრადიცია არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება, რაც მატერიალური კულტურის ამ მნიშვნელოვანი ელემენტის რეკონსტრუქციის პროცესში ეთნო–არქეოლოგიური მონაცემების შეჯერებული კვლევის შესაძლებლობას იძლევა.

ქართველ ტომთა ზღვაოსნობის ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის მეტად მნიშვნელოვანია ქსენოფონტეს ცნობა იმის შესახებ, სადაც იგი მოქირავნე ელინებთან 300 სამ კაციანი ნავით მისულ მოსინიკებს ასახელებს (Anab., V,4,).

მეტად შთამბეჭდავია სქენოფონტეს მიერ აღწერილი ხალიბთა საბრძოლო აღჭურვილობა. „ხალიბები ატარებენ ლიანებისაგან დაგრეხილ ჯავშანს, რაც მათ მუცლამდე წვდებოდათ. ამ ჯავშანის ქვემო წელი შედგებოდა ხშირად დაწნული თამასებისაგან. გარდა ამისა, მათ გააჩნდათ აგრეთვე თეძოსაფარი და ჩაფხუტები. ქამარზე ეკიდათ ხანჯლები, დაახლოებით ისეთი ფორმისა, როგორიც სპარტანული მახვილია“ (Anab., IV, 7).

ქსენოფონტეს „ანაბაზსში" ვხვდებით ცნობებს ფაზისის (არაქსი), არპაზოსის (მტკვარი) და სხვა მდინარეების აუზების მოსახლეობაზე. იგი მეტნაკლები სისრულით ახასიათებს სომხეთის ზოგიერთ ნაწილს და, საერთოდ, მის მიერ აღწერილ ტომებზე, მათ შორის კავკასიის ხალხებზე იძლევა ცნობებს მეურნეობის, სოციალ–ეკონომიკური წყობის, ყოფა–ცხოვრებისა თუ ზნე–ჩვეულებების შესახებ. ქსენოფონტე დიდ ყურადღებას აქცევს კავკასიის გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს, ფლორასა და ფაუნას, მოსახლეობის არსებობის ეკონომიკურ პირობებს, ზნე–ჩვეულებებს, რელიგიას, სამხედრო ტაქტიკას, შეიარაღებას, ადგილობრივ ლეგენდებსა და გზაზე შეხვედრილ არქეოლოგიურ ძეგლებსაც კი (Anab., IV, 4 და შმდ).

ქსენოფონტეს ცნობით სომხეთში სახეზე გვაქვს მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო კულტურა. აქ მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები, იცნობდნენ და აშენებდნენ ყურძნის სხვადასხვა ჯიშებს და ა.შ. თვით სომხებს ქსენოფონტე მიიჩნევს „მშვიდობისმოყვარე, მდიდარ და სტუმართმოყვარე ხალხად". აქვე იძლევა იგი ცნობებს ხელოსნობისა და მშენებლობის მაღალგანვითარებულ ტრადიციებზეც (Anab., VIII, 3 და შმდ).

კალიმაქსი
დაახლ. ძვ.წ. 300-240 წწ.

ძვ.წ. III საუკუნის ხალიბთა ტომის ეთნოგენეზისა და ეთნიკური კულტურის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული ძველ ბერძენ პოეტსა და მეცნიერს *კალიმაქსს.*[1] მართალია, იგი *ხალიბების* წარმოშობას შეცდომით სკვითურ ტომებს უკავშირებს, მაგრამ სამაგიეროდ კალიმაკსი ერთ–ერთი პირველთაგანია, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს ხალიბებში რკინის მადნეულის მოპოვებისა და დამუშავების შესახებ. მასვე ეკუთვნის ცნობები კოლხეთის ქალაქების, კოლხური ენისა და სხვ. შესახებ (Fragm., II, 373, 1022).

---

[1] *Каллимах.* Fragm. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884.

სტრაბონი
ძვ.წ. 64/63-ახ.წ. 23/24 წწ.

დასავლეთ კავკასიის ტომთა შესახებ ანტიკური ხანის წერილობითი წყაროები ძვ.წ. VI–V საუკუნებიდანაა ცნობილი, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ტომთა ადრეული ისტორიის შესახებ *სტრაბონის*[1] „გეოგრაფიაში" მოტანილ მონაცემებს უნდა მიენიჭოს. ამის მიზეზი იქნებ ისიც იყო, რომ დედამისი ჩამომავლობით ლაზი გახლდათ, თავად ცხოვრობდა ქ. ამასიაში, ხოლო ბიძამისს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნებთან და სხვებთან შედარებით უკეთ იცნობდა აქ მოსახლე ხალხების ყოფა-ცხოვრებას.

სტრაბონის მიხედვით ჩრდილო–დასავლეთ კავკასიის, ყუბანის აუზისა და აზოვისპირა სტეპებში ბინადარი მიწათმოქმედი ტომები სახლობენ, რომლებიც ნაწილობრივ ნაოსნობასაც მისდევდნენ. მისი ცნობით *ჰენიოხებს* ჰქონდათ პატარა, მსუბუქი ნავები, რომლებიც ჩვეულებრივ 25, იშვიათად კი 30 კაცს იტევდნენ. ამ ნავებით ისინი ქმნიდნენ ფლოტს და თავს ესხმოდნენ ხან საბარგო გემებს, ხან რომელიმე ქვეყანას, ან ქალაქს და ფლობდნენ ზღვას. ამ ნავებს ელინები *კამარებს* უწოდებდნენ (Strabo, XI, 12).

დასავლეთ კავკასიის შიდა ოლქებში მდინარე დონის ველებსა და სამხრეთ კავკასიის მთებს შორის მდებარე სტეპებში ბინადრობდნენ მომთაბარე ან ნახევრადმომთაბარე მესაქონლე ტომები, თუმცა ზოგჯერ ისინი მიწათმოქმედების წარმოებითაც იყვნენ დაკავებული. ამრიგად, ამ მონაცემთა მიხედვით ჩვენი ერის დასაწყისში და რამდენადმე უფრო ადრეც, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სტეპებში უკვე ჩამოყალიბებულია მიწათმოქმედ-მესაქონლეთა ძირითადი სამეურნეო კულტურული ტიპი, რომელიც შემდგომ ეპოქებსა და თანამედროვე პერიოდშიც კავკასიის ამ ნაწილის აბორიგენულ მოსახლეობას – ადიღეური ხალხების ჯგუფს ახასიათებს. (Strabo, XI, 2,1.).

სტრაბონსა და სხვა ანტიკურ ავტორებს ჩამოთვლილი აქვთ ყველა ის ტომები, რომლებიც აზოვისა და ყუბანისპირა

---

[1] *Страбон.* Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884; *Страбон.* География, перевод и предисловие Г.А.Стратоновского. Под общей редакцией проф. С.Л.Утченко, М., 1964; *Арский Ф.Н.* Страбон, М., 1974; *Ростовцев М.И.* Страбон как источник для истории Боспора, Харьков, 1914; *თ.ყაუხჩიშვილი.* სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

ველებში ცხოვრობდნენ. მათ რიცხვში იყვნენ *მეოტები, ზიჰები, კერკეტები, ჰენიოხები და სხვ.,* მაგრამ ყოველი ამ ცალკე ტომის ზუსტი ადგილსამყოფელი, კულტურულ–ეკონომიკური იერსახე თუ ტომთაშორისი ურთიერთობა განსაზღვრული და დადგენილი როდია. ასე მაგალითად, მეოტები აზოვის ზღვის ანუ მაშინდელი მეოტების ტბის სანაპირო ზოლის ბინადარ-მიწათმოქმედთა გაერთიანება უნდა ყოფილიყო, რომელთა რიცხვში იყვნენ *სინდები, ტორეტები, დანდარიები* (?) და სხვა ტომები. კერკეტების, ჰენიოხებისა და ზიჰების ადგილსამყოფელად მითითებულია ყუბანის სამხრეთი ტერიტორია. ამრიგად, ამ წყაროთა მიხედვით, ყველა ეს ტომი ისტორიულად დაკავშირებულია მოგვიანებით აქ ცნობილ ჩერქეზ ხალხთან და, ამდენად ისინი მნიშვნელოვანწილად მათ წინაპრებად არიან მიჩნეული (Strabo, XI, 2,1;2,2).

სტრაბონის „გეოგრაფიაში" გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობებს ქართველი ტომების შესახებ. სხვებთან ერთად აქ დასახელებული *სვანები,* რომლებიც სტრაბონთან *„სოანების"* სახელწოდებით მოიხსენიება, მრავალრიცხოვანი, მეომარი ხალხია. სოანების მორჩილებაში ყოფილან გარშემო მყოფი სხვა ხალხები, ხოლო მათ შეეძლოთ გამოეყვანათ 250 ათასიანი ჯარი, რაც დაახლოებით მილიონიანი მოსახლეობის შესაძლებლობას შეესაბამებოდა. სტრაბონი ასახელებს სოანთა მეფესა და უხუცესთა საბჭოს, რომელიც 300 კაცისაგან შედგებოდა (Strabo, XI,19).

სოანებზე საუბრისას სტრაბონი ეხება მითს ოქროს საწმისის შესახებაც და აღნიშნავს, რომ „გადმოცემით მათ ქვეყანაში, მთის ნიაღვარს ჩამოაქვს ოქრო და ბარბაროსები აგროვებენ მას ცხაეითა და ბანჯგვლიანი ტყავით. ამბობენ, რომ აქედან წარმოდგა მითი ოქროს საწმისის შესახებ" (Strabo, XI, 19).

ანტიკური ხანის ქართველ ტომთა სოციალური დიფერენციაციის შესახებ მეტად საყურადღებოა სტრაბონის მიერ იბერიის მოსახლეობაში გამოყოფილი ოთხი გვარი ანუ გენე: *სამეფო გვარი, ქურუმთა გვარი, მხედართა და მიწისმოქმედთა გვარი და მონები.* საერთოდ სტრაბონის მიერ დანახული კოლხეთი და იბერია გამოკვეთილი მონათმფლობელური საზოგადოების ნიშნებით ხასიათდება და კულტურის საკმაოდ მაღალი დონე გააჩნია. იგი აღწერს ქალაქებს, კერძოდ, მცხეთას, ვანს უფლისციხესა და ა.შ., რომელთაც აქვთ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები – ბაზრები, აბანოები, საფუნდუკეები. შენობებს გააჩნიათ

არქიტექტურული სტილი, გადახურულია კრამიტით და დამშვენებულია ხუროთმოძღვრული ჩუქურთმებით (Strabo, XI, 6).

არანაკლებ მნიშვნელოვანია სტრაბონის ცნობები კოლხეთის ერთერთი უმთავრესი ქალაქის დიოსკურიადის შესახებაც. „დიოსკურიადა არის... მეზობელი ხალხების საერთო სავაჭრო ცენტრი... ყოველ შემთხვევაში ამ ქალაქში თავს იყრის 70-მდე ხალხი (სხვათა მონაცემებით, რომლებიც საერთოდ არ ზრუნავენ სინამდვილეზე, 300-მდეც კი). ყველა ისინი ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე, რადგანაც თავიანთი ამაყი და ველური ბუნების გამო ცხოვრობენ გაფანტულად და ჩაკეტილად“ (Strabo, XI, 6).

სტრაბონის ეს მონაცემები იბერიის ქალაქების კულტურულ-არქიტექტორული იერსახისა და სამეურნეო-ეკონომიკური თუ დემოგრაფიული ვითარების შესახებ შემდგომში აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება.

ზოგადკავკასიური მასშტაბითაა მნიშვნელოვანი სტრაბონის ცნობები იბერიის მთისა და ბარის მოსახლეობის სამეურნეო-ყოფითი თავისებურებების შესახებაც. მისი შენიშვნით „ქართლის სამეფოში დაბლობზე უფრო მიწათმოწმედნი ცხოვრობენ, რომლებიც მშვიდობიანად არიან განწყობილი და არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნებისაა, მთიანი მხარე უჭირავს და ცხოვრობს სკვითებისა და სარმეტების ყაიდაზე” (Strabo, XI,3). ამ ცნობის მიხედვით არსებითად განსხვავებულია კავკასიის მომთაბარე და ბინადარი მოსახლეობის ცხოვრების წესი, სადაც მესაქონლეობის ექსტენსიური ფორმები დაპირისპირებულია სამიწათმოქმედო მეურნეობის ინტენსიურ ფორმებთან.

იმ პერიოდისათვის ერთადერთი და უტყუარია სტრაბონის ცნობა იბერიაში გავრცელებული რელიგიის – მნათობთა თაყვანისცემის შესახებაც, რომლის ტრადიციებზე საქართველოში არქეოლოგიურ მასალებთან ერთად შუა და გვიანფეოდალური ხანის წერილობითი წყაროები (ლეონტი მროველი და სხვ.), აგრეთვე თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში ფიქსირებული მონაცემებიც მეტყველებენ.

არანაკლებ საინტერესო ცნობებს იძლევა სტრაბონი აღმოსავლეთ კავკასიის ხალხების შესახებაც. „გეოგრაფიაში“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ალბანთა ეთნო-კულტურული ურთიერთობების აღწერას. ავტორი ალბანების სახით გულისხმობს მრავალრიცხოვან მოსახლეობას, რომელთაც

შეეძლოთ გამოეყვანათ 60 ათასი ქვეითი და 22 ათასი ცხენოსანი მეომარი. ყველაზე საინტერესოდ სტრაბონთან ალბანელთა ლინგვისტური და ტომობრივი დანაწევრება უნდა ჩაითვალოს. მისი ცნობით, ისინი 26 ენად და ეთნიკურ ჯგუფად იყოფოდნენ, რომელთაც სათავეში ცალკე მეფე ჰყოლიათ, თუმცა მოგვიანებით სტრაბონი მათ ერთი მეფის ხელისუფლების ქვეშ აერთიანებს (Strabo, XI, 5,6).

მიჩნეულია, რომ სტრაბონთან მითითებული ენობრივი და ტომობრივი დანაწევრება მოგვიანო ხანის კავკასიის მთიანეთის ენათა მრავალრიცხოვან განშტოებებს უნდა შეესაბამებოდეს, რამაც დაღესტნის ხალხების თანამედროვე ყოფაშიც ჰპოვა ასახვა. სწორედ ამის გამოა, რომ კავკასიათმცოდნეობაში ალბანელებს ისტორიის არენიდან უკვალოდ გამქრალად კი არ მიიჩნევენ, არამედ მათ პირდაპირ შთამომავლებად თანამედროვე დაღესტნის ხალხებს თელიან. ალბანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა შესულიყო აგრეთვე თურქულენოვან აზერბაიჯანელთა შემადგენლობაშიც.

აპოლონიოს როდოსელი
ძვ.წ. III ს.

ანტიკური ხანის წყაროთა შორის დასავლეთ ამიერკავკასიის, კერძოდ კოლხეთსა და იქ განსახლებულ ქართველთა წინაპრების ყოფა-ცხოვრებაზე საყურადღებო ცნობებია შემონახული ძველბერძნულ მითში „არგონავტების“ შესახებ. მართალია, თქმულება „არგონავტებზე“, როგორც წერილობითი წყარო ჩვ.წ-დე III საუკუნის ბერძენი მწერლის *აპოლონიოს როდოსელის*[1] ავტორობითაა ცნობილი, მაგრამ მითის ფოლკლორული ვერსიები თითქმის 1000 წლით ხნიერია როდოსელის თხზულებაზე და არსებითად ჰომეროსის პერიოდის ბერძნული სამყაროს სინამდვილეს ასახავს. ისიც

---

[1] *Аполоний Родосскии.* Argonautica. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884; *Аполоний Родосский.* Аргонавтика, перевод Церетели Г.Ф. Тб., 1963; *აპოლონიოს როდოსელი.* არგონავტიკა, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტება დაურთო აკ. ურუშაძემ, თბ., 1948; *აპოლონიოს როდოსელი.* არგონავტიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო აკ. ურუშაძემ, თბ., 1970.

გასათვალისწინებელია, რომ ანტიკურ სამყაროში და შემდგომ პერიოდებშიც მითის როდოსისეული ვარიანტის სანდოობა თითქმის არაეის დაუყენებია ეჭვქვეშ.

არგონავტიკაში და სხვა ბერძნულ წყაროებში მოცემულ ცნობებზე დაყრდნობით ქართველებისა და არაინდოევროპელი პელასგების ნათესაობის, აგრეთვე პრომეთესა და ამირანის მიერ კაცობრიობის წინაშე კულტურულოგიური დამსახურების ახლო ანალოგიების გვერდით, ძველი ქართველი მოსახლეობის ადგილსამყოფელის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მითში მოხსენებული ტომების საცხოვრებელი ადგილის კონკრეტიზაციას. აპოლონიოს როდოსელის ცნობების შედარება ჰეროდოტეს, ქსენოფონტესა და ფსევდო–არისტოტელეს მონაცემებთან გვიჩვენებს, რომ მითში მოთხრობილი ამბები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უნდა ხდებოდეს. კერძოდ, ჰეროდოტე სამხრეთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ასახელებს სამ დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას – დიოსკურიიდან ფაზისამდე მცხოვრებ *კოლხებს*, მათ ქვემოთ *სასპერებსა* და უფრო ქვემოთ *მიდიელებს*. ამასთან, ჰეროდოტეს

კოლხები ფართო ეთნიკური მნიშვნელობით აქვს ნახმარი. სხვა შემთხვევაში ჰეროდოტე კოლხებს ასახელებს ტრაპიზუნტის ზემოთ ვიდრე მდინარე აფსაროსის (ჭოროხი) შესართავამდე (Argon., II, 320).

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სასპირიდების დიდი ტომობრივი გაერთიანება, აგრეთვე ხალიბები, ხალდები, სკვითინები, მაკრონები და კოლხები არაერთხელაა მოხსენებული ქსენოფონტეს „ანაბაზისშიც“. სწორედ ამ სამყაროშია მოცემული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველი ტომების დახასიათება არგონავტიკაში. თქმულებაში საყურადღებო ცნობებს ვხვდებით *ხალიბების, ტიბარენების, მოსინიკების, ფილარების, მაკრონების, ბექირთა* მრავალრიცხოვანი ტომების, სასპერებისა და მეომარი კოლხების ყოფა-ცხოვრების შესახებ. აქვეა მოტანილი აპოლონიოს როდოსელის ცნობა ხალიბებში რკინის მეტალურგიის მაღალი ხელოვნების შესახებ, რომელიც მძიმე შრომასა და გარჯასთანაა დაკავშირებული (Argon., II, 370).

მეტად მნიშვნელოვანია არგონავტიკაში მოტანილი ცნობა *მოსინიკებში* ხის კოშკების მშენებლობის პრაქტიკის შესახებ. „ევესინის ზევსის გენტეს კონცხს გადაღმა ცხოვრობენ ცხვრით მდიდარი ტიბერები, მათ მეზობლად ტყიან ხმელეთსა და მთისწინეთში ერთიმეორეზე მიყოლებით მოსახლეობენ

მოსინიკები, რომლებიც სახლებს იმართავენ ხის კოშკებში კარგად შეკრული ლოდებით. ამ კოშკებს ეძახიან „მოსინებს", აქედანვე შეერქვათ მათ სახელი - მოსინიკები" - წერდა აპოლონიოს როდოსელი (Argon., II, 1015).

ქსენოფონტეს ანბაზისში აღწერილი რეალობის დადასტურებასთან ერთად, მითის ფოლკლორული ვერსიებით ხალხური ხეროთმოძღვრების ამ ტრადიციის არსებობა დოკუმენტურად სულ ცოტა ჰომეროსის ეპოქაშია გადატანილი. ასევე უაღრესად საინტერესოა ტიბარენებში აღწერილი ტრადიცია მამაკაცის მიერ მშობიარობის პროცესის სიმულაციის, მოსინიკებში სქესობრივი აქტის საჯაროდ შესრულების, კოლხების მიერ მიცვალებული მამაკაცების ე.წ. „ჰაერზე დაკრძალვის" და სხვათა შესახებ (Argon., II, 1015, III, 198 და შმდ.). „კირიკონის ველზე მრავლად იყო ჩამწკრივებული ტირიკი და ძეწნა, რომელთა კენწეროებზე თოკებით მიკრული გვამები ეკიდა. კოლხებში ჯერ კიდევ ახლაც ცოდვად ითვლება მიცვალებული მამაკაცების ცეცხლით დაწვა. არც ის არის წესი, რომ მიწაში დაფლან და ზემოდან ტაგრუცი დააყარონ. მათ ხარის მოუთელავ ტყავებში ახვევენ და ქალაქიდან მოშორებით ხეებზე ჰკიდებენ. მაგრამ ჰაერის თანაბრად მიწაც ღებულობს თავის წილს, რადგან ქალებს მიწაში მარხავენ" - წერდა აპოლონიოს როდოსელი (Argon., III, 198).

საგულისხმოა, რომ როდოსელის მიერ აღწერილი აღნიშნული წეს-ჩვეულება ცისა და მიწის გაღმერთების იდეასთან იყო დაკავშირებული. ძველ კოლხეთში ცისა და მიწის გაღმერთების გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე ქართულში ხმარებული გამოთქმები: „ცასა და მიწას ურჩევნია", „ცასა და მიწას ეფიცება" და ა.შ. ცისა და მიწის გაღმერთების მომენტია გადმოცემული, როცა ქალკიოპე შვილებს ავედრებს მედეას: „დაიფიცე დედამიწა და ზეცა, რომ რასაც გაუწყებ გულში შეინახავ". იგივე ჩანს მედეას პასუხშიც - „ვფიცავ კოლხთა უდიდეს საფიცარს, რომლის დამოწმებაც შენ მირჩიე დიად ზეცასა და მის ქვეშ მყოფ დედამიწას". გეა რომ კოლხთა მფარველი ღმერთია იქიდანაც ჩანს რომ, დედამიწამ აღმოაცენა იასონის მიერ დათესილი ურჩხულის კბილებიდან გიგანტები. თვით ოქროს საწმისის მცველი გველვეშაპიც გეას ნაშობია. გველვეშაპთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოში გავრცელებული გველის კულტი. მედეას მიერ მოჯადოებული გველვეშაპი საოცრად მოგვაგონებს გველს „როცა საზარელმა გველვეშაპმა დაუძინარი თვალებით იხილა მომავალნი გრძელი კისერი წინ წამოსწია და შემაძრწუნებლად მორთო შხივილი,

ვით ცეცხლწაკიდებული ტყის თავზე იკლაკნება კვამლის ურიცხვი გრაგნილები, რომლებიც მრგვალ წრეებად შეკრული განუწყვეტლივ მიემართებიან ზემოთ ერთიმეორეზე მიყოლებით, ისე დაკლაკნა მაშინ ურჩხულმა გამხმარი ქერცლით მოფენილი უამრავი რგოლი" (Argon., IV, 131). ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ გველი ძველ საქართველოში ფუძისა და ოჯახის მფარველად ითვლებოდა და კულტის საგნად იყო ქცეული.

„არგონავტიკაში" ხშირადაა მოხსენიებული ძველბერძნული ომის ღმერთი *არესი*. არესის მინდორზე ხდება იასონისა და ცეცხლიმფრქვეველი ხარების ჭიდილი. არესის ჭალაშია დავანებული ოქროს საწმისი გველვეშაპითურთ და ა.შ. ჩანს კოლხეთში ფართოდ იყო გავრცელებული ომის ღმერთის კულტი (Argon., II, 393, 235 და შმდ).

აპოლონიოს როდოსელს კოლხებში დამოწმებული აქვს სახალხო ყრილობაც. მისი ცნობით აიეტმა არგონავტებს დავალება მისცა „კოლხთა ყრილობა მოეწვიათ სასახლის გარეთ, სადაც უწინაც ჯდებოდა სათათბიროდ".

არგონავტიკაში მოტანილი ცნობები ყურადღებას იქცევს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქართველური ტომების ლოკალიზაციის თვალსაზრისითაც. როდოსელის მიხედვით არგონავტთა გზა გადადიოდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელიც ზემოთ აღნიშნული ქართველური ტომებით ყოფილა დასახლებული. ისინი არ ექვემდებარებოდნენ აიეტის სამფლობელოს, მაგრამ დიდ სამეფოსთან გარკვეული ეკონომიკური კავშირი მაინც უნდა ჰქონოდათ. ამ მხრივ საკმარისია თუნდაც ხალიბთა მაგალითი, რომლებიც მხოლოდ მადნის მოპოვება-დამუშავებით ირჩენდნენ თავს და, ამიტომაც, იძულებულნი იყვნენ მადნეულის ნაწარმი კოლხთა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე გაეცვალათ (Argon., 370 და შმდ.).

აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქართველთა ეროვნული ხასიათის დასადგენადაც. აქ პირველ რიგში, აღსანიშნავია აიეტის კოლორიტული სახე, რომელსაც როდოსელი გარეგნულად ომის ღმერთს-რესს ადარებს და რომლის პიროვნებაც დიდ სიმპათიას იწვევს მკითხველის თვალში. ბერძენი ავტორი არ უარყოფს, რომ აიეტს ადვილად შეეძლო გაენადგურებინა საწმისის მაძიებელი არგონავტები, მაგრამ მან ძალადობას გონის, მამაცობისა და მოხერხებულობის გამოცდა არჩია, რადგანაც მიაჩნია, რომ „ულირსი საქმე იქნება მამაცად შობილმა კაცმა უმდაბლეს კაცს დაუთმოს რამე" (Argon., IV, 101).

აიას სამეფო იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ არგონავტებმა, რომელთაც არაერთი ხიფათიანი მგზავრობა და ბრძოლა გადაუხდიათ, კოლხებთან შებრძოლება ვერ გაბედეს. პირიქით, მთელს უკუსავალ გზაზე ისინი თავს არიდებდნენ კოლხთა საომარ ხომალდებს, რომლებიც არგონავტებს მედეას წასართმევად მოსდევდნენ.

ფლავიუს არიანე
90/95-175 წწ.

ანტიკური ხანის ჩრდილო დასავლეთ ამირკავკასიის ტერიტორიაზე განსახლებული *კოლხების, კორაქსების, აბაზგების//აბასკების, აფშილების, სანიგების, ჰენიოხებისა* და სხვ. შესახებ საინტერესო ხასიათის ცნობები აქვთ დაცული ფლავიუს არიანესა[1] და *პლინიუს სეკუნდს.* მართალია, ეს ცნობები ძირითადად ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ამ ტომების ლოკალიზაციის საკითხებს ეხება, მაგრამ მათზე დაყრდნობით არაერთი ვარაუდია გამოთქმული მათი ეთნიკური კუთვნილების, საქმიანობის, ყოფა-ცხოვრების ძირითადი მომენტების, რწმენა-წარმოდგენებისა და სხვ. შესახებ.

ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ზემოთ მოტანილი ცნობების გარდა, არიანეს „პერიპლიუსში", „ინდოეთის ისტორიაში" და სხვა ნაშრომებში არაერთი ცნობა აქვს დაცული კავკასიის სხვადასხვა ხალხების ისტორიისა და ეთნოლოგიის შესახებ. საგულისხმოა, რომ არიანეს დროს კოლხები მხოლოდ ტრაპეზუნდის მიდამოებში ჩანან ლოკალიზებული (Peripl.,7,8,11), მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოს ვრცელი ტერიტორია უკვე *ლაზებს* უჭირავთ (Peripl., 7, 11). აქვე მდინარე აფსაროსიდან კოდორამდე ლაზებთან ერთად იგი აღწერს *ზიდრიტებსა* და *აფსილებს, სანიგებს, კორაქსებს, მელანქლაინებს, მაქელონებსა* და *ტორეტებს* (Peripl.,16,18,24). სხვათა შორის პროკოპი კესარიელს თავის თხზულებაში - „გოთებთან ომი" დაცული აქვს არიანეს

---

[1] *Arrianus.* Periplus Ponti Euxsini, Lipsiae, 1928; *Appuan.* Periplus, Известия древних греческих и римских писателей о Скифии и Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис 1884; *Арриан.* Поход Александра (Anabasis), перевод с древнегреческого М.Е.Сергеенко, М.-Л., 1962; *Латишев В.В.* Известия древних писателей о Скифии и Кавказе, I, ВДИ, 1984 №1; *ფლავიუს არიანე.* მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭეღმაძისა, თბ., 1961.

საინტერესო ცნობა ლაზიკის ლოკალიზაციისა და ქვეყანაში არსებული ციხე–ქალაქების შესახებ. „ამ მხარეს ჩამოუდის მდინარე, სახელად რეონი, სადაც კოლხებს ძველად აუგიათ ციხე... მაშინ ამ ციხეს ელინთა ენაზე კოტიაიონს უწოდებდნენ. ახლა კი მას ლაზები კოტაისს ეძახიან... ასე მოგვითხრობს ამას არიანე" – წერს პროკოპი კესრიელი (BG, n, IV, 14,47 და შმდ.).

საინტერესო ცნობები აქვს დაცული არიანეს *ალბანელების* შესახებაც. ისინი მას მოხსენიებული ყავს დარიოსის საუკეთესო ლაშქარში, რომელთა მხნეობასა და გამძლეობას სპარსეთის გამორჩეული მეფეც კი აფასებდა (Anab., III, 11,3,7).

ნაშრომში „ტაქტიკა" არიანე დიდი გულისყურით საუბრობს *ალანებზეც,* რომლებსაც იგი, არც თუ უსაფუძვლოდ, სკვითებთან აიგივებს. „ტაქტიკაში" საუბარია ალანთა საომარ ხელოვნებაზე, რაც სავრომატთა მსაგვსად მოწინააღმდეგეს ჭოკით თუ ხელშუბებით ოსტატურ თავდასხმას გულისხმობდა (Ars tact., 4,7).

ნაშრომში „ალანთა წინააღმდეგ განლაგება", არიანე ელინთა მოკავშირეებად ასახელებს არმენიელებს, ტრაპეძიენელებს, კოლხებსა და რიძელებს (7,14).

არიანე მომთაბარე სკვითებს განასხვავებს მიწის მხვნელ სკვითებისაგან და მათ ორ ნაწილად – ევროპისა და აზიის სკვითებად ყოფს. იგი მიუთითებს მათ საცხოვრისზეც. ევროპის სკვითებს იგი მდ. ისტროსის შესართავთან (Anab., IV,1,1-3,15-1), ხოლო აზიის სკვითებს კასპიის ზღვის მიდამოებსა და შუა აზიაში გულისხმობს (Anab.,IV,17, და შმდ.).

არიანე ახსენებს სკვითური ჯიშის ცხენს და მას განსაკუთრებულს უწოდებს. „ნადირობაში" მას მოტანილი აქვს მეტად საინტერესო პასაჟი ცხენის სკვითურ და ლიბიურ ჯიშებზე (1,4). მისი ცნობით „იქ სადაც დაბლობი ხელსაყრელია საჯირითოდ, მისიელებში, გეტებში, სკვითიასა და ილირიაში, ირმებზე ნადირობენ სკვითურსა და ილირიულ ცხენებზე ამხედრებულები. ესენი თავდაპირველად კარგად არ მირბიან. ამიტომ შეიძლება რომ არაფრად ჩააგდონ, ერთი შეხედვით თესალიურ – სიციელიურ ან პელოპონესურ ცხენებთან შედარებით. მაგრამ ისინი ყოველგვარ შრომას იტანენ. და მაშინ დაინახავ, რომ ეს სწრაფი დიდი და შმაგი ცხენი იღლება, ხოლო ეს მომცრო და ქეციანი ცხენი ჯერ გადაუსწრებს იმას, მერე უკან ჩამოიტოვებს და შემდეგ დაედევნება მხეცს. ის იქმადე უძლებს სირბილს, ვიდრე ირემი არ გამოსავათდება" (1,23,2).

არიანე თავის თხზულებებში ეხება *არმენიასა* და *არმენიელებსაც*. „ანაბაზისში" და „ტაქტიკაში" მოტანილი აღწერილობიდან ჩანს, რომ იგი კარგად იცნობს არმენიის საზღვრებს, მის მოსახლეობას (Anab.,III, 16-1, V,5,2-5), საბრძოლო ხელოვნებას, ჩაცმულობასა და ა.შ. (Ars tact., 4,7,34,6-7).

პლინიუს სეკუნდი
23-79 წწ.

შავიზღვისპირეთის კაეკასიელი ტომების ეთნოგეოგრაფიის საკითხებზე მნიშვნელოვანი ცნობები აქვს დაცული რომაელ სახელმწიფო მოღვაწესა და მწერალს *პლინიუს სეკუნდს*[1]. მისი უზარმაზარი ნაშრომი „ბუნების ისტორია"- Historia Naturalies (HN), რომლის III, VI და VII თავები შესაბამისად გეოგრაფიას, ეთნოგრაფიასა და ანთროპოლოგიას უჭირავს, სტრაბონისა და პტოლომაიოსის თხზულებებთან ერთად მნიშვნელოვანი წყაროა შავიზღვისპირის აუზის ტომთა ადგილსამყოფელის განსაზღვრის თვალსაზრისით. იგი თანმიმდევრულად ჩამოთვლის შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს. პლინიუსის ცნობით მდინარე თერმოდონტეს აქეთ დასახლებულია *ხალიბები, ტიბარენები,* ტანმოხატული *მასინები* (მოსინიკები), *მაკროკეფალები, ბეხირები, ბუქსერები* და ა.შ., ცოტა ქვემოთ კი *პენიოხები, ამპრევეტები, ლაზები* და სხვ. ტრაპეზონის გადაღმა სეკუნდი ასახელებს *არმენო-ხალიბების* ტომს (HN,VI,2,3,11). მითითებულია მდინარეები და ციხე ქალაქები მათ შორის მანძილთა ჩვენებით. ჩამოთვლილია მდინარეები – *იაზონიონი, აკამპსეონი, ისისი, ბათისი, პონტოს* ყველაზე სახელგანთქმული მდინარე *ფაზისი*. პლინიუსი დაწვრილებით აღწერს ფაზისის გარემო-შენაკადებს, ხეობათა დასახლებულ პუნქტებს (HN,VI,13). მართალია, იგი ფაზისის სათავეებს მოსხებში მიუთითებს, მაგრამ სხვა მხრივ ამ მდინარესთან დაკავშირებით არაერთი მნიშვნელოვანი ცნობა აქვს ფიქსირებული. კერძოდ, მისი მონაცემებით ფაზისი 38500 ნაბიჯზე მოსრდილი ხომალდების სანაოსნოა, აქედან ზემოთ კი დაცურავენ პატარა ნავები. მდინარის სანაპირო ქალაქთაგან ასახელებს *კინდარიდას, კირკეუმს, კიგნოსს,* შესართავთან კი – ფაზისს.

---

[1] *Плиний.* Естественная история с английским переводом в десяти томах, т. III, кн. III-VII, по Г.Рекему, Лондон-Кембридж-Масачусет, 1977.

იგი ცალკე აღწერს სახელგანთქმულ ეას, რომელიც ზღვიდან 15 000 ნაბიჯზე მდებარეობდა (HN,VI,5,).

პლინიუსი მოიხსენიებს მდ. ანთემუნტასთან მდებარე კოლხების ქალაქ *დიოსკურიას* და მოყავს ტიმოსთენეს (ძვ.წ. IIIს.) ცნობა იმის შესახებ, რომ იქ, იმ პერიოდში 300 ენაზე მოლაპარაკე ხალხი იყრიდა თავს და, რომ ბერძნები და რომაელები მათთან 130 თარჯიმანის მეშვეობით აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს (HN,VI,5,1). მართალია, ეს ცნობა გადაჭარბებულია (მაგ., სტრაბონი 70-მდე ხალხს ასახელებს), მაგრამ ოდესღაც ეს აყვავებული ქალაქი პლინიუს სეკუნდის დროს სავაჭრო–ეკონომიკური და სხვა პარამეტრებით დაძაბუნებული ჩანს.

პლინიუს სეკუნდი გვაწვდის საყურადღებო ცნობას სომხების ლოკალიზაციის შესახებაც (HN,VI,2,15,1 და შმდ.), კერძოდ, იგი ხაზს უსვამს მათ დაახლოებას შავ ზღვასთან (30 მილამდე), რაც ამ პერიოდში ქართველი ტომების – ხალიბების სომხეთის ფარგლებში მოქცევაზე, ან მათ შევიწროებაზე უნდა მიუთითებდეს.

პლინიუს სეკუნდს ეკუთვნის ცნობები მტკვრის ველზე განსახლებული ალბანებისა და იბერების ადგილსამყოფელის შესახებ, რომელთაც შუაზე კავკასიონის მთებიდან ჩამომავალი *ოკაზანი* (ალაზანი) ყოფს (HN,VI,2). იგი ახსენებს *თრიარის* ანუ *თრიალეთის* მხარეს, ალბანეთისა (კაბლაკა) და იბერიის (ჰერმასტუსი არმაზი) მთავარ ქალაქებს, კავკასიის კარს, რომელშიც ზოგი მკვლევარისაგან განსხვავებით, არა კასპიის კარი (დარუბანდი), არამედ „სარმატთა კარი", (Ptol., Geogr. V,8) ანუ დარიალი იგულისხმება (HN,VI,2;12,1).

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა პლინიუს სეკუნდის ცნობა კავკასიის კარიდან აქეთ *გუსდინთა* მთებში მცხოვრები მოუხეშავი ტომის *სუანების* (სვანების) შესახებ, რომლებიც ოქროს მადნის მოპოვებით ყოფილან სახელგანთქმულნი. იგი არაერთხელ მიუთითებს აგრეთვე კავკასიონის გადალმა *სკვითების, კიმერიელებისა* და *კისიანტების* გვერდით *ამაზონთა* ტომსა და *გეორგინებზე* (HN,VI,35), რომელიც მკვლევართა აზრით შემდგომში ქართველების საერთო სახელად მკვიდრდება.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პლინიუსი აღწერს აგრეთვე კასპიისპირეთისა და შიდა ტერიტორიის ხალხებს, კერძოდ *ალბანებსა* და *უდინებს* (HN,VI,39). ალბანთა მდინარეებიდან დასახელებულია კავკასიის მთებიდან

ჩამომდინარე *კაზუსი, ალბანუსი* და *კამბისი*, შემდეგ კი *კიაროსი* (მტკვარი).

და ბოლოს, შეუძლებელია არ შევეხოთ ცნობას ქსენოფონტეს მიერ თავის დროზე აღნიშნული (Anab.,IV,8,20) მაკრონთა მათრობელა თაფლის შესახებ, რომელსაც პლინიუს სეკუნდის აზრით გამაგიჟებელს ეძახიან შეშლილობის გამოწვევის გამო. იგი ამის მიზეზად თვლის აქაურ ტყეებში უხვად არსებულ როდოდენდრის ყვავილს, თუმცა პლინიუსი განცვიფრებულია აქაური ცვილის მაღალი ხარისხით, რომელსაც იგი პუნიურ ცვილს ადარებს და საერთაშორისო ვაჭრობის საგნად ასახელებს. ცხადია ეს ცნობა აშკარად მიუთითებს ქართველ ტომებში მეფუტკრეობის განვითარების მაღალ დონეზე, თუმცა თავად თაფლი მისი მათრობელა თვისებების გამო ვაჭრობის საგნად არ ქცეულა. მხოლოდ პლინიუსი იძლევა ცნობას ზღაპრული აიეტის შთამომავალ კოლხთა მეფე სავლაკის შესახებ, რომელმაც მიიღო სამკვიდროდ ოქროთი და ვერცხლით მდიდარი მიწა ოქროს საწარმოებით სახელგანთქმულ ქვეყანაში. იგი ასახელებს სავლაკის ოქროს პალტებს, ვერცხლის კოჭებსა და სვეტებს და ა.შ. (HN,XXXIII,15,2).

დიონისიოს პერიეგეტი
II ს. დაახლ. 124 წ.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომების შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით II საუკუნის ბერძენი პოეტისა და მეცნიერის *დიონისიოს* პერიეგეტის[1] თხზულებაში „დედამიწის აღწერილობა"–Orbis Descriptio (OD), რომლის მიხედვითაც *მეოტები, ამაზონები* და *სავრომატები* მდ. *ტანაისის* შესართავებში ცხოვრობენ (OD,652). პერიეგეტი განსაკუთრებული გულისყურით აღწერს სავრომატთა ქვეყნის მკაცრ კლიმატს, რაც განაპირობებდა კიდეც მათი ცხოვრების წესს. „ამ ქვეყანაში ხშირია თოვლი და ძლიერი ყინვები. და მაშინ, როცა ზამთრის ქარების გამო იქ ძალიან ცივა, მათი ღია ცისქვეშ მდგომი ცხვრები, ჯორები და ცხენები იხოცებიან.

---

[1]*Дионисии Периегет.* Orbis descriptio. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, 1884; *В.В.Латишев.* Известия древних писателей о Скифии и Кавказе, I, ВДИ, 1947, №4; *თ.ყაუხჩიშვილი.* ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967; *მისივე.* საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

აქაური ზამთრის ქარბუქს ადამიანებიც კი ვერ გადაურჩებოდნენ, მაგრამ ამ დროს ისინი ურმებზე დაბარგებულნი სხვა ქვეყნებში მიემგზავრებიან და თავიანთ მიწას ზამთრის ქარების ამარა ტოვებენ, რაც თავისი დამანგრეველი ძალით ნთქავს კიდეც მიწასა და ფიჭვის ტყით შემოსილ მთებს" (OD,652).

პერიეგეტის ცნობით *სინდები* და *კიმერიელები,* აგრეთვე ზღვისპირა *კერკეტები, ტორეტები* და მეომარი *ახეელები,* რომლებიც მათ მეზობლად ცხოვრობენ, უფრო მჭიდროდ არიან დასახლებულნი (OD,679), რაც, ალბათ გარკვეულწილად უადვილებდა მათ სტიქიასა და გარშემო დასახლებული, მტრულად განწყობილი ტომების წინააღმდეგ ბრძოლას.

პერიეგეტი ეთნოლოგიური ხასიათის საყურადღებო ცნობებს გვაწვდის პონტოელი ტომების – *ბიძერების, ბექირების, მაკრონების, ფილარების, მოსინიკების, ტიბარენებისა* და *ხალიბების* შესახებაც. „პირქუშსა და მკაცრ მიწაწყალზე ცხოვრობენ *ხალიბები,* მძიმე რკინის დამუშავების მცოდნენი. ისინი დგანან მძიმედ ჟღერად გრდემლებთან და ჯაფისა და საშინელი გასაჭირის მიუხედავად არასოდეს ისვენებენ" - წერს იგი (OD,762).

პერიეგეტი ეხება *ახეელთა, ჰენიოხთა* და *ზიხთა* ეთნოგენეზის პრობლემას და თვლის, რომ ახეელები აქ საბერძნეთის ნახევარკუნძულიდან უნდა მოსულიყვნენ, ხოლო მათი მეზობლები ჰენიოხები და ზიხები ასევე პელაზგიური წარმოშობისანი არიან (OD,679).

ბერძენი ავტორი ეხება კოლხთა საცხოვრისსაც და გვამცნობს, რომ ისინი ტინდარიტების ქვეყნის ახლოს პონტის ბოლაზში ცხოვრობენ, თავის დროზე აქ ეგვიპტიდან არიან მოსულნი და კავკასიის მთაგრეხილის ძირას არიან დასახლებულნი. მისივე ცნობით, კოლხთა ჩრდილო-აღმოსავლეთით შავ და კასპიის ზღვებს შორის გადაჭიმულ მთაგრეხილის იქით ცხოვრობენ *აღმოსავლეთის იბერები,* რომლებიც აქ ოდესღაც დასავლეთიდან, კერძოდ პირინეის ნახევარკუნძულიდან მოვიდნენ და ხანგრძლივი შეტაკებები უხდებოდათ კასპებთან (OD,679).

ბუნებრივია, ახეელების, ჰენიოხების, კოლხებისა და ზიხების ეთნოგენეზის პერიეგეტისეული ახსნა ძალზე შორსაა რეალობისაგან, მაგრამ ჰეროდოტედან მოკიდებულმა ანტიკური ხანის ეთნოგენეტიკურმა კონცეფციებმა კავკასიის ხალხთა შესახებ, შუა საუკუნეებშიც შეინარჩუნეს არსებობის უფლება და შესამჩნევი გავლენა გვიანფეოდალურ ისტორიოგრაფიასეც მოახდინეს.

კლავდიოს პტოლომაიოსი
გარდ. დაახლ. 168 წ.

გვიანანტიკური ხანის კავკასიის ხალხების ეთნოგეოგრაფიული და დემოგრაფიული ვითარების შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს დაცული ბერძენ მწერალსა და მეცნიერს *კლავდიოს პტოლომაიოსს.*[1] მის მიერ შესრულებულ კარტოგრაფიულ რუკებსა და ჩანაწერებში აზიური სარმატია გადაჭიმულია ევქსინის პონტოდან ტანაისის შესართავამდე. სამხრეთით იგი შემოსაზღვრულია ევქსინის პონტით, აქედან მოკიდებული საზღვარი გადის კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის განაპირა მიჯნებზე – თვით *გერკამის* ანუ კასპიის ზღვამდე. აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილ მთაგრეხილებს კოლხეთის, იბერიისა და კასპიის ზღვის მიმართულებით ავტორი კავკასიის მთის სახელით მოიხსენიებს (Geogr.,VIII,7,11,14).

კასპიის ზღვის გასწვრივ პტოლომაიოსი ასახელებს *უდინებს, ოლონდებს, ისონდებს* და *ჰერებს.* ბოსპორის გასწვრივ კავკასიის მთაგრეხილის ორივე მხარეს ავტორი ასახელებს *ბოსპორანებს,* ხოლო პონტოს გასწვრივ *ახეელებს, კერკეტებს, ჰენიოხებს* და *სვანოკოლხებს,* ალბანეთის იქით კი *სანარებს* (Geogr.,VIII,25).

შედარებით დაწვრილებით აქვს მიმოხილული პტოლომაიოსს კოლხეთის მდებარეობა, სადაც იგი ზღვის სანაპირო ნაწილში იხსენიებს დიოსკურიადას, ფაზისს, ნეაპოლს. აქვეა დასახელებული ლაზთა ტომი, რომელიც *მანრალებთან* ერთად *ეკრეტიკეს* (ეგრისის) ქვეყანაში არიან გაერთიანებულნი (Geogr.,IX,1,2,4,6).

პტოლომაიოსის აზიის III რუკაზე ცალკეა მოცემული იბერიის მდებარეობის, აგრეთვე მისი ქალაქებისა და სოფლების აღწერა (Geogr.,X,1,2,3).

კავკასიის სხვა კუთხეებიდან პტოლომაიოსს აღწერილი, რუკაზე განსაზღვრული და დატანილი აქვს *ალბანეთისა* და

---

1 Geography of Claudio Ptolemey. Transl. in English by E.L.Stewenson, New-York, 1932; *Латышев В.В.* Известия древных писателей о Скифии и Кавказе, I, ВДИ, 1948, №4; *ნ.ლომოური.* კლავდიოს პტოლემაიოსი. გეოგრაფიული სახელმძღვანელო. ცნობები საქართველოს შესახებ, მსკი, №32, 1955; *თ. ყაუხჩიშვილი.* საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

დიდი *არმენიის* მდებარეობა, მითითებული აქვს უმთავრესი მთები (*მოსხური მთები, პარიადრი*), გეოგრაფიული ოლქები (*კატარენე, ბოხები, ტოსარენე* და სხვ.), მდინარეები (*კიროსი, ალბანოსი, არაქსი* და ა.შ.), ზღვები (*ჰირკანიის ზღვა*), ქალაქები და სოფლები და ა.შ. (Geogr.,XI,1-8;XII,1-10).

ამიანე მარცელინი
V ს.

სტრაბონის მიერ აღწერილი ტერიტორიების რამდენადმე მოგვიანო ვარიაციებია მოტანილი ცნობილი ბიზანტიელი მწერლის *ამიანე მარცელინის*[1] ნაშრომში „ისტორია" – Res Gestae (RG), სადაც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროების მოსახლეობის აღწერისას განსაკუთრებული გულისყურითაა მოხსენიებული *ხალიბები*. მარცელინის ცნობით ხალიბებმა „პირველად მოიპოვეს და დაამუშავეს რკინა. მათ შემდეგ ერცელი მიწები უჭირავთ *ბიზარებს, საპირებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს* და *ფილიარებს* – ხალხებს, რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიან" (RG.,XXII,21) – წერს იგი. კოლხების საცხოვრისისა და კამარიტების ყოფა-ცხოვრების აღწერის შემდეგ (RG,24), ამაიანე მარცელინი საკმაოდ საინტერესო ცნობებს გვაწვდის კიმერიის ბოსფორის ამაზონებსა და მეოტიდის ტბის გარშემო მცხოვრები მოსახლეობის შესახებაც. მისი მონაცემებით მეოტიდის ტბის გარშემო „მრავალი ტომი ცხოვრობს განსხვავებული ენებისა და ჩვეულებათა ნაირობით: *იქსომატები, მეოტები, იაზიგები, როქსოლანები, ჰალანები, მელანქნელები* და *გელონებთან* ერთად *აგათირსები*" (RG,XXII,31). ამათგან არც თუ ისე შორს მარცელინი აღწერს *ტაურებს* „ღმერთებს რომ ადამიანებს სწირავენ მსხვერპლად და უცხოელებს სწირავენ დიანასაც... დახოცილთა თავებს ტაძრის

---

[1] *Амиан Марцелин. История, пер. Ю. Кулаковского* и А. Сонни, вып. I-III, Киев, 1906-1908; *Соколов В.С.* Аммиан Марцелин как последный представитель античной историографии, ВДИ, №4, 1959; *ამიანე მარცელინი.* გეორგიკა, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1961; *ს. ყაუხჩიშვილი.* ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1949; *Thompson E.A.* The Historical work of Ammianus Marcellinus, Cambriqe, 1947; *Ammianus Marcellinus* with an English translation by J. Rolfc, 3 vols., London, 1950-1952.

კედლებზე ჰკიდებდნენ, როგორც მამაცურ საქმეთა სამარადისო ძეგლებს" (XXII,34).

ამაზონებთან ერთად მარცელინი ასახელებს *ალანებს*, აგრეთვე ტანაისს იქით მცხოვრებ *საკრომატებს*, რომლებიც მათგან აღმოსავლეთით მეზობლობენ და, რომელთა სამფლობელოც დიდი და მცირე ხალხთა ჯგუფების სახით, აზიამდე იყო გადაჭიმული (RG,27-28). მარცელინის მიხედვით ალანებს არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ნაგებობანი, არ ეწევიან მიწათმოქმედებას, იკვებებიან ხორცით, უფრო მეტად რძით, ცხოვრობენ ხის ქერქით გადახურულ ურმებზე, რომლებითაც დაეხეტებიან უკიდეგანო ველებზე... მათ „ბინები და ღატაკური ავეჯეულობა ქერქით გადახურულ ურმებზეა მოთავსებული და როცა მოეხასიათებათ, დაუბრკოლებლად გადასახლდებიან: მიაგორებენ ურემს იქით, საითაც მოეპრიანებათ" - წერს იგი (RG,42).

მარცელინის მიხედვით ალანებს მომთაბარეობისა და მეკობრობისათვის მართლაც ვრცელი ასპარეზი გააჩნდათ. ნადირობასა და ძარცვა-გლეჯაში გართულნი, ისინი ხშირად ჩასულან მეოტიის ჭაობებსა და კიმერიის ბოსპორამდე. ავტორის ცნობით ალან მომთაბარეებს ტაძრები და წმინდანები არ გააჩნდათ (RG,42).

ანტიკური და ელინისტური ხანის დასავლეთ ამიერკავკასიაში მომხდარი ეთნო-კულტურული ცვლილებები მნიშვნელოვანწილად ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფოს წარმოშობა-განვითარების პროცესებთანაა დაკავშირებული. წერილობითი ცნობები ლაზების შესახებ ძ.წ. I საუკუნეში ჩნდება. მიჩნეულია, რომ ლაზები, როგორც დასავლეთქართული ტერიტორიულ–ეთნოგრაფიული ჯგუფი ცალკე ერთეულად კოლხეთის სამეფოს დაშლის შედეგად გამოიყო და მოგვიანებით ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფოს (ახ.წ. III-IVსს.) ჩაუყარა საფუძველი. ლაზიკის სამეფო, რომელიც მთელ კოლხეთს – დღევანდელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა, არაერთხელაა მოხსენიებული *პროკოპი კესარიელისა* (VIს.) და *აგათია სქოლასტიკოსის* (VIს.) თხზულებებში, ანონიმური ავტორის „*სომხურ გეოგრაფიაში*" (VIIს.) და ა.შ.

პროკოპი კესარიელი
VI ს.

ბიზანტიელ აკტორთა შორის პროკოპი კესარიელი[1] თავის ცნობილ ნაშრომში „იუსტინიანეს ომების ისტორია", ერთ-ერთი პირველთაგანი ეხება ვრცლად კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ეთნოლოგიის საკითხებს. კესარიელის თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება: 1. ომი სპარსელებთან – De Bello Persico (BP-I-II), 2. ომი ვანდალებთან – De Bello Vandalico (BV-I-II, საერთო რიგით III-IV) და 3. ომი გუთებთან – De Bello Gothico (BG-I-III, საერთო რიგით V-VII).

ომების ყველა ფრონტისადმია მიძღვნილი VIII წიგნი.

კესარიელი არაერთხელ აღწერს *ლაზების, ჭანების, სანების, მესხების, იბერების,* (BP,I,12,15;BP,II,15,25;BG,VIII,1-2 და შმდ.), *სომხების, ალანების, ჰუნების, აბაზგების, საბირებისა* და სხვ. (BG,VII,3,4 და შმდ.) ყოფა–ცხოვრების, წეს–ჩვეულებებისა და რწმენა–წარმოდგენების თავისებურებებს, მიმოიხილავს ლეგენდას ამაზონთა ტომის შესახებ და ცდილობს კავკასიის სინამდვილეში რეალური საფუძველი მოუნახოს მას (BG,VIII,3).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჩანაწერები ჭანებსა და ლაზებზე პროკოპი კესარიელის მეორე ნაშრომში „შენობათა შესახებ" - De Aedificiis (DA). თხზულების ამ ნაწილში ვრცლადაა მიმოხილული *ჭანების* ტომი, რომელიც იმდროინდელი ბარბაროსული სამყაროდან არა თუ არ ემორჩილებოდა რომაელებს, არამედ რომაულ ახალშენებზე და მის მეზობლებზე მუდმივი თავდასხმის შიშით მათგან ოქროს განსაზღვრულ რაოდენობასაც იღებდა (DA,III,6). მიუხედავად ამისა, კესარიელის ცნობით ჭანებს ხშირად ავიწყდებოდათ პირობა, თავს ესხმოდნენ არმენიელებს და ზოგჯერ რომაელებზეც წაუცდებოდათ ხელი, თუმცა საბოლოოდ მაინც მოთვინიერებულან, რომაელთა ჯარში ჩაწერილან და ქრისტიანობაც მიუღიათ (DA,III,6).

---

[1] *პროკოპი კესარიელი.* გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 2, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965; *Дастунис Спиридон.* Прокопия Кесарийского История войн римлян с персами, кн. I-II, СПб, 1886; История войн римлян с вандалами, кн. I, спб., 1891; *Прокопий из Кесарии.* Война с готами. Перевод с греческого С.П.Кондратьева. Вступительная статья З.Удальцовой, М., 1950; *Прокопий.* О постройках. Перевод С.М.Кондратьева, ВДИ, 1939, №4.

კესარიელის ცნობით ჭანები ზღვიდან მოშორებით ცხოვრობენ და ემეზობლებიან სომხებს (BG,VIII,1). რაც შეეხება ლაზებს, იმდენად, რამდენადაც ისინი ფაზისის სანაპიროს გასწვრივ სახლობენ, კოლხების მემკვიდრეებს უნდა წარმოადგენდნენ და, ისე როგორც სხვა მრავალ ხალხებს ჩვეეიათ, მხოლოდ სახელი კოლხი შეცვალეს ახალი სახელწოდებით (BG,VIII,I).

კესარიელი მიუთითებს მდინარეებს ცხუმსა და კოდორს შუა მცხოვრებ აბაზგების გაქრისტინებაზეც, რომელიც VI საუკუნის შუა ხანებში იმპერატორ იუსტინიანე I დროს უნდა მომხდარიყო. მიუხედავად ამისა, კესარიელის ცნობით აბაზგებში ამ დროს მაინც მძლავრობდა წარმართული რწმენის გადმონაშთები (BG,VIII,3).

პროკოპი კესარიელის „იუსტინიანეს ომების ისტორია" გუთებთან, ვანდალებთან და სპარსეთთან, მარცელინის თხზულებათა შემდეგ, ერთერთი უმნიშვნელოვანესი და სანდო წყაროა ელინისტური ხანის დასავლეთ კავკასიის ტომთა ისტორიისა და ეთნოლოგიის შესახებ.

აგათია სქოლასტიკოსი
536-582 წწ.

პროკოფი კესარიელის „ისტორიის" უშუალო გაგრძელებად მიაჩნიათ ცნობილი ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი,[1] რომლის მთავარი საისტორიო თხზულება *„იუსტინიანეს მეფობისათვის"* ხუთი წიგნისაგან შედგება. მასში თანმიმდევრულადაა გადმოცემული VI საუკუნის დასავლეთ საქართველოს – ლაზიკის ისტორიის უმთავრესი მომენტები და აღწერილია დაბა–ქალაქები და ციხე-სიმაგრეები, კერძოდ *ქუთათისი, მუხურისი, ვარდციხე, ტოლები* და ა.შ. (HGM,II,19). ლაზები აგათია სქოლასტიკოსსაც კოლხების შთამომავლებად მიაჩნია (HGM, II,18), რომლებსაც, თავის მხრივ, ჰეროდოტესა და სხვა ანტიკური მწერლების ანალოგიურად ეგვიპტიდან მოსულებად თვლის (HGM,II,18,IV,15). მეტად

---

[1] *აგათია სქოლასტიკოსი.* გეორგიკა, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 3, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936; *Dindorfius Ludovicus.* Historici Great Minores (HGM), V. II, Lepsiae, 1871.

მრავლისმეტყველია ლაზების აგათიასეული დახასიათება. აქ ზედმიწევნით კარგად ჩანს მათი ყოფითი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი მხარე – ეროვნული ხასიათი, ტემპერამენტი, ნებისყოფა, ცხოვრების წესი. „ლაზები ძლიერი და მამაცი ტომია. ისინი ბატონობენ სხვა ძლიერ ტომებზე, ამაყობენ კოლხების ძველი სახელით და, შესაძლოა, თავიანთ თავს არც თუ ისე უსაფუძვლოდ ადიდებენ. სხვა ქვეყნების მორჩილებაში მყოფ ტომთა შორის, მე არ მინახავს სხვა ვინმე ისეთი გამოჩენილი და ძლიერი, როგორც თავისი სიმდიდრითა და ფუფუნებით, ასევე მრავალრიცხოვანი ქვეშევრდომებით, ისე როგორც ვრცელი ტერიტორიითა და უხვი მოსავლით, ასევე ზნეობრივი სილამაზითა და შეუპოვრობით... ისინი უკვე აღარ არიან ბარბაროსები და არც ეწევიან ბარბაროსული ცხოვრების წესს. რომაელებთან კავშირის მეშვეობით მათ თავიანთ ცხოვრებას სახელმწიფოებრივ-კანონიერი სახე მისცეს...“ – წერს აგათია სქოლასტიკოსი (HGM,III,5).

აგათია სქოლასტიკოსის თხზულების მთავარი სიახლე ის გახლავთ, რომ ლაზებთან ერთად იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სვანებისა და მისიმიანელების ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ თავისებურებებს (HGM,IV,13,15,16 და შმდ.).

რა ვითარებასთან გვაქვს საქმე წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით ანტიკური და ელინისტური ხანის ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიაში მცხოვრები სხვა ტომებისა და ხალხების მიმართ?

რომაულ–ბიზანტიურ ხანის მოგზაურ–მკვლევართა ჩანაწერებში არანაკლებ მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხების შესახებაც. აზოვისა და ყუბანისპირეთის ჩრდილოეთით – იმიერდონის სამხრეთ სტეპებში ჩვენს წელთააღრიცხვამდე მომთაბარე ტომები ბერძენ ავტორებთან *სარმატების* საერთო სახელწოდებითაა მოხსენიებული. შემდგომ, რომაულ–ბიზანტიურ წყაროებში მათ მიმართ ახალი ეთნონიმი *ალანები* მკვიდრდება. ტომთა ამ გაერთიანების ძირითადი მასა ენათა თანამდეროვე კლასიფიკაციის მიხედვით, ინდოევროპულ ჩრდილოირანულ ენაზე მოლაპარაკე ლინგვისტურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც სათავე დაუდეს ჩრდილოკავკასიურ უმნიშვნელოვანეს ეთნიკურ ერთეულს – *ოსებს.*

ანტიკური, განსაკუთრებით კი რომაულ–ბიზანტიური ხანის წერილობითი წყაროები კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის გარდა მრავალფეროვან ცნობებს იძლევიან იმ

ტომებისა და ხალხების შესახებ, რომლებიც უხსოვარი დროიდან იჭრებოდნენ კავკასიაში გლობალური მიგრაციებისა თუ საომარი ოპერაციების დროს. მათ შორის კავკასიის ხალხთა ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი *კიმერიელებსა და სკვითებს* ეკუთვნით.

კიმერიელები, რომელთა სახელიც ასურელთაგან უნდა მომდინარეობდეს, ძვ.წ. VIII–VII საუკუნეებში ჩრდილო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ. კიმერიელთა სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური პოტენციალის პოპულარობა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში იქიდანაც ჩანს, რომ ძვ.წ. VI საუკუნეში ბერძენმა კოლონისტებმა ქერჩის სრუტეს *კიმერიის ბოსფორი* უწოდეს. ჰეროდოტესა და სხვა ანტიკურ მწერალთა თხზულებებში ისინი არაერთხელ არიან მოხსენიებულნი. ამ ცნობების მიხედვით კიმერიელთა საცხოვრისი შავიზღვისპირეთიდან თრაკიამდე ვრცელდებოდა, საიდანაც შემდგომ სკვითების დაწოლით აყრილან და სამხრეთით წინა აზიისაკენ დაუწყიათ გადანაცვლება. ძვ.წ. VII საუკუნეში კიმერიელებმა დაიპყრეს ფრიგია, ლიდია, კაპადოკია და საბოლოოდ კაბადოკიელებში გაითქვიფნენ.

ჰეროდოტეს ცნობით კიმერიელებმა სამხრეთისაკენ ე.წ. მეოტიდა-კოლეხეთის გზით, აზოვისა და შავი ზღვის სანაპიროებით ილაშქრეს. გზად ამ ლაშქრობისას მათ დაიპყრეს კოლხეთი და ბოლო მოუღეს ამ დროისათვის სამხრეთიდან გამუდმებული შემოსევებით დასუსტებულ კოლხეთის სამეფოს. ურარტუსა და მცირე აზიის ქვეყნების დალაშქვრის შემდეგ, ისინი დასახლდნენ კიდეც მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში და სამხრეთ ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში. ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ძველ სომხურ წყაროებში კაბადოკია კიმერიელთა სახელს – *გამირქ* ატარებს. აქედან უნდა იყოს შესული ქართველურ ენებში რიგი კიმერიული სიტყვებისა და მათ შორის სიტყვა *გმირი,* აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ოლქის – *თრიალეთის* (სომხურ წყაროებში - *თრელქ*) სახელიც.

არსებობს მოსაზრება კიმერიისა და იბერიის შესაძლო კავშირის შესახებაც.

კავკასიის ხალხთა ეთნო–კულტურულ ვითარებაზე კიდევ უფრო ღრმა კვალი დაამჩნიეს *სკვითებმა* – ძველირანული წარმოშობის ტომებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ასირიულ წყაროებში *იშიკის* სახელწოდებით იყვნენ მოხსენიებულნი. წყაროებიდან ჩანს, რომ კავკასიაში შემოსვლისთანავე სკვითები ფართოდ განსახლდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ

ტერიტორიებზე, ძვ.წ. VII საუკუნეში აქედან გამოდევნეს კიმერიელები და კიდევ უფრო გააფართოვეს თავიანთი საცხოვრისი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჰეროდოტე, რომელმაც ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნეში მოინახულა სკვითების ქვეყანა, მათი განსახლების არეალად დნეპრისა და დონის სტეპებს მიუთითებს, სადაც სკვითები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და მისდევდნენ მესაქონლეობას. ძვ.წ. IV საუკუნეში წყაროები უკვე მიუთითებენ სკვითების სახელმწიფოზე, რომელიც ადრეკლასობრივ მონათმფლობელურ საფეხურზე უნდა მდგარიყო.

სკვითების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ჩრდილოეთიდან წინა აზიას ასევე ამიერკაკასიის – დერბენტის გასავლით და კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროთი შემოესიენ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიც უნდა დასახლებულიყვნენ. ამ პერიოდის ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს მატერიალურ კულტურაში, კარგად ჩანს სკვითების ნაკვალევი – აღმოჩენილია სკვითური ტიპის იარაღი – აკინაკები, ისრისპირები, სკვითური სამარხეული ინვენტარი და ცხენის ჩონჩხი. ამასთან ფიქრობენ, რომ სკვითების სახელი – *საკა* შემორჩა სამხრეთ ამიერკავკასიის ერთ-ერთ ოლქს – *საკაშენს* და ა.შ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კავკასიის ხალხებზე *ირანის* გავლენებიც, რაც ასევე ასახულია შესაბამის წყაროებში. ეს გავლენები ჯერ კიდევ აქემენიდების ეპოქაში დაიწყო, როცა ამიერკავკასიის ნაწილი სპარსეთის მონარქიის შემადგენლობაში შედიოდა.

კავკასიის ტერიტორიაზე ირანულენოვანი ჯგუფების (*თათები* და სხვ.) გამოჩენა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მოსახლეობის ირანიზაცია უფრო მოგვიანებით, *პართიელთა სამეფოს* (ძვ.წ. III ს. – ახ.წ. III ს.) ხანაში და განსაკუთრებით *სასანიდების ეპოქაში* (III–VII სს.) ხდება. სასანიდების ეპოქა იყო ირანული სამყაროს ყველაზე უფრო ძლიერი კულტურული გავლენის ხანა კავკასიის ხალხებზე, რაც სათანადოდ აისახა კიდეც მაზდეანობის (ზოროასტრიზმი) რელიგიისა და მასთან დაკავშირებული ადათ–ჩვეულების გავრცელებაში, კერძოდ დაკრძალვის ფორმებში, რომელიც თითქმის ჩვენს დრომდე შემორჩა კავკასიის ზოგიერთ ხალხს. ამ პროცესებს მოყვებოდა დამწერლობისა და სხვა კულტურული ელემენტების ინფილტრაცია, რაც აახლოებდა კავკასიის მოსახლეობას აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების კულტურასთან.

ჩრდილო და ნაწილობრივ სამხრეთ კავკასიის ხალხების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროგრესსე არსებითად

ნეგატიური გავლენა მოახდინა ჩრდილო-აღმოსავლეთ სტეპებიდან მოგვიანო პერიოდის თურქულენოვანი ხალხების არაერთგზის შემოჭრამ. მიუხედავად იმისა, რომ IV-V საუკუნეებში *ჰუნების* ექსპანსია მომხდურთა სრული ასიმილაციით დამთავრდა, მათ მაინც შეძლეს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეტანათ აბორიგენული მოსახლეობის არა მარტო კულტურულ იერსახეში, არამედ ეთნიკურ შემადგენლობაშიც.

აზოვისპირა სტეპებში VII საუკუნის შუა ხანებამდე მომთაბარეობდნენ *ბულგარები*, რომლებმაც აქ გარკვეულწილად საფუძველი მოუმზადეს *ბალყართა* ეთნოსის ჩამოყალიბებას და აისახნენ მათი ეროვნების სახელწოდებაშიც. *მადიართა* აქ გამოჩენა მათი ევროპისაკენ მიგრაციის პერიოდს დაემთხვა და კავკასიურ სინამდვილეზე მათ არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ. სამაგიეროდ აქ უფრო ღრმა კვალი დატოვეს *ხაზარებმა*, რომელთა სამფლობელოში VII საუკუნიდან მთლიანად ჩრდილო კავკასიის ხალხებიც მოექცნენ. ხაზარებმა, მათი კვალდაკვალ კი *პაჭანიკებმა* და, ბოლოს კი, განსაკუთრებით *ყიჩაღებმა* ძალზე მსხვილი შენარევი წარმოქმნეს ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიის მოსახლეობაში. ამ თურქულენოვანმა ხალხმა, რომლებიც საბოლოოდ ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყნენ, საკმაოდ მსხვილ ეთნიკურ ერთობას ჩაუყარეს საფუძველი.

ძვ.წ. II–I ათასწლეულის შუა პერიოდის ასირიულ-ურარტულ-კავკასიური კავშირურთიერთობანი, რომელსაც ანტიკურ და ელინისტურ ხანაში ბერძნულ–რომაული და ბიზანტიური, აგრეთვე ირანული (ძვ.წ. III ახ.წ. IIIსს. პართიის სამეფოსა და ახ.წ. III–VII სს. სასანიდების ეპოქა) გავლენები ჩაეცვალა, კულტურულ–ისტორიული თვალსაზრისით არაერთი ღირშესანიშნავი მოვლენით აღინიშნა. ამ პერიოდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ანტიკურ და ელინისტურ სამყაროსთან ახლო ეთნო-კულტურული ურთიერთობის პროცესში კავკასიის ხალხები ხმელთაშუაზღვის აუზის ძველი ცივილიზაციის ორბიტაში მოექცნენ.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებით იწყება. აქედან მოკიდებული ქრისტიან-მისიონერთა მოღვაწეობა ეთნოლოგიის მნიშვნელოვან წყაროთა შორის იჭერს ადგილს და ამ მხრივ არც კავკასია წარმოადგენს გამონაკლისს.

ეპოქალურ ცვლილებებს ქონდა ადგილი *მუსლიმანური რელიგიის* გავრცელების შედეგადაც, რომელიც კავკასიაში

არაბმა დამპყრობლებმა პირველად VIII საუკუნეში შემოიტანეს. დაიპყრეს რა ევრაზიული ცივილიზაციის შემოქმედი მრავალი ხალხი და ქვეყანა, არაბები თავად მოექცნენ ამ ცივილიზაციის გავლენის ქვეშ, მაგრამ თავიანთი ნიჭისა და უნარის წყალობით, ახალი, მათთვის ხელსაყრელი საზოგადოებრივ – ეკონომიკური და პოლიტიკური მოელენების საფუძველზე შექმნეს მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურა. თუკი არაბთა სამხედრო პოლიტიკური და კულტურული ექსპანსიის პრობლემას კონკრეტულად კავკასიურ სამყაროსთან მიმართებაში განვიხილავთ აღმოჩნდება, რომ კავკასიაში არაბთა ბატონობა შედარებით არამდგრადი და ხანოკლე გამოდგა. ის გარემოება, რომ საქართველომ და სომხეთმა შეძლეს შედარებით ადრე განთავისუფლებულიყვნენ არაბთა ქვეშევრდომობისაგან, მათთან რელიგიური დამოკიდებულებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საფუძველი გახდა. სამწუხაროდ, ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობას არაბულმა გავლენამ ღრმა კვალი დაამჩნია. ამ პერიოდს ემთხვევა დაღესტნის ისლამიზაციის დასაწყისი. ჩრდილო კავკასიის დასავლეთ და ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში კი ისლამი გაცილებით გვიან – XVII-XIX საუკუნეებში ერცელდება.

ბუნებრივია, ეს მოვლენები ბევრად იყო დამოკიდებული და განსაზღვრული არაბთა სახალიფოს სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ინტერესებით, რომელთა განხორციელებას იმთავითვე არაბ მწერალთა, მეცნიერ-მკვლევართა და მოგზაურთა არაერთი თაობა ემსახურებოდა.

შუაფეოდალური პერიოდის (IX–XII სს.) არაბი გეოგრაფებიდან უშუალოდ კავკასიას ცოტა ვინმე თუ შეეხო. ყოველ შემთხვევაში *მასუდი* (გარდ.-956წ.), *იბნ–ხორდაბადე* (დაიბ.820წ.), *ალ–მუკადასი (დაიბ.947/948წ.), იბნ-ფადლანი* (X ს.), *იბნ-ხაუკალი* (X ს.II ნახ.), *ალ-ბირუნი* (973-1048წწ.), *ნოსირ ხოსროუ* (1003–1088წწ.), *იდრისი* (1100–1166წწ.) და სხვ., რომლებიც ძირითადად არაბთა სახალიფოს სამეცნიერო, სავაჭრო ეკონომიკურ და სამხედრო-ადმინისტრაციულ ინტერესებს წარმოადგენენ, უშუალოდ წინა აზიის, ავღანეთის, ინდოეთისა და ჩინეთის აღწერილობით კმაყოფილდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი სამხრეთ რუსეთისა და კავკასიის მომიჯნავე ტერიტორიებს ასე თუ ისე მაინც ეხებოდნენ.

მასუდი
გარდ.-956 წ.

კავკასიისა და განსაკუთრებით კი დასავლეთ კავკასიის ხალხების შესახებ შედარებით სრულყოფილი და მრავალფეროვანია *მასუდის*[1] ცნობები. ნაშრომში - „ოქროს და ძვირფასი ქვების საბადოები" - მოტანილი ცნობით კაბკი დიდი მთაგრეხილია, რომლის მთელს სიგრძეზე განლაგებულია მრავალი სამეფო და ტომი. საერთოდ იქ 72 ხალხი ცხოვრობს, რომელთაგანაც ყოველ მათგანს ყავს თავისი მმართველი და ლაპარაკობს თავის საკუთარ ენაზე (XVII,1,2).

მასუდის ცნობით შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქ. ტრაპიზონში წლის განმავლობაში რამდენიმე ბაზრობა იმართება, რომელზედაც მოდიან მრავალი მუსლიმანური ქვეყნების, სომხეთის და სხვა ქვეყნების ვაჭრები, აგრეთვე ვაჭრები ჩერქეზეთიდან (XVII,3).

ჩრდილო კავკასიაში ხაზარებისა და ალანების გვერდით და დასავლეთის მიმართულებით, მასუდის მიხედვით ცხოვრობენ ოთხი თურქული ტომი, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას უკავშირებენ საერთო წინაპარს – *ინალს.* მათგან ერთნი აწარმოებენ მომთაბარე ცხოვრების წესს, მეორენი კი ბინადარს. ავტორის დაკვირვებით ისინი ძლიერნი და ლამაზები არიან, ყავთ საკუთარი ხელისუფალი და აქვთ რამდენიმე დღის სავალზე გადაჭიმული სამფლობელო, რომლის ნაწილი შავ ზღვასაც კი სწვდება. ისინი მომთაბარეობენ რუმის მიწებამდე და ესპანეთის მეზობელ პროვინციებამდე და საგულისხმოა, რომ მათ შორის არცერთ ქვეყანას არ ძალუძს წინ აღუდგეს მათ. თავის მხრივ, ისინი ცხოვრობენ მშვიდობიანად მეზობელ ხაზარებთან, აგრეთვე ალანთა მეფესთან (XVII,62 და შმდ.).

მასუდის მიხედვით ალანთა გვერდით ცხოვრობენ აფხაზები, რომლებიც ქრისტიანობის მიმდევრები არიან და დღესაც ერთ მეფეს ემორჩილებიან. აფხაზთა იქით განლაგებულია ჯურიის (გურიის) სათავადო, ანუ იგივე აჭარა, დასახლებული დიდი ქრისტიანული ხალხით – ლაზებით ანუ ქართველებით (XVII,65).

კავკასიის პრობლემებით მეტი დაინტერესება ჩანს X საუკუნის არაბი გეოგრაფების *ალ–ისთახრის* (Xს. I ნახევარი),

---

[1]*Масуди.* „Книга сообщении и знании" и „Луга золота и рудники драгоценных камней". Сведения арабских географов IX и X веков о Кавказе, Армении и Азербейджане, VIII, СМОМПК, 38, Тифлис, 1908.

იბნ–ჰაუკალის (Xს.), *ალ–მუკადასისა* (Xს.) და სხვ. შრომებში, რომლებშიც უშუალო თვითმხილველის პოზიციებიდანაა გაშუქებული კავკასიის ხალხთა ეთნიკური ლოკალიზაციის, სამეურნეო-ბუნებრივი პირობების, სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრების, არქიტექტურული ძეგლების, საგზაო არტერიებსა და საკომუნიკაციო საშუალებების საკითხები.

ალ–მუკადასი
დაიბ. 947/948 წ.

არაბი მწერალი და გეოგრაფი *ალ–მუკადასი*[1] თავის ცნობილ ნაშრომში „საუკეთესო დანაყოფთაგანი კლიმატის შესაცნობად“ ვრცლად მიმოიხილავს ამიერ და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებს. ირანის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ზღვებისა და მდინარეების დახასიათებასთან ერთად იგი აღწერს ქალაქებს *თბილისს, თელავს, შამქორს, არდაბილს, თავრიზს, დაბილს,* ხოლო ჩრდილო კავკასიიდან – *დერბენტს, ხაზართა* დედაქალაქს – *ბულენჯერს* და ა.შ.

ხაზართა ერთერთი ქალაქის აღწერისას იგი დაწვრილებით ჩერდება ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრისზე. „მათი საცხოვრებელი ხის ლატანებისა და თექისაგან აგებულ კარვებსა და წარმოადგენს. გამონაკლისია თიხით ნაგები რამდენიმე საცხოვრებელი, ან კიდეე აქაური მმართველის გამომწვარი აგურით ნაშენები სახლი“ - წერს ალ მუკადასი (საუკეთ..,361).

მუკადასის ცნობით აქაური ველები უნაყოფოა, ველურია მცენარეულისა და ნაყოფის გარეშე. აქაური ხორბლეულთან შეჭამანდის სახით თევზს მიირთმევენ (საუკეთ..,361). სამაგიეროდ ალ-მუკადასი აღფრთოვანებულია ამიერკავკასიის ქვეყნების სიუხვითა და მშვენებით.

სომხეთ-აზერბაიჯანის ოლქს ალ-მუკადასი დიდსა და მშვენიერ ქვეყანას უწოდებს, სადაც მას მრავლად უნახავს ნაყოფიერი ხე-ხილი და ვენახის ზვრები. მთებში მრავლად ყოფილა *სპილენძი,* ხოლო დაბლობში შინაური პირუტყვი – განსაკუთრებით კი წვრილფეხა საქონელი (საუკეთ..,373). ავტორის ცნობით ამ ქვეყნებიდან დიდძალი რაოდენობით გააქვთ

---

[1]*Ал-Мукаддасий.* Из книги „Лучшее из дделении для познания климатов“. Сведения арабских географов IX-X веков о Кавказе, Армении и Азербайджане, VII, СМОМПК, 38, Тифлис, 1908.

გამოყვანილი მაუდი და გასაოცარი ჯამბარები. აქვე უნახავს მას საუკეთესო წითელი საღებავიც (საუკეთ..,373).

ალ-მუკადასი გაოცებულია აქაური დაბალი ფასებითაც. „ბატკნის ფასი აქ 2 დირჰემია, ხოლო პური – ერთი დანიკით (დაახლოებით 4 კაპიკი) შეგიძლიათ 2 ფუნთუშა მიირთვათ. აქაური ხალხი წონისა და ზომის გარეშე ცხოვრობს...“ წერს ამ ულამაზეს მხარეზე აღფრთოვანებული ალ-მუკადასი (საუკეთ..,373).

ალ-მუკადას ამიერკავკასიის ქვეყნები „სამოთხის ბაღებად“ მიიჩნია. „აქ უხვადაა სასარგებლო საქონელი, დიდი ქალაქები, წყალუხვი მდინარეები, ულამაზესი სოფლები, საოცარი თავისებურებანი. აქაური ნაყოფი გემრიელია. მცხოვრებნი მართალმორწმუნენი არიან, აღიარებენ და აფასებენ გადმოცემებს, ხალხი მჭერმეტყველი და საპატიოა“. აქაურ მცხოვრებთა სახეები „მარგალიტს ჩამოგავს, ამასთან ისინი გულუხვი და მოწყალენი არიან“ - ასკვნის იგი (საუკეთ.., 373, 378).

ალ–მუკადასი „სამოთხის ბაღების“ სადარ შედარებებს მიაგებს ქალაქებს – *ტფილისსა* და *თელავს,* საერთოდ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს (საუკეთ..,373-376). თბილისის აღწერის შემდეგ იგი ეხება აფხაზეთსა და კახეთს და ეს მხარე „აყვავებულ კუთხედ“ მიაჩნია.

ალ–ისთახრი
X ს. I ნახევარი

X საუკუნის არაბ გეოგრაფთაგან გამორჩეული ადგილი უჭირავს *ალ–ისთახრის*[1], რომლის ნაშრომში „გზანი და სამეფონი“ (930–933 წწ.) აღწერილია მცირე აზიის, არმენიის, ირანის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, ეოლგისპირეთის, ხაზართა კაგანატის, საქართველოსა და საერთოდ კაბკის (კავკასიის) საზღვრები, ქალაქები და დასახლებული პუნქტები, ზღვები, მდინარეები, ტბები, კლიმატური პირობები, ფლორა, ფაუნა, ეაჭრობა-აღებ-მიცემობა და ა.შ. (ისთახრი,2,3 და შმდ.). საკმარისია გავეცნოთ ქალაქების–დარუბანდის, დვინისა და ტფილისის ისთახრისეულ აღწერას, რათა ნათელი გახდეს

---

[1]*Ал-Истахри.* Из книг „путей царств“. Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, I, СМОМПК, 29, 1-73; *ისთახრი, ჰოუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი.* თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ე. ფუთურიძისა, თბ., 1937.

არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ამ ცნობების უდიდესი მნიშვნელობა შუა საუკუნეების კავკასის საქალაქო ცხოვრების შესახებ (ისთახრი, 3, 8).

ისთახრის ცნობით „*დარუბანდი* არის ქალაქი, რომელიც გაუშენებიათ ზღვის პირას. ზღვის უბის ორივე ნაპირზე ორი ზღუდეა გაყვანილი იმ ადგილამდე, სადაც გემის შემოსასვლელი ადგილი ვიწროვდება. ამ შესართავთან წყალზე გაბმული აქვთ ჯაჭვი, რათა გემს მხოლოდ დარუბანდელების ნებართვით შეეძლოს შემოსვლა ან გასვლა. ეს ორი ზღუდე ქვისა და ტყვიისაგან არის აგებული. დარუბანდი თაბარისტანის ზღვის ნაპირზეა გაშენებული... ნათესები და ყანები იქ ბევრია, ხილი კი ცოტა აქვთ, ის მიმდგომ კუთხეებიდან მოაქვთ... ეს ქალაქი ნავსადგურია ხაზართა და სერირთათვის, გურგანის, ტაბარისტანის, ქართველებისა და ყაითაყისათვის. მთელს არანსა და აზერბაიჯანში *სელის ტანისამოსი* დარუბანდიდან გააქვთ. იქ ტყვეებიც (მონებიც) იშოვება და საფრანიც მოდის...“ (ისთახრი, 3, 8).

ისთახრის აღწერებში საინტერესო ცნობებია დაცული დაღესტნის მრავალფეროვანი ეთნიკური შემადგენლობის შესახებაც. მისი ცნობით დარუბანდის ახლომდებარე ედიბის მთის ირგვლივ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე სამოცდათორმეტი ხალხი ცხოვრობს, რომელთა შორისაც იგი გამოჰყოფს *ტაბარსერანებს, ფილანებს, ლეზგებს, ალბეზანს, სერვანს* და ა.შ. (ისთახრი, 4, 16).

ალ-ისთახრი დაწვრილებით აღწერს ძველი სომხეთის საატახტო ქალაქს დაბილს (დვინი) და აღნიშნავს, რომ იგი „მნიშვნელოვანი ქალაქია, მასში მიუდგომელი ციხე-სიმაგრეა და დიდი სიმდიდრეა. მისი სახელწოდება ძველია. მასში მდინარე უხვწყლიანია. მას გარს აკრავს ბაღები, აქვს გარეუბნები, მისი სახნავი მიწები განსაცვიფრებელია. მთავარი მეჩეთი დიდ გორაკზეა, ხოლო მეჩეთის გვერდით ეკლესიაა... ქალაქთან არის კოშკი. სახლები და ნაგებობანი აგებულია თიხისა და ქვისგან. ყველა ამ ღირსებასთან ერთად აქ ჭარბობენ ქრისტიანები” (გზანი.., 188).

ალ-ისთახრი გარკვეულ ცნობებს იძლევა თბილისის შესახებაც. „ტფილისი დარუბანდზე ნაკლებია და ორი კედელი აქვს თიხისა. სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიან-ნათესებიანი. მრავალგვარი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ იქიდან. აქვს თბილი წყლები, მსგავსად ტიბერიისა უცეცხლოდ ცხელი. მთელს არანში ბარდავსე, დარუბანდზე და ტფილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობს“ - წერს ისთახრი (გზანი.., 185-187).

უაღრესად საყურადღებოა ისთახრის ცნობები ხაზართა კაგანატის შესახებ, სადაც ხშირად ეხვდებით ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემებსაც. ისთახრი თავის ცნობებს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის თვალთახედვითაც რომ კრებდა ეს იქედანაც დასტურდება, რომ იგი არაერთგზის მიუთითებს კავკასიის ქვეყნებში სავაჭრო პროდუქციის მნიშვნელობაზე, ვაჭრობის პროდუქტებისა და საგნების ფასებზე, საბაჟო შემოსავლებზე და ა.შ. (ისთახრი, 14, 18).

იბნ-ჰაუკალი
X ს. II ნახევარი

X საუკუნის ცნობილმა არაბმა მოგზაურმა და მწერალმა *იბნ-ჰაუკალმა*[1] თავისი ნაშრომით „გზებისა და სამეფოების წიგნი" გააგრძელა ალ–ისთახრის შემოქმედება. ალ–ისთახრის დავალებით მას შესწორებები შეჰქონდა და სრულყოფდა ისთახრისეულ რუკებს. ამასთან იგი ბევრს მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის კავკასიაშიც და თავისი დაკვირვებებით ამდიდრებდა და ახალი სიუჟეტები შეჰქონდა ზემოთხსენებულ ნაშრომში.

იბნ–ჰაუკალი დიდ ადგილს უთმობს სომხეთის, აზერბაიჯანისა და ერანის აღწერას. აქ ნათლად ჩანს ავტორის საკუთარი ხედვა ფაქტებისა და მოვლენების შეფასებისას, რაც კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს ქვეყნების, ხალხების, მათი განსახლების არეალის, ქალაქების, სოფლებისა და ა.შ. ორიგინალურ აღწერებში.

აზერბაიჯანის უმთავრესი ქალაქის არდებილის აღწერისას ჰაუკალი უამრავ ეთნოლოგიური ხასიათის ცნობას გვაწვდის. „ამ უმშვენიერეს ქალაქს ჩამოუდის მდინარეები. აქ გამართულია ჭები, თითქმის ყოველთვისაა პურეული და მისი სიუხვის გამო შეგიძლიათ 1 დრაჰმად შეიძინოთ 50 ცალი კვერი, ხოლო ერთ დრაჰმად ერთნახევარი მანა (დაახლ. 1,5 ფუნტი) ხორცი. ძალზე იაფია თაფლი, ერბო, მუხუდო, ნიგოზი, ქიშმიში და სხვა საკვები პროდუქტები. ყველაფერს ამას თითქმის უფასოდ იძლევიან" - წერს იბნ–ჰაუკალი (გზებისა...,238).

თბილისის აღწერისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს გოგირდის აბანოებზე, მცურავ წისქვილებზე, განსაკუთრებულ სიუხვეზე, რომელთაც იგი მრავალი მეზობელი ქვეყნების

---

[1] *Ибн-Хаукаль.* Из „Книги путей и царств". Сведения арабских географов IX-X веков о Кавказе, Армении и Азербаиджане, IX, СМОМПК, 38, Тифлис, 1908.

ქალაქებზე მაღლა დგას. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს თბილისის მოსახლეობის კეთილგანწყობას უცხოელებისადმი, რაც აქ მათი აბსოლუტური უსაფრთხოების გარანტად მიაჩნია (გზებისა.., 242, 243).

სომხეთის დედაქალაქის *დაბილის* აღწერისას იბნ-ჰაუკალი საინტერესო ცნობას გვაწვდის ბეწვეული და შალეული ქსოვილების გამოყენების შესახებ. ეს ქსოვილები გამოყენებული ყოფილა ხალიჩების, ბალიშების, ფერხთსაჯდომის, ჯამბარებისა და სხვ. დასამზადებლად. აქვე მრავლად ამზადებენ აბრეშუმის ქსოვილს. „სომხური ქსოვილისაგან" დამზადებულ ამ პროდუქციას, იბნ–ჰაუკალის ცნობით, ბადალი არა ჰყავს მთელს მსოფლიოში (გზებისა..,244,245). ავტორი ანალოგიურ პროდუქციის, კერძოდ, მაღალხარისხოვანი თავსაფრების, თავშლების, საბნების დამზადების ცენტრებზე მიუთითებს ქვეყნის სხვა ნაწილებშიც (გზებისა..,246).

ჰაუკალი სომხეთს ორ ნაწილად განიხილავს – შიდა სომხეთი, - სადაც ძირითადად ქრისტიანობის მიმდევარი სომხური მოსახლეობა ცხოვრობს და გარე სომხეთი – სადაც ჭარბობს მუსლიმანური მოსახლეობა. იგი ხაზს უსვამს ამ ორი ეთნიკური მასის მეურნეობის, ყოფისა და კულტურის, ზოგადად ცხოვრების წესის თავისებურებებს და განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან (გზებისა.., 245).

ჰაუკალი ეხება კაბკის მთის უსარმაზარ ფერდობებზე დასახლებულ მოსახლეობას და იმეორებს ისთახრის ცნობას იმის შესახებ, რომ იქ 360-მდე ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს. „მე ადრე უარვყოფდი ამას, მაგრამ როცა მე თავად ვნახე აქაური მრავალი ქალაქი დავრწმუნდი რომ ყოველ მათგანს გარდა აზერბაიჯანულისა და სპარსულისა, თავისი ენა გააჩნია" - წერს იბნ-ჰაუკალი (გზებისა.., 248).

ჰაუკალი განცვიფრებაში მოუყვანია ჩრდილო კავკასიის ქვეყნების სიუხვესა და სიმდიდრესაც, თუმცა აქ იგი ამიერკავკასიის ხორბლეულის, ვენახისა და ხილ-ბოსტნეულისაგან განსხვავებით უფრო მეტად მდიდარ საძოვრებს, თვალუწვდენელ ტყის მასივებს, შესაბამისად კი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მოვლა-მომშენებლობაზე საუბრობს (გზებისა.., 249).

ჰაუკალს ერთერთ პირველს ეკუთვნის იმ პერიოდის ხაზართა კაგანატის ვრცელი დახასიათება. განსაკუთრებით დაწერილებით აღწერს იგი ამ ქვეყნის დედაქალაქს ხაზარანს, რაც კარგად ესადაგება მთლიანად ხაზართა ყოფა-ცხოვრების მოდელს. „ამ ქალაქის ირგვლივ არაა სოფლები, და ირგვლივ მხოლოდ გაფანტული სახნავებს ვხედებით. საფხულობით

ქალაქელები გამოდიან თავიანთ სახნავებში, რომლებიც ქალაქიდან დაახლოებით 20 ფარსახითაა დაშორებული. ისინი მდინარემდე ფორნებით მოდიან და აქ შეგროვებული პროდუქტი ნაეებით, ხოლო ქალაქიდან ახლომდებარე სოფლებში ურმებით გადააქვთ. მათი მთავარი საკვებია ბრინჯი და თევზი, ხოლო რაც ამ ქვეყნიდან გააქვთ გარეთ, კერძოდ თაფლი, ცვილი და მატყლი, აგრეთვე თახვის ბეწვეული მათ რუსეთიდან და ბულგართა ქვეყნიდან 'შემოჰქონდათ" (გზებისა..,281).

და ბოლოს, მეტად საყურადღებოა ხაზართა იბნ-ჰაუკალისეული დახასიათება. „ხაზარები არ ემსგავსებიან თურქებს. ისინი შავთმიანები არიან და ორ კლასს წარმოადგენენ. ერთ მათგანს ყარახაზარებს ეძახიან და ისინი შავგრემანნი არიან, ინდიელთა მსგავსად თითქმის 'შავებიც კი. მეორენი შეადგენენ ნათელი ფერის კლასს და სილამაზით და სრულყოფილობით გამორჩეულნი არიან" (გზებისა..,281-281).

იბნ–ჰაუკალის აღწერებში საინტერესოა ხაზართა ჩაცმულობის დახასიათებაც. ავტორის ცნობით „ხაზართა და მათი მეზობლების ჩაცმულობა 'შედგება მოკლე ზედატანისა და მამაკაცის ტუნიკისაგან. თავად ისინი არავითარ ტანსაცმელს არ ამზადებენ და ყველაფერი ეს უკლებლივ შემოაქვთ საქართველოდან, ტაბარისტანიდან, აზერბაიჯანიდან, რუმიდან და სხვა მეზობელი ოლქებიდან" (გზებისა.., 282).

კავკასიის ხალხების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით ბერძნულ-რომაულ, ბიზანტიურ და არაბულ წყაროთა უმნიშვნელოვანეს რიგს ადრე შუა საუკუნეებიდან შეემატა ადგილობრივი სომხური და ქართული წერილობითი ძეგლები. სომხურენოვან წყაროებში პირველ ეთნოგრაფიულ ცნობებს ვხვდებით V–VII საუკუნეებიდან, კერძოდ, ადრეფეოდალური ხანის ძველი სომეხი მოაზროვნეების *აგათანგელის* (V ს.), *სებეოსის* (VII ს.), *მხითარ გოშის, მოსე ხორენელის, მოვსეს კალანკაუტაცისა* და სხვ. ნაშრომები.

აგათანგელოსი
IV ს. II ნახევარი

IV საუკუნის სომეხი ისტორიკოსი *აგათანგელოსი*[1] თავის *ისტორიაში* ერთ-ერთი პირველთაგანი აღწერს ქრისტიანობის

---

[1] *აგათანგელოსი.* გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1961; *იე. ჯავახიშვილი.* ძველი სომხური

შემოღებას სომხეთში. მის ცნობებს სომხური ეკლესიის ორგანიზაციის, ქრისტიანობის პრინციპების, მისი არსისა და ბუნების შესახებ პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

აგათანგელოსის ნაშრომში ხატოვნადაა აღწერილი სომეხთა მოქცევის საზეიმო ხასიათი. ავტორის ცნობით „ტირედატე მეფეს მოქცევის ცერემონიალზე იბერთა და ალბანთა მეფეები თავის ქვეყანაში სპეციალური წერილებით მიუწვევია (აგათანგ., 92). იყვნენ დაახლოებით ოცდაჩვიდმეტი ბევრნი (370 000); თვით მეფე ტირედატე, ლაზთა, იბერთა და ალბანთა მეფეები და დიდებულნი, ადგილთა მმართველნი, გვართა და ტომთა მთავარნი და ყოველნი ლაშქარნი, მათი ქვეშევრდომნი, და მსახურნი ბევრნი – ქალები, კაცები, ბავშვები" - წერს აგათანგელოსი (აგათანგ., 164).

აგათანგელოსის ეს ფრაგმენტებიც ნათელი დასტურია, იმისა, რომ სომეხთა მოქცევას დიდი რეზონანსი მიუღია მთელს ამიერკავკასიასა და წინა აზიაში.

მოვსეს კალანკაუტაცი
X ს.

X საუკუნის სომეხ მოღვაწეთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს *მოვსეს კალანკაუტაცს,*[1] რომლის თხზულება „ალვანთა ქვეყნის ისტორია" მოიცავს, როგორც საკუთრივ ძველი ალვანეთის ანუ კავკასიის ალბანეთის ისტორიას უძველესი დროიდან X საუკუნემდე, ასევე მისი მეზობელი ხალხების პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური ისტორიის საკითხებს.

უძველესი ისტორიის საკითხებიდან „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში" განხილულია ბიბლიური სიუჟეტი ხალხთა წარმოშობისა და განსახლების შესახებ, მოცემულია იაფეტისა და მის შთამომავალთა გვარტომობის აღწერილობა და

საისტორიო მწერლობა, I, თბ., 1935; *Меликсет-Беков Л.* Грузинская версия Агафангелия и ее значение для грузинской историографии. Христианский Восток (XB), IV, 1915.

[2]*მოვსეს კალანკაუტაცი.* ალვანთა ქვეყნის ისტორია, საქართველოს ისტორიის წყაროები, 37, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დაელიანიძე-ტატიშვილმა, თბილისი, 1985; *История агван Моисея Каланкатваци,* СПб., 1861; *Тер-Григорян Т.И.* Критический очерк к „Истории стран Алванской М. Каланкатуиского", Баку, 1939;

განსაკუთრებით კი თარგამოსის შთამომავლობა, რომლისგანაც წარმოიშვნენ ჰაიები (ალვანთა.., I-II).

იშვიათია მოვსეს კალანკაუტაცის მიერ ალვანთა ქვეყნის სამეურნეო ვითარების დახასიათება. „უხვი და ნაყოფიერია ალვანთა ქვეყანა ყოველგვარი სიკეთით და კავკასიის უმაღლესი მასივებით. მდორედ მომდინარე მტკვარს თან მოაქვს დიდი და პატარა თევზი... გარშემო მდებარეობენ ნაყოფიერი მინდვრები, რომლებიც იძლევიან პურსა და ბევრ ღვინოს, ნავთსა და მარილს, აბრეშუმსა და ბამბას, ასევე უთვალავ ზეთისხილს. ხოლო მთებიდან იღებენ ოქროს, ვერცხლს, სპილენძსა და ყვითელ საკმელს, გარეული ცხოველებიდან აქ გვხვდება ლომი, ვეფხვი, ავაზა, კანჯარი. დიდი სიმრავლეა ფრინველთა: არწივი, შევარდენი, და მათი მსგავსნი" (ალვანთა..,V).

მხითარ გოში
XII ს. I ნახევარი XIII ს. დასაწყისი

კავკასიის ხალხების შესახებ არსებული ფეოდალური ხანის სომხურენოვანი წყაროების მიმოხილვა სრულყოფილი არ იქნება გამოჩენილი სომეხი მოაზროვნის და საზოგადო მოღვაწის *მხითარ გოშის*[1] შემოქმედების გარეშე, რომელმაც დაგვიტოვა საყურადღებო ნაშრომები – „სამართლის წიგნი", „ეპისტოლე", „ალვანთა ქრონიკა", „იგავები" და სხვ.

„სამართლის წიგნში" აღწერილია ისტორიული სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიებზე შემავალი სომხური ოლქების ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების მრავალი მხარე, რასაც ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევებისათვის ასევე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია (Судебн..,VI,14). ასეთივე მნიშვნელობისაა გოშის „ალვანეთის ქრონიკაც", სადაც იგი ძირითადად განძის საამიროსა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს ეხება (хроника,16-37 და შმდ.).

საყურადღებო ცნობებია დაცული გოშის „იგავებში", რომელშიც ავტორმა ამხილა იმდროინდელი საზოგადოების მანკიერი მხარეები, ხოლო „ეპისტოლე", ავტორმა მთლიანად

---

[1] *Мхитар Гош.* Армянский судебник, перевод с древнеармянского, Ереван, 1954; *Мхитар Гош.* Албанская хроника. Предисловие, перевод и комментарии З.М. Бунятова, Баку, 1960; *ლ. დაელიანიძე.* მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა", ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბილისი, 1968.

მიუძღვნა საქართველოსა და სომხეთში ქალკედონელობის გავრცელების ისტორიას.

აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები V-XIII სს.

საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ძველი ისტორიის პრობლემებზე კიდევ უფრო სისტემური და მრავალფეროვანია ადრე და შუაფეოდალური ხანის ქართულენოვანი წყაროები. ადრეული ხანის წერილობითი წყაროებიდან მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია ქართული *აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.*[1] აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს V საუკუნის ლიტერატურული ძეგლი – იაკობ ცურტაველის *„წამება წმინდისა შუშანიკისი"*, (Vს.), და, საერთოდ შემდგომი პერიოდის აგიოგრაფიული ლიტერატურის სხვა თხზულებანი, კერძოდ *„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა"* (VIს.), იოანე საბანისძის *„აბოს წამება"* (VIIIს.), *„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა"* (IXს.), *„ასურელ მამათა ცხოვრებანი"* (IX-XI სს.), *„ნინოს ცხოვრების"* რედაქციები (IX-XIIIსს.) და სხვ., რომლებშიც არაერთხელაა საუბარი იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის კულტურულ-ყოფით თავისებურებებზე.

მოქცევაის ქართლისაი, VII-IX სს. ქართლის ცხოვრება, VII-XII სს.

შუაფეოდალური ხანის ძველქართული საისტორიო წყაროებიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა *„მოქცევაი*

---

[1]ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I, თბილისი 1963; წიგნი II, XI-XV სს., თბილისი, 1967; წიგნი III, მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს., თბილისი, 1971; წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები XI-XVIII სს., თბილისი, 1968; *К.С.Кекелидзе.* Памятники древнегрузинской агиографической литературы, Тбилиси, 1956; *D.M.Lang.* Lives and Legends of the Georgian Saints, London, 1956.

ქართლისაის" ქრონიკა და ძველი ქართული საისტორიო წყაროების კრებული—*„ქართლის ცხოვრება"*[1]

„მოქცევაი ქართლისაის" ქრონიკებს, რომელიც მკელევართა აზრით VII–IX საუკუნეებში უნდა იყოს შედგენილი, საფუძვლად უდევს მეფეთა, ერისთავთა და კათალიკოსთა ცხოვრების ნუსხა სააღმშენებლო—საისტორიო საქმიანობათა შესახებ მოკლე მინაწერებით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნახევრადლეგენდარულ თქმულებებს ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსელისა და აზოს შესახებ, რომელიც წინაქრისტიანული ხანის მონაკვეთშია ჩართული, ქრონიკის ძირითად ნაწილში საუბარია ქართლის მმართველთა მიერ საფოსტო და საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობის შესახებ. ამ თვალსაზრისით ქრონიკებში მიმოხილულია *არიან ქართლიდან* მოტანილ „კერპთა აღმართვა" ანუ წარმართულ სამლოცველოთა აგება, არმაზციხის, მცხეთისა და სხვ. შენება და ა.შ. აქვე მოტანილია ისტორიულ—ეთნოგრაფიული ხასიათის არაერთი მნიშვნელოვანი ცნობა.

ბუნებრივია, „მოქცევაი ქართლისაის" უმნიშვნელოვანესი ეთნოლოგიური წყაროთმცოდნეობითი ხასიათი განსაზღვრულია წმინდა ნინოს მოღვაწეობისა და ქართლში ქრისტიანობის შემოღება-დამკვიდრების ამსახველი ნახევრადლეგენდარულ-რეალისტური ამბებით, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ქართველთა წარმართული რელიგიის, სამეფო კარის ყოფითი რეალიების ამსახველ სიუჟეტებს.

საქართველოსა და კავკასიის ძველი ისტორიის კიდევ უფრო მნიშვნელოვან წყაროდაა მიჩნეული *„ქართლის ცხოვრების"*[2] კრებული, რომელშიც თანმიმდევრულადაა მოთხრობილი საქართველოს ისტორია უძველესი პერიოდიდან ვიდრე XII საუკუნის ჩათვლით, კერძოდ, დავით აღმაშენებლის ისტორიის მომცველი თხზულებებით. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრებით „ქართლის ცხოვრების" დასაწყისის ნაწილი დაწერილია ლეონტი მროველის მიერ. მას აგრძელებს ჯუანშერის თხზულება, რომელშიც თხრობა VIII საუკუნემდე მოდის. მომდევნო ნაწილი – უცნობი ავტორის თხზულება „მატიანე ქართლისაი" – არჩილ

---

[2] „მოქცევაი ქართლისაი" (მოქც.ქ.), ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I, თბილისი, 1963.

[1] *„ქართლის ცხოვრება"* (ქც). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, ტ. II თბილისი, 1959.

მეფიდან ვიდრე ბაგრატ მეოთხემდე გრძელდება. და ბოლოს, კრებული მთავრდება დავით აღმაშენებლის ისტორიით.

„ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე საქართველოს ისტორიის ქრონიკების გვერდით აღნუსხული და დაცულია ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი არაერთი ფაქტი და მოვლენა. უფრო მეტიც, „ქართლის ცხოვრებაში“ საყურადღებო ცნობები მოიპოვება სომხეთის, კავკასიის, ალბანეთის, ჩრდილოეთ კავკასიისა და სხვა მეზობელი ხალხების ყოფისა და კულტურის, მათი წარმოშობა-განსახლების, ეთნოგენეტიკური ვერსიებისა და ეთნო-კულტურული ურთიერთობების შესახებ. ამ ცნობებს დღესაც უნიკალური პირველწყაროს მნიშვნელობა გააჩნიათ საქართველოსა და ზოგადად კავკასიის ხალხების ეთნოლოგიის საკვანძო საკითხების გასარკვევად.

ლეონტი მროველი
XI ს.

„ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული ეთნოგენეტიკური კონცეფცია, რომელიც ზემოთ აღნიშნული ბიბლიური სიუჟეტებიდან მომდინარეობს კავკასიის ხალხების ერთიანი წარმომავლობის შესახებ ყველაზე ადრინდელ (XIს.) წერილობით წყაროს წარმოადგენს. ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლში - „*ცხოვრებასა ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა*“, - ლეონტი მროველის[1] ეთნოგენეტიკური კონცეფცია გლობალური მსოფლმხედველობის ფონზეა განხილული და ქართველთა წარმომავლობის საკითხი კავკასიის ხალხების ერთიანი წარმოშობის იდეასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით კავკასიის მკვიდრი ხალხების ეპონიმები ლეგენდარული ნოეს შთამომავლის, იაფეტის შვილიშვილიდან – თარგამოსიდან მომდინარეობს. „პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თვსთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს. ესე თარგამოსი იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი“ (M.95,5).

---

[1] *ლეონტი მროველი.* ცხოერებასა ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955; *მისივე.* მეფე ქართლისა არჩილ, ქც., I, თბილისი 1955.

ბაბილონის გოდოლის აშენების წარუმატებელი ცდის შემდეგ ქართველი და კავკასიელი ხალხების საერთო წინაპარი – თარგამოსი „ნათესავითურთ მისით“ ჩრდილოეთით წამოსულა და არარატისა და მასისის მთათა შორის დამკვიდრებულა. აქ თარგამოსს 600 წელი უცხოვრია. „ესხნეს ცოლმრავალ ძენი და ასულნი, და შვილნი და შვილისშვილნი ძეთა და ასულთა მისთანი“. თარგამოსის ნამრავლს „ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა“ - წერს ლეონტი მროველი (M.96,10).

ლეონტი მროველის მიხედვით თარგამოსს რვა „ძლიერნი და სახელოვანნი“ შვილი ჰყოლია. „ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექვსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს“ (M.96,10).

ცხადია, ავტორის მიერ აქ მოტანილი სახელები ზემოთ აღნიშნული ხალხებისა და ტომების მამამთავართა ეთნარქებია, რომლებმაც შესაბამისად სათავე დაუდეს სომხების, ქართველების (ქართლელების), რანთა, მოვაკანელთა, ლეკთა, ჰერთა, კავკასიანთა და მეგრელთა წარმოშობას.

ლეონტი მროველი ანალოგიურ პრაქტიკას მიმართავს ქართლოსიანთა შთამომავლობის ჩამოთვლისასაც. „ხოლო შვილთა შორის მისთა (ქართლოსისა) გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს“ (M.103,15).

ასეთია „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკების ავტორის მიერ წარმოდგენილი კავკასიელი ხალხების გენეალოგიური სქემის საფუძველი. ბუნებრივია, თარგამოსიანთა და ქართლოსიანთა გენეალოგია იმ ნიმუშების მიხედვითაა კონსტრუირებული, რაც დამახასიათებელი იყო მანამდე არსებული მსოფლიოს ხალხთა მსგავსი ეთნოგენეტიკური კონცეფციებისათვის. მართლაც, ზემოთ ჩამოთვლილი ეპონიმები ლეონტი მროველის ბიბლიურ ვერსიაშიც საქართველოსა და კავკასიის უმნიშვნელოვანეს ეთნოპოლიტიკურ რეგიონებთან, ან კიდევ უძველესი ტომებისა და ხალხების სახელებთანაა დაკავშირებული.

ლეონტი მროველის დაბადებისეულ გენეალოგიას ლიტერატურული წყაროები ქართულ მწერლობაშიც გააჩნია. ამ იდეამ ადრე ექვთიმე ათონელის (Xს.) ერთერთი თარგმანის ავტორისეულ ინტერპოლაციაში გაიჟღერა, რომელშიც III ს-დან

ცნობილი „Liber generation"-ისა და მისი გვიანდელი ვერსიებისაგან განსხვავებით კავკასიის მკვიდრი ხალხების ზოგიერთი ეპონომია შეტანილი.

ლეონტი მროველმა ექვთიმე ათონელის გენეალოგიურ სქემაში ერთი არსებითი ხასიათის შესწორებაც შეიტანა. ათონელის თხზულებაში ქართლელები, მუხურიელები, სომხები, ჰერები, ოსები, ჯიქები, აფხაზები და მეგრელები ბიბლიური სემის, ხოლო თობელები, მუსეკები, გარბანიელები, ლეკები... სომხები, არეციელნი, კოლხები და... ქართველნი – იაფეტის შთამომავლებად ითვლებიან.

სწორედ ამიტომაა, რომ მემატიანე მიმართავს სხვა წყაროს, კერძოდ კი მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიას", სადაც ეს სქემა გამარტივებულია და კავკასიის ხალხების ეთნარქები ტოპოგრაფიული სახელებიდან, ან პირიქით – ტოპოგრაფიული სახელები ეთნარქებისაგანაა ნაწარმოები. ამასთან მოსე ხორენელთან ქართველების, ისევე როგორც სხვა კავკასიელი ხალხების გენეალოგია, ზემოთ აღნიშნული ეთნოგენეტიკური სქემებისაგან განსხვავებით, თარგამოსიდან მომდინარეობს. ამრიგად, მროველის ახალი სქემის მიხედვით, ჰაოსი და ქართლოსი, როგორც ზემოთ იყო მითითებული, მიჩნეული არიან ძმებად – თარგამოსის შვილებად.

კავკასიათმცოდნეობაში მრავალწლიანი კამათის საგნად იყო ქცეული მროველის გენეალოგიურ სქემაში თარგამოსის შთამომავალთა პირველობის საკითხი. საქმე იმაშია, რომ ჩამოთვლილი ხალხებისა და შესაბამისი ეპონიმების რიგში იგი სომხებს, მათი ეთნარქით ჰაოსით პირველად ასახელებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური სქემის ამ სპეციფიკასაც სწორი შეფასება მიეცა. მიჩნეულია, რომ სომეხთა პირველობა აქ ისტორიულ რეალობას ასახავს და, რომ მემატიანეს არ შეეძლო გვერდი აევლო ამ სინამდვილისათვის. ამით იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სომხეთმა საქართველოზე ადრე მიაღწია სახელმწიფოებრივი ძლიერების მწვერვალს. სომეხთა პრიორიტეტი ამ მხრივ მროველისათვის ცხადია, მაგრამ იგი კარგად ხედავს იმასაც, რომ შუა საუკუნეების ეპოქაში სომხეთის დაქვეითების ხანა დგება. კავკასიის ხალხთა წინამძღოლად ამჯერად ახალი ძალა – ქართული აღმავალი ფეოდალური მონარქია უნდა ჩამდგარიყო. სწორედ ამის გამოა, რომ კავკასიური ერთიანობისა და კავკასიის ხალხთა წინამძღოლად ქართული ფეოდალური მონარქიის აღმასვლის აღსანიშნავად და მხარდასაჭერად ლეონტი მროველს არ

შეუძლია უარყოს თავისი „უფროსი ძმის“ - გმირი ჰაოსისა და მისი ხალხის ყოფილი დამსახურება, რის გამოც კავკასიის ხალხთა გენეალოგიურ სქემაში მათ უმაღლეს იერარქიულ საფეხურს უნარჩუნებს.

ამავე მიზანს ემსახურებოდა ლეონტი მროველის შეხედულება „ქართული ენის გაჩენის“ შესახებ, რომლის მიხედვითაც იგი ქართლოსიანთა თავდაპირველ ენად სომხურ ენას აცხადებს. მანამდე კი, სანამ ქართლის ტერიტორიაზე მრავალი მონათესავე ტომები შემოიკრიბებოდა, „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრიბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტოვეს ენა სომხური. და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“ (M.126,5).

ქართლის ცხოვრების მემატიანის ამ ცნობის მიმართ ქართველ მკვლევართა არაერთი კრიტიკული შენიშვნის მიუხედავად შეუძლებელია არ დავეთანხმოთ აკად. კ. კეკელიძეს, რომლის მიხედვითაც ექვთიმე ათონელისა და ლეონტი მროველის „თეორიული ინტერესი ხალხთა კლასიფიკაციისა და მათი გეოგრაფიული განლაგების საკითხისადმი“ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის პოლიტიკური გაერთიანების ისტორიულ მომენტთან და ამ პროცესში კავკასიელთა ჰარმონიისა და მშვიდობის, აგრეთვე მათი ერთიანობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად.

„მოქცევაი ქართლისაის“ სიუჟეტებში ვხედებით კავკასიის ხალხთა ეთნარქებისა და ეპონიმების წინაქრისტიანულ სქემას, რომელიც არგონავტების თქმულების მთავარი გმირის—იაზონის სახელწოდებასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული ვერსიის მიხედვით ალექსანდრე მაკედონელმა ქართლში ლაშქრობის შემდეგ აქ დატოვა „არიან ქართლის მეფის ძე ასო“. ეს ასო წასულა თავის სამშობლოში და იქედან თანამემამულეთა მრავალი საგვარეულო სახლი და კერპები — *გაცი* და *გა* მოუყვანია (M.115,10;116,10). მანიშნებელია, რომ ქართლის მოსახლეობა თავის უშუალო წინაპრებად განიხილავდა სწორედ ასოს მიერ არიან ქართლიდან მოყვანილ ხალხს.

ქართლის ცხოვრებაში შესული კავკასიელი ხალხების ეთნოგენეტიკური კონცეფციის ბიბლიური სიუჟეტის ლეონტი მროველისეულ ვერსიებზე საუბრისას შეუძლებელია არ აღვნიშნოთ აქვე ჩართული „*არჩილის წამება*“, რომელიც ასევე მროველის თხზულებადაა მიჩნეული. ამ წყაროთა მიმოხილვა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს წერილობითი ძეგლი, წმინდა

ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გვერდით, საყურადღებო ცნობებს იძლევა ქართველი და კავკასიელი ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის, კერძოდ, ეთნიკური ისტორიისა და ეთნო–კულტურული ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. IV–III საუკუნეებიდან ახ.წ. XIII საუკუნემდეა განსაზღვრული.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი XII ს.

ქართულენოვანი წყაროები ურთულეს ეთნოპოლიტიკურ ვითარებას უკავშირებენ თურქული მოდგმის ხალხების ექსპანსიას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. პირველი თურქული ეთნიკური მასის გამოჩენას წყაროები სელჩუკებს უკავშირებენ, რომლებიც აქ თურქმენეთის სტეპებიდან მოვიდნენ. სწორედ ამ დროს, XI საუკუნეში, გადაიარა პირველმა და ძლიერმა გათურქების ტალღამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მოსახლეობაზე, რომელიც მანამდე ან ირანულენოვანი იყო ან შემონახული ჰქონდა ძველი ალბანური ენა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი[1] ხატოვნად აღწერს იმ კატასტროფას, რომელიც აქ სელჩუკთა ურიცხვ ურდოების შემოსახლებას მოჰყვა. ამ ცნობებში კარგად ჩანს ბინადარი მიწათმოქმედი კულტურის წარმომადგენლის შეშფოთება ველის მომთაბარეთა აგრესიული ექსპანსიის მიმართ, რომელიც უცხო იყო ქართულ-კავკასიური სინამდვილისათვის: „ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავამდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთარის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თიეა და აქუს შეშა და წყალი უხუებით. და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თვთოფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემებისა მათისა არა იყო რიცხვ და აქუნდა ცხოვრება სანატრელი. ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თვსთა ქალაქთა ეაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყვთა და ალაფითა სავსეთა. გაზაფხულსა, თანა

---

[1] *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი.* ქროლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955; *მეტრეველი რ.,* დაეით აღმაშენებელი, თბილისი, 1965.

იწყიან სვლა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა. ეგრეთვე ზაფხულისაცა ჰქონდეს შუება და განსუენება. თივათა და ველთა შუენიერთა, წყაროთა და ადგილთა ყვავილოვანთა, და ესოდენ დიდი იყო ძალა მათი და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა იქი არსო" (ქც., 530).

თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანი ურდოების მოძალებისაგან შევიწროებულ ქართველ მოსახლეობას გადაშენების საფრთხე ელოდა. ასეთი მძიმე ვითარების გამო ინტენსიური მეურნეობის დარგები თანდათან იშლებოდა. „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გადაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისთა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოხრებათასა" (ქც.,514-515).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ამ შეფასებას ველის მომთაბარეთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგებზე, განმაზოგადოებელი მნიშვნელობა აქვს თურქ-სელჩუკთა მიერ კავაკსიის სხვა ქვეყნებსა და ხალხებში დატრიალებული ტრაგედიის მიმართაც.

XI საუკუნის თურქ-სელჩუკთა შემოსევები უკანასკნელი არ ყოფილა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. XIII–XV საუკუნეებში ახალი გლობალური ხასიათის მიგრაციული ტალღები ჰულაგუ ყაენისა და თემურ ლენგის შემოსევების სახით წამლეკავ ექსპანსიად დაატყდათ თავს კავკასიის ხალხებს.

მონღოლთა შემოსევების დამანგრეველი ძალა საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოსა და სომხეთისათვის. ველის მომთაბარე დამპყრობლებმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძალით შემოასახლეს ათეულ ათასობით თურქთა ოჯახები, რომელთაგანაც ძირითადად აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობა დაზარალდა. დამპყრობთა ურდოების არაერთგზის თარეშის შედეგად გაუდაბურდა კამბეჩიან-შირაქის, გარდაბნისა და სამგორ-რუსთავის აყვავებული მხარეები. საქართველოს ფაქტიურად ჩამოსცილდა ჰერეთის აღმოსავლეთით მდებარე შაქ-შირვანი, რომელიც მონღოლთა ურდოების საძოვრებად იქცა, მძიმე ვითარება შიქმნა მეზობელ სომხურ პროვინციებში, რის გამოც განაწამები სომეხი

მოსახლეობა მამა-პაპეულ მიწა-წყლიდან აიყარა და საქართველოს ან უფრო შორეულ ქვეყნებს შეაფარა თავი.

კატასტროფიული შედეგები მოჰყვა აღმოსავლეთ საქართველოს კულტურული მეურნეობისა და ცხოვრების მოშლასაც. საფრთხე შეექმნა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ტრადიციულად მომდინარე ქვეყნის მთისა და ბარის სამეურნეო-კულტურული კომპლექსების ერთიანობას, შესაბამისად კი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საფუძვლებს. საქართველოს მთამ შაქი-შირვანის საზამთრო საძოვრებთან ერთად დაკარგა მტკვრისპირეთისა და იორ-ალაზნის აუზების უმთავრესი საძოვრებიც და, შესაბამისად ისტორიული საქართველოს ბართან ურთიერთობის ყველა შანსი და საშუალება. მტკვრისა და იორ-ალაზნის მოსავლიანი ველები და ნოყიერი საძოვრები ამიერიდან, „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთხელ არიან მოხსენიებულნი თურქმან-მონღოლთა „საზამთრო“ და „საზაფხულო“ სადგურებად.

ამ პერიოდს შეიძლება მიეკუთვნოს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მოსახლეობის ძირითადი მასების საბოლოო გათურქება და აზერბაიჯანული თურქულენოვანი ეროვნების ჩამოყალიბება, რომელიც დიდ ენობრივ სიახლოვეს ამყღავნებს თურქმენებთან.

მომთაბარე თურქულენოვან სამყაროს არაერთჯერადი და ხანგრძლივი გავლენების მიუხედავად მონღოლურ-თურქმანული ელემენტების დადებითი როლი კავკასიაში სრულად უმნიშვნელო აღმოჩნდა. მონღოლთა, შემდგომ კი თემურ-ლენგის ურდოების შემოსევები კატასტროფული აღმოჩნდა დაპყრობილი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისათვის, რამდენადაც სწორედ მონღოლთა შემოსევის წინ ამიერკავკასიის ხალხთა კულტურა და სახელმწიფოებრიობა განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მონღოლთა შემოსევასა და რბევას ასეთი მძიმე შედეგები მოჰყვა, საბოლოოდ იგი მაინც ხანმოკლე ეპიზოდი აღმოჩნდა და შესამჩნევი კვალი ვერ დაამჩნია ადგილობრივი მოსახლეობის ეთნო-კულტურულ იერსახეს. გამონაკლისი გახლდათ მხოლოდ დაღესტნის მცირერიცხოვანი ხალხი – ხაიდაყები, რომლებსაც მონღოლური წარმოშობისად მიიჩნევენ, თუმცა მათ დიდი ხანია დაკარგეს მონღოლური ენა და კულტურა და გაითქვიფნენ მათ გარშემო მცხოვრებ დაღესტნის მოსახლეობასთან.

მონღოლური წარმოშობისადვე თვლიან, აგრეთვე ნოღაელების ზოგიერთ ტომსაც.

და ბოლოს, შესაძლოა მონღოლებთან კავშირზე მიუთითებდეს სახელწოდება „მუღანლი"//„მუღალი", „ზაქათალის მუღალები" და ა.შ., რომლებსაც მეზობელი ხალხები აზერბაიჯანელებად მოიხსენიებენ. საერთოდ კი, მონღოლთა კულტურული ზემოქმედება კავკასიის ხალხებზე ნულს უდრიდა.

ყველა ეს გავლენა, რომელიც სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მოდიოდა – გავლენა ქრისტიანული ბიზანტიის, წინა აზიისა, მუსლიმანური სამყაროსი – მხოლოდ კავკასიის კულტურაზე ტოვებდა გარკვეულ კვალს და თვით ეთნიკურ შემადგენლობას არ შეხებია. უფრო მეტი დამაჯერებლობით ეს შეიძლება ითქვას ჯვაროსნული ლაშქრობებისა და შავი ზღვის სანაპიროებზე იტალიური კოლონიების გაჩენის ეპოქის კულტურულ გავლენებზეც.

არაბთა ბატონობის დაცემის შემდეგ კავკასიაში თურქ-სელჩუკთა და მონღოლთა შემოსევების პერიოდი, ვიდრე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და აღორძინების ეპოქამდე, ასევე დიდ ინტერესს იწვევს ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით. მართალია, ამ პერიოდში წყაროებს კავკასიის შესახებ ისეთი სისტემური და რეგულარული ხასიათი არ გააჩნდათ როგორც ეს ანტიკურ, ბიზანტიელ და არაბ მოგზაურ-მკვლევართა აღწერილობითი კორპუსების მიმართ შეიძლება ითქვას, მაგრამ XI–XV საუკუნეებში კავკასიაში მოგზაურობას აგრძელებენ არაბი გეოგრაფები, ხოლო XV–XVI საუკუნეებიდან კავკასიაში ირანისა და თურქეთის მეტოქეობის დაწყებასთან ერთად მუსლიმანურ მკვლევართა რიგებს შეემატნენ თურქი და ირანელი მოგზაურები და მეცნიერები, რომელთა თურქულ-ირანულენოვან წყაროებს გვიაფეოდალური ხანის კავკასიის ხალხების შესახებ უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ.

ამ პერიოდის არაბ და ირანელ გეოგრაფთაგან განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ *იაკუთს* (1178/9–1229წწ.), *რაშიდ ად–დინს* (1247–1318წწ.), *ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინს* (დაიბ.1281/2წ.), *ზაქარია ალ–ყაზვინს* (1203–1283წწ.), *იბნ–ბატუტას* (1309–1377წწ.), *იბნ–ჰალდუნს* (1332–1406წწ.), აგრეთვე *ალ–უმარის* (1301–1349წწ.), *ალ–მუჰიბბის* (გარდ.1384წ.), *ალ–კაშკანდისა* (1355–1418წწ.) და სხვ. კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების აღწერისას ისინი მიზნობრივად აგრძელებენ თავიანთი წინამორბედი არაბი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების ტრადიციებს, თუმცა ამ პერიოდში არაბული კულტურისა და მეცნიერების დაწინაურების გამო მათ ნაშრომებში უფროდაუფრო მეტი ადგილი ეთმობა მეცნიერულ ინტერესებს.

დასახელებულ ავტორთაგან კავკასიის ხალხების შესახებ მეტნაკლებად ვრცელ მონაცემებს ალ–იაკუთის, ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინისა და ზაქარია ალ–ყაზვინისა ნაშრომებში ვხვდებით.

ალ–იაკუთი
1178/9-1229 წწ.

ცნობილი არაბი გეოგრაფი, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ლექსიკონის „მუჯამ ალ ბუდანის" ავტორი *ალ-იაკუთი*[1] ჩვენთვის საინტერესო საკითხთაგან ეხება აზერბაიჯანის, აგრეთვე დიდი და მცირე არმენიის ეთნიკურ შემადგენლობას, საზღვრებსა და ეპონიმებს (ცნობები, I, 112, 113, 172). მეტად ხატოვანია იაკუთის მიერ ისტორიული აზერბაიჯანის ქალაქებისა და სოფლების აღწერა. „ეს არის ვრცელი მხარე და დიდი სამეფო. სჭარბობს მასში მთები. იქ მრავალი ციხეა, უხვი დოლათი და დიდძალი ნაყოფი. მე არ მინახავს სხვა მხარე უფრო მდიდარი ბაღებით, უფრო უხვი წყლებითა და წყაროებით. მოგზაური არ საჭიროებს იმ მხარეებში წყლისათვის ჭურჭლის წაღებას, რადგანაც წყლები აქ მიედინება მის ფერხთით საითკენაც არ გაემართება. ესაა ცივი წყალი, მტკნარი და ჯანსაღი. მისი მცხოვრებლები ლამაზი სახისანი არიან, წითურნი, ნაზი კანით. მათ აქვთ ენა, რომელსაც ეწოდება აზარიია და რომელიც არ ესმის არავის მათ გარდა. მათ ხალხს სათნოება და კარგი ურთიერთდამოკიდებულება ახასიათებს, თუმცა სიძუნწე სჭარბობს მათ ბუნებაში" – წერს იაკუთი (ცნობები, I, 173).

საქართველოს შესახებ მსჯელობისას იაკუთი ძირითადად მასუდის მონაცემებს იმეორებს, აფხაზეთს იგი კაბკის მთის ერთ-ერთ მხარედ მიიჩნევს და ხაზს უსვამს მის ძნელადმისაწვდომ და ვიწროთარგიან მთებს. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ავტორი იქ ვერ პოულობს დოღის გასამართავ მოედნებსა და ველებს. მისი ცნობით ალანთა მოსაღვრე

---

[1] *F. Wüstenfld.* Jacuts Reisen aus seinem geographischen wörtetbuche beschriben, ZDMG, XVIII, 1864; *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, თბ., 1964; *И.Ю.Крачковский.* Арабская географическая литература. Избранные сочинения, IV, М.-Л., 1957. ტექსტში მითითებები შესრულებულია იაკუთის თხზულების ქართული თარგმანიდან.

აფხაზეთი ქრისტიანი მოსახლეობითაა დასახლებული, რომლებსაც ქართველებს უწოდებენ (ცნობები,I,857,858 და შმდ.).

იაკუთი შედარებით ვრცელ პასაჟებს უძღვნის ხაზართა კაგანატის მდებარეობის, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და აღნაგობის, რელიგიური შეხედულებების, საოჯახო-სამეურნეო საქმიანობის აღწერას. იაკუთის ცნობით „მათი საცხოვრებელი ქუჩის კარვებია, გარდა მცირე შენობებისა, რომლებიც თიხისგანაა აგებული. მათ აქვთ ბაზრები და აბანოები და იქ მრავალი ხალხია... მათ აქვთ ნათესები, რომლებიც მიმოფანტულია. გამოდიან ზაფხულში სათესად... როცა დამწიფდება მოსავალი გადააქვთ ურმებით და მდინარით. მათი უმთავრესი საზრდო ბრინჯი და თევზია. ხაზართა ენა განსხვავებულია თურქთა და სპარსთა ენისაგან და არ ჰგავს ენას არც ერთი ხალხისას.

ხაზარები არ ჰგვანან თურქებს. მათ შავი თმები აქვთ და ორი ჯიშისანი არიან. ერთ გვარს უწოდებენ ყარახაზარებს. ისინი არიან მუქნი, სიმუქის მიხედვით ემსგავსებიან შავს, თითქოს ინდოელები არიან. მეორენი თეთრნი არიან, გარეგნულად ლამაზი და კარგი თვისებებით" (ცნობები,II,437,438).

არაბ გეოგრაფს საყურადღებო ცნობები აქვს დაცული ალანთა შესახებაც. „ქვეყანა ვრცელი და ხალხი მრავალი. მათი ქვეყანა ესაზღვრება დარბანდს კაბკის მთაზე. არ არის იქ დიდი და ცნობილი ქალაქი. მათ შორის არიან მუსლიმები, თუმცა ჭარბობენ ქრისტიანები. მათ არ ჰყავთ ერთი მეფე, რომელსაც ისინი დაემორჩილებოდნენ, არამედ ყველა ტომს ჰყავს მეთაური. ისინი სასტიკნი, უხეშნი და მოუფიქრებელნი არიან" - წერს იგი (ცნობები, I, 350-351).

ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინი
დაიბ. 1281/2 წ.

სხვა არაბ გეოგრაფთა და ისტორიკოსთაგან უშუალოდ კავკასიის შესახებ მეტნაკლებად მნიშვნელოვან ცნობებს ეხვდებით *ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინის*[1] სამნაწილიან ნაშრომში „გულთა სიამე", სადაც იგი იძლევა ცნობებს

---

[1] *ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინი.* ისთახრი, ჰოუდ-ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ვ. ფუთურიძისა, საქართველოს ისტორიის წყაროები, IV, თბილისი 1937.

აზერბაიჯანის ქალაქებზე, არანისა და მუღანის ოლქებზე, შარვანზე, აფხაზეთზე და საქართველოს ქალაქებზე. „ტფილისი– ჩავარდნილია ხეობაში, რომლის ერთი მხარე მთის ძირს წარმოადგენს. შუაზე მდინარე მტკვარი ჩამოუდის. ერთ მხარეზე შენობებია აგებული მტკვრის პირზე ისე, რომ სახლების ერთი რიგის (მწკრივის) ბანები შემდეგი, უფრო მაღლა მდგომი მწკრივის ქუჩის იატაკს წარმოადგენს. იქ ბევრია აბანო, სადაც ცხელი წყალი გამოდის და ცეცხლს არ საჭიროებს. იქ მოდის მეტად კარგი პურეული, ხილი ცოტა აქვს" – წერდა იგი (გულთა სიამე, 42).

ჰამდალლაჰ ყაზვინი აგრძელებს სხვა არაბი გეოგრაფების ტრადიციას, იცნობს მათ შემოქმედებასა და სათანადოდ იყენებს კიდეც, თუმცა მას არაერთი მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური ფაქტისა თუ მოვლენის შესახებ საკუთარი დაკვირვებებიც გააჩნია. ასეთი თითქოსდა უმნიშვნელო სიახლენია ყაზვინის იმ აღწერებში, რომლებიც შეეხება აზერბაიჯანის, ირანისა და სხვა ჩამოთვლილი ოლქების ქალაქების (მარაღა, ნახჭევანი, ბაქო, დარუბანდი, აზადი და ა.შ.) და საქალაქო ყოფის აღწერებს, აქ გავრცელებულ სამეურნეო კულტურებსა და დარგებს, მოსახლეობის ანთროპოლოგიურ დახასიათებას, ეთნოკონფესიონალურ ჯგუფებს (გულთა სიამე, 35,36,37 და შმდ.).

ანალოგიური ხასიათის შენიშვნები გვხვდება ჰამდალლაჰ ყაზვინის ჩანაწერების იმ ნაწილში, რომელიც ეხება ირანის, რუმის, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთის მხარის ანუ ხაზართა კაგანატის ტერიტორიებს (გულთა სიამე, 43-47).

ზაქარია ალ–ყაზვინი
დაიბ. 1203 წ.

არაბული მწერლობის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის *ზაქარია ალ–ყაზვინის*[1] შემოქმედება არაბულ ლიტერატურაში ახალი მიმართულების, კოსმოგრაფიის განვითარებას ემთხვევა, რომელიც კომპლექსურად იმდროინდელი მეცნიერების თითქმის ყველა დარგს, და მათ შორის ეთნოგრაფიასაც მოიცავდა. კოსმოგრაფ-

---

[1] *ზაქარია ალ–ყაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, არაბულ ტექსტს შესავალი წაუძღვარა, ქართული თარგმნი და შენიშვნები დაურთო ოთარ ცქიტიშვილმა, თბილისი, 1975; *Крачковский И.Ю.* Арабская географическая литература, Избранные сочинения, т. IV, М.-Л., 1957.

პოპულარიზატორთა მთავარ მიზანს გარემომცველ სამყაროზე „საოცარი და საკვირველი" ამბების გადმოცემა შეადგენდა და, ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით ეგზოტიკური ქვეყნებისა და ხალხების ყოფა და კულტურა მრავალი საინტერესო ფაქტისა და მოვლენის ფიქსაციის საშუალებას იძლეოდა. ყაზვინი თავის ორ ნაშრომში - „ქმნილებათა საოცრებანი და არსებულთა საკვირველებანი" და „ქალაქთა ძეგლები და ცნობები ალლაჰის შესახებ" – კავკასიის ხალხთა ისტორიული წარსულის, ეთნოგრაფიისა და ისტორიული გეოგრაფიის საყურადღებო მომენტებს სწორედ ამ თვალსაზრისით ეხება და ზოგჯერ რეალურ სინამდვილეს მოწყვეტილი ზღაპრული სიუჟეტის სახეს იძენს. ამ რიგის ცნობებთან გვაქვს საქმე ალ–ყაზვინის ჩანაწერებში ხაზართა ზღვისა და კუნძულების, მდინარეების, ცხოველთა სამყაროსა და, თუნდაც ზემოთ არაბ გეოგრაფთა მიერ აღწერილი კავკასიის ქალაქების შესახებ, რომლებშიც ავტორი საოცრებებსა და საკვირველებზე უფრო ამახვილებს ყურადღებას, ვინემ ყოფითი რეალიების უბრალო გადმოცემაზე (ქმნ. საოცრ., 128,129 და შმდ.).

მიუხედავად ამისა, ზაქარია ალ–ყაზვინი დიდ ყურადღებას აქცევს ამიერკავკასიის ქვეყნების, კერძოდ საქართველოს სამეურნეო-კულტურულ ყოფას და უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს დედაქალაქის სამეურნეო-ეკონომიკური ყოფისა და საგაჭრო-კულტურული ვითარების შესახებ. მის მიერ მოტანილი მონაცემებით აღნიშნულ პერიოდში საქართველოს დედაქალაქიდან გასაყიდად გაჰქონდათ ბამბა, სწრაფმავალი ცხენები და ჯორები, მაღალხარისხოვანი მატყლი, აბრეშუმი, ტანსაცმელი, ხალიჩები, სხვადასხვაგვარი ბეწვეული და ა.შ. საშინაო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პურეულს, ზეთს, ღვინოს, მატყლს, ცვილს, თაფლს, ცხენს, ჯორს, ხარს, ძროხას და ა.შ. (ქალაქთა ძეგლ., 348,349).

რაშიდ ად–დინი
1247-1318 წწ.

სრულიად ორიგინალური ხასიათის მონაცემები შეიძლება მივაკვლიოთ ილხანთა ეპოქის დიდი ისტორიკოსის, ექიმი-ღვთისმეტყველისა და პოლიტიკური მოღვაწის *რაშიდ ად–*

დინის[1] ცნობილ თხზულებაში „რაშიშ ად–დინის მიმოწერა", რომელშიც იგი აღწერს თავრიზის მიდამოებში მის ძიერვე დაარსებულ კავკასიელებისა და ბერძნების სასოფლო-სამეურნეო დასახლებებს. რაშიდ ად–დინს აქ გაშენებულ ბაღების, მინდვრებისა და ხე–ხილის მომვლელ-მომშენებლად კავკასიელი და ბერძენი მეურნეები ჰყავდა მიწვეული, რომლებიც სამეურნეო მოღვაწეობას ეროვნული გამოცდილების სპეციფიკის გათვალისწინებით ეწეოდნენ. მასვე ჰქონია შეძენილი დიდძალი მიწები სომხეთსა და საქართველოში, სადაც ასევე ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა დავალებული „ვაზისა და ხეხილის დარგვა და მოვლა, ქარიზებისა და არხების გაჭრა, რუების გაყვანა და ნაყოფის დაკრეფა" (მიმოწერა, 53 და შმდ.) და ა.შ.

იბნ–ბატუტა 1304-1377 წწ.
იბნ–ჰალდუნი 1332-1406 წწ.

დიდია ცნობილი არაბი გეოგრაფების *იბნ–ბატუტასა* და *იბნ–ჰალდუნის*[2] ნაშრომთა მნიშვნელობა ფეოდალური ხანის ევრაზიის სავაჭრო-საქარავნო გზებისა და მის გასწვრივ მდებარე ქვეყნებისა და ხალხების, მათ შორის კავკასიის ხალხების შესახებ.

1325 წ. მაროკოდან ჰაჯის შესასრულებლად გამგზავრებული იბნ-ბატუტა ეგვიპტის, არაბეთის, ირანის, მესოპოტამიისა და სხვა ქვეყნების გვერდით აღწერს ყირიმსა და სამხრეთ რუსეთის ველებს, საინტერესო ცნობებს იძლევა ჩრდილო კავკასიის ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის, ეთნიკური შემადგენლობის, კულტურის თავისებურებებისა და სხვ. შესახებ. რაც შეეხება იბნ-ჰალდუნს, მის ცნობილ 3 ნაწილიან ნაშრომიდან „წიგნი სანიმუშო მაგალითებისა არაბების, სპარსელების, ბერბერების და სხვა მათი თანამედროვე ხალხების ისტორიიდან", ბოლო ნაწილში

---

[1] *Фазлуллах Рашид-ад-дин.* Джами-ат-Товарих, перевод и составитель научно-критического текста на персидском языке А.А.Али-Заде, Баку, 1957; *Letters of Rashid-ad-din Fadl Allah.* Persian texst, edited by khau Bahadur Mohammad Shafi. Pendjab University Oriental Publikation, №7, Lahore, 1947; *კარლო ტაბატაძე.* რაშიდ-ადიდინის ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბილისი, 1968.

[2] The Travels of Ibn Battuta A.D. 1323-1354, ed. by H.A.Gibb, V. 1-2 Cambridge, 1958-1962; Крачковский И.Ю. Арабская географическая литература, Соч., т. IV, М.-Л., 1957.

ვხვდებით ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის საინტერესო პასაჟებს ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს შესახებ.

ალ–უმარი 1301-1349 წწ.
ალ–მუჰიბბი გარდ.1384 წ.
ალ–კაშკანდი 1355-1418 წწ.

საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ XIV–XV საუკუნეებში მოღვაწე არაბი ისტორიკოსების *ალ-უმარის, ალ-მუჰიბბისა* და *ალ-კაშკანდის* ცნობებს.[1] საქმე იმაშია, რომ ამ პერიოდში გარეშე მტრებისა, და პირველ რიგში კი, მონღოლების გამუდმებული შემოსევების შედეგად, დაქვეითების გზაზე დამდგარ ამიერკავკასიის ქვეყნებს წყაროთა განსაკუთრებული დეფიციტი შეექმნათ. ივ. ჯავახიშვილის მითითებით XIV–XV საუკუნეებში ქართული საისტორიო ძეგლების მთლიანად დაღუპვამ დიდი სიძნელეები შეუქმნა საქართველოს ისტორიის მკვლევართ და ისინი ქვეყნის საერთო ვითარების კვლევის საქმეში უცხო, მტრისაგან დაწერილი წყაროს გამოყენების ამარა დატოვა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში არაბ ისტორიკოსთა თუნდაც ფრაგმენტულ მონაცემებს საქართველოსა და ირან-ეგვიპტის საგარეო პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ.

XIII საუკუნე აზიისა და ევროპის ხალხთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენებით აღინიშნა. ამ პერიოდში ევროპაში ბოლო მოეღო გაუთავებელ შიდაომებს და ფეოდალურ დაქუცმაცებულობას, საფუძველი ჩაეყარა მსხვილი ფეოდალური სახელმწიფოების ფორმირებას, თუმცა ახლა სწორედ მათ შორის დაიწყო მეტოქეობა, რაც ხშირად მძაფრ დაპირისპირებაში იზრდებოდა.

თავის მხრივ XIII საუკუნის აზია ევროპელთათვის ახალი შემაშფოთებელი მოვლენებით წარმოჩნდა. ცენტრალურ

---

[1] *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ.* არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩალეიშვილმა, თბილისი, 1988; *В.Тизенгаузен.* Заметки Элькашанди о грузинах. Записки восточного отделения Императорского русского археологического общества, т. I, вып. III, СПб., 1886.

აზიაში შეიქმნა და ჩამოყალიბდა მონღოლთა ძლიერი ადრეფეოდალური იმპერია, დაიწყო გაუთაევებელი ლაშქრობები და ექსპანსია დასავლეთისაკენ. მონღოლთა ელვისებურმა თავდასხმებმა, შეუფერხებელმა და გამანადგურებელმა დაპყრობებმა თავზარი დასცა ევროპას და სერიოზულად დააფიქრა ინგლისისა და საფრანგეთის მეფეები, იმპერატორი ფრიდრიხ II და რომის პაპი გრიგოლ IX. დაიწყო სერიოზული ინფორმაციის შეგროვება მონღოლთა ფანტასტიკური ძალისა და ევროპელთათვის ჯერ კიდევ გაურკვეველი და შეუცნობელი წარმატებების ასახსნელად, რის გამოც სასწრაფოდ გაიხსნა წინა აზიის უძლიერესი სამთავროს ისმაილიტიანთა საელჩოები საფრანგეთსა და ინგლისში.

რაც მთავარია, ევროპელთა საბედნიეროდ, რუსეთის სამთავროებისა და, კიევის რუსეთის, უნგრეთის, მორავიისა და სილეზიის დაპყრობისა და განადგურების შემდეგ ადრიატიკის სანაპიროებთან მისულმა მონღოლებმა 1242 წელს მოულოდნელად იბრუნეს პირი ევროპისაგან და უკან გაბრუნდნენ. მართალია, მეცნიერება დიდხანს იტეხდა თავს მონღოლთა ასეთი მოულოდნელი უკუქცევის მიზეზების გასარკვევად, თუმცა საბოლოოდ იგი მაინც მონღოლთა შიდა წინააღმდეგობებითა (ვ. ბარტოლდი) და რუს სამთავროთა გამუდმებული აჯანყებებითაა (ა. იაკუბოვსკი) ახსნილი, რამაც დასავლეთ ევროპის კარიბჭესთან დაუბრკოლებლად მისული მონღოლები თავის ბუნაგში – ვოლგაზე დააბრუნა.

მონღოლები წავიდნენ ევროპიდან, მაგრამ შიში მათი კოლოსალური ძალისა და ძლიერებისა, მათი კვლავ დაბრუნებისა, ევროპას დიდი ხნის განმავლობაში უკარგავდა მოსვენებას.

მიუხედავად პოლიტიკური სიტუაციების გამწვავებისა XIII საუკუნეს დასავლეთი ევროპა სოციალურ–ეკონომიკური ვითარების ახალი აღმავლობით შეხვდა. საგაღებმიცემო ურთიერთობისა და სავაჭრო კაპიტალის დაგროვებასთან ერთად იწყება ევროპელთა პირველი დაზვერვითი მოგზაურობანი აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც ძველთაგანვე ევროპაში შემოჰქონდათ ძვირფასი ნედლეული და საქონელი. თავდაპირველად დასავლეთ ევროპელი მოგზაურობები აღწევდნენ ამ დროისათვის უზარმაზარ და ევროპასთან უკვე დამეზობლებულ მონღოლეთის იმპერიას, აქედან კი ევროპელ ვაჭართათვის ყველაზე მეტად საინტერესო – ინდოეთსა და ჩინეთს. ახალი დროის პირველი ასეთი ევროპული მოგზაურები იყვნენ *პლანო კარპინი,* (1182-1252წწ.), *რუბრუკვისი* (დაახლ.

1215/20-1293წწ.) და *მარკო პოლო* (1254-1324წწ.), რომელთაგანაც ბოლო ორმა აღმოსავლეთში და უკან კავკასიის, კერძოდ ჩრდილო კავკასიის ველების გავლით იმოგზაურეს და მთლიანად კავკასიელი ხალხების ყოფისა და კულტურის შესახებ საყურადღებო მონაცემები დაგვიტოვეს.

პლანო კარპინი
1182-1252 წწ.

ფლამანდიელი მოგზაურის *პლანო კარპინის*[1] ნაშრომი „მონღოლთა ისტორია" ძირითადად მონღოლეთის იმპერიის აღწერას ეძღვნება და არმენიის, გეორგიანების (მათ შორის იბერებისა და კახელების), ალანებისა თუ ჩერქეზების შესახებ ფრაგმენტულ ცნობებს მოიცავს. საგულისხმოა, რომ რუსულენოვან წყაროებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ქართველებს იგი ობეზების სახელწოდებით მოიხსენიებს და აქაური მოსახლეობის კულტურულ ყოფით თავისებურებებს ალანიის, საბერძნეთისა და კონსტანტინეპოლის ზოგადი მონაცემების შუქზე განიხილავს.

რუბრუკვისი
1215/20-1293 წწ.

ფრანგმა მონაზონმა *რუბრუკვისმა*,[2] რომელიც 1253 წელს ლუდოვიკო IX ელჩად გაგზავნა მონღოლეთში,

---

[1]*Джиовани дель Плано Карпини.* История монгалов. Путешествия в Восточные страны Плано Карпини и Рубрука. Редакция, вступительная статья и примечания Н.П.Шастиной, М., 1957; *Плано Карпини, Асцелин.* Собрание путешествий к татарам и другим восточным народам, СПб., 1825; *Иоанн де Плано Карпини,* История монголов, *Вильчем Рубрук,* Путешествие в восточные страны, СПб., 1911; *პლანო კარპინი.* ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ეუწოდებთ, თარგმნა გერონტი ქიქოძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ., 1942.

[2]*Гильом де Рубрук.* Путешествия в восточные страны. Путешествия в Восточные страны Плано Карпини и Рубрука. Редакция, вступительная статья и примечания Н.П.Шастиной, М., 1957; *Вильгельм (Гильом) Рубрук.* Путешествие в Восточные страны Вильгелма де Рубрука в лето благости 1253. Перевод с

კონსტანტინოპოლიდან ყარაყორუმში ყირიმის, აქედან კი ტანაისისა და ვოლგის სანაპიროების გავლით ჩავიდა. უკან დაბრუნებისას კი, სარაიადან მან გაიარა „რკინის ჭიშკარი" – დერბენტი, შემახა, მუღანის ველი, ზემოთ არაქსით ნახჭევანი, ერზერუმი, ერზინჯანი, კილიკია, კვიპროსი, ანტიოქია და ტრიპოლი. თავის ნაშრომში „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში" რუბრუკი გვამცნობს რიგ საინტერესო ცნობებს კავკასიის იმ ქვეყნებისა და ხალხების შესახებ, რომელიც მან მოინახულა მოგზაურობის დროს (მოგზ.,13,20 და შმდ.). კერძოდ, იგი გვაწვდის ცნობებს ალანებზე და მათ შეიარაღებაზე, ლეკებზე და კავკასიის მთიელ ებრაელებზე, ქართველებზე, სომხებზე და ამიერკავკასიაში მყოფ მონღოლებზე, საგულდაგულოდ აღწერს დერბენტს და იძლევა მოკლე ცნობებს ნახჭევანისა და შემახის შესახებ (მოგზ.,50). ჩანაწერებში აქა–იქ ვხედებით ცნობებს ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობის შესახებ. კერძოდ, რუბრუკვისი ლაპარაკობს ალანებში იარაღის დამზადებაზე, მევენახეობაზე ჩრდილოეთ კავკასიაში და ა.შ. (მოგზ.,50 და შმდ.). ამასთანავე, მისი აღწერის ნაწილი ჩერქეზებზე, ტფილისზე და განჯაზე სხვის მონათხრობს, ან კიდევ აღწერებს ეყრდნობა, თუმცა საბოლოო ჯამში მათი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება უაღრესად დიდია.

მარკო პოლო
დაახლ. 1254-1324 წწ.

მარკო პოლო[1] პირველი ევროპელი მოგზაურია, რომელსაც წილად ხვდა მოევლო აზიის უმეტესი ქვეყნები და ხალხები. მისმა ჩანაწერებმა და რუკებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს იმ პერიოდის ევროპელ ინტელექტუალთა მიღწევების პროგრესზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარკო პოლოს ნაშრომებით გაეცნო ევროპა ჩინურ კომპასსა და წიგნის ბეჭდის ხელოვნებას, ხოლო მისი ზოგიერთი მონაცემი გამოყენებული იქნა ქრისტეფორე კოლუმბის მიერაც.

латинского А. Малеина: в кн: История Монголов Плано Карпини и путешествие в восточные страны Вильгельта де Рубрука, СПб., 1911.

[1]*Путешествия Марко Поло.* Перевод И.П.Минаева, СПб., 1902; *П.К.Губер.* Хождение на восток венгизейского гостя Марко Поло, прозванного миллионщиком, с предисловием проф. Д.Н.Егорова, Л., 1929; *В.Шкловский.* Марко Поло. В ведение, комментарии и редакция К.И.Кунина, М., 1936;

ყირიმის, ჩრდილო კავკასიის, ვოლგის შესართავისა და მიმდებარე ტერიტორიების აღწერასთან ერთად მარკო პოლო საინტერესო ცნობებს გვაწვდის აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შესახებაც, თუმცა მას უშუალოდ არ მოუვლია ეს ქვეყნები. მისი ცნობებით ირკვევა, რომ სომხეთში იმ პერიოდში იქ შესახლებული თათრები მომთაბარე ცხოვრების წესს მისდევდნენ. სომხეთის საზაფხულო საძოვრებზე „ზაფხულობით თათრები ცხოვრობენ თავიანთი ჯოგებით, ხოლო ზამთრობით ისინი იქ აღარ არიან, დიდ სიცივეებსა და თოვლს პირუტყვი ვერ უძლებს და საზამთროდ თათრები მიდიან თბილ ადგილებში, სადაც პირუტყვისათვის ბალახი და საძოვრებია" (მოგზ.,XXV).

მარკო პოლო პირველად შეეხო და აღნიშნა ბაქოს „ზეთის" ანუ ნავთის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც „საკვებად არ ვარგა, საწვავია და ქეცით დაავადებული აქლემების სამკურნალოდ ხმარობენ: მრავლად მოდიან ამ ზეთისათვის და მთელ ქვეყანაში მხოლოდ მას ხმარობენ საწვავად" (მოგზ.,XVI).

მარკო პოლოს ცნობით ქართველები „ლამაზები, ვაჟკაცები, საუკეთესო მსროლელნი და მამაცი მებრძოლები არიან." საქართველოში „ქალაქები და ციხე-სიმაგრეები საკმაოდ ბევრია. დიდძალია აქ აბრეშუმი, ამზადებენ აბრეშუმისა და ოქროს ქსოვილებს, ასეთ ლამაზებს ვერსად იხილავთ. მსოფლიოში ყველაზე უკეთესი სანადირო ძაღლები აქაა მოშენებული. ყველაფერი მრავლადაა აქ. ხალხი აწარმოებს ვაჭრობასა და ხელოსნობას. მთები, ხეობები, ციხე-სიმაგრეები ბევრია და თათრებმა ვერ შეძლეს სავსებით დაემორჩილებიათ ეს ქვეყანა... საქართველოში მშვენიერი ქალაქია თბილისი. ირგვლივ მრავალი ციხე-სიმაგრე და სოფელია, სადაც ცხოვრობენ ქრისტიანები, ქართველები, სომხები, სარაცინები და ებრაელები, მაგრამ ცოტა. აქ ამზადებენ აბრეშუმის და სხვ. ქსოვილებს; ხალხი ხელოსნობას ეწევა და ემორჩილება სათათრეთის დიდ მეფეს" (მოგზ.,LX და შმდ.).

მონღოლთა მიერ ამიერკავკასიაში დატრიალებული დიდი სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული ნგრევის მიუხედავად, თათარ-მონღოლთა შემოსევები არც ამჯერად დამთავრებულა მომთაბარეობის გამარჯვებით. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების გამუდმებული განმანთავისუფლებელი ბრძოლის შედეგად, რასაც XIII

საუკუნის დასაწყისში ილხანთა სახელმწიფოს კრიზისიც დაერთო, მონღოლმა ურდოებმა საქართველოსა და სომხეთ'ში საბოლოოდ ვერ მოიკიდეს ფეხი,

სამწუხაროდ, ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. XIV საუკუნის მიწურულს ამიერკავკასიის ქვეყნებს ახალი განსაცდელი მოევლინა. 1386-1403 წლებ'ში თემურ ლენგის რვაგზის შემოსევამ ამიერკავკასიის ქვეყნები საბოლოოდ დასცა და გააჩანაგა. თურქმანთა ამ შემოსევებს ტრაგიკული შედეგები მოჰყვა არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისითაც. მარტო საქართველომ ამ ბრძოლებში დაკარგა თავისი სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები, მოძმე სომხეთი, სადაც ადგილობრივ მიწისმფლობელთა კლასი მონღოლ-თათარ-თურქმან მომთაბარეთა არისტოკრატიამ შეცვალა. თავის მხრივ, აზერბაიჯანის მიწები მდ. მტკვრის სამხრეთით XV საუკუნეში ხელთ იგდო შუა აზიის თურქმან-ოღუზთა სატომო გაერთიანებამ, რომელიც აღნიშნულ პერიოდ'ში მომთაბარეობდა აზერბაიჯანის სამხრეთ რაიონებსა და მეზობელ ქვეყნებ'ში. საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა შაქის ქვეყანა და ისეთი შინაგანი კუთხეც კი, როგორიც იყო ლორე, სადაც ქართული აზნაურობა აიყარა და იძულებული გახდა მამა-პაპეული მიწები თურქმანებისათვის დაეთმო. ფეოდალური საქართველოს ამ უმნიშვნელოვანეს კუთხეში მომთაბარეთა მეურნეობა იკიდებდა ფეხს.

საგულისხმოა, რომ თემურ ლენგი პირველი გახლდათ, რომელმაც მიზნად დაისახა კავკასიის ქვეყნების საბოლოო დაპყრობა და დაჩოქება და არაბთა, თურქ-სელჩუკთა და თათარ-მონღოლთა ურდოებისაგან განსხვავებით, თავისი ლაშქრით პირველმა შეაღწია კავკასიის მაღალმთიან ხეობებ'ში. მემატიანის გადმოცემით იქ მან მიწასთან გაასწორა იმ პერიოდ'ში განვითარების ზენიტ'ში მყოფი ოსეთის ფეოდალური სახელმწიფო, რომლის დევნილმა მოსახლეობამ თავი შეაფარა მიუვალ ხეობათა სათავეებ'ში.

თემურ ლენგის შემოსევებით ყველაზე მეტად ამიერკავკასიის ქვეყნების ინტენსიური მეურნეობა დაზარალდა. თურქმანთა ურდოები დაპყრობილი ხალხების წინააღმდეგობის დაძლევას სწორედ მტკიცე ეკონომიკური ბაზის მოშლით ლამობდნენ. ქართულ, სომხურ და სპარსულ წყაროებ'ში დაცულია არაერთი ცნობა თემურ ლენგის მომთაბარეთა მიერ ამიერკავკასიის ქვეყნებ'ში პურეულის ყანების დაწვა-მოოხრების, ვენახის, ხეხილის ბაღებისა და ნიგვზის ხეების აჩეხვის, ტყავის შეძრობისა და სხვა ბარბაროსული მეთოდების შესახებ. ცხადია,

მარცვლეული კულტურების ნათესებისა და ბალ-ვენახების განადგურებით თემურ-ლენგი ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა-მეურნეობის დარგების მოშლით ძირს უთხრიდა კავკასიის ქვეყნების ფეოდალურ ეკონომიკას, ამასთან ერთად კი, მომთაბარეთა ჯოგებისა და ფარებისათვის საძოვრებსაც უზრუნველყოფდა.

თემურ ლენგის შემოსევებისა და რბევის კვალი აშკარად დააჩნდა ამიერკავკასიის ქვეყნების სამეურნეო-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. სპარსულენოვანი ავტორები – ნიზამი ად დინი, ალი იეზიდი, მირხონდი და სხვ. შემაშფოთებელ ცნობებს იძლევიან აღნიშნულ პერიოდში სომხეთსა და საქართველოში, აზერბაიჯანის ცალკეულ კუთხეებში განვითარებული მეურნეობისა და კულტურული ცხოვრების ნგრევისა და გაჩანაგების მასშტაბების შესახებ. სოფლის მეურნეობისა და საერთოდ ეკონომიკური დაქვეითების მაჩვენებლად იქცა ხალხის მეტყველებასა და წერილობით წყაროებში შემოსული, წინათ იშვიათი, ანდა სრულიად უცნობი ისეთი ტერმინები, როგორიც იყო *ნაფუძარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, ნავენახევი, პარტახტი* და ა,შ, მართალია, ამიერკავკასიის ქვეყნები ამჯერადაც გადაურჩნენ მომხდურთა უშუალო დაპყრობა-დამკვიდრებას, მაგრამ სამაგიეროდ თავი იჩინა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძიმე შედეგებმა, რაც ერთიანი ფეოდალური სისტემის პოლიტიკური დაშლით, სამეფო-სამთავროების გაჩენითა და პარტიკულარისტული ტენდენციების გამარჯვებით აღინიშნა. ამ პროცესებმა განსაკუთრებით თვალნათლივ იჩინა თავი საქართველოს ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცების მაგალითზე.

თემურ-ლენგის შემოსევებს კიდევ უფრო მძიმე შედეგები მოყვა საგარეო ურთიერთობის სფეროში. ქართველი და კავკასიელი ხალხების სამასწლოვანი ბრძოლა მომთაბარეთა წინააღმდეგ ბოლოს და ბოლოს დამარცხებით დამთავრდა. გაუთავებელი ომებისა და სამეურნეო-კულტურული ნგრევის შედეგად კავკასიის ქვეყნების ნორმალური განვითარების პირობები არსებითად შეიცვალა, გარე სამყაროსთან მათი გავლენა და ავტორიტეტი უკიდურესად დაეცა. საკუთრივ საქართველომ ვერ განახორციელა დიდი ამოცანა კავკასიის გაერთიანებისა. ამ უთანასწორო ბრძოლაში მან საბოლოოდ დაკარგა მოძმე მეზობელი ქრისტიანული ქვეყნები და მოზღვავებულ მომთაბარეთა აგრესიის პირისპირ აღმოჩნდა, რომლის მიზანიც ადგილობრივი მაღალგანვითარებული ფეოდალური კულტურის მოშლა და მის ადგილას აღმოსავლურ-

ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობის დამკვიდრება იყო. თემურ-ლენგის შემოსევებმა ეს მიზანი არსებითად დაასრულა.

თემურ–ლენგის ეპოქის ევროპელ ავტორთაგან საქართველოსა და კავკასიის შესახებ მეტნაკლებად სრულყოფილი მასალები გერმანელ *იოჰან შილტბერგერსა* (1381-1440წწ.) და ესპანელ *რუი გონსალეს კლავიხიოს* (გარდ.1412წ.) ეკუთვნით.

იოჰან შილტბერგერი
1381-1440 წწ.

იოჰან შილტბერგერი[1] უნგრეთის ჯარში მსახურობისას მრავალი წლის განმავლობაში ჯერ თურქეთის სულთანის ბაიაზეთ I, ხოლო შემდეგ თემურ ლენგისა და მისი მემკვიდრეების ტყვეობაში იმყოფებოდა. მათთან სამსახურის დროს შილტბერგმა მოიარა ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყანა, მათ შორის კავკასიის ქვეყნებიც. მის ცნობებს ჩერქეზების, დაღესტნის, აზებაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თუნდაც იმიტომ, რომ შილტბერგერის შრომები უაღრესად პოპულარული იყო XV–XVI საუკუნეების ევროპაში.

შილტბერგერის ასეთი პოპულარობა, ბუნებრივია, მის მიერ აღწერილი ფაქტებისა და მოვლენების არჩევეულებრივი არსისა და თხრობის ორიგინალური სტლიდანაც გამომდინარეობდა. საკმარისია დავასახელოთ მისი ნაშრომის ის ნაწილი, სადაც იგი აღწერს ჩერქეზებს. „... ჩერქეზთა მიწა შავი ზღვის სანაპიროზე დასახლებულია ბერძნული რწმენის მიმდევარი ქრისტიანებით; ...ისინი ბრაზიანები არიან და ყიდიან თავიანთ და სხვისგან მოპარულ ბავშვებს წარმართებს. ისინი ასევე ეწევიან ყაჩაღობას და ლაპარაკობენ განსაკუთრებულ ენაზე. მათი ჩვეულების მიხედვით მეხის დაცემით გარდაცვლილებს დებენ კუბოში და შემდეგ კიდებენ მაღალ ხეზე. ამის შემდეგ მოდიან მეზობლები, თან მოაქვთ საჭმელ-სასმელი და იწყებენ ცეკვასა და მხიარულობას, კლავენ ხარებს და ცხვრებს და ხორცის დიდ ნაწილს ურიგებენ ღარიბებს. ამას ისინი აკეთებენ სამი დღის განმავლობაში და იმეორებენ იმასვეს ყოველწლიურად, სანამ გვამები სრულიად არ

---

[1]*Иоганн (Ганс) Шильтбергер.* Путешествие Ивана Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 года по 1427 год. Перевод с намецкого Ф.Брауна. Записки Новоросийского университета, т. I, вып. 1-2, Одесса 1867.

გაიხრწნებიან, წარმოიდგენენ რა, რომ კაცი რომელიც მეხის დაცემით მოკვდა, წმინდანი უნდა იყოს" (მოგზ.,78).

სამხრეთ რუსეთის ველების შეფასებისას შიტლბერგერის შენიშვნა, რომ სამი თვის სავალ გზაზე იქ მან „ვერ ნახა ტყე, ვერც ქვები და მხოლოდ იყო ბალახი და ლერწამი," საოცრად ჩამოგავს რუბრუკის ცნობას იმის შესახებ, რომ სამხრეთ რუსეთს სტეპებში „არაა მთები, არაა ქვა და არაა ტყეები, მაგრამ საუკეთესო ბალახეულია" (მოგზ.,58-59).

რუი გონსალეს დე კლავიხიო
გარდ. 1412 წ.

ეპოქალური შეფასების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია ამავე პერიოდის ესპანელი დიპლომატის *რუი გონსალეს დე კლავიხიოს*[1] ნაშრომი „ელჩობა თემურ ლენგთან", რომელშიც XIV–XV საუკუნეების მიჯნის საქართველოსა და კავკასიის შესახებ მეტად სანდო ცნობებს ვხვდებით. კლავიხიო სათაყვეში ედგა კასტილია-ლეონეს მეფის ენრიკე III მიერ თემურ ლენგთან გაგზავნილ დიპლომატიურ მისიას და უკან დაბრუნებისას მას კავკასიის ქვეყნებზე, ნაწილობრივ კი საქართველოზე მოუხდა გავლა. ესპანელი დიპლომატი ენრიკე III მითითებით მოქმედებდა და დაწერილებით აღწერა ყველა ის ხალხები, რომლებთანაც მას მოუხდა შეხება. მან იშვიათი სიზუსტით აღწერა ადგილობრივი მოსახლეობის ადათ–წესები და ცხოვრების პირობები (დღიური,97). ამასათან, ბუნებრივია, ამ და სხვა მისიების უმნიშვნელოვანეს ამოცანას აღმოსავლეთის ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური ვითარების შესწავლა და ეკონომიკური კავშირების დამყარება წარმოადგენდა. ეს გარემოება კარგად ჩანს რუი დე კლავიხიოს მიერ დერბენტისა და კასპიისპირეთის სავაჭრო გზის უშუალო გაგრძელებაზე მდებარე ქალაქების–თავრიზისა და სულთანიეს ხატოვანი აღწერიდან. ესპანელი დიპლომატის ცნობით თავრიზი მდიდარია სხვადასხვა საქონლით, განსაკუთრებით მარგალიტით, ბამბეულისა და აბრეშუმის ქსოვილებით, სურნელოვანი ზეთით,

---

[1]*Рюи Гонзалес де Клавихио.* Дневник путешествия ко двору Тимура в Самарсканде в 1403-1406 гг. Подлинный текст с переводами и примечаниями, составленный под редакцией И.И.Срезневского, СПб., 1881; *რუი გონსალეს დე კლავიხიოს* ცნობები *საქართველოს შესახებ,* ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1992.

ხოლო სულთანიეში გაჩაღებულია ვაჭრობა ორმუზდიდან ჩამოტანილი ძვირფასი ქვებით და მარგალიტებით, შირაზიდან, იეზდიდან, გილანიდან, შემახიდან ჩამოტანილი აბრეშუმის ქსოვილებით, ხორასნიდან მოზიდული ბამბეულის ქსოვილებით, ინდოეთიდან და მოლუკების კუნძულებიდან ჩამოტანილი სანელებლებით და აგრეთვე სხვა საქონლით, რაც ქარავნებით შემოჰქონდათ ბაღდადიდან, დამასკოდან და აღმოსავლეთის სხვა ქალაქებიდან (დღიური, 80 და შმდ.).

რუი დე კლავიხიო სხვა კუთხით იხილავს საქართველოს „ქართველები (grieganos) კარგი აგებულების და ლამაზი სახის ხალხია, მათი რელიგია ბერძნულია, ენა კი განსაკუთრებული" (ცნობები,38).

საქართველოდან რუი დე კლავიხიოს და მის მხლებლებს ქრისტიანი სომხებით, მაგრამ „ცუდი ზნე–ჩვეულების ხალხით" (ცნობები,38) დასახლებულ მთაგორიან გზებზე უვლიათ. სამაგიეროდ იგი კარგად ახასიათებს სურმენესა და ტრაპიზონის მხარეს „რომელიც ზღვასთან მდებარეობს, დაფარულია მთებითა და ტყეებით. ტყეში ყველა ხეზე გაშვებულია ვაზი, რომლის (ნაყოფისაგან) აყენებენ ღვინოს". (ვაზს) არასოდეს არ უვლიან. ცხოვრობენ დაბებში (poblado), რაც მათ ენაზე ნიშნავს აგარაკს (quinteria), ე.ი. ერთ ადგილას გაერთიანებულია რამდენიმე კომლი (ცნობები,38-39).

ათანასე ნიკიტინი
გარდ. 1472 წ.

XV ს. მეორე ნახევარში ბაქოს, შემახასა და კავკასიის სხვა მიმდებარე ტერიტორიებზე გაიარა ცნობილმა რუსმა მოგზაურმა *ათანასე ნიკიტინმა*,[1] რომლის ნაშრომში- *„მოგზაურობა სამი ზღვის იქით"*–თავმოყრილია საინტერესო ცნობები აღმოსავლეთის ქვეყნებისა და პირველ რიგში კი ინდოეთის შესახებ. სამწუხაროდ, ნიკიტინის ცნობები კავკასიის შესახებ არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის შენიშვნას საქართველოს შესახებ, სადაც მისი თქმით ყველაფერი უხვადაა.

უშუალოდ კავკასიით ევროპელი მეცნიერები უკვე XV საუკუნიდან ინტერესდებიან, რაც მსოფლიო სავაჭრო გზების

[1] *А.Никитин.* Хожение за три моря, М.-Л., 1958.

გადანაცვლებასთან იყო დაკავშირებული. ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი საზღვაო გზების აღმოჩენასა და ახლო აღმოსავლეთთან ერთად ყირიმისა და კავკასიის სანაპიროებზე ვენეციისა და გენუის კოლონიებს, რომელთა ფლოტმაც აითვისა არა მარტო შავი, არამედ კასპიის ზღვების აუზებიც.

ადრეული პერიოდის ევროპელ მოგზაურთა შორის მნიშვნელოვანია *ჯოსაფატ ბარბაროს* (1413–1493წწ.), *პიედრო დელლა ვალესა* (1586-1652წწ.) და *ამბროზიო კონტარინის* (XVს) ცნობები, რომელთა დაინტერესება ყირიმისა და კავკასიის სანაპიროებით აქ იტალიელთა კოლონიების დაარსებას ემთხვევა.

ჯოსაფატ ბარბარო
1413-1493 წწ.

ტანაში (აზოვი) ვენეციის ელჩის *ჯ. ბარბაროს*[1] *„მოგზაურობის"* ორტომეულის პირველ წიგნში აღწერილია 1436–1451 წლებში კავკასიაში, სამხრეთ რუსეთსა და ყირიმში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. მართალია, იტალიის ინტერესებიდან გამომდინარე ბარბარო ძირითად ყურადღებას ყირიმელ თათრებს უთმობს, მაგრამ ცნობებს ჩერქეზების (ადიღების), ყაბარდოელების, ოსებისა თუ ქართველების შესახებ მას შუაფეოდალური ხანის ავტორთა შორის გამორჩეულ ადგილს აკუთვნებს. იმ პერიოდის ევროპელ ავტორთა მსგავსად ბარბაროც ვერ ასცდა ცდუნებას და კავკასიელთა ყოფის არაერთი მხარე პირველი შთაბეჭდილებებით გააშუქა. კრემუხთა (ჩერქეზეთი) ქვეყნის აღწერისას ყაბარდოელთა დახასიათებისას იგი წერდა: „აქ არის მშვენიერი ველები, მრავალი მდინარე. ამ ქვეყნის დიდებულები იმით ცხოვრობენ, რომ დაეხეტებიან ველზე და ძარცვავენ განსაკუთრებით ქარავნებს, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან, ჰყავთ შესანიშნავი ცხენები. თვითონ სხეულით ძლიერნი და ზნით ცბიერნი არიან. ჩვენნაირი სახე აქვთ. ამ ქვეყანაში ბევრია პური, ასევე ხორცი და თაფლი, მაგრამ არ არის ღვინო" (მოგზ.,X). საგულისხმოა,

---

[1] *Иостаф Барбаро.* Путешествие в Тану Иосафата Барбаро, венецианского дворянина. Перевод с итальянского В.Семенова. Библиотека иностранных писателей о России, т.I, СПб., 1863; *ჯოსტაფ ბარბარო.* კეთილშობილი ვენეციელის ჯოსტაფ ბარბაროს მოგზაურობა ტანაში და სპარსეთში, XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1981.

რომ ბარბარო შუა საუკუნეების ევროპელ მოგზაურთა შორის პირველი ახსენებს ყაბარდოელებს და გამოჰყოფს მათ ჩერქეზი ხალხისაგან (მოგზ.,X). იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ასებს ანუ ალანებს, რომლებიც „ისე როგორც ჩერქეზები ბერძენთა რწმენას აღიარებენ" (მოგზ.,VIII და შმდ.). ბარბაროს შენიშვნას, რომ მის დროს (XVს. I ნახევარი) ჩერქეზები მისდევდნენ ქრისტიანობას და ჯერ კიდევ არ იცნობდნენ მუსლიმანობას, მოგვიანებით ადასტურებს ინტერიანოც.

მეტად საინტერესოა ბარბაროს ჩანაწერები საქართველოს შესახებაც. მის ცნობებს საქართველოში ისტორიულად მომდინარე ტრადიციული სამეურნეო დარგების, ქართველთა აღნაგობის, ზნე-ჩვეულებებისა და ჩაცმულობის, ხალხური კულინარიისა და სუფრის წესების (მოგზ.,XIV) შესახებ, უდავოდ პირველხარისხოვანი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვთ ფეოდალური ხანის ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის შესწავლისათვის.

ამბროზიო კონტარინი
XV ს.

კავკასიის ხალხების შესახებ ბარბაროს ცნობებს მეტნაკლებად იმეორებს და ავსებს კიდეც ცნობილი ვენეციელი დიპლომატი *ამბროზიო კონტარინი.*[1] ვენეციიდან სპარსეთში უზუნ ჰასანის კარზე 1473–1477 წლებში ელჩად გაგზავნილმა კონტარინმა გაიარა და აღწერა შავი ზღვის კავკასიის სანაპირო. ბათუმიდან იგი გადავიდა გურიასა და ფოთში, სამეგრელოს გავლით ქუთაისში, სკანდასა და შორაპანში, გორში აქედან კი, ლორეს გავლით გადავიდა არარატსა და თაერიზში. უკან დაბრუნებისას იგი თბილისის გავლით კვლავ მოხვდა გურიასა და სამეგრელოში, მაგრამ თურქთა შემოტევის გამო შეცვალა მარშრუტი და თბილისის გავლით შემახასა და დერბენტში გადავიდა და რუსეთის, პოლონეთსა და გერმანიის გავლით ვენეციაში დაბრუნდა.

ბარბაროსაგან განსხვავებით თავის *„მოგზაურობაში"* კონტარინს უშუალოდ პირადი შთაბეჭდილებები აქვს გადმოცემული. კონტარინი საინტერესო ცნობებს იძლევა

---

[1]Путешествие А.Контарини, посла светлейшей Венецианской республики к знаменитому персидскому государю Узун-Гассану. Библиотека иностранных писателей о России, I, СПб., 1836.

კავკასიის დასახლებული რეგიონების მოსახლეობაზე, კერძოდ მათ ეროვნულ შემადგენლობაზე, კულტურულ ყოფით თავისებურებებზე, ვაჭრობა–აღებ–მიცემობაზე, ადათ–წესებსა და ჩვეულებებზე, საქალაქო ნაგებობებსა და გამაგრებაზე და ა.შ. (მოგზ.,16-21,48 და შმდ.). მართალია იგი გამოირჩევა დიდი უშუალობით, მაგრამ მოვლენათა შეფასებებში ხშირად სუბიექტური მსჯელობები ჭარბობს.

პიედრო დელლა ვალე
1586-1652 წწ.

აღორძინების ხანის იტალიელ მოგზაურ მკვლევართაგან აღსანიშნავია *პიედრო დელლა ვალეს*[1] ნაშრომები. დელლა ვალე, როგორც პოეტი და ლიტერატორი, აღმოსავლეთში რომანტიკული ოცნებების აღსასრულებლად გაემგზავრა, ძირითადად სპარსეთში ცხოვრობდა, სადაც იქორწინა კიდეც მონობიდან გამოსასყიდ ქართველ ქალზე. მიუხედავად ამისა, პოლიტიკისაგან თითქოსდა შორსმდგარი დელლა ვალე ვერ ასცდა ოსმალეთისა და სეფევიდების ირანის პოლიტიკურ პაექრობას, მით უმეტეს, რომ აქ ჩახლართულ ეკონომიკურ ინტერესებში ჩართული აღმოჩნდა რომის პაპი ურბან VIII, რომელთანაც მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

თავის *„მოგზაურობასა“* და *„ინფორმაციებში“* რომის პაპისადმი დელლა ვალე საინტერესო ცნობებს იძლევა კავკასიისა და, კერძოდ საქართველოს შესახებ (მოგზ.,П.,188-190). მართალია, მას უშუალოდ არ უმოგზაურია საქართველოში, მაგრამ შირაზსა და ისპაჰანში იგი შეხვდა ქართველებს, რომელთაგანაც იგი სარწმუნო ცნობებს ღებულობდა შაჰ-აბას I პერიოდის საქართველოს შესახებ. „ინფორმაციებში“ აღწერილია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ქუთაისის, ზაგემის, ტფილისის, საერთოდ იმერეთის, როგორც საქართველოს პოლიტიკური ცენტრის, გურიის, სამეგრელოს, ქართლისა და კახეთის სამეურნეო-ბუნებრივი, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა, ქვეყნის ფეოდალური წყობა და ა.შ. (ინფორმ., П.,189). იმ პერიოდისათვის მეტად საგულისხმოა დელლა ვალეს იდეა მთლიანად ქართველი ხალხის ეთნიკური

---

[1] *Valle Pietro della* (1586-1652), в кн. *Полиевктов М.А.* Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу (ЕППК, XIII-XVIII вв.), Тифлис, 1935.

ერთიანობის შესახებ, რომელიც მისი აზრით გამოხატულია ენის ერთიანობაში და, რომ იმდროინდელი დაქუცმაცებულობა გვიანი პერიოდის პოლიტიკური ვითარების შედეგს წარმოადგენს. სწორედ ასეთი ფეოდალური განკერძოებულობისა და დაშლის შედეგად მიაჩნია დელლა ვალეს ის კატასტროფა, რომელიც მიაყენა საქართველოს შაჰ–აბას I გამანადგურებელმა შემოსევებმა (ინფორმ., П.,189).

ჯორჯიო ინტერიანო
XV-XVI ს. დასაწყისი

და მაინც, ამ და მომდევნო პერიოდის ევროპელ მოგზაურ-მკვლევართაგან კავკასიის ხალხების შესახებ ყველაზე მეტი *ჯორჯიო ინტერიანომ*[1] გააკეთა. მის ნაშრომს ჩერქეზების შესახებ, რომელმაც ავტორს იტალიის აღორძინების ეპოქის დიდი გეოგრაფისა და ეთნოგრაფის სახელი მოუხვეჭა, თავისი არაორდინალური ხედვით დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მკითხველი.

ინტერიანოს არც თუ ისე დიდი მოცულობის ეთნოგრაფიული ნარკვევი ჩერქეზების შესახებ ავტორის ხანგრძლივი დაკვირვებისა და კვლევის შედეგია, რომელშიც აღწერილია ჩერქეზთა ცხოვრება, მათი სამეურნეო და საზოგადოებრივი ყოფა, მატერიალური და სულიერი კულტურა, ადათ-წესები და რწმენა–წარმოდგენები. პროფ. ვ. გარდანოვის შენიშვნით ინტერიანოს ნაშრომი XV საუკუნის მეორე ნახევრის ჩერქეზეთის ენციკლოპედიას წარმოადგენს, რომელშიც შესულია მეტად ღირებული, მანამდე უცნობი ცნობები ჩერქეზთა საცხოვრებლისა და საკვების, მათი ჩაცმულობის და შეიარაღების, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის, წარჩინებული ფენის ცხოერების წესის, ბავშვის

---

[1] *Джорджио Интериано.* Быт и страна Зихов, именуемых черкесами. Достепримечательное повествование. Перевод с итальянского Пенчко Н.А., Венеция 1502. ჯორჯიო ინტერიანოსა და XIII-XIXსს. რიგი სხვა ევროპელი ავტორების ნაშრომთა ტექსტები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების შესახებ რუსულ ენაზე თარგმნილი და გამოქვეყნებულია სპეციალურ კრებულში. იხ. Гарданов В.К. Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. (АБКИЕА), Нальчик, 1974. აქ და ქვემოთ მითითებული ინდექსი „Г“., მიუთითებს გარდანოვისეული გამოცემის ტექსტის გვერდებს.

დაბადებისა და დაკრძალვის წეს–ჩვეულებების, რელიგიის, დამწერლობის, ათალიკობის, სტუმართმოყვარეობის, ყონაღობისა და სხვ. შესახებ (ზიხები, Г.,47-48 და შმდ.).

აღორძინების ეპოქის ჰუმანისტური იდეების მატარებელი ინტერიანო განსაკუთრებით ხაზგასმით აღწერს ჩერქეზთა დაბალი ფენის ჩაგვრას ადგილობრივი დიდებულების მიერ. მარადუამს ცხენზე ამხედრებული, მეზობელთა და თანამემამულეთა ძარცვითა და აბრაგობით დაკავებული ჩერქეზი დიდებულები „ვერ იტანენ, რომ მათ ქვეშემრდომებს ყავდეთ ცხენები. და თუ ისე მოხდა, რომ ვასალმა როგორღაც გამოზარდა კვიცი, მაშინვე მას დიდებული წაართმევს და სამაგიეროდ აძლევს ხარებს. „აი ეს და არა ცხენი დაგშვენდება შენ" – ამ სიტყვებით ამშვიდებს იგი გაწბილებულ ქვეშემდრომს"-წერს ინტერიანო (ზიხები, Г.,47).

XV–XVI საუკუნეების მიჯნაზე იტალიური სავაჭრო ქარავანი შავი ზღვიდან ვოლგა–კასპიის გზით კასპიისპირეთის ბაზრების გილანისა და შირვანისაკენ დაიძრა. იტალიელთა გასელამ აბრეშუმით ვაჭრობის ამ ცენტრებისაკენ გამოაცოცხლა არაბთა, თურქ–სელჩუკთა და მონღოლ-თურქმანთა ბატონობისას ჩამკვდარი კავკასია. ახალ დატვირთვას იძენს ამიერკავკასიის სავაჭრო ტრასაც. ახლა ევროპელ ვაჭრებს შეეძლოთ ესარგებლათ თბილისისა და კასპიისპირეთ-დერბენტის შემაერთებელი შემახის გზით, რომელიც უშუალოდ ეკვროდა კასპიისპირეთ–კავკასიის სავაჭრო ბაზას.

კავკასიის ეს აღმავლობა აღმოსავლეთის ბაზარზე სამწუხაროდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ბიზანტიის ადგილს ამჯერად ახალი – ოსმალეთის იმპერია იჭერს. თურქ–ოსმალთა ძლიერი სახელმწიფოს აღმოცენებით დაიწყო ევროპელთა მიზანმიმართული უკუგდება წინა აზიის სავაჭრო-ეკონომიკური სივრციდან. თურქეთი თავად შეეცადა მცირე აზიისა და კავკასიის სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებას. მეტოქეობა უხდება მას სეფევიდთა ირანთანაც, რომელსაც თურქეთის ამ მიზნების წინააღმდეგ აქტიურად უჭერენ მხარს ოსმალეთისაგან შევიწროებული ევროპის სახელმწიფოები.

ევროპის სახელმწიფოების მზარდ ინტერესებს კავკასია–წინა აზიისა და შორეული აღმოსაელეთის სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრებისადმი XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი, სერიოზული საფრთხე შეექმნა ჩრდილოეთიდანაც. ვოლგისპირეთის სავაჭრო სივრცის დაპყრობის შემდეგ კავკასიის საზღვრებს მიახლოებული რუსეთი შეეცადა

გამაგრებულიყო ამ გზის ბუნებრივ გაგრძელებაზე – კავკასიისა და კასპიისპირეთის სავაჭრო გზებზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ კავკასიური კონფლიქტის ამ კვანძში ევრაზიის წამყვანი ქვეყნების ინტერესთა დაჯახების შედეგი უნდა ყოფილიყო ის ახალი კატასტროფა, რომელიც თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევების შემდგომ პირველად დაატყდა თავს ამიერკავკასიის ქვეყნებს, მათ შორის კი ყველაზე მეტად საქართველოს. მხედველობაში გვაქვს შაჰ-აბას I შემოსევები საქართველოში, რომელმაც მიზნად დაისახა გაეგრძელებინა ჯერ კიდევ თურქ-სელჩუკთა მიერ მომთაბარეთა შემოსახლების ინტენსიური პროცესი. ირანის მზაკვრული პოლიტიკის წყალობით დამპყრობთა ექსპანსიამ ამჯერად, არა მარტო სომხეთისა და აზერბაიჯანის, არამედ საქართველოს ტერიტორიებიც მოიცვა. შაჰ-აბასის შემოსევებით ქართლმა დაჰკარგა არა მარტო მნიშვნელოვანი თავდაცვითი პუნქტები, კერძოდ ბამბაკი და ტაშირი, არამედ სამეურნეო-ეკონომიური თვალსაზრისით უმდიდრესი ხრამ-დებედისა და მტკვრის ჭალები, სადაც მკვიდრად ჩამოსახლდნენ ბორჩალუს, დემურჩი-ასანლუსა და სხვ. მომთაბარე თურქმანები. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, მის ყოფილ მიწა-წყალზე გაქრა ქართული მიწისმფლობელობა, გადაშენდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა. ამ ადგილებში საბოლოოდ განმტკიცდა ლორე-ბამბაკის, შორაგალის, შამშადილუს, ყაზახის, ბორჩალუს, ბაიდარისა და მტკვირს მარცხენა მხარეზე დემურჩი ასანლუს სახანო-სასულტნოები თურქმანულ-ყიზილბაშური მომთაბარე მოსახლეობით.

აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა შაჰ-აბასმა კახეთსაც. 1613-1616 წლების შემოსევებით მან ნანგრევებად აქცია საქართველოს ეს აყვაეებული კუთხე, საგულდაგულოდ აჩეხინა თაეის ურდოებს კახეთის ბაღ-ვენახები, გაულიტა მოსახლეობის დიდი ნაწილი, ხოლო გადარჩენილთაგან 40 ათასი კომლი სპარსეთის შიგა პროვინციებში გადაასახლა. უდიდესი იყო შაჰ-აბასის მიერ ჩვენი ქვეყნისადმი მიყენებული ეკონომიკური ზარალიც. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ 1614 წლის შემოსევა, მაშინ როდესაც მარტო ერწო-თიანეთიდან შაჰის ჯარებს ირანში გაურეკიათ 40 ათასზე მეტი მსხვილფეხა საქონელი და ცხვარი. შაჰს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი კახეთის მოსახლეობის მთლიანი შეცვლა მომთაბარე თურქმანებით. მომთაბარეთა ჩამოსახლებით კახეთის სამეფოს საბოლოოდ ეცლებოდა ხელიდან ბარის ნოყიერი ველები, ხოლო ჭარ-ბელაქანის დაღესტანელთა მტრობა, გზას უღობავდა მთის საზაფხულო საძოვრებისაკენ.

კახეთის მიმართ შაჰის მიერ განხორციელებული ყიზილბაშური პოლიტიკა მიზნად ისახავდა კახეთში მომძლავრებასა და აღმოსავლეთ საქართველოს მანამდე თავისუფალი კუთხის – მთიანეთის ხელში ჩაგდებასაც. იმ მთლიანობის საბოლოო მოშლა, რაც კახეთის ბარსა და მთიანეთს შორის იყო დამყარებული, ირანს აღმოსავლეთ საქართველოში საბოლოოდ გაბატონებას მოუპოვებდა. საყურადღებოა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთს შაჰის პოლიტიკით გამოწვეული განსაცდელისაგან თავის დასაღწევად რუსეთის პოლიტიკური მფარველობაც კი უთხოვიათ, ხოლო 1659 წელს აქტიური მონაწილეობა მიუღიათ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის გაერთიანებულ აჯანყებაში, რომელსაც ბახტრიონის განთავისუფლება და კახეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებული თურქმენი მომთაბარეების განადგურება მოჰყვა.

1659 წლის აჯანყების შედეგად ყიზილბაში მომთაბარეები ერთიანად განიდევნა კახეთიდან, მაგრამ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე კახეთ-ჰერეთის მომიჯნავე სახანო-სასულტნოებში, აგრეთვე ქართლის ზოგიერთ პროვინციაში შაჰ-აბასის მიერ თუ ადრე შემოსახლებული მომთაბარეები საბოლოოდ შემორჩნენ საქართველოს მიწა-წყალს. ველის მომთაბარეთა მრავალსაუკუნოვანმა შემოტევებმა საქართველოში საბოლოოდ მაინც გვიანფეოდალურ ხანაში მოიკიდა ფეხი. ამიერიდან მომთაბარეთა ყოფა ფეოდალური საქართველოს ინტენსიური მეურნეობის უშუალო მეზობლად იქცა, მაგრამ მან ვეღარ შეძლო ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაში იმ საბედისწერო როლის შესრულება, რაც მას საქართველოს მეზობელი სომხეთისა და განსაკუთრებით კი აზერბაიჯანის მიმართ უკვე მოეხდინა.

ევრაზიული სივრცის კავკასიის რეგიონში ჰეგემონობისათვის ატეხილ ბრძოლას პირწმინდად შეეწირა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციებიც. აღმოსავლეთ საქართველოში ირანის მძლავრობას XVI საუკუნიდან მოკიდებული ტოლს არ უდებდა ოსმალთა შემოსევების გააქტიურება, რომელმაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურული და ეკონომიური დაქვეითების საქმეში ასევე საბედისწერო როლი შეასრულა. როგორც ცნობილია, 1859 წელს ოსმალეთმა ყიზილბაშურ ირანთან მეტოქეობაში სამცხე-საათაბაგო საბოლოოდ მიიტაცა და აქ ჩილდირის (ახაციხის) საფაშო დააარსა. XVI საუკუნის 90-იან წლებში სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთის ხელში იყო გადასული, სადაც ოსმალები გულმოდგინედ შეუდგნენ მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობისა და მართვა-გამგეობის

შემოღებას. ქვეყნის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაზე დამღუპველ გავლენას ახდენდა ოსმალთა მიერ ადგილობრივ მოსახლეობაზე შეწერილი გადასახადები, რომელთა სიმძიმე აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა მწარმოებელ კლასს – გლეხობას. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ გლეხები გადასახადებს ვერ აუდიოდნენ და მასობრივად ტოვებდნენ თავიანთ მიწა-წყალს. „დიდ დავთარში" ხშირადაა მითითებული „მოსახლეობისაგან თავისუფალი სოფლები". საერთოდ, სამცხე-საათაბაგოში ამ პერიოდისათვის აღრიცხული იყო დაახლოებით 364 დაუსახლებელი სოფელი.

თურქმან-მონღოლთა და ყიზილბაშთა კვალდაკვალ დაპყრობილ მიწებზე მოსახლეობის აყრასა და გამაჰმადიანებაში არანაკლებ აქტიურობდნენ ოსმალო ასიმილატორებიც. ამ მიზნით ისინი ხშირად მიმართავდნენ მოსახლეობის იძულებითი დეპორტაციის ხერხებს. ადგილობრივი მეურნეობისათვის განსაკუთრებით საშიში უნდა ყოფილიყო სამცხე-საათაბაგოს სხვადასხვა ტერიტორიებზე ოსმალოთა მიერ ქურთული ტომების შემოსახლება, რომელთა ჯოგური მეურნეობა იმთავითვე შეუთავსებელი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინტენსიურ მეურნეობასთან.

თურქ-ოსმალთა ამ აქტიური ექსპანსიის შედეგად საქართველომ ერთბაშად დაკარგა სამხრეთ კავკასიონის, კერძოდ თრიალეთის, მესხეთ-ჯავახეთის, აჭარა-ახალციხისა და არსიანის, აგრეთვე კოლა-არტაანისა და კარჩხალის უმდიდრესი საზაფხულო საძოვრები. ფაქტიურად მოიშალა ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანიდან მომდინარე აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეობის ის სამეურნეო კომპლექსები, რომელიც განპირობებული იყო იორ-ალაზნის აუზისა და მტკვრისპირეთის საზამთრო და თრიალეთ-ჯავახეთის საზაფხულო საძოვრების სამეურნეო-ეკონომიური მთლიანობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ველის მომთაბარეთა მრავალსაუკუნოვან თარეშს, რომელიც XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ილხანთა ირანისა და თურქ-ოსმალების გამანადგურებელი შემოსევებით დასრულდა, ტრაგიკული შედეგებით აღინიშნა არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად ამიერკავკასიისა და მომიჯნავე რეგიონების მოსახლეობისათვისაც. მანიშნებელია, რომ ირან-თურქეთის მიერ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის აოხრება-გაჩანაგების ეს ბოლო პროცესები პირველად მოექცა ევროპული სახელმწიფოების დაკვირვების არეალში. საქმე იმაში გახლდათ, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალის ექსპანსია აღმოსავლეთით, სპარსეთი როგორც პირველხარისხოვანი სავაჭრო ბაზარი, და

ამასთან ერთად ევროპელთა მოკავშირე თურქეთის წინააღმდეგ, აგრეთვე რუსეთის შემოტევა კავკასიაზე. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან წინა პლანზე წევს ამ პერიოდში ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაში დანერგილ ახალ მიმართულებას – ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხს". აქედან მოკიდებული კავკასია, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, ევროპული მოდელის აღმოსავლეთის საკითხის მუდმივ და განუყოფელ ობიექტად იქცა და ევროპის სახელმწიფოთა გლობალური პოლიტიკის თვალსაწიერში მოექცა. დაიწყო ევროპელ დიპლომატთა და მოგზაურ-მკვლევართა მრავალრიცხოვანი ვიზიტები კავკასიაში და კავკასიის გაელით. მათი მოგზაურობა და კავკასიური აღწერები ამჯერად უკვე აღარ ატარებენ შემთხვევით ხასიათს და სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური დავალების ელფერი დაჰკრავთ. ამ მისიას ასრულებდნენ ძირითადად XVI-XVII საუკუნეების ცნობილი ევროპელი ავტორები ემილიო დორტელი დ'ასკოლი (XVI ს. ბოლო – XVII ს.). *ჯიოვანი ლუკა* (XVII ს.), *მარტინ ბრონევსკი* (XVI ს.), *ენგელბერტ კემპფერი* (1051-1716წწ.), *ანტონ (კლაუდიო) ფერანი* (1670-1713წწ.), *არქანჯელო ლამბერტი* (XVII ს.), *ჟოზეფ პიტონ დე ტ'ურნიფორი* (1656-1708წწ.), *ჟან ბაპტისტ ტაევერნიე* (1605-1689წწ.) და სხვ., რომლებიც ბარბაროს, კონტარინის, ინტერიანოსა და სხვა ადრეული ავტორების აღწერებთან ერთად, მნიშვნელოვნად ავსებენ და აფრთოვებენ ევროპელთა თვალსაწიერს კაეკასიის ხალხებისა და საერთოდ კავკასიის შესახებ.

ემილიო დორტელი დ'ასკოლი
XVI ს. ბოლო – XVII ს.

იტალიელი კათოლიკე მონაზონი *ემილიო დორტელი დ'ასკოლი*,[1] რომელიც 1624-1634 წლებში დომინიკიანელთა მისიას ხელმძღვანელობდა კაფში, თავის ნაშრომში „*შავი ზღვისა და თათარეთის აღწერა*" (1634წ.) ძირითადად ჩერქეზთა ყოფა-ცხოვრების შესახებ გვაწვდის ცნობებს. ინტერიანოს მიერ ჩერქეზთა ყოფის ნეტად საფუძვლიანი და საინტერესო აღწერის შემდეგ, დ'ასკოლმა შეძლო ორიგინალური ნაშრომის შექმნა.

---

[1] *Эмиддио Дортелли д'Асколи*, Описание Черного моря и Татарии, составил доминиканец Эмиддио Дортелли д'Асколи, префект Каффы, Татарии и проч. (1634). Перевод с итальянского Н.Пименова. Записки Одесского общества истории и древностей, т. 24. Одесса, 1902, *В.К. Гарданов*, АБКИЕА, 61-67.

უფრო მეტიც, დ'ასკოლმა ერთერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება ჩერქეზთა საოჯახო ყოფის თავისებურებებზე, კერძოდ კი განრიდების ინსტიტუტზე (აღწერა, Г.,65). შეუძლებელია არ აღინიშნოს დ, ასკოლის ხატოვანი აღწერები ჩერქეზთა, განსაკუთრებით კი ჩერქეზი ქალის გარეგნული სილამაზის შესახებ, რომელთაც იგი მსოფლიოში ბადალსაც კი ვერ უძებნის (აღწერა, Г., 64). ასევე ძალზე თბილია დ,ასკოლის დამოკიდებულება ჩერქეზთა ქცევის, ეტიკეტის, სტუმართმოყვარეობის, შინახელოსნობისა და საერთოდ სამეურნეო ყოფაში დაგროვილი ტრადიციული ცოდნა-გამოცდილების შესახებ (აღწერა, Г.,64-65).

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობების გვერდით დ,ასკოლი ბევრს წერს შავი ზღვის ნავსადგურების, პორტების, აქაური ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ, ახასიათებს ვაჭრობა-აღებ-მიცემობის ცენტრებს. ყველა ეს მიუთითებს იმაზე, რომ დ,ასკოლი გულგრილი არ რჩებოდა კავკასიაში იტალიელთა კომერციული მიზნების მიმართ.

ჯიოვანი ლუკა
XVI ს.

დ'ასკოლის მოღვაწეობის შემდეგ რომის პაპმა ურბან VIII ყირიმში დომინიკიანელთა კათოლიკური მისიის გასაგრძელებლად იტალიელი მონაზონი *ჯიოვანი ლუკა*[1] მიავლინა. ლუკა კაფში 1642 წელს ჩავიდა და თავისი წინამორბედის მსგავსად კათოლიკური პროპაგანდის გარდა ყირიმისა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ხალხების აღწერას შეუდგა. მისი *„აღწერებიᲨ"* ძირითადი ნაწილი, რომელშიც „პერეკოპისა და ნოღაის თათრები, ჩერქეზები, მეგრელები და ქართველები" შევიდნენ, ჯერ კიდევ 1634 წელს – კაფში დომინიკიანელთა მისიის პრეფექტად სამსახურის დროს უნდა დაწყებულიყო. მოგვიანებით მას შეეძლო შეევსო და დაეზუსტებინა ეს მონაცემები. იგი უშუალოდ გაეცნო და აღწერა ჩერქეზების, ნოღაელების,

---

[1] *Джиовани де Лукка.* Описание перекопских и ногайских татар, черкесов, мингрелов и грузии Жана де Люка, монаха Доминиканского ордена. Перевод с французского П. Юрченко. Записки Одесского общества истории и древностей, т. II. Одесса, 1879, *В.К.Гарданов,* АБКИЕА, 68-72.

აფხაზების, ქართველების ყოფა-ხცოვრება და საინტერესო მონაცემებით გაამდიდრა ევროპელთა ცოდნა ამ ხალხებზე (აღწერა, Г.,70-72).

სხვა ავტორთაგან განსხვავებით ლუკა მეტ ყურადღებას იჩენს ნოღაელთა მიმართ და აღნიშნავს, რომ „ისინი იკვებებიან ხორცითა და რძით, რაც მათ ბლომად აქვთ, მაგრამ ჩერქეზთა მსგავსად საკუთრივ პურს არ ჭამენ" (აღწერა,Г.,72) და მის მაგივრად მიირთმევენ მოხარშულ ფეტვს. აქვე იგი გვამცნობს, რომ ფეტვს ისინი ჩერქეზებისაგან საქონლის გაცვლის სახით იღებენ. საინტერესოა ლუკას მწირი, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობები შავიზღვისპირელი შაფსუღებისა და აფხაზების შესახებ. აფხაზებს იგი ჩერქეზებთან შედარებისას იხსენიებს და აღნიშნავს, რომ ისინი „იცვამენ ჩერქეზთა მსგავსად, მაგრამ თმას იკრეჭენ მათგან განსხვავებულად" (აღწერა, Г.,70-71). ლუკა, როგორც ადგილობრივი მოსახელობის რელიგიით დაინტერესებული პიროვნება, შეშფოთებულია იმით, რომ ჩერქეზებში და მეზობელ ხალხებში ქრისტიანობა თმობს თავის პოზიციებს და კავკასიაში შესაბამისად მუსლიმანობის მძლავრობის ხანა დგება (აღწერა, Г.,70).

სამწუხაროდ ჩერქეზულ–კავკასიურ საოცრებათა გავლენებს ვერც ლუკა უვლის გვერდს და ჩერქეზთა რომანტიკულ ყოფას აქ გავრცელებულ ქურდ–ბაცაცობაში, ერთმანეთის ძარცვა–გლეჯისა და ყაჩაღობის ხელოვნებაში ხედავს. „ისინი არ თვლიან სამარცხვინოდ ერთმანეთის ძარცვას და ქურდობა აქ იმდენად ჩვეულებრივია, რომ მარჯვე ქურდებს არც კი სჯიან. უფრო მეტიც, ისინი არ ფარავენ თავიანთ კეთილგანწყობას მათ მიმართ ვინც ამ მხრივ სხვებზე მეტადაა დახელოვნებული... ღრეობისას ახალგაზრდებს მანამდე არ სთავაზობენ დასალევს, სანამ ისინი არ ჩაიდენენ რაიმე მოხერხებულ ქურდობას, ან კიდევ რაღაც მნიშვნელოვან მკვლელობას"–წერდა ლუკა (Г.,71-72).

ჯიოვანი ლუკას შენიშვნით ჩრქეზის ასეთი ოსტატობა აბრაგობასა და ყაჩაღობაში მათ ირგვლივ შქმნილი ვითარების შედეგად ჩამოუყალიბდათ. კერძოდ იმით, რომ ისინი საუკუნეების მანძილზე განიცდიდნენ მეზობელი ტომების გამუდმებულ თავდასხმებს.

და ბოლოს, ლუკას ჩანაწერების სიუჟეტურ ქარგას აშკარად ემჩნევა ევროპელთა მიერ აღმოსავლეთში სავაჭრო-ეკონომიკური გზების, ამ შემთხვევაში კავკასიური გზის დაზვერვისა და შესწავლის პირდაპირი მიზანდასახულობა.

ენგელბერტ კემპფერი, 1651-1716 წწ.
ანტონ (კლაუდიო) ფერანი, 1605-1689 წწ.

ენგელბერტ კემპფერმა[1] *და ანტონ ფერანმა*[2] უშუალოდ მოინახულეს ჩრდილო კავკასიის რიგი ქვეყნები და ხალხები (ჩერქეზები, ყაბარდოელები, ნოღაელები, ყალმუხები) და მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს მათი წარმომავლობის, ეთნიკური ისტორიის, სამეურნეო-ბუნებრივი პირობების, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალურ ურთიერთობათა თავისებურებების შესახებ. ისინი არ ივიწყებენ ევროპის მეტროპოლიების საეჭრო-ეკონომიკურ ინტერესებსაც. მათ აღწერებში ბოლო ადგილი არც მეცნიერულ და მისიონერულ მოღვაწეობას ეჭირა (ფერ. მოგზაურობა, Г., 110-112; კემპფ. უახლესი, სახელმწ., Г.,114-118 და შმდ.).

არქანჯელო ლამბერტი
XVII ს.

მისიონერული მოღვაწეობის მიხედვით, რომელიც ამ პერიოდში ევროპელთა აღმოსავლური ექსპანსიის აღმავლობას ემთხვევა და მის ინტერესებსაც ისახავს მიზნად, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დომინიკელთა პატრს, თეათინელთა კონგრეგაციის მისიონერს სამეგრელოში *არქანჯელო ლამბერტს.*[3] მისი ბიოგრაფიული მონაცემები დღემდე უცნობია, მაგრამ თავად იტალიელი მისიონერის აღიარებით მას „თითქმის 18 წელი უცხოვრია" სამეგრელოში. კ. განის, ფ. დიუბუა დე მომპერესა და სხვ. მოსაზრებით ლამბერტის მისია სამეგრელოში 1650 წელზე ადრე არ უნდა დაწყებულიყო. ალბათ ძნელია დავასახელოთ მეორე უფრო მნიშვნელოვანი ნაშრომი XVII საუკუნიდან, რომელშიც ისე სრულყოფილად იქნება აღწერილი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, ყოფისა და კულტურის, მოსახლეობის წეს–ჩვეულებებისა და რწმენა

---

[1] *Энгельберт Кемпфер.* Новейшие государства Казань, Астрахань, Грузия и многие другие, царю, султану и шаху платившие дань и подвластные..., Нюрнберг, 1723, *В.К.Гарданов.* АБКИЕА, 113-118.

[2] *Ферран.* Путешествие из Крыма в Черкессию, через земли ногайских татар в 1709 году. Перевод с французского Н.Хицунова, Русскии вестник, 1842, №4, *В.К.Гарданов.* АБКИЕА, 109-112.

[3] *არქანჯელო ლამბერტი.* სამეგრელოს აღწერა, თბილისი 1938.

წარმოდგენების თავისებურებები, როგორც ეს ლამბერტის „სამეგრელოს აღწერაშია" მოცემული.

ნაშრომის თემატიკის ზოგადი გაცნობაც საკმარისია იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ შესავალსა და დასკვნით ნაწილში კოლხიდის სამეურნეო-ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობებისა თუ მოსახლეობის წარმომავლობის ზოგადი მიმოხილვის გვერდით, ლამბერტი საგულდაგულოდ ახასიათებს მეგრელთა მეურნეობის ტრადიციულ დარგებს – მიწათმოქმედებასა და ნადირობას, ყოფისა და კულტურის ისეთ რეალიებს, როგორიცაა: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ტანსაცმელი, ხალხური კულინარია და პურობა, გართობა-სანახაობები და დღესასწაულები, ოჯახი და საოჯახო ყოფა, ქორწინების ფორმები, ხალხური სამართალი და მედიცინა, დაკრძალვის წესები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები და ა.შ.

იტალიელი მისიონერის მახვილ თვალს ქართული ყოფის დამახასიათებელი მრავალი ნიუანსი აქვს შემჩნეული სამეგრელოში. „არც ერთი ერი ისეთ პატიეს არა სცემს მიწათმოქმედებას, როგორც მეგრელები. სხვაგან ყოველგან მიწის მუშაობას ეტანებიან მხოლოდ დაბალი ხალხი... სამეგრელოში კი, რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, თავად ამუშავებს თავის ყანას და მოჰყავს თავისი საზრდო. ეს საქმე სათაკილოდ როდი მიაჩნიათ" - წერს ლამბერტი (სამეგრ.აღწერა, XII).

ორიგინალური მოსაზრებები გააჩნია იტალიელ მისიონერს ომის წესრიგთან დაკავშირებითაც. „მეგრელები, როგორც ქვეყნიერების დანარჩენი ერნი, ჩვეულნი არიან ომსა... ბავშვები ისე ატარებენ იარაღს, უკავიათ ხელში ფარი და ხმარობენ მშვილდსა, თითქოს დაბადებიდან შეჩვეული იყვნენ ბრძოლას... საუკეთესო ცხენს, თუ არა ლაშქრობაში, არ დაღალავენ; საუკეთესო სურსათს, აგრეთვე ინახავენ ლაშქრობისათვის... ლოგინში რომ ისვენებენ, მშვილდ-ისარი, ფარ-ხმალი, აბჯარი და სამაჯეები სასთუმალთან უდევთ ხოლმე, რათა საჭიროებისამებრ საბრძოლველად მზად იყვნენ" (სამეგრ.აღწერა, XVII).

ლამბერტის შენიშვნით „მეგრელები მეტად თავაზიანები არიან... მაგალითად თუ ვისმე სახიფათო საქმე რამ შეემთხვევა, ან მის ცხენს რაიმე გაუჭირდა ან ტვირთი ჩამოუვარდა, და მეორე მგზავრი შეეყარა, ან წამოეწია, ეს უკანასკნელი, რაც უნდა დიდი აზნაური ან თავადი იყოს, მაინც არ ითაკილებს თავისი ხელით აღმოუჩინოს შემწეობა" (სამეგრ.აღწერა, XX).

იტალიელი მისიონერი განცვიფრებულია მეგრელთა გულუხვილობითაც. „თუ პურისჭამის დროს ჭიშკართან ვინმე უცხომ გაიარა, მეგრელების ზრდილობა თხოულობს მაშინვე კაცი მიაგებონ და შემოიპატიჟონ. ამიტომ ჭიშკარს არასოდეს არ ხურავენ პურისჭამის დროს და ხშირადაც პურის საჭმელად შარაგზასთან სხდებიან: როცა ვინმე უცხო გაივლის, უსათუოდ მიიპატიჟებენ სუფრაზე“ (სამეგრ.აღწერა XXI).

ლამბერტი პირუთვნელია ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული უარყოფითი წეს-ჩვეულებების მიმართაც. აქ იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ცრუმორწმუნეებს, ქურდ-ბაცაცობას, ტყვეთა სყიდვას და ა.შ.

და ბოლოს, მეგრელთა ყოფა–ცხოვრების გასაოცარი ნიუანსების არა ნაკლებ საოცარ, ხშირად რომანტიკულ ფერებში გადმოცემისას, არქანჯელო ლამბერტი იძლევა ყარაჩაელების, ჩერქეზებისა თუ კავკასიის სხვა მეზობელი ხალხების ეთნოგრაფიული თავისებურებების დახასიათებასაც (სამეგრ.აღწერა, XXVII, XXVII და 'შმდ.).

XVII საუკუნის შუა ხანების სხვა თეათინელ მისიონერთაგან რომის პაპის ურბან VIII კონგრეგაციაში შედიოდნენ *დონ პიეტრო აეიტაბლე, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, ჯაკომო სტეფანი, ქრისტეფორო კასტელი* და სხვ. მათ მიერ შექმნილ სამეგრელოსა და გურიის მისიონის მთავარ მიზანს კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება წარმოადგენდა, თუმცა, ისე როგორც ლამბერტი, ისინიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა–ცხოვრების აღწერას.

ქრისტეფორე კასტელი
XVII ს. I ნახევარი

რომის პაპის კონგრეგაციაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა *ქრისტეფორე კასტელი,*[1] რომელმაც ქართველი ხალხის კულტურულ-ყოფით რეალიებს 2 ალბომში ათასზე მეტი ჩანახატი და სათანადო ახსნა-განმარტებათა მინაწერები

---

[1] *ქრისტეფორე კასტელი.* ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1976.

მიუძღვნა. მართალია ჩვენამდე მხოლოდ კასტელის ერთმა ალბომმა მოაღწია, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რათა ცხადად დაერწმუნდეთ მის უზარმაზარ წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობაში.

კასტელის ალბომში პორტრეტული ჟანრის ჩანახატების გვერდით საყურადღებოა ქართული ხელოსნობის, მიწათმოქმედების, ჩაცმულობის, სამშენებლო ხელოვნების, გართობა-სანახაობებისა და სხვადასხვა ცერემონიალების ამსახველი სიუჟეტები, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს თავად კასტელის მიერ შესრულებული მინაწერებიც ერთვის თან (ცნობები და ალბომი, 37, 62, 157 და შმდ.).

კასტელის ალბომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცხოვრების ქართული წესის ამსახველ სიუჟეტებსაც, კერძოდ საყოფაცხოვრებო რიტუალებს, სანადიმო სუფრას, ღვინის კულტის ნაირსახეობებს, ლხინის, მხიარულების, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის, ცეკვა-სიმღერის, მართლ-მსაჯულებისა თუ მისიონერთა საქმიანობის (მკურნალობა, ნათლობა, ლოცვა-ქადაგებანი და ა.შ.) ამსახველ სცენებსა და ა.შ. (ცნობები და ალბომი, 71, 41, 315 და შმდ.).

კასტელის ალბომში გამორჩეული ადგილი უჭირავს ქალის კულტს. იმ პერიოდის სამეგრელოს ლამაზმანების პორტრეტებს თან ახლავს კასტელის მხატერული შენიშვნებიც. „იშვიათი სილამაზის მქონე თამურია, უფალმა პატრებს ღვთისმოსაობისა და აღთქმის გამოსაცდელად მოუვლინა, რომელსაც თვალებში მზე ჩადგომოდა და პირზე აპრილი უთამაშებდა“ (ცნობები და ალბომი, 48). ამასთან ერთად კასტელის ცნობით „ქალები სმაში ძალიან თავშეკავებულნი არიან. მრავალ ნადიმს დავსწრებივარ და არასდროს არ მინახავს ღვინის მსმელი ქალი, კაცები კი ერთიდან უკანასკნელამდე მსმელები არიან“ (ცნობები და ალბომი, 152). ან კიდევ „ქართველი კაცები ძალიან ძლიერნი არიან, არასდროს თვრებიან, რამდენიც არ უნდა დალიონ, ყოველთვის დინჯი რჩებიან და სიტყვასაც კარგად ამბობენ“ (ცნობები და ალბომი, 41).

კასტელს მხედველობიდან არ რჩება ქართველი კაცის მიდრეკილება იარაღის ხმარებისადმიც. „ქართველები მისდევენ თამაშობას, რომელიც სიმკვირცხლესა და სიძლიერეს მოითხოვს. მათ კარგად იციან იარაღის ხმარება, როცა ისინი სამგზაურად ან ცხოველებზე სანადიროდ მიდიან“ - წერს კასტელი (ცნობები და ალბომი, 48).

და ბოლოს, კასტელი იძლევა საქართველოს ანუ იბერიის საზღვრების, ტერიტორიის, მოსახლეობის, მათი

ხასიათისა და ეროვნული თავისებურებების მოკლე აღწერილობას. „ქართველები ძალზე მეომარი ხალხია, განსაკუთრებით ისინი ვისაც მთები უკავიათ. ქართველები მაგრები და ვაჟკაცები არიან, ბრძოლაში მამაცნი, რომლებმაც მაჰმადიანთა გარემოცვაშიც შეინარჩუნეს თავისუფლება ჩვენს დრომდე" - წერს კასტელი (ცნობები და ალბომი, 587).

ჟან ბაპტისტ ტავერნიე
1605-1689 წწ.

ლამბერტის თანამედროვე ავტორთა შორის ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს კავკასიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოადგენდა ცნობილი ფრანგი კომერსანტი *ჟან ბაპტისტ ტავერნიე*,[1] რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საფრანგეთ-ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობის პრობლემათა მოგვარებაში. აღმოსავლეთის ქვეყნებში ექვსგზის მოგზაურობისას ტავერნიემ გაიარა და მოინახულა ანი, ეჩმიაძინი, ერევანი, ნახჭევანი, ჯულფა, არაქსი, გონიო, ტფილისი, შემახა დერბენტი და სხვა პუნქტები და აღწერა სომხეთი, საქართველო, ჩერქეზეთი, ნოღაელთა ქვეყანა და ა.შ. ნაშრომში „ექვსი მოგზაურობა" დიდი ადგილი ეთმობა ამ ხალხების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, კერძოდ, მათი წარმოშობასა და განსახლებას, ეთნიკურ შემადგენლობას, სამეურნეო-ყოფითი საქმიანობის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებს და ა.შ., რომელთა მეტი წილი უშუალო დაკვირვების, სხვები კი სხვათა გადმოცემების, მაგრამ ობიექტური რეალობის გათვალისწინებითაა აღწერილი (ექვსი მოგზ.,Г.,74-81). სწორედ ამიტომაა, რომ ტავერნიეს „ექვსი მოგზაურობა" ევროპაში ძირითადად სავაჭრო ცნობარია. იგი მეგზურის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და ძნელი იყო მის სხვა ცნობებზე დაყრდნობა, თუმცა შემდგომში სხვა ავტორებთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მის ცნობებს კავკასიის და აღმოსავლეთის სხვა ხალხების შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა გააჩნდა.

---

[1] *J.B.Tavernier.* Nouvell relation de l'interieur du Serail du Grand Seigneur, Paris, 1675; *მისივე.* Les six voyages, I-II, Paris, 1676-1677; *მისივე.* Шесть путешествии в Турцию, Персию и Индию в течение сорока лет, с событиями, заметками об особенностях религии, управлении, обычаях, торговле каждой из этих стран вместе с мерами, весами и стоимостью обращающихся денег, т. I, Гаага, 1718, В.К.Гарданов, АБКИЕА, 73-81.

ადამ ოლეარიუსი
1600-1671 წწ.

ასეთივე პრაქტიკულ მიზნებს ისახავდა ამავე პერიოდის ცნობილი გერმანელი მათემატიკოსის, გეოგრაფისა და ასტრონომიის *ადამ ოლეარიუსის*[1] მოგზაურობაც, რომელიც გოლშტეინის ჰერცოგის ფრიდრიხ III დავალებით მოსკოვის გოლშტეინის საელჩოს მისიას ჩაუდგა სათავეში. მის მთავარ ამოცანას ვოლგა-კასპიისპირეთის გზის გამოყენების ნებართვის მიღება წარმოადგენდა, რომლის მეოხებითაც ევროპელი ვაჭრები ირანს უნდა დაკავშირებოდნენ. ოლეარიუსმა სწორედ ამ გზით იმოგზაურა ირანში, უკან დაბრუნებისას კი სახმელეთო გზით შემახა, დერბენტი და თერგი გაიარა და საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ (აღწერა, 183-185).

ოლეარიუსი თავის ჩანაწერებში კასპიის ზღვის სანაპიროს მცხოვრებლებს ჩერქეზებს, ზოგჯერ კი მათ სარმატებს ან სკვითებს უწოდებს. აქვე მოაქვს მას საინტერესო შესადარებელი მასალები დაღესტნელთა და ალანთა ეთნოგრაფიული ყოფიდან. საერთოდ ოლეარიუსს მოსახლეობის გარეგნობის, ჩაცმულობის, საცხოვრებლის, ტანსაცმლის, დაკრძალვის ცერემონიის, ადათ-წესებისა და რწმენა-წარმოდგენების შესახებ მრავალი ორიგინალური ჩანაწერი გააჩნია (აღწერა,185), რომელთაც იგი თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს. ავტორის შენიშვნები შესაძლოა ზოგჯერ საკამათო იყოს, მაგრამ მისი თხზულების აღწერილობით ნაწილს უდაოდ დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა გააჩნია.

ჟოზეფ პიტონ დე ტურნიფორი
1656-1708 წწ.

კავკასიის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად მნიშვნელოვან

---

[1] *Подробное описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию, составленное секретарем посольства Адамом Олеарием, М., 1870; Адам Олеари.* Описание путешествия в Московию и через Московию в Персию и обратно. Перевод *А.Ловягина,* СПб., 1906.

ცნობებს იძლევა ცნობილი ფრანგი მოგზაურ–ბოტანიკოსი *ჟოზეფ პიტონ დე ტურნიფორი.*[1]

თავის ცნობილ ნაშრომში *„მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში"* ტურნიფორს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და იშვიათი ფაქტობრივი მასალები მოაქვს საქართველოსა და სომხეთის შესახებ, სადაც მან 1700-1702 წლებში მოგზაურობისას გზად გაიარა ამიერკავკასიის ისეთი მნიშვნელოვან ცენტრებში – ყარსში, თბილისში, ეჩმიაძინში, ერევანში და სხვ. როგორც ცნობილია, წმინდა მეცნიერული ინფორმაციის გარდა ფრანგ მოგზაურს სხვა, კერძოდ სავაჭრო-ეკონომიკური თუ სამხედრო-პოლიტიკური დაზვერვების დავალებაც ჰქონდა, მაგრამ ევროპაში პოპულარობა მან სწორედ მეცნიერული ხასიათის ჩანაწერებით მოიპოვა. მართალია, ბოტანიკოსის მასალებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობები ხშირად იმეორებს წინამორბედ ავტორთა მონაცემებს, მაგრამ ჩანაწერების გაცნობა აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ იგი ყოველთვის ახერხებს კავკასიის ხალხების ყოფისა და კულტურის რეალიებში ჩაწვდეს ახალ, მანამდე უცნობ თავისებურებებს. მართლაც, ალბათ, იშვიათად თუ ვინმე ევროპელს ყურადღება მიექცია ისეთი ნიუანსისათვის, რასაც ტურნიფორი აღნიშნავდა: „ყველაზე მეტად განგვაცვიფრა იმ ამბავმა, რომ ქართველებს ფული არ უყვართ და თავიანთ სურსათ–სანოვაგეს არ ყიდიან, თუმცა რაიმე გასამრჯელოს გარეშე მაინც არაფერს იძლევიან. ისინი სურსათს ცვლიან სამაჯურებში, ბეჭდებში, შუშის ყელსაბამებში, პატარა დანებში, ნემსებსა და ქინძისთავებში" (მოგზაურობა, 56).

ძალზედ ორიგინალურია თბილისისა და ერევნის ტურნიფორისეული აღწერა, საერთოდ ქართველებისა და სომხების საქალაქო ცხოვრება და საქმიანობა. „ქალაქი ერევანი ვენახებსა და ბაღებშია ჩაფლული. მას უჭირავს დაბლობის ბოლოს მდებარე ბორცვი. სახლები გაშენებულია ხეობებში, რომლებიც სპარსეთში ულამაზესია. მინდვრები ხეხილითა და ვაზითაა მოფენილი. ერევნის მკვიდრთ გულუბრყვილოდ სწამთ, რომ მათი ვაზი იმ ჯიშიდან მომდინარეობს, რომელიც აქ ნოეს დაურგავს. ასეა თუ ისე ამ ვაზისაგან საუცხოო ღვინო დგება და ეს უფრო საამაყოა, ვიდრე ის, რომ იგი ამ კეთილი მოხუცისაგან მომდინარეობს." – წერს ტრურნიფორი (მოგზაურობა, 82).

---

[1] *ჟოზეფ პიტონ დე ტურნიფორი.* მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1988.

სერიოზული წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს ტურნიფორის ცნობებს ქართველთა და სომეხთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მათი დამუშავება-მოყვანის, ხალხური კულინარიის, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის, საოჯახო ყოფის, საქორწინო ურთიერთობებისა და სხვ. შესახებ (მოგზაურობა, 56,58,84 და შმდ.).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ტურნიფორის თხზულებაში ზოგჯერ გვხვდება ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების სუბიექტური აღქმა და მათი დამახინჯებული განზოგადოების მაგალითები, თუმცა იგი არსებითად მცდარი ინფორმაციის შედეგს უნდა მივაწეროთ, ვიდრე ამ ფაქტების ტენდენციურ ანალიზს.

მოვლენათა განვითარების ისტორიული კანონზომიერება, — დასავლურ-აღმოსავლური ევრაზიული სავაჭრო ეკონომიკური ინტერესები და კავკასიის ადგილი და როლი „აღმოსავლეთის საკითხში", არანაკლები უშუალობითაა გაშუქებული XVIII საუკუნის ევროპელ ავტორთა ნაშრომებშიც, მაგრამ ამჯერად შეეჩერდებით XVI–XVII საუკუნეების იმ თურქ და ირანელ მოგზაურ-მკვლევარებზე, რომლებიც მათი თანამედროვე ევროპელი ავტორების მსგავსად, შეუნელებელი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ევროპის სავაჭრო კაპიტალის ექსპანსიის აქტიურ პროცესებს აღმოსავლეთის ქვეყნებში. მართალია, ამ ავტორთა თხზულებებში ჩვენ ვერ ვხედებით მათ წინაპარ არაბ და მომდევნო ეპოქის ევროპელ მოგზაურთა პოლიტიკურად მიზანსწრაფულ, კავკასიელთა ყოფისა და კულტურის ზოგჯერ კურიოზებამდე მისულ დეტალურ აღწერებს, მაგრამ მეზობელი რეგიონებისა და ხალხების ეპოქალური ვითარება თურქი და ირანელი ავტორების ნაშრომებში უფრო მეტი უშუალობითა და რეალურ ვითარებასთან სიახლოვითაა ასახული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა *ქათიბ ჩელებისა* (1609–1657წწ.) და *ევლია ჩელების* (1611-1682/83წწ.) ნაშრომები, მაშინ როდესაც სხვა ავტორებთან კავკასიის ხალხთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათებები უკანა პლანზეა გადაწეული და უფრო მეტი ყურადღება საომარ ოპერაციებსა და პოლიტიკურ სიტუაციებზეა გადატანილი.

და მაინც, *ჰასან რუმლუს* (დაიბ.1531/32წ.), *ისქენდერ მუნშის* (1560/61–1634წწ.), *იბრაჰიმ ფეჩევის* (1574–1651წწ.), გვიან საუკუნეებში კი *მუსტაფა ნაიმას* (1655–1716წწ.) თუ *მეჰმედ რაშიდის* (გარდ.1735წ.) თხზულებებში ოსმალო იანიჩრებისა და

ირანელი ღაზიების დაპყრობითი ომებისა და საგმირო თავგადასავლების ხშირად აღმატებული, შეფერადებული აღწერების გვერდით, კავკასიის ამა თუ იმ ხალხის შესახებ ჩვენთვის საინტერესო ეთნოგრაფიულ ცნობებსაც ვხვდებით.

ჰასან რუმლუ
დაიბ. 1531/32 წ.

ცნობილ ირანელ ისტორიკოსს *ჰასან რუმლუს*[1] თავის *„ჰასან ათ თარიხში“* ანუ *„უმშვენიერეს ისტორიათაგანში“* საგულდაგულოდ აქვს აღწერილი შაჰ–თამაზ I შემოსევები საქართველოში, „გულადი ღაზიების“ მიერ ქართველთა დამარცხებები, ხოცვა–ჟლეტა, რბევა, აწიოკება და დატყვევება, მაგრამ აქვე აღნიშნავს ქართველთა მედგარ წინააღმდეგობას, მათ მეომრულ სულისკვეთებას და ხასიათის სიმტკიცესაც. მისი ცნობით ატენის ციხეს, სადაც ლუარსაბ მეფეს თავისი დედა ქეთევანი ჰყავდა დატოვებული, უშიშარმა ღაზიებმა ერთბაშად შეუტიეს. „ეს იყო მეტად მტკიცე და მაგარი ციხე, რომლის კოშკებზე ფრინველსაც არ გადაუფრენია... ქართველების მთელი ბრბო ღაზიების უკუსაგდებად გამოემართა და იმ ღვთის მტერმა წარმართებმა ისეთი ბრძოლა გააჩაღეს, რომ ცის შორსმჭვრეტელი თეალი გაოცებული დარჩა. კოშკებიდან და გალავნებიდან ისე ცვიოდა თავები უტვინოდ და ტეინი უთავოდ, როგორც შემოდგომის ქარიშხალისაგან ცვივა ხეების ნაყოფი“ (უმშვ.ისტ.,33-34) – წერდა ჰასან რუმლუ - ატენის ციხეში დატრიალებული ტრაგედიისა და ქართველთა გმირული შემართების შესახებ.

ისქენდერ მუნში
1560/61-1634 წწ.

XVII საუკუნის I ნახევრის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია

---

[1] *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ,* სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, XIX, თბილისი, 1966.

გაშუქებული მეორე ირანელი ისტორიკოსის *ისქენდერ მუნშის*[1] ნაშრომში *„თარიხ-ალ-ამარაი-აბასი“* ანუ *„აბასის ქვეყნის დამამშვენებელი“*, რომელშიც ამიერკავკასიაში შაჰ-აბას I უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული დაპყრობითი ომების გვერდით თვალნათლივ გამოსჭვივის ქართველ-სომეხ-აზერბაიჯანელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ყოფითი პრობლემები (აბასის, 49 და შმდ.).

იბრაჰიმ ფეჩევი
1574-1651 წწ.

ასევე მეტად ძუნწი და ფრაგმენტულია თურქი ისტორიკოსის *იბრაჰიმ ფეჩევის*[2] ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ფეჩევის ორტომიან *„ისტორიაში“* გადმოცემულია ოსმალთა შემოსევები თბილისზე, ერევნის მხარეზე, განჯასა და შირვანზე. ეს ცნობები ძირითადად საომარ მოქმედებებს ეხება, თუმცა აქა–იქ იგი აღწერს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრისს, თქმულებებს ქართველ მეფეთა ჩამომავლობის შესახებ, მეციხოვნეთა თავდაცვის ხერხებსა და საშუალებებს, მათ მეომრულ სულისკვეთებასა და ა.შ. (ისტორია, II, 44-45,58-59 და შმდ.).

მუსტაფა ნაიმა
1655-1716 წწ.

ირან–ოსმალეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობის აღწერის ტრადიციას აგრძელებენ XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსები *მუსტაფა ნაიმა*[3] და

---

[1] *ისქენდერ მუნში.* აბასის ქვეყნის დამამშვენებელი. ისტორიის გაგრძელება, ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტის გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბილისი 1981.

[2] *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, XV, თბილისი, 1964.

[3] *მუსტაფა ნაიმა.* ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და

მეჰმედ რაშიდიც. კერძოდ, ნაიმას *„ისტორიაში“*, რომელიც ოსმალეთის პირველი ოფიციალური ისტორიოგრაფი იყო და იმპერიის ამბებს 1591–1660 წლებში აღწერდა, ძირითადად გადმოცემულია ირან–ოსმალეთის ომების ამბები და ამ ომში ამიერკავკასიის ხალხების მონაწილეობა, სალაშქრო სამზადისი, ბრძოლის ეპიზოდები და შედეგები და ა.შ. ამასთან, „ისტორიის“ სხვადასხვა თავებში ვხედებით საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის, აგრეთვე მოსაზღვრე ტერიტორიების, მათ შორის ჩერქეზეთის აღწერასაც (ისტორია, I, 35,360 და შმდ., II, 344-395 და შმდ., ტ. IV, 224-226).

მეჰმედ რაშიდი
გარდ. 1735 წწ.

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე *მეჰმედ რაშიდთანაც,*[1] რომელმაც ოსმალეთის ოფიციალური ისტორია ნაიმას შემდგომ გააგრძელა და 1660 წლიდან 1722 წლამდე მოიყვანა. ეს პერიოდი ოსმალეთის მკვეთრი დაქვეითების ხანას ემთხვევა, მაშინ როდესაც რუსეთი შავი ზღვის აუზში შეიჭრა, ხოლო დასავლეთ საქართველო ამიერკავკასიაში ანტიოსმალური მოძრაობის დასაყრდენად იქცა.

დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ლაშქრობების, აგრეთვე ჩილდირის საფაშოს ადმინისტრაციული დახასიათებისას, მეჰმედ რაშიდი საინტერესო ცნობებს იძლევა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სოციალური ორგანიზაციის, შეიარაღების, საომარი ტაქტიკისა და სხვ. შესახებაც (ცნობები, 21-24 და შმდ.).

XVI–XVII საუკუნეების თურქი და ირანელი მოგზაურ-მკვლევარების ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეავსეს სახელგანთქმულმა თურქმა მეცნიერებმა ქათიბ ჩელებმა და ევლია ჩელებმა, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობაც, როგორც ზემოთაც აღენიშნეთ XVII საუკუნეზე მოდიოდა.

შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, VIII, თბილისი 1979.

[1] *მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნების შესახებ.* თურქული ტექსტი თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვიტალი ჩოჩიევმა, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, XIII, თბილისი 1976.

ქათიბ ჩელები
1609-1657 წწ.

ქათიბ ჩელების[1] ენციკლოპედიურ ნაშრომში - *„ჯიჰან ნუმა“* ანუ *„სამყაროს მეგზური“*–გარკვეული თავები (38-41) დაღესტნის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მათი მეზობელი მხარეების აღწერას ეთმობა. კერძოდ, ავტორი გვაწვდის ცნობებს დაღესტნის საზღვრებზე, გეოგრაფიულ განლაგებაზე, ადმინისტრაციულ დაყოფაზე, მოსახლეობის შემადგენლობაზე და ა.შ. (ცნობები, 128,129-137 და შმდ.). მისი შენიშვნით დაღესტნის მთიან ნაწილში უხვადაა თაფლი, რადგან მთებში მრავლადაა გარეული ფუტკარი. მანიშნებელია, რომ იქ დამპყრობლებს მთელი ლაშქრის ულუფა თაფლი უპოვნიათ (ცნობები,130).

ჩელები ხაიდაყელებში მრავალ ენაზე მოლაპარაკე ხალხს ასახელებს, ხოლო ტაბასარანში 40000 სახლიან ციხე–სოფლის არსებობაზე მიუთითებს (ცნობები,131).

მომდევნო ნაწილში თურქი მკვლევარი აღწერს აბაზას ვილაეთს, თავად აფხაზებს და ყაბარდოდ წოდებულ მხარეს (ცნობები,132-133). ცალკეა აღწერილი საქართველოს ვილაეთი, რომელსაც უკავია 20 დღის სავალი ტერიტორია შავ და შირვანის ზღვებს შორის. საინტერესოა საქართველოს საზღვრების ჩელებისეული აღწერაც. კერძოდ, მისი დაკვირვებით საქართველოს აღმოსავლეთით დერბენდი და შირვანი ეკვრის, სამხრეთით – ჩილდირის, ყარსისა და არზრუმის ვილაეთები, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით კი იგი აბაზასა და დაღესტნის ვილაეთებით არის შემოსაზღვრული (ცნობები,136-138). ჩელების ცნობით ქვეყნის მთელი მოსახლეობა ქრისტიანი ქართველები არიან (ცნობები,136).

სომხეთის ქვეყნის აღწერას ქათიბ ჩელების „ჯიჰან - ნუმას“ ცალკე თავი ეძღვნება. სომხეთის დიდ და მცირე ნაწილებად დაყოფაში იგი იმოწმებს ჰამდალაჰ ყაზვინს და თავის თანამედროვე დიდი სომხეთის შემადგენლობაში ასახელებს ვანის, ყარსისა და არზრუმის, ხოლო მცირე სომხეთში – ადანისა და მარაშის ვილაეთებს.

ქათიბ ჩელებს ბლომადაა აქვს მოტანილი სხვისი მონათხრობი, გაგონილი და შეუმოწმებელი ამბებიც. კერძოდ

---

[1] *ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, VII, თბილისი, 1978.

იგი იმოწმებს რომელიღაც ავტორის ცნობას იმის შესახებ, რომ ჩერქეზთა, ზოგიერთი ჩვეეა ებრაულს ჩამოგავს, რომლის მიხედვითაც ასკვნის, რომ ჩერქეზები და აბაზები ოდესღაც აქ მოსული სამი ებრაული ტომის შთამომავლები არიან (ცნობები,131-132). იგივე შეიძლება ითქვას სომხების წინაპარ არმინებზე, რომლებიც თითქოს იუნანს (ბერძნებს) მიეკუთვნებოდნენ და ა.შ. (ცნობები,140-145).

ევლია ჩელები
1611-1682/83 წწ.

XVII საუკუნის თურქ მოგზაურ–მკვლევართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მუსლიმანური რენესანსის სახელგანთქმულ წარმომადგენელს – *ევლია ჩელებს.*[1] მისი *„სიპათ ნამე“* ანუ *„მოგზაურობის წიგნი“*, რომელიც 10 ტომადაა შედგენილი კულტურულ-ისტორიული ღირებულების შემცველ ფუნდამენტურ ნაშრომადაა აღიარებული, ხოლო ავტორი ოსმალოთა შორის ყველაზე უდიდეს და საინტერესო გეოგრაფ-მოგზაურად.

ევლია ჩელებმა თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოგზაურობისას საგულდაგულოდ მოიარა ევროპის, აზიისა და აფრიკის არაერთი ქვეყანა, საკუთრივ კავკასიასა და საქართველოს მოგზაურობის მეორე ტომი დაუთმო და აქ მოსახლე ხალხების შესახებ ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, ლინგვისტური თუ ეთნოგრაფიული ხასიათის მეტად საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა. სამაგალითოა ევლია ჩელების მიერ აღწერილი ტერიტორიათა სამეურნეო–ბუნებრივი პირობების, დასახლების, საცხოვრებლის, თავდაცვითი და საფორტიფიკაციო ნაგებობების, სავაჭრო ფუნდუკების და ცენტრების, წყლის წისქვილების, აბანოების, გასართობი და საასპარეზო ადგილების, მეჩეთების, ეკლესია–მონასტრებისა და სხვა საკულტო ადგილების აღწერა, საერთოდ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების დახასიათება, მათი ლოკალური და ეროვნული თავისებურებების გამოყოფა და ხაზგასმა.

ევლია ჩელები უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის აბაზას ქვეყანაში მოსახლე ტომების შესახებ. იგი დაწერილებით

---

[1] *ევლია ჩელები.* მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, I, ქართული თარგმანი, თბილისი 1971, II, გამოკვლევა, კომენტარები, თბილისი, 1973.

აღწერს ჩაჩბების, არლანის, ჩანდების, დიდი ჩანდების, გეჩიების, ართების, საძის, კამშის ჯამბასა და სხვ. ტომებს, მათ შემადგენლობასა და რიცხოვნებას, საქმიანობას, რწმენა-წარმოდგენებს, ურთიერთობას მეზობელ ტომებთან, ზნე ჩვეულებებსა და ადათ წესებს. „აბაზები ერთმანეთს ებრძვიან, ბავშვებსა და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ. კაცი, რომელიც ქურდი არ არის, ამ ხალხის თვალში ბედშავი და საწყალია. ამიტომ ასეთებს არც მეჯლისში დაუშვებენ და არც ქალიშვილს მისცემენ ცოლად“ - წერს ევლია ჩელები (მოგზ.წიგნი, XXXIII,104).

ევლია ჩელები, განსაკუთრებით მოხიბლულია არზრუმით, მისი მიდამოების სიუხვითა და ბარაქიანობით (მოგზ.წიგნი,LXIX,215). არანაკლები ემოციურობით აღწერს იგი განჯის ბაღ–ვენახებსა და თუთის ხის ხეივნებს (მოგზ.წიგნი,LXXI,286).

ევლია ჩელებისეული ხაიდაყების ტომის აღწერა ალბათ ყველა სხვა აღწერებთან შედარებით საინტერესო და ორიგინალურია. „ამათი რიცხვი ოც ათასს აღწევს. მათი მიწა-წყალი დაღესტნის საზღვრებშია. დრო და დრო ქალაქ არეშსა და შაქში მოდიან სავაჭროდ. გარეგნობით ფრიად საოცარი ხალხია. ქვაბივით დიდი თავები აქვთ, თმები–როგორც ტომარა, ორი თითის სიმსხო წარბები; ისეთი განიერი მხრები აქვთ, ზედ კაცი დაეტევა; მკერდფართე, წელწერილი, მსუქანბარძაყიანი, ბრტყელტერფა, მრგვალთვალებიანი, წითელი პირისახიანი, პირმრგვალი ხალხია. რწმენა შაფისა აქვთ. ძორძოხი ადამიანები არიან. როდესაც ისინი არეშისა და შაქის ბაზრობაზე მოდიან, დაბლობში ფეხით ეშვებიან და შაქში ურმებზე სხდებიან, რადგანაც მათი სპილო ტანის ტარება ცხენებსა და ჯორებს არ შეუძლიათ“–წერს იგი (მოგზ.წიგნი,LXXII,291).

თურქი მოგზაური მაღალმხატვრულ ფერებში აღწერს ბაქოს ციხეს, და ბოლოს, ტოპოგრაფიული და არქიტექტურული დახასიათების შემდეგ ბუნებრივ პირობებსა და მოსახლეობასაც აქცევს ყურადღებას. „ქალაქის ჰაერი რბილია. ამიტომაა, რომ მის მიდამოებში ბრინჯი და სელი მოდის და ბაღ–ვენახია გაშენებული. ბამბაც მშვენიერი იცის. ესაა, რომ წყალს ნავთის სუნი ასდის. ქალაქის სიახლოვეს შეიდ ადგილას ნავთის საბადოებია ისეთი, ყოველ მათგანს თავისი ფერი აქვს, ყვითელი, წითელი, შავი... და ასე შემდეგ. მის ნაჰიეებს შორის მესქერის, სედანის, რეინების ნაჰიეების მცხოვრებლები თაფლისა და ქონის სანთელს არ წვავენ, ყველანი შავ ნავთს ანთებენ ჭრაქში. მისი მცხოვრებლები ფრიად წარმოსადგენი,

ტანმოვლილნი არიან და საკმაოდ პყავთ ლამაზმანებიც“–წერს ევლია ჩელები (მოგზ.წიგნი,LXXII,301).

ევლია ჩელები დიდ ყურადღებას უთმობს ბაქოს სავაჭრო ეკონომიკურ პოტენციალს, და ამ თვალსაზრისით მის კავშირურთიერთობას მოსკოვთან. „მოსკოველები განუწყვეტლივ მოდიან ბაქოში, ყიდულობენ მარილს, ნავთს, ზაფრანს, აბრეშუმს და მოსკოვისაკენ მიაქვთ. მოსკოვის წარმოგზავნილები ჩამოდიან და მძევლად რჩებიან. მოსკოვის ქვეყნიდან ირანში უმეტესად ბაქოზე გავლით და ნაწილობრივ კი, გილანზე გავლით გააქვთ სიასამური, თევზის კბილი, რუხი ციყვის ქურქი, ბულღართა ქვეყნის თელათინი“ - წერს იგი (მოგზ.წიგნი,LXXII,301-302).

ევლია ჩელები ასეთივე ვრცელი პასაჟებით ახასიათებს თბილისის ციხესაც, რომლის კოშკებს სამი ათასი მეციხოვნე იცავდა. სამწუხაროდ, თურქ მოგზაურს აქ დიდი რაოდენობის მუსლიმი მაცხოვრებლები დახვედრია. „აქ მოჰყავთ ხორბალი წმინდა და თეთრი თბილისური პური, თეთრი და წითელი ატამი. ქებულია მისი ბამბა და ანგორის მატყლი“ (მოგზ.წიგნი, LXXIII, 318).

მეტად გულუბრყვილო და დაუსაბუთებელია ევლია ჩელების ცნობა ქართველთა წარმომავლობის, ეთნიკური შემადგენლობისა და რელიგიის შესახებ. მისი აზრით „ნიმროდიდან წარმომავალ ხალხებში პირველნი ებრაელები არიან. მათ შემდეგ – ქართველების, დადიანისა და შავშეთის ხალხები. ამათ შემდეგ გურიელი, აჩიკ ბაში, მეგრელი ხალხია. ყველა ესენი ებრაელები და, დავითის – მშვიდობა იყოს მასზე – მრეელთაგანი იყვნენ; ქრისტიანობა მიიჩემეს და სახარების მიხედვით მოქმედებენ. ესენი თორმეტ ენაზე ლაპარაკობენ. თითოეული მათგანი თავის კილოზე ლაპარაკობს. ვერაფრით ვერ გაიგებ. მათი აზრით, შავშეთისა და დადიანის ხალხები უნატიფეს ენაზე მეტყველებენ“ (მოგზ.წიგნი,LXXV,320).

ევლია ჩელებს დაცული აქვს ერთი კურიოზული ცნობაც. როგორც ჩანს, იგი კარგადაა ინფორმირებული ქართველი თავადაზნაურობისა და საერთოდ ქართველების ნიჭსა და პოტენციურ შესაძლებლობებში, რომელიც მაშინაც კარგად ყოფილა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ხალხებშიც. „მოსკოვის ხელმწიფის შთამომავლობა, რომ ამოწყდეს, ამ საქართველოდან ერთ ბეგს წაიყვანენ და გაამეფებენ“ – წერდა იგი ამ, თითქოსდა, ფატალურად გარდაუვალი მოსალოდნელობის შესახებ (მოგზ. წიგნი, LXXV, 320).

აბრი დე ლა მოტრე
1674-1743 წწ.

ინტერესი კავასიის სამეურნეო–ეკონომიკური და სავაჭრო – სატრანზიტო შესაძლებლობების შესახებ XVIII საუკუნის ევროპაში კიდევ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა. ევრაზიის სავაჭრო გზების კავკასიის მონაკვეთით ამ პერიოდში დაინტერესდნენ ნიდერლანდებისა და შვედების ხელისუფლების წარმომადგენლებიც. წარმოშობით ფრანგმა პროტესტანტმა *აბრი დე ლა მოტრემ*[1] შვედების მეფის კარლოს XII დავალებით მოიარა ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყანა, მათ შორის ყირიმი და ჩრდილო კავკასია და საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა ჩერქეზებისა და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხების შესახებ (მოგზ., Г.,119-147).

ნიკოლას ვიტსენი
1670-XVIII ს. დასაწყისი

დაახლოებით ამავე პერიოდში კავკასიისა და მისი მოსახლეობის შესახებ ცნობებს აგროვებს მოსკოვში მოღვაწე ნიდერლანდელი სახელმწიფო მოხელე *ნიკოლას ვიტსენი*,[2] (1640წ.–XVIIIს. დასაწყისი), თუმცა იგი მოტრესაგან განსხვავებით თავად კავკასიაში არ ყოფილა და სხვებზე დაყრდნობით ადგენდა თავის ნარკვევებს (ჩრდ.და აღმ.თათარ., Г.,87-98).

XVIII საუკუნის კავკასიის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევიან ფრანგი კონსული ყირიმში *ქსავერიო გლავანი* (XVIII ს.), ცნობილი ფრანგი მეცნიერი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე *კარლ პეისონელი* (1727–1790წწ.), გერმანელი ექიმი და მეცნიერი *იაკობ რეინეგსი* (1744–1793წწ.), პოლონელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე *იან პოტოცკი* (1761–1815წწ.) და სხვ., რომლებიც საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების აღმავალი ბურჟუაზიის

---

[1] *Абри де ла Мотрэ*. Путешествие господина А.де ла Мотрэ в Европу, Азию и Африку, т.2. Гаага, 1727, *В.К.Гарданов*, АБКИЕА, 119-147.

[2] *Николас Витсен*. Северная и Восточная Татария или сжатый очерк нескольких стран и народов, Амстердам 1692, *В.К.Гарданов, АБКИЕА, 86-98.*

ინტერესებიდან გამომდინარე საგულდაგულოდ სწავლობდნენ შავი ზღვის აუზის სავაჭრო–ეკონომიკურ შესაძლებლობებს და მის გამოყენებას ევროპული კაპიტალის დასაბანდებლად.

ქსავერიო გლავანი
XVIII ს.

იტალიური წარმოშობის ფრანგი დიპლომატის *ქსავერიო გლავანის*[1] „ჩერქეზეთის აღწერა“ 1724 წელსაა შედგენილი ბახჩისარაიში-ყირიმის დედაქალაქში. „აღწერის“ შინაარსის მიხედვით გალვანი კარგად იცნობდა ჩერქეზთა ყოფას და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოსახლეობის ყველა ფენასთან. ფრანგი დიპლომატი პირად ინფორმატორებად იყენებდა ჩერქეზ დიდებულებს. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ გლავანი იცნობდა იმ პერიოდში უკვე ეთნოლოგთა წრეში პოპულარულ პირადი გამოკითხვის მეთოდს, რაც იქედანაც ჩანს, რომ იგი ყირიმის ხანის დახმარებით შეხვედრია 80 წელს გადაცილებულ ყუბანელ ნოღაელს, რომელსაც ხანის აზრით საინტერესო ცნობები უნდა მიეწოდებინა მისთვის კავკასიის ხალხების შესახებ. როგორც ჩანს გლავანმა კავკასიაში უშუალო მოგზაურობასთან ერთად კარგად გამოიყენა ყირიმის დედაქალაქში ჩამოსული და აქ თავმოყრილი სხვადასხვა ეროვნების ხალხი და სანდო ინფორმატორთა ფართო ქსელი შექმნა მათგან. სწორედ ამიტომაა, რომ გლავანის აღწერა უმნიშვნელოვანესი წყაროა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ადიღეველთა ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის. განსაკუთრებით ღირებულია მისი ცნობები ჩერქეზთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური შემადგენლობის, ეთნიკური სტატისტიკის, სოციალური შემადგენლობისა და პოლიტიკური წყობის თავისებურებების შესახებ (აღწერა, Г.,162-163 და შმდ.).

ქსავერიო გლავანს საინტერესო დაკვირვებები აქვს ჩერქეზთა სულიერი კულტურის, კერძოდ წარმართული რწმენა-წარმოდგენების შესახებ, რომელიც მიუხედავად აქ ქრისტიანული და მუსლიმანური რელიგიების მძლავრობისა, ჯერ კიდევ მტკიცედ იყო შემონახული ჩერქეზთა ყოფაში.

---

[1] *Ксаверио Главани.* Описание Черкесии. Перевод с французского Е.Г.Вейденбаума, СМОМПК, 17. Тифлис, 1893; *В.К.Гарданов,* АБКИЕА, 156-173.

„ჩერქეზეთის ყოველ ოლქს გააჩნია განსაკუთრებული წმინდა ადგილი, რომელიც ჩვეულებრივ ტყეში მდებარეობს და სადაც თაყვანისცემის ობიექტად დიდი ხე ითვლება. ასეთ ხეს ჩერქეზები ეძახიან – პენეკასანს; ისინი ლოცულობენ ასეთი ხეების წინ. მომაკვდავები თავიანთ ხმლებს, თოფსა და ტანსაცმელს უტოვებენ პენეკასანს. ისინი მიაქვთ იქ ცერემონიით და კიდებენ ხეებზე, ისე რომ დროთა განმავლობაში ტყე ივსება ყოველნაირი იარაღით, ტანსაცმლითა და სხვა საგნებით, მაგრამ მათზე შეხება არავის არ შეუძლია... იმ შემთხვევაში თუ ქალები ან კაცები ჩადიან დანაშაულს ან მკვლელობას, შემდეგ თავს აფარებენ პენეკასანს ტყეში და ყელზე შემოიხვევენ წმინდა ხეზე ჩამოკიდებულ რაიმე ნაჭერს, მაშინ ისინი სასჯელისაგან თავისუფდებიან, როგორც ღვთაების მფარველობის ქვეშ მყოფნი. ისეც მომხდარა, რომ თურქები, რომლებიც ტყვეობაში იყვნენ ჩერქეზეთში, პენეკასანთან შეფარების შემთხვევაში თავისუფლდებოდნენ ტყვეობისაგან“ (აღწერა, Г., 162).

საინტერესოა გლავანის ჩანაწერები ჩერქეზთა გარეგნობის, მათი ხასიათისა და ჩვევების, სტუმართმოყვარეობის, კერძოდ ათალიკობის ინსტიტუტისა და სხვ. შესახებ (აღწერა, Г.,162).

კარლ პეისონელი
1727-1790 წწ

გალვანის მოღვაწეობას ყირიმსა და კავკასიაში უშუალოდ აგრძელებს *კარლ პეისონელი*,[1] რომლის სამეცნიერო მოღვაწეობას ჩინებული დიპლომატისა და პოლიტიკოსის სახელიც ამშვენებდა. პეისონელმა თავისი მომავალი კარიერისათვის მზადება ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში თურქეთში, მამის გვერდით გაიარა, რომელიც ცნობილ საპორტო ქალაქ – სმირნაში საფრანგეთის კონსულად მსახურობდა. აქ პეისონელი ღრმად ჩაწვდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების საეაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების რთულ საკითხებს, რასაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ევროპის სახელმწიფოები.

1753 წლიდან 26 წლის პეისონელი საფრანგეთის ელჩია ყირიმის სახანოში. მან აქ გააგრძელა სმირნაში დაწყებული

---

[1] *Карл Пейсонель.* Трактат о торговле на Черном море, ч. I. Париж, *В.К.Гарданов,* АБКИЕА, 179-202.

საქმე და უკვე 1755 წელს საფრანგეთის მთავრობას წარუდგინა მოხსენებითი ბარათი - *„ჩანაწერები მცირე აზიის შესახებ“*, სადაც იგი დაწვრილებით ამცნობდა ჩერქეზთა ეთნიკურ სტრუქტურას, მათ დაყოფას ტომებად და სამთავროებად, პოლიტიკურ წყობას, ადმინისტრაციულ მმართველობის ფორმებს, რელიგიურ თავისებურებებს ადათ–წესებსა და ჩვეულებს და ა.შ.

მომდევნო წლებში პეისონელმა მოიარა შავი ზღვის აუზის თითქმის ყველა ქვეყანა და სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობების კვლევის გვერდით დიდი ადგილი დაუთმო ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკის განვითარების დონეს, ძირითადად სასოფლო–სამეურნეო დარგებს – მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, ნადირობას, შინამრეწველობასა და ხელოსნობას. ყველა ეს მონაცემი შევიდა 1754 წელს გამოცემულ პირველ სამეცნიერო ნაშრომში სპარსეთისა და საქართველოს ეკონომიკის შესახებ, ხოლო უფრო ვრცლად მათზე საუბარია პეისონელის ცნობილ ორტომეულში *„ტრაქტატი შავ ზღვაზე ვაჭრობის შესახებ“*, რომელიც მან 1787 წელს გამოსცა (ტრაქტატი, Г.,180-189 და შმდ.). ამ ნაშრომმა ავტორს დიდი აღიარება მოუტანა მთელ ევროპაში. ნაშრომის სათაურიდან კარგად ჩანს, რომ პეისონელი კეთილსინდისიერად ასრულებდა საფრანგეთის აღმავალი ბურჟუაზიის სისხლხორცეულ ინტერესებს, რაც შავი ზღვის აუზისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში საფრანგეთის კაპიტალის შეჭრასა და იქაური ბაზრების ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად.

იაკობ რეინეგსი
1744-1793 წწ.

ამ პერიოდის მოგზაურ–მკვლევართა შორის კავკასიის ხალხების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გერმანელი მეცნიერი, მედიცინის დოქტორი *იაკობ რეინეგსი*,[1] რომელმაც აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობა 1776 წელს დაიწყო. იგი 1779 წელს ჩამოვიდა თბილისში, მოახერხა ერეკლე II კართან დაახლოება და ერთდროულად დაიწყო მუშაობა ექიმად, სამონეტო სასახლის, ტიპოგრაფიისა და დენთის ქარხნების ხელმძღვანელად. მალე იგი გაიცნო პოტიომკინმა და სცადა მისი

---

[1] *Якоб Рейнеггс.* Всеобщее историко-топографическое описание Кавказа, ч. I. Гота-СПб., 1796, *В.К.Гарданов,* АБКИЕА, 209-213.

გამოყენება ერეკლე II-სა და იმერეთის მეფის სოლომონ I „კომისიონერად“, თუმცა რეინეგსის ავანტურისტულმა ხასიათმა ხელი შეუშალა მას ამ მისიის შესრულებაში. შემდგომ წლებში იგი მუშაობდა ჯერ მოსკოვში, შემდეგ ასტრახანში, ბოლოს კი ექიმად პეტერბურგში.

რეინეგსის დიდი დამსახურებაა მის მიერ შედგენილი კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა, რომელიც მან დაასრულა 1786 წელს. ამ ნაშრომშია შესული ავტორის კავკასიაში მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგები, კერძოდ უაღრესად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული დაკვირვებები, რომლის მსგავს ცნობებს ვერც ერთ მის თანამედროვის თხზულებაში ვერ ვხვდებით.

რეინეგსი დიდ ყურადღებას უთმობდა ყაბარდოელთა სოციალური ურთიერთობის საკითხებს. იგი აღწერს სოციალურ ფენებს, გამოჩენილ გვარებსა და საგვარეულობებს, მათ გენეალოგიას, ზოგადად მათი ცხოვრების წესს (აღწერა, Г.,210-211 და შმდ.).

არანაკლებ მნიშვნელოვანია რეინეგსის ცნობები ყაბარდოელთა საქმიანობის, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის, ხალხური კულინარიისა თუ სხვა ყოველდღიური ყოფითი ხასიათის მომენტების შესახებაც (აღწერა, Г.,212 და შმდ.). „ყაბარდოელთა ცხოვრების წესი ძალზე ზომიერია. ისინი სტუმართმოყვარე და დაუღალავი არიან როგორც თავიანთთვის ასევე მეგობრებისათვის. მრავალრიცხოვანი ჯოგები და დიდი რაოდენობის ცხენები აიძულებთ მათ ზაფხულობით ყოველდღიურად გამოიცვალონ სადგომი, რათა მათ ჯოგებს ყოველდღე ახალი საძოვარი ჰქონდეს. ზამთრის მოახლოებისას ისინი კვლავ თავიანთი სოფლებისაკენ მიემართებიან, სადაც უკვე მომარაგებული აქვთ თივა, ქერი და ფეტვი“ - წერდა რეინეგსი (აღწერა, Г.,212).

რეინეგსი ყურადღებას ამახვილებს ყოველდღიური ცხოვრების დეტალებზე და საინტერესო ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს გთავაზობს ყაბარდოელთა ტრადიციული ყოფიდან. „ყაბარდოელთა ვაჭრობა ცხენის, ცხვრის, ხარების, თაფლის, ცვილისა და ორივე სქესის მონების გაყიდვაა.

მათ მოყავთ ფეტვი და ქერი, ცოტაოდენი მარცვლეული და მაისი. მათ ბელელში ყოველთვის შეგიძლიათ ნახოთ თაფლის მარაგი, თაფლის დასალევი, რძე და ყველი. ისინი ცხენის ხორცს არ ჭამენ, მაგრამ ცხენის შემჟავებული რძე (კუმისი) მათი სასურველი და საიამოვნო საჭმელია“ (აღწერა, Г.,213).

იან პოტოცკი
1761-1815 წწ.

ცნობილი პოლონელი მოგზაური გრაფი *იან პოტოცკი*[1] დიდხანს მოგზაურობდა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. 1798 წელს მოსკოვიდან ასტრახანის გაელით იგი მოხვდა ჩრდილო კავკასიაში. ისტორიით, ფილოლოგიით, არქეოლოგიითა და ეთნოლოგიით დაინტერესებულმა მკვლევარმა საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვა ადიღეელთა და ჩერქეზთა შესახებ, რომელიც საბოლოოდ მის ცნობილ ნაშრომში – *„მოგზაურობანი ასტრახანისა და კავკასიის ველებში“* შევიდა (მოგზაურობანი,Г.,226-234). პოტოცკი სწავლობდა დოკუმენტებს ყაბარდოელ მთავართა გენეალოგიის შესახებ. მის ნაშრომთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს *„ჩერქეზული ლექსიკონს“*, რომელშიც ჩერქეზთა ლექსიკური ფონდის უმდიდრესი ნიძუშებია შესული.

იაკობ რეინეგსისა და იან პოტოცკის კავკასიური მოღვაწეობა შემდეგ მოსკოვსა და პეტერბურგში გაგრძელდა და იგი რუსეთის ხელისუფლების მიერაც იქნა გამოყენებული, რომელიც ევროპელებთან მეტოქეობაში კავკასიის შესახებ დასავლეთის მოგზაურ–მკვლევართა ჩანაწერებსა და ნაშრომებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მათ შორის რეინეგსისა და პოტოცკის გამორჩეული ადგილი ეჭირათ კავკასიის რუსული პოლიტიკის განხორციელებაში.

ევრაზიის ახალი საეაჭრო გზების ძიების პროცესში ევროპულ დიპლომატიაში აღმოსავლურ და მასთან დაკავშირებულ კავკასიის საკითხის გააქტიურებას ცალმხრივი ხასიათი როდი ჰქონდა. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნისა და კავკასიური ექსპანსიის წარმატებულ ცდებს, ზოგადად რუსეთის დაინტერესებას აღმოსაელეთის გლობალური საკითხებით თან ახლდა შეუნელებელი ყურადღება კავკასიის ხალხების მიმართ, რაც სათანადოდ აისახა რუსულენოვან წყაროებშიც.

რუსეთ–კავკასიის იშვიათი კავშირები მონღოლ–თათართა ბატონობის ეპოქაში ახალი ძალით განახლდა XVI საუკუნეში,

---

[1] *Ян Потоцкий.* Путешествие в астраханские степи, т. I. Париж, 1829, *В.К.Гарданов,* АБКИЕА, 225-234.

რასაც თავისი მიზეზებიც გააჩნდა. 1552-1556 წლებში ყაზანისა და ასტრახანის სამთავროების შემოერთების შემდეგ, მოსკოვის სახელმწიფო უშუალოდ დაუმეზობლდა კავკასიას. დაიწყო კავკასიის ათვისების ინტენსიური პროცესი. 1567 და 1588 წლებში რუსეთმა სუნჯისა და თერგის შესართავებთან პირველი ციხე-სიმაგრეები ააგო.

რუსეთის ექსპანსიას კავკასიაში სხვა გარემოებებიც უწყობდა ხელს. ირან–ოსმალეთის გამუდმებული შემოსევებით შეწუხებული კავკასიის მთავრები ძალაუნებურად რუსული ორიენტაციის გზას დაადგნენ, რომლის შედეგადაც 1557 წელს ყაბარდოელმა მთავარმა თემურყვამ მოსკოვის ქვეშერდომობა მიიღო, ხოლო 1580-იან წლებში აქტიური დიპლომატიის წყალობით კახეთის სამეფომ კავშირი დადო რუსეთთან.

XVI საუკუნის ბოლო მეოთხედში მოსკოვის სახელმწიფოს წარმატებებს კავკასიაში თან მოჰყვა რუს მოხელეთა მოძალება დიპლომატიური მისიით. XVII ს. დასაწყისიდან დიპლომატის სტატუსით საქართველოში ჩამოვიდნენ რუსი ელჩები *პავლე ზახარიევი, თევდორე ელჩინი, ეფიმ მიშეცკი, ივანე კლუჩარიოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექსი ივლევი, ნიკიფორე ტოლოჩანოვი* და სხვ.

თევდორე ელჩინი
პავლე ზახარიევი
1639-1640 წწ.
მოსკოვის I ელჩობა
საქართველოში

მოსკოვის პირველი ელჩობა საქართველოში 1639 წელს გაიმართა და მასში მონაწილეობდნენ თარჯიმანი თევდორე ელჩინი და მღვდელი პავლე ზახარიევი.[1] ლევან I დადიანთან მოლაპარაკების შემდეგ მოსკოვში დაბრუნებულმა დიპლომატებმა 1640 წელს შეადგინეს ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, რომელსაც რელიგიურ და საეკლესიო ამბებთან ერთად დართული ჰქონდა „*დადიანის ქვეყნის*" მოკლე აღწერილობა. აღწერაში გადმოცემული იყო იმდროინდელი სამეგრელოს მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები, ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, მიწის დამუშავების

---

[1] *С.А.Белокуров.* Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую землю 1639-1640 гг., Чтения в Обществе истории и древностей российских при Московском университете, 2, 1887.

ფორმები, საჭმლის დამზადებისა და სუფრის გაძღოლის წესები, საქორწინო რიტუალები და ა.შ. (I ელჩობა,186 და შმდ.).

ეფიმ მიშეცკი
ივანე კლიუჩაროვი
1640-1643წწ.
მოსკოვის II ელჩობა
საქართველოში

კახეთში მიწათმოქმედების, კერძოდ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისა და სამხედრო საქმის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან 1640-1643 წლებში თეიმურაზ I კარზე რუსეთის მეორე დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები თავადი *ეფიმ მიშეცკი* და *დიაკი ივანე კლუჩაროვი*[1] (II ელჩობა, 186 და შმდ.).

ნიკიფორე ტოლოჩანოვი
ალექსი ივლევი
1650-1652 წწ.
მოსკოვის III ელჩობა
საქართველოში

იმერეთის სამეფო კარის ცხოვრებისა და საეკლესიო ყოფის, მოსახლეობის რიცხობრივი შემადგენლობის, გარეგნული აღნაგობის, მათი ჩაცმულობის, საჭმელ—სასმელისა და სუფრის წესების, საცხოვრებელი და საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და სხვ. შესახებ უაღრესად საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან *დიაკი ა. ივლევი* და *სტოლნიკი ნ. ტოლოჩანოვი*,[2] რომლებმაც იმერეთი 1650-1652 წლებში, მოსკოვის საქართველოში მესამე ელჩობის დროს მოინახულეს. სამაგალითოა ივლევისა და ტოლოჩნოვის დაკვირვებანი იმერული სოფლის დასახლების

---

[1] *თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში 1640-1643 წწ.*, საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევექტოვმა, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი უცხო ქვეყნებთან, ტფილისი, 1928.

[2] *სტოლნიკი ტოლოჩნოვისა და დიაკი ივლევის ელჩობა იმერეთში 1650-1652 წწ.*, საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევექტოვმა, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი უცხო ქვეყნებთან, ტფილისი, 1926.

ფორმათა შესახებ. „სოფლად დასახლებებში კარმიდამოები გაფანტულია სერებზე და ველებზე, მთებს შუა და მთებზე. სადაც ნაკადულებია, იქვეა მათი დასახლებაცა და ყანებიც. ცხოვრობენ არა დაბებად, არამედ გაფანტულად, ორ–ორი, სამ-სამი, ათი, ოცი და ა.შ. კომლის ოდენობით, კომლსა და კომლს შუა თოფის სასროლი მანძილის ნახევარი მაინცაა. და ყოველი კომლი ისეა გარშემორტყმული ბალ–ბოსტნებით, ხეხილით და ვაზით, თითქოს უჩინარ ტყეში იყოს ჩაფლული“(III ელჩობა,274). ანალოგიური ხასიათის ცნობებია შესული მათ აღწერილობაში კავკასიის სხვა კუთხეების შესახებ, სადაც მათ გაიარეს ასტრახანიდან ქუთაისში მგზავრობის დროს.

არანაკლები პოლიტიკური მიზნები გააჩნდა XVII საუკუნის რუს მოგზაურ-მკვლევართა, საზოგადო მოღვაწეთა და სახელმწიფო მოხელეთა ექსპედიციებსა თუ ცალკეულ ვიზიტებს კავკასიაში, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ *ვასილ გაგარას* (XVIIს.), *მიხეილ ტიხონოვს* (XVI–XVIIს. დასაწყისი) და სხვ.

ვასილ გაგარა
XVII ს.

რუსი ვაჭარი *ვასილ გაგარა*[1] 1634-1637 წლებში იერუსალიმში, ეგვიპტესა და სინაიში „ცოდვების განსაწმენდად“ მოგზაურობისას ხანმოკლე დროით თბილისსა და ერევანშიც შეჩერდა და ამ ქალაქების შესახებ მოკლე აღწერილობანიც დაგვიტოვა. ლიტერატურული ჟანრის მიხედვით გაგარას აღწერილობა ქალაქების გარეგანი სახის, ლანდშაფტისა და ბუნებრივი პირობების, სამეურნეო საქმიანობისა და სხვ. შესახებ ძველრუსული ტრადიციული „წმინდა ადგილებში მოგზაურობის“ ანალოგიურ თხზულებას წარმოადგენდა. გარდა იმისა, რომ ევროპელ მოგზაურ–მკვლევართა მსგავსად აქ ფანტასტიკურ სიუჟეტებსაც ეხვდებით (ცხოვრება,273), იგი ვერც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ტოვებს მდიდარ შთაბეჭდილებას.

---

[1] *В.Я.Гагара.* Жите и хождение в Иерусалим и Египет казанца Василия Гагары 1634-1637 гг, под редакцией С.О.Долгова. Православный Палестинский сборник, т. XI, вып. 3, 1891.

მიხეილ ტიხონოვი
XVII-XVIII ს. დასაწყისი

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით კიდევ უფრო მკრთალია სპარსეთში რუსეთის ელჩის *მიხეილ ტიხონოვის*[1] ჩანაწერები, რომელიც მოსკოვიდან სპარსეთში 1613 წელს გაემგზავრა იმ პერიოდში რუსეთ-ირანის შესუსტებული კავშირების აღსადგენად. სპარსეთში იგი თავისი ამალით ასტრახან-კასპიისპირეთის გზით ჩავიდა, უკან მგზავრობისას კი იმავე გზით გამოიარა შემახა, დერბენტი, თერგი და აქედან კვალვ ასტრახანში დაბრუნდა. ტიხონოვის ჩანაწერებში მოტანილია საინტერესო ცნობები შაჰ-აბას I მიერ კახეთის აოხრების შესახებ, საუბარია კავკასიის ქვეყნების სპარსულ ორიენტაციაზე, რუსეთ-კავკასიის სასაზღვრო გამიჯვნის საკითხებზე და ა.შ. (დოკუმ.,151 და შმდ.). ამასთან ერთად ზოგჯერ აქ ვხვდებით ცნობებს ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობის, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფისა თუ კულტურის რეალიების შესახებაც (დოკუმ.,160-312).

რუსეთის სახელმწიფოს აქტივობა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში იმთავითვე უპირისპირდებოდა საფრანგეთის ხელისუფლების ცდებს მხარი დაეჭირათ დაცემის გზაზე მდგარ ოტომანთა იმპერიისათვის, რასაც ხელი უნდა შეეწყო ფრანგული კაპიტალის შეჭრისათვის ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის კავკასიაში, განსაკუთრებით კი ამიერკავკასიაში.

ოტომანთა იმპერიის გადარჩენისა და გამოყენების ფრანგული პოლიტიკის საპირისპიროდ ცარიზმის ადმინისტრაცია ახლო აღმოსავლეთში გეგმაზომიერად ახორციელებდა თურქეთისა და სპარსეთის დაშლისა და მათი ცალკეული ოლქების მიტაცების კოლონიალურ პოლიტიკას. ახლო აღმოსავლეთში რუსეთ-საფრანგეთის, რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ასეთი მძაფრი მეტოქეობის მიუხედავად XVII–XVIII საუკუნეებში რუსეთის დიპლომატიამ კავკასიაში ძალზე ძნელი, მაგრამ წარმატებული ნაბიჯები გადადგა. და თუმცა, რუსეთი, ჯერ კიდევ შორს იდგა კავკასიაში საბოლოო დამკვიდრებისაგან, იგი მაინც შეუპოვრად მიიწევდა წინ ამ მიზნის მისაღწევად. ამის გარანტი გახლდათ აღმოსავლეთ და

---

[1] *Документы, относящиеся к посольству Тихонова и Бухарова в Персию, Н.А.Веселовский.* Памятники дипломатических и торговых сношении Московской Руси с Персией, т.II, СПб., 1892; *Тихонов Михаил Никитич* (XVI-нач.XVIIв.), *М.А.Полиевктов.* ЕПИК (XIII-XVIIIвв.), Тифлис, 1935.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა კავშირები რუსეთთან, ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ლაშქრის მხარდაჭერა პეტრე პირველისადმი კასპიისპირეთში ლაშქრობისას (1722-1723წწ.), სამხედრო წარმატებები რუსეთ-ოსმალეთის ომებში (1768-1774წწ.) ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორისა და იმერეთის მეფე სოლომონ პირველის აქტიური მხარდაჭერით, რასაც საბოლოოდ ქუჩუკ კაინარჯის საზავო ხელშეკრულება (1774წ.) და ყაბარდოსა და ოსეთის რუსეთთან შეერთება მოყვა შედეგად.

რუსეთის სამხედრო ძალისა და დიპლომატიის დიდი გამარჯვება გახლდათ ყირიმის შემოერთება (1783წ.) და გეორგიევსკის ტრაქტატი (1783წ. 24 იელისი), რომელიც საბოლოოდ ქართლ–კახეთის სამეფოს გაუქმებითა და საქართველოს ანექსიით დასრულდა (1801წ. 18 იანვარი).

კავკასია ახლო აღმოსავლეთის ფრონტზე რუსეთის ამ დიდ წარმატებებს წინ უძღოდა და თან ახლდა XVIII საუკუნის ცარიზმის ადმინისტრაციის მიერ კავკასიაში საგანგებოდ დაგეგმილი და განხორციელებული რუსი აკადემიკოსების *სამუილ გოტლიბ გმელინის* (1744-1774წწ.), *იოჰან ანტონ გიულდენშტედტის* (1741-1781წწ.), *პეტრე სიმონ პალასის* (1741-1811წწ.) და სხვ. სანეცნიერო–დაზვერვითი ხასიათის ექსპედიციები, *გოტლიბ შობერის* (1670-1739წწ.), *იოჰან გუსტავ გერბერის* (გარდ.1734წ.), *არტემ ვოლინსკის* (1689-1740წწ.), *ალექსანდრე იაკოვლევის* (გარდ.-1727 შემდგომ), *იოჰან ლერხის* (1703-1780წწ.), *ჯონ კუკის* (გარდ.1754წ.), *ნიკოლოზ იაზიკოვის* (1740-1777წწ. შემდგომ), *სტეფანე ბურნაშოვის* (1743-1824წწ.) და სხვ. სამხედრო–დიპლომატიური მისიები და ა.შ.

აღნიშნულ მოგზაურ–მკვლევართა, დიპლომატთა, აპარატის მოხელეთა თუ ახლადდაპყრობილი ქვეყნების მონახულების რომანტიკული ხიბლით შეპყრობილ საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომებსა და ჩანაწერებში გარკვეულ პოლიტიკურ დაკვეთებთან ერთად უხვი და მრავალფეროვანი ცნობებია მოტანილი კავკასიის ხალხების ყოფისა და კულტურის სხვადასხვა მხარეების შესახებაც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ XVIII საუკუნის ამ რუსულენოვანი ავტორებისა და შესაბამისი წყაროების დამსახურება გახლდათ ის, რომ მომდეენო XIX საუკუნეში კავკასია და კავკასიის ხალხები, სოციალურ-პოლიტიკურ მიზნებთან ერთად, რუსული მეცნიერების, მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენელთა ფართო დაკვირვების, შესწავლისა და ანალიზის ობიექტად იქცა და ახალი დროის კავკასიათმცოდნეობა მეტად საჭირო და

აუცილებელი ისტორიულ–ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემებით გაამდიდრა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებში რუსეთის გაელენების დამკვიდრებას დიდად შეუწყო ხელი ფართომასშტაბიანმა აკადემიურმა სამეცნიერო ექსპედიციებმა, რომლებმაც მხარის ბუნებრივი რესურსების და შესაძლებლობების გამოელენისა და პრაქტიკული გამოყენების საკითხების შესწავლასთან ერთად სერიოზული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებიც შეაგროვა.

სამუილ გმელინი
1744-1774 წწ.

1768-1774 წლებში რუსეთის აკადემიის ერთერთი პირველი ექსპედიციის ხელმძღვანელი გახლდათ ცნობილი ბოტანიკოსი აკადემიკოსი *სამუილ გმელინი*,[1] რომელიც ვოლგითა და კასპიისპირეთის გაელით ირანში, ხოლო იქედან უკან დაბრუნებისას ყუმის ტრამალებისა და თერგისპირეთის გზით ასტრახანში დაბრუნდა. კავკასიის კასპიისპირა მხარეების ბოტანიკური აღწერისას გმელინი მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის დაღესტნისა და აზერბაიჯანის, ქალაქების მოზდოკის, ყიზლარის, ბაქოს, დარუბანდის შემახსა და სხვ. შესახებ (მოგზაურობანი, III, 1-2, IV და შმდ.).

იოჰან გიულდენშტედტი
1741-1781 წწ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში 1768-1775 წლებში გამართული მეორე კომპლექსური ექსპედიცია, რომელსაც ცნობილი ექიმი და ბუნებისმეტყველი, აკადემიკოსი *იოჰან გიულდენშტედტი*[2] ხელმძღვანელობდა. ექსპედიცია,

---

[1] *Гмелин С.Г.* Путешествие по России для исследования трех царств естества, 4 части, СПб., 1771-1785.

[2] *J.A.Guldenstedt.* Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, hrqq. vcn P.S.Pallas, 2 vls. St.Petersburg, 1787-1791; *Иоганн Антон Гюльденштедт.* Путешествия г-на академика И.А.Гюльденштедта через Россию и по Кавказским горам в 1770, 71,72 и 73 годах, СПб., 1809; *Иоганн Антон*

რომლის მიზანსაც ასევე რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის ბუნებრივი რესურსებისა და მისი გამოყენების პოტენციალური შესაძლებლობების კვლევა-ძიება წარმოადგენდა, ამჯერად მთლიანი კავკასიის შესწავლას ითვალისწინებდა.

ცარიზმის ადმინისტრაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებების (სოფლის მეურნეობა, სამთო საქმე, წიაღისეული რესურსები, სამრეწველო პოტენციალი და ა.შ.) კვლევა-ძიებასთან ერთად ასევე საყურადღებოა გიულდენშტედტის ეთნოგრაფიული ჩანაწერები ქისტების, ინგუშების, ქართველების, დაღესტნის ხალხების, ნოღაელების, ოსების, ყუმუხების, ადიღეელების, ყაბარდოელების, ბალყარლების, ყარაჩაელებისა და სხვ. შესახებ (მოგზაურობა,VI,VII,IX,X დაშმდ.). ამ ჩანაწერებში საინტერესო მონაცემებია მოტანილი ზემოთაღნიშნული ხალხების სამეურნეო ყოფის, განსახლების, საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების, სოციალური ორგანიზაციის, კავკასიის ხალხთა ენების და კილოკავებისა და სხვ. შესახებ, რაც დიდხანს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროთმცოდნეობით ბაზას ფუნდამენტური ეთნოლოგიური გამოკვლევებისათვის.

პეტრე პალასი
1741-1811 წწ.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ასევე მეტად საყურადღებო მონაცემები იქნა შეგროვებული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მესამე ექსპედიციის დროსაც, რომლის ერთერთი თვალსაჩინო მონაწილე და ხელმძღვანელი გახლდათ ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, პალეონტოლოგიაში, გეოლოგიაში, გეოგრაფიასა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებში ღრმად განსწავლული მეცნიერი, აკადემიკოსი *პეტრე პალასი.*[1]

Гюльденштедт. Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, *В.К.Горданов,* АБКИЕА, 204-213; *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში,* გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *გ.გელაშვილმა,* უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, IX, ტ.I-II, თბილისი, 1962-1964.

[1] *P.S.Pallas.* Bemerkungen auf einer Reise in die südlichen Statthalterschaften des Russischen Reichs in den Jahren 1793, und 1794, 2 vls., Leipzig, 1803; *П.С.Паллас.* Путешествие по разным провинциям Российского государства, ч. I-IV, СПб.,

აღსანიშნავია ისიც, რომ პალასის ფართო განათლება მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებით არ ამოიწურებოდა. იგი სერიოზულად იყო დაინტერესებული ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობის საკითხებით, რომელთა შესწავლასა და ანალიზს მან რუსულ და სხვა ევროპულ ენებზე არაერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია მიუძღვნა.

პეტრე პალასის სამეცნიერო ექსპედიცია კავკასიაში გმელინისა და გიულდენშტედტის მოგზაურობათა გაგრძელებას წარმოადგენდა და იმავე პროგრამით ჩატარდა, რითაც 1768-1774 წლებში პირველი ორი ექსპედიცია განხორციელდა. მიხედავად ამისა პალასის ფართო მეცნიერული ჰორიზონტი საზოგადოებათმცოდნეობის დარგებში მის მიერ მოწოდებულ ეთნოგრაფიული ცნობები ადიღეელთა, ოსების, ბალყარლებსა და კავკასიის მთიანეთის სხვა ხალხების შესახებ ზუსტი და მრავალმეტყველია. მან შეძლო მოეცა ადიღეელთა, აბაზინთა და სხვა მონათესავე ტომთა განსახლებისა და საზოგადოებრივი ყოფის, ეთნოკულტურული თავისებურებების ზუსტი სურათი, ყურადღება მიაქცია და აღწერა რიგი მცირე ხალხები, კერძოდ ახტუბელი თათარი-კონდურები, ჩრდილო წინაკავკასიის ყალმუხები და ტრუხმენები, აზოვისპირეთის ნოღაელები, დონის კაზაკები, ჩერქეზთა ცალკეული ტომები და ა.შ. (მოგზაურობანი, I,X,XI და შმდ.). პალასს ეკუთვნის აგრეთვე ერთერთი პირველი მინიშნება დასავლეთ ადიღეური ტომების, კერძოდ შაფსუღებისა და ნატუხაელების ეთნოგენეზში აბაზინთა დიდი როლის შესახებაც (შენიშვნები, Г.,222-224).

პეტრე პალასის ჩანაწერების მეცნიერულმა სიღრმემ და სიახლემ მის ნაშრომებს გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა XVIII საუკუნის დასასრულის კავკასიათმცოდნეობაში. რიგ შემთხვევებში ამ მონაცემებს დღესაც არ დაუკარგავს წყაროთმცდონეობითი მნიშვნელობა.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სამეცნიერო სააკადემიო ექსპედიციებს წინ უსწრებდა *გოტლიბ შობერის, იოჰან გერბერის, იოჰან ლერხის, ალექსანდრე იაკოვლევისა* და *ჯონ კუკის* სამხედრო დიპლომატიური მისიები.

1773-1793; *Петр Симон Паллас.* Заметки о путешествиях в южные наместничества российского государства в 1793 и 1794 гг., *В.К.Гарданов.* АБКИЕА, 215-224.

გოტლიბ შობერი
1670-1739 წწ.

სამდივნოს კანცელარიის კოლეგიის წევრი, ლეიბ–მედიკი *გოტლიბ შობერი*[1] იმპერატორ პეტრე I დავალებით 1717-1720 წლებში სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში მოგზაურობდა. კავკასიის ხალხთა შესახებ შეკრებილი ეთნოგრაფიული ხასიათის მასალებიდან აღსანიშნავია მისი ცნობები ნოღაელებისა და დაღესტნის ხალხების შესახებ, სადაც იგი საკუთარ დაკვირვებებთან ერთად ადრე გამოქვეყნებულ წყაროებსაც ეყრდნობა.

იოჰან გერბერი
გარდ. 1734 წ.

ამავე პერიოდში მეტად საყურადღებო მასალებს გვაწვდის *იოჰან გერბერიც*,[2] რომელიც 1710-1734 წწ. რუსეთის არმიაში მსახურობდა. იგი მონაწილეობდა პეტრე I ლაშქრობაში სპარსეთის წინააღმდეგ, რომლის შემდეგაც დიპლომატიური მისიით დაღესტანში გააგრძელა სამსახური. სწორედ დაღესტნის ხალხების, კერძოდ ავარების, დარგუელების, ყუბაჩების, ლაკების, ლეკებისა და მთიელი ებრაელების შესახებ ეხვდებით გერბერის ჩანაწერებში საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებს, თუმცა ამ მხრივ არანაკლებ საყურადღებოა მისი ცნობები ნოღაელების, ადიღეელების, ყაბარდოელების, აგრეთვე აზერბაიჯანელების სომხებისა და ქართველების შესახებაც (ჩანაწერები, Г.,151-155). ცალკე უნდა აღინიშნოს გერბერის მიერ შედგენილი კასპიის ზღვის სანაპიროს რუკა ასტრახანიდან ვიდრე მტკვრის შესართავამდე, რომელსაც ახლავს სათანადო აღწერილობა და კომენტარები.

---

[1] Auszung aus *D.Gottlob Schobers* bisher noch ungedrucken Werke „Memorabilia Russico-Asiatica", „Sammlung Russischer Geschiche", VII, 1-2, 1762; *М.А.Полиевктов.* ЕППК (XVII-XVIIIвв.), Тифлис, 1935.

[2] *Иоганн Густав Гербер.* Записки о находящихся на западном берегу Каспийского моря, между Астраханью и рекою Кура, народах и землях и об их состоянии в 1728 году. „Сборник по русской истории". СПб., 1760, *В.К.Гарданов.* АБКИЕА, 151-155; *М.А.Полиевктов.* ЕППК (XVII-XVIIIвв.), Тифлис, 1935; *М.О.Косвен.* Материалы по истории этнографии Кавказа в русской науке, (МИЭКРН), КЭС, I, М. 1955., II, 1958, III, 1962.

გერბერთან ვხვდებით მეტად გულუბრყვილო შეხედულებას მის მიერ საერთოდ ლიტერატურაში პირველად აღწერილი ყუბაჩელების ევროპული წარმოშობის შესახებ, რაც ალბათ აკად. გ. ბაიერის გავლენით უნდა აიხსნას, რომელიც დაღესტნის მოსახლეობის ამ შტოს „ფრანკების" შთამომავლად მიიჩნევდა (ჩანაწერები, Г.,153).

არტემ ვოლინსკი
1689-1740 წწ.

XVIII საუკუნის წყაროთა ამ ძუნწ ნაკადში უნდა აღინიშნოს *არტემ ვოლინსკის*[1] დიპლომატიური მისიის შესახებაც. იგი ძირითადად სპარსეთში მოღვაწეობდა, სადაც 1715 წელს გაგზავნილი იყო პეტრე I მიერ სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. მართალია ვოლინსკის ჩანაწერებში, ძირითადად სპარსეთის აღწერილობაა მოცემული, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ასევე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათს ფრაგმენტული ცნობები აზერბაიჯანის მოსახლეობის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების, შედარებით დაწვრილებით კი შემახის მხარის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვოლინსკიმ მოახერხა იმ დროს სპარსეთში მყოფი ვახტანგ VI გაცნობა და ხელი შეუწყო მას პირველი სერიოზული კონტაქტები დაემყარებინა პეტრე I-თან (აღწერა, 128 და შმდ.).

იოჰან ლერხი
1703-1780 წწ.

:

დაღესტნისა და ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი სხვა ხალხების შესახებ საყურადღებო მონაცემებს ვხვდებით ასტრახანში რუსეთის არმიის სამხედრო ექიმის *იოჰან ლერხის*[2]

---

[1] *А.Волынский.*Описание Персии. В кн. Е.Зевакин. Азербайджан в начале XVIII века. Известия Общества обследования и изучения Азербайджана, IV, №8, Баку 1929.

[2] *Выписка из путешествия Иогана Лерха...*, „Новые ежемесячные сочинения", XLIII-XLV, 1790; *Известие о втором путешествии д-ра и коллежского*

ჩანაწერებშიც, რომელიც საკუთარ დაკვირვებებთან ერთად იყენებდა კორესპონდენტთა ქსელსაც.

კავკასიის შესახებ ლერხის მიერ მოტანილი ეთნოგრაფიული მონაცემები ძირითადად შეეხება კასპიისპირეთის პროვინციებს, პირველ რიგში კი დაღესტნის მხარეს, რომლის შესახებაც იგი მასალებს კრებდა 1734 წელს სულაკში სამსახურის დროს. ლერხის ეს მასალები ძირითადად ისტორიულ, გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ პოლიტიკურ თემებს ეხება, მაგრამ აქვე ვხვდებით წმინდა ეთნოგრაფიულ აღწერილობებსაც.

ალექსანდრე იაკოვლევი
გარდ. 1727 წ. შემდგომ

XVII საუკუნის 20-იან წლებში კავკასიის რუსული ოკუპაციის დიპლომატიურ სამსახურში ეოლინსკის, გერბერის, ლერხისა და სხვ. გვერდით თავისი წვლილი შეიტანა *ალექსანდრე იაკოვლევმაც,*[1] რომელიც პრეობრაჟენსკის პოლკში სამსახურის შემდეგ კავკასიის გავლით სპარსეთში გაიგზავნა რეზიდენტად. მის მიერ შედგენილ ავტობიოგრაფიული ხასიათის „ჟურნალში" იაკოვლევს შეტანილი აქვს საინტერესო ჩანაწერები კასპიისპირეთის ოლქების მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესახებაც, რასაც ზემოაღნიშნულ ავტორთა მონაცემებთან ერთად დამატებით–საცნობარო მნიშვნელობა გააჩნია (გამგზავრება,78,134 და შმდ.).

კავკასიის ხალხების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამხედრო დიპლომატიური მისიის კიდევ ორი წარმომადგენელი – *ნიკოლოზ იაზიკოვი* და *სტეფანე ბურნაშევი.* ფაქტობრივად მათი მონაცემებით ივსება ნაწილობრივ ის ხარვეზი, რომელიც გაჩნდა ამ პერიოდში რუსულენოვან წყაროებში კავკასიის ხალხების შესახებ.

советника Лерха в Персию от 1745 до 1747, „Новые ежемесячные сочинения", L-LXII, 1790-1791.

[1] *Выписка из журнала Александра Андреевича Яковлева,* Находившегося при императоре Петра Великом в сражении под Прутом в 1711 г., „Отечественные Записки", (03), ч.XIX, №51, 1824; *О поездке А.А.Яковлева* в Астрахан и Персию в 1722-1724 гг., 03, ч.XX, №54 1824 и ч. XXIII, №63, 1825.

ნიკოლოზ იაზიკოვი
1740-1777 წწ.

სემიონოვის პოლკის ლეიბ–გვარდიის კაპიტანი *ნიკოლოზ იაზიკოვი*[1] კავკასიასა და, კერძოდ საქართველოში მეფის რუსეთის ადმინისტრაცამ 1770 წელს გამოგზავნა. იაზიკოვის „დელიკატურ" მისიას ევალებოდა მოეწესრიგებინა ის გაუგებრობა, რომელიც წარმოიშვა ერთის მხრივ ერეკლე II და სოლომონ I-სა და მეორეს მხრივ საქართველოში რუსეთის არმიის დამხმარე კორპუსის სარდალს, გრაფ კურტ ტოტლებენს შორის (ცაგ.,139).

კონფლიქტის ძირითადი მიზეზი გახლდათ გრაფ ტოტლებენის უხეში და გაუგებარი პოლიტიკა საქართველოში, რომელიც მეტროპოლიასთან შეუთანხმებლად ერეკლე II ხელისუფლების დამხობასაც კი ისახავდა მიზნად. მასვე ევალებოდა შეეკრიბა ახალი და ამომწურავი მასალები ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა პროვინციების შესახებ, რაც რუსეთის ადმინისტრაციას საქართველოში შესაძლო საომარი ოპერაციების დროს უნდა გამოეყენებინა.

პირველი მისია იაზიკოვის მონაწილეობით გენერალ ტოტლებენის გაწვევით დასრულდა, რაც შეეხება მეორე დავალებას იგი არც აქ აღმოჩნდა უპირობო დიპლომატი და 1970 წელს ორი, საკმაოდ ვრცელი ჩანაწერი შეადგინა (ცაგ.,144).

ნიკოლოზ იაზიკოვის „ჩანაწერები საქართველოს შესახებ" ზოგადი ხასიათის ნარკვევია ქართლ–კახეთისა და იმერეთის სამეფოების მოსახლეობის შესახებ. აქ ვხვდებით ცნობებს მხარეთა გეოგრაფიული საზღვრების, ბუნებრივი პირობების, კლიმატის, ჰიდროგრაფიული ქსელის, ბუნებრივი რესურსების, მოსახლეობის რიცხოვნების, სამეურნეო დარგების (მეთევზეობა, მიწათმოქმედება, მეაბრეშუმეობა და სხვ.) ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, ხელოსნური დარგების, მმართველობის სისტემისა და სხვ. შესახებ (ცაგ.,261).

წმინდა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საყურადღებოა აქ შესული მონაცემები ვაჭრობა-აღებ-მიცემობის, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ტანსაცმლის,

---

[1] ნ.იაზიკოვის ყველა ჩანაწერი გამოქვეყნებულია ა.ცაგარელის მიერ. იხ. *А.А.Цагарели. Грамоты и другие исторические документы* XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с 1768 по 1774 год, СПб., 1891; М.О.Косвен. МИЭКРН, КЭС, I, М. 1955, II, 1958.

ქორწინების, დაკრძალვის წესებისა და სხვ. შესახებ. ანალოგიური საკითხებისადმია მიძღვნილი „ჩანაწერები სამეგრელოს შესახებაც“, თუმცა გზაში გაძარცვისას მას დედანი გურიისა და სამეგრელოს მონაცემებით დაუკარგავს და მხოლოდ მოგვიანებით აღუდგენია ეს დღიურები (მასალები,279).

ნიკოლოზ იაზიკოვის მესამე „ჩანაწერი“, რომელიც რუსეთიდან საქართველოსაკენ მომავალი მარშრუტის აღწერას შეეხება, გარკვეულ ცნობებს შეიცავს მთიულთა შესახებაც. აქვე ყურადღება გამახვილებულია ქართველებისა და დაღესტენელების ეთნო-კულტურული ურთიერთობის შესახებაც (ცაგ.,262).

სტეფანე ბურნაშევი
1743-1824 წწ.

ერეკლე II და სოლომონ I კარზე რამდენადმე მოგვიანებით (1783-1787წწ.) ანალოგიურ დიპლომატიურ მისიას ასრულებდა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი ქართლ-კახეთსა და იმერეთში *სტეფანე ბურნაშევი*,[1] რომელმაც ამ პოსტზე რეინეგსი შეცვალა. სამხედრო-დიპლომატიურ საქმეებთან ერთად ბურნაშევის პირდაპირ დავალებას წარმოადგენდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა სათანადო რუკების დართვით.

სტეფანე ბურნაშევმა დიპლომატიურ მოვალეობასთან ერთად სანიმუშოდ შეასრულა მეორე დავალებაც. მან შეადგინა კავკასიის ქვეყნების სამი აღწერილობა: „საქართველოს სურათი“, „აზერბაიჯანის ოლქების აღწერა“ და „მთიელი ხალხების აღწერა“, რომლებშიც აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკური ვითარებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ეთნოგრაფიულ სიუჟეტებსაც.

---

[1] *С.Д.Бурнашев.* Картина Грузии или описание политического состояния царства Карталинского и Кахетинского 1786 г., Тифлис 1894; *Зиссер.* Описание областей Адребижанских и их политического состояния, Курск, 1793; *С.Н.Бурнашев.* Новые материалы для жизнеописания и деятельности С.Д.Бурнашева, бывшего в Грузии с 1783-по 1787 год, с приложением карт, портретов и факсимиле, под ред. А.А.Цагарели, СПб., 1901; *М.А.Полиевктов.* ЕППК (XVII-XVIII вв.), Тифлис, 1935.

სტეფანე ბურნაშევის ნარკვევში საქართველოს შესახებ ყურადღებაა გამახვილებული ქართლ-კახეთისა და იმერეთის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, ქვეყნის სოციალურ წყობასა და მის ეკონომიკურ ვითარებაზე, დახასიათებულია მეურნეობის დარგები – მიწათმოქმედება, მეაბრეშუმეობა, სამთო საქმე, ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, მმართველობის სისტემა, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება და ა.შ. (საქ.სურათები,13-16).

აზერბაიჯანის ოლქების აღწერილობაში ბურნაშევს მოცემული აქვს დერბენტის, ნუხის, შექის, შირვანის, ბაქოს, განჯის, ერივანის, ნახჭევანის, ყარაბახის, თალიშისა და სხვ. მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, ხასიათის, ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესების, განათლების დონის დახასიათება (აღწ.,8-12). და მაინც, ბურნაშევის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი კარტოგრაფიული მოღვაწეობა, რომლის შედეგადაც აღწერილობითი ნაწილი შემაგრებულია სათანადო დოკუმენტური მასალით-რუქებით, სქემებით, დიაგრამებით და ა.შ.

ვახუშტი ბაგრატიონი
1696-1757 წწ.

XVIII საუკუნის ქართულ-კავკასიური წყაროთმცოდნეობითი ლიტერატურის რიგში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართლის მეფის ვახტანგ VI მოსკოვში გადახვეწილი ქართული კოლონიის წარმომადგენლის, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის *ვახუშტი ბატონიშვილის*[1] ნაშრომს „*აღწერა სამეფოსა საქართველოსა*". მართალია, ქართველი მკვლევარის ეს ნაშრომი და მასზე თანდართული რუკები და ატლასები უპირველესად ისტორიულ-გეოგრაფიულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ქართველი და მეზობელი კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის, ეთნიკურ კულტურათა თავისებურებების კვლევა ევროპულ მეცნიერებაში ახალი–შედარებით - ისტორიული მეთოდის გამოყენებით, ვახუშტის ამ ნაშრომის ისტორიულ-

---

[1] *ვახუშტი ბაგრატიონი.* აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბილისი, 1941; *მისივე.* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბილისი, 1973.

ეთნოგრაფიულ ღირებულებას უდავოდ პირველხარისხოვან წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას ანიჭებს.

ეპოქალური მეცნიერული აზროვნების თვალთახედვით უდავოდ ახლებურია აგრეთვე ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ნიშნების გამოყოფა ქვეყნის ვერტიკალურ-ზონალური ლანდშაფტების მიხედვით, სადაც ბარის, გარდამავალი ზონის, მთისა და მთამაღალის ზონალური თავისებურებები სოციალური განზომილების ჭრილშია გაანალიზებული.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში თავმოყრილია უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი მონაცემები ქართველი და კავკასიელი ხალხების კულტურულ-ყოფითი რელიეფის შესახებ. ითვალისწინებს რა საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლსა და მნიშვნელობას, ავტორი ქართველი და კავკასიელი ხალხების კულტურულ-ყოფით მახასიათებელ, კერძოდ მეურნეობის დარგებს, საცხოვრებელ, სამეურნეო, თავდაცვით და საკულტო ნაგებობებს, შრომისა და საბრძოლო იარაღებს, ტანსაცმელს, ხალხურ ღღესასწაულებს, ზნე-ჩვეულებებსა თუ ტრადიციებს, ქვეყნის ცალკეული ისტორიული რეგიონების თავისებურებათა მიხედვით იხილავს.

ამ თვალსაზრისით ვახუშტის თხზულებაში თვალნათლივაა გამიჯნული არა მარტო ქართული ეთნოსის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების (ქართლი, კახეთი, იმერეთი, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი და ა.შ.), არამედ საქართველოს მომიჯნავე მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების (ოსები, ინგუშები, ძურძუკ-ღლიღვები, დაღესტნელები და ა.შ.) კულტურულ-ყოფითი თავისებურებანი, ამასთან ერთად კი ნაჩვენებია მათი ზოგადქართული და კავკასიური ბუნება და რაობა, რასაც კავკასიის ხალხთა შორის მრავალსაუკუნოვანი ეთნოგენეტიკური და ეთნო-კულტურული ურთიერთობა ედო საფუძვლად.

XIX საუკუნის დასაწყისში კავკასიის მიმართ რუსეთ-დასავლეთის დამოკიდებულებაში ახალი პერიოდი დგება. ამ ურთიერთობას ფონს უქმნიდა რუსეთის სამხედრო წარმატებები არა მარტო თურქეთთან, არამედ ირანთან წარმოებულ ომებშიც (1794,1804-1813წწ.). გულისტანის საზავო ხელშეკრულებით ირანმა ცნო საქართველოს, დაღესტნის, აგრეთვე ყარაბახის, განჯის, შირვანის, შაქის, ბაქოს, დარუბანდის, ყუბისა და თალიშის სახანოების შეერთება რუსეთთან. ეს პროცესები კიდევ უფრო განამტკიცა 1828 წლის თურქმანჩაისა (ერევნისა და ნახჭევანის

სახანოების შემოერთება) და 1829 წლის ადრიანოპოლის (ახალციხის, ახალქალაქის, შავი ზღვის სანაპიროს შემოერთება მდ. ყუბანის შესართავიდან აჭარის ჩრდილო საზღვრამდე, ანაპისა და ფოთის სიმაგრეების რუსეთზე გადაცემა) საზავო ხელშეკრულებების შედეგებმა.

ცარიზმის აქტიურმა კოლონიურმა ექსპანსიამ კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ რუსეთის ადმინისტრაციამ ადვილად შეძლო სტიქიური აჯანყებების ჩაქრობა. უფრო მეტიც, 1817 წლიდან ცარიზმი გეგმაზომიერ მოქმედებას იწყებს ჩრდილო კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. დაიწყო საკუთრივ კავკასიის ომები (1817-1869წწ.), რომელსაც მოყვა ჩეჩნეთის, მთიანი დაღესტნისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რუსეთთან შეერთება და რუსეთის მფლობელობის საბოლოო განმტკიცება კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებზე. ეს წარმატებები დაგვირგვინდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად, სან–სტეფანოს საზავო ხელ'შეკრულებითა და ბერლინის კონგრესის ტრაქტატით, რომლითაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემოვიდა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ტერიტორიები.

კავკასიაში რუსეთის ადმინისტრაციის ასეთმა თავბრუდამხვევმა წარმატებებმა კიდევ უფრო გააძლიერა ევროპელთა ინტერესი კავკასიისადმი. რუსი და ევროპელი მოგზაურ-მკვლევარებისათვის კავკასია მსოფლიო გეოგრაფიული აღმოჩენების ბოლო აკორდად იქცა. კავკასიის თვალწარმტაც ხეობებსა და კუთხეებში მცხოვრებ მთიელთა ლაღი და თავისუფალი ცხოვრების წესი – თავისუფლებისა და დამოუკიდებულობის უზენაესი პრინციპებისათვის შეუდრეკელი ბრძოლა, ვაჟკაცობა და რაინდული შემართება, უფროსისადმი პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა და გულითადი მასპინძლობა, შრომისმოყვარეობა თუ წარსულის ტრადიციებისადმი ერთგულება უცხოელ მკვლევართათვის ეგზოტიკურ გარემოს ქმნიდა და კავკასიის მკვიდრთა ყოფასა და კულტურას ევროპელთა წინაშე რომანტიკულ ელფერში წარმოაჩენდა.

ამ პერიოდის ევროპელ მოგზაურ–მკვლევართა შორის კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობებს ვხვდებით *ჟაკ ფრანსუა გამბას* (1763-1833წწ.), *დიუბუა დე მონპერეს* (1798-1850წწ.), *ჟაკ დე მარინის* (1793-1852წწ.), *ჟან–შარლ დე ბესის* (1729-1838წწ.), *ჯეიმს ბელის* (XIXს.), *ჯონ ლონგვორტის* (XIXს.), *რობერტ ლაიელის* (1790-1831წწ.), *კარლ ჰაინრიხ კოხის* (1809-1879წწ.), *ედმუნდ სპენსერის* (XIXს.), *რიჩარდ ულბრაჰიმის* (XIXს. I ნახ.) და სხვ. შრომებში. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

ჟაკ ფრანსუა გამბა
1763-1833 წწ.

ჟაკ ფრანსუა გამბა[1] ფრანგი მოგზაური და ვაჭარი საფრანგეთის აღმავალი ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენელი გახლდათ. მამის მიერ კაპიტალის დაგროვებასა და ფრანგული ბიზნესის პირველ ნაბიჯებს გამბა გარდამავალი წარმატებებით უძღვებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მისი მოგზაურობა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მთლიანად საფრანგეთის სავაჭრო-კომერციული მიზნებიდან გამომდინარეობდა.

ფრანსუა გამბამ სამხრეთ რუსეთში პირველად 1817-1818 წლებში იმოგზაურა, ხოლო 1820 წელს საქართველოს სამხედრო გზით საქართველოში ჩამოვიდა, რომელიც მისი აღმოსავლეთში მოგზაურობათა ინიციატორის – კარდინალ რიშელიეს მოსაზრებით ევრაზიული ვაჭრობის ცენტრად უნდა ქცეულიყო. ამ მიზნებიდან გამომდინარე გამბა 1821-1831 წლებში კავკასიაში შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის შესახებ კანონის მთავარი ინიციატორი გახდა.

კავკასიაში პირველი მოგზაურობისას გამბამ მოიარა იმერეთი და კახეთი, მაგრამ გადაუდებელი საქმეების გამო პეტერბურგში მოუხდა გამგზავრება. მალე გამბა კვლავ ჩამოვიდა თბილისში, სადაც იგი საფრანგეთის კონსულის თანამდებობაზე იყო დანიშნული. ამჯერად იგი ახლოს გაეცნო საქართველოს სამეურნეო–ეკონომიკურ პირობებს ქართველი ხალხის ყოფა–ცხოვრებას და რუსეთის მთავრობის ნებართვით იმერეთში, აჯამეთთან თითქოსდა რაციონალური მეურნეობის მოსაწყობად 16 ათას დესეტინამდე მიწის ნაკვეთი შეიძინა.

კავკასიაში მუშაობის პერიოდში გამბამ ფეხდაფეხ მოიარა ჩრდილო და ამიერკავკასიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ცენტრი – თბილისი, სოხუმი, ქუთაისი, სიღნაღი, თელავი, განჯა, ბაქო, დერბენტი, თერგი, ყიზლარი და 1824-1924 წლებში საკონსულო საქმეებთან დაკავშირებით პარიზში ყოფნისას გამოაქვეყნა თავისი შემაჯამებელი ნაშრომი საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებში მოგზაურობის შესახებ. მართალია გამბას „მოგზაურობაში“ ძირითადად შავი

---

[1] *J.F.Gamba.* Voyaqe dans la Russe meridionale et particulierement... dans les provinces situces au dela du Caucase faits depus 1820 juesquen 1824, I-II, Paris 1924-1926; *მისივე.* Отрывки из путешествия в южную Россию и особенно в области, лежащие по ту сторону Кавказа, Северный архив, 1827, ч.26,№5 и ч.27,№11; 1928, №8; *М.А.Полиевктов.* ЕППК (XVII-XVIIIвв.), Тифлис, 1935.

ზღვის აუზის საეაჭრო-ეკონომიკური და კომერციული მასალები, სქემები და რუკებია შესული, მაგრამ ამ მშრალ, სტატისტიკამდე დაყვანილ აღწერებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემებსაც. ჩანახატებში და ტექსტებში შესულია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-ხელსაწყოები, დგამ-ჭურჭელი, ხალხური სატრანსპორტო საშუალებები (ნიჩბიანი ნავები) და, რაც მთავარია, კავკასიის სხვადასხვა ხალხების ტიპები სხვადასხვა პროფესიონალური ნიშნებითა და ეროვნული ტანსაცმლით (Voyage, II,215 და შმდ.).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა ჟაკ დე ფრანსუა გამბას მონაცემები უაღრესად ფრთხილ, კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს, რამდენადაც იგი მაინც კაპიტალის დაქირავებული „მზვერავი" გახლდათ და ძირითადად საფრანგეთისა და რუსეთის კოლონიალურ სამსახურის რეჟიმში იდგა.

გამბას საეაჭრო–კომერციულ ინტერესებში აშკარად ჩანს საქართველოს, კერძოდ იმერეთისა და კახეთის სამეურნეო ეკონომიკური პოტენციალი, რომლებიც მისი აზრით მდიდარია მიწების ნაყოფიერებითა და ბუნებრივი პროდუქციით (Voyage, II,217 და შმდ.).

იშვიათია ძველი თბილისის საქალაქო ცხოვრების, კერძოდ საეაჭრო ცენტრის, ხელოსნობის დარგების, მათ შორის მელითონეებისა და ოქრომჭედლების, ქალაქის მოსახლეობის დემოგრაფიული აღმავლობის დინამიკის გამბასეული დახასიათება (Voyage, II,220,224 და შმდ.), რასაც საბოლოო ჯამში იგი თბილისის საეაჭრო ასპარეზზე გამოსვლასა და ახალ პერსპექტივებს უკავშირებდა.

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე
1798-1850 წწ.

ცნობილმა მეცნიერ–გეოლოგმა, ნატურალისტმა და არქეოლოგმა, შვეიცარიულმა ფრანგმა *ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ*[1] 1831-1834 წლებში იმოგზაურა ყირიმსა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, საიდანაც იგი საქართველოში ჩავიდა.

---

[1] *Dubois de Montpereux.* Voyage autor du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimee, V. 1-6, Paris, 1839-1845; *Фредерик Дюбуа де Монпере.* Путешествие по Кавказу, к черкесам и абхазцам, в Колхиду, Грузию, Армению и в Крым, т. I, Париж, 1839, *В.К.Гарданов.* АБКИЕА, 435-457.

როგორც სიძველეთა მკვლევარმა დიუბუამ ძირითადად კავკასიის ხალხთა მატერიალური კულტურის ძეგლებს მიაქცია ყურადღება, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი ახლოს გაეცნო ქართველების, სომხების, ჩერქეზებისა და აფხაზების ყოფას და არაერთი საინტერესო ცნობა დაგვიტოვა მათ შესახებ.

საქართველოსა და კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების შესახებ ანტიკური, შუასაუკუნეებისა და თანამედროვე ავტორთა ცნობების შესანიშნავი მცოდნე დიუბუა არ კმაყოფილდებოდა უშუალოდ ნანახით და გაგონილით, დამატებითი მასალების მისაღებად პირად კონტაქტებს ამყარებდა სხვა ცნობილ კავკასიათმცოდნეებთან და ამა თუ ფაქტისა თუ მოვლენის აღწერისა და ანალიზის პროცესში ყოველმხრივ გამართულ და შეჯერებულ მონაცემებს ეყრდნობოდა.

მიუხედავად ამისა დიუბუას დასკვნებში ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიულ თავისებურებათა შესახებ, კონცეპტუალური, არსებითი ხასიათის შეცდომები აქვს დაშვებული. დიუბუას აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ხუროთმოძღვრება ბიზანტიური და სომხური ხუროთმოძღვრების განშტოება ან ანარეკლია, სამართლიანადაა გაკრიტიკებული და უარყოფილი ქართველი ხელოვნებათმცოდნეების მიერ (მოგზაურობა,IV, 146).

და მაინც, დიუბუა დე მონპერეს კაპიტალური ექსკლუზიური უმნიშვნელოვანესი ისტორიულ–ეთნოგრაფიული წყაროა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

გამბასა და დიუბუას თანამედროვე ევროპელ მოგზაურ მკვლევართა შორის მეტნაკლებად საინტერესო ცნობებს ვხვდებით *ჟაკ დე მარინის, ჟან–შარლ დე ბესის* და *ჯეიმს ბელის* თხზულებებში.

ჟაკ დე მარინი
1793-1852 წწ.

ჟაკ დე მარინის[1] ოჯახი საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ სამხრეთ რუსეთში დასახლდა. 1821 წლიდან იგი იყო ნიდერლანდების ვიცე კონსული ევროპის პორტებში, საიდანაც

---

[1] *Жак де Мариньи.* Путешествие в Черкессию. Одесса-Симферополь, 1836, *В.К.Гарданов.* АБКИЕА, 292-321.

მან სპეციალური დავალებით მოიარა ჩერქეზეთი და შავიზღვისპირეთის ადიღეელები. იგი ახლო ურთიერთობაში იყო ნატუხაელებთან და შაფსუღებთან. საბოლოოდ კი იგი დასახლდა ოდესაში და აქტიურად მოღვაწეობდა ოდესის ისტორიისა და სიძველეების საზოგადოებაში.

ჟაკ დე მარინი თხზულებაში „მოგზაურობა ჩერქეზეთში", რომელიც გამოვიდა ბრიუსელში 1821 წელს პოლიტიკურ და კომერციულ საკითხებთან ერთად დიდ ადგილს უთმობს ჩერქეზეთა, ადიღელთა და შაფსუღთა სამეურნეო საქმიანობას, საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფას, რელიგიურ რწმენა წარმოდგენებსა და სულიერ კულტურას (მოგზაურობა, Г.,292-293 და შმდ.).

შარლ დე ბესი
1729-1838 წწ.

ამ პერიოდის ევროპელ მკვლევართა შორის საინტერესო ადგილი უჭირავს უნგრელ მეცნიერს *შარლ დე ბესს*,[1] რომელიც უნგრელთა ეთნოგენეზის კვლევამ ოდესიდან ყირიმის გავლით ჩრდილო კავკასიაში მოიყვანა. ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარების მიზნით იგი გენერალ ემანუილის ექსპედიციასაც კი შეუერთდა, რომელმაც 1829 წლის 10 ივლისს ყაბარდოელი მთამსვლელის კილარის მეშვეობით იალბუზი დალაშქრა. ექსპედიციიდან დაბრუნებული ბესი ყარაჩაიში გაემგზავრა და პირველად ევროპულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას გააცნო ყარაჩაელთა ყოფა და კულტურა. თვლიდა რა ყარაჩაელებს, ბალყარლებსა და დიგორელ ოსებს უნგრელთა მონათესავე ხალხებად, ბესმა მათ აღწერას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ბესის კავკასიურ შეხვედრებში მნიშვნელოვანი მომენტი იყო შორა ნოგმოვის გაცნობა, რომელიც ამ დროს ნალჩიკში მთიელთა სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა.

1838 წელს პარიზში გამოქვეყნდა ბესის ნაშრომი „მოგზაურობა ყირიმში, კავკასიაში, საქართველოში, სომხეთში, მცირე აზიასა და კონსტანტინეპოლში 1829 და 1830 წწ.", სადაც იგი კრიტიკულად მიმოიხილავს ეთნონიმ „ჩერქეზის" ადრინდელ ინტერპრეტაციას („გზის გადამღობავი, გზის გადამჭრელი") და

[1] *Жан-Шарль де Бесс.* Путешествие в Крым, на Кавказ, в Грузию, Армению, Малую Азию и в Константинополь в 1829 и 1830 гг., Париж, 1838, *В.К.Гарданов*, АБКИЕА, 329-352.

სპარსული ენის საფუძველზე მას ახალ ახსნას („მეომარი პიროვნება") აძლევს. მართლაც, ჩერქესებს მეომრული გარეგნობა გააჩნდათ. „ისინი განსაკუთრებით კარგები არიან ცხენზე ამხედრებულნი, რადგანაც ბავშვობიდანვე ატარებენ იარაღს, ოსტატურად მოევლებიან ხოლმე გაუხედნავ ცხენებს და თანაც ზოგჯერ მთელი დღე ატარებენ უნაგირზე. ისინი არასოდეს არ გამოდიან სახლიდან უიარაღოდ, როგორც მინიმუმი ხმლისა... და ქამარზე ჩამოკიდებული ხანჯლის გარეშე" - წერდა შარლ ბესი (მოგზაურობა,Г.,335).

შარლ დე ბესი აქვე მიმოიხილავს ჩერქესთა და ყაბარდოელთა სხვა ეპონიმებსაც და ჩერქეზულ კოსტიუმზე საუბრისას ასკვნის „მე უფლებას ვაძლევ თავს შევნიშნოთ, რომ ამ სურთუკს აქვს მრავალი საერთო უნგრულ სურთუკთან, რომელსაც „ატილას ტანსაცმელი" ქვია" (მოგზაურობა,Г.,335-336).

ჯეიმს ბელი
XIX ს.

XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან ინგლისის აგრესიული ბურჟუაზიის მიზნებს, ხელთ ეგდო შავი ზღვისპირეთის ტერიტორიები, კონკრეტული შემსრულებლებიც გამოუჩნდა. ამ მხრივ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა ინგლისის პოლიტიკური აგენტი *ჯეიმს ბელი*[1] გახლდათ, რომელიც 1837-1839 წლებში ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდა და ადგილობრივ მოსახლეობაში რუსეთის საწინააღმდეგო განწყობის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა შაფსუღების, ნატუხაელებსა და უბიხების, აგრეთვე ადიღეელთა ეთნიკური უმცირესობების ბჟედუგების, ტემირგოელების და სხვ. სამეურნეო და საზოგადოებრივი ყოფის (დღიური,Г.,458 და შმდ.), საერთოდ მათი ტრადიციულ-ყოფითი კულტურის თითქმის ყველა სფეროს, რომლის შედეგადაც მის დღიურებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება XIX საუკუნის პირველი ნახევრის

---

[1] *Джемс Белл.* Дневник пребывания в Черкссии в течение 1837, 1838, 1839 гг. т.1-2. Лондон, 1840, *В.К.Гарданов,* АБКИЕА, 458-530; *Bell J.,* Trawels from St.Petersbaurg in Russia to diverse parts of Asia, 2 vls. Glasqow, 1763; *Белевы путешествия через Россию и в разные асиатские земли,* а именно: Испаган, Пекин, Дербент и Константинополь. Перевод с французского М. Попова, 3 части, СПб., 1776.

ადიღეელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის საქმეში. ბელის სპარსეთში მოგზაურობის დღიურებშია შესული აგრეთვე ეთნოგრაფიული შენიშვნები აზერბაიჯანისა და დაღესტნის შესახებ, კერძოდ კი დერბენტის აღწერა (მოგზაურობა,K.,192-193).

ჯონ ლონგვორტი
XIX ს.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ჯეიმს ბელის ცხელ ნაკვალევზე გაიარა და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის შესახებ, თითქმის იგივე სიუჟეტის ცნობები დაგვიტოვა ინგლისელმა ჟურნალისტმა *ჯონ ლონგვორტმა*,[1] რომლის ნაშრომი „ერთი წელი ჩერქეზთა შორის" ასევე დაიბეჭდა ლონდონში 1840 წელს.

რობერტ ლაიელი
1790-1831 წწ.

შოტლანდიელმა *რობერტ ლაიელმა*,[2] რომელმაც სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა და სამედიცინო პრაქტიკას მიჰყო ხელი, ყირიმსა და კავკასიაში ჯეიმს ბელსა და ლონგვორტზე რამდენადმე ადრე, 1822 წელს იმოგზაურა. თავის ხანმოკლე მოგზაურობისას იგი ძირითადად პიატიგორსკის ახლოს განლაგებულ შოტლანდიელთა კოლონიას – კარასს გაეცნო (მოგზაურობა,X), იგი აქვე შეხვდა შორა ნოგმოვს, რომელსაც თავისი ცოდნითა და მსჯელობის მანერით მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია. თავის ნაშრომში *„მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში"*, რომელიც გამოიცა ლონდონში 1825 წელს, ლაიელი ყველა დანარჩენზე მკითხველს ძირითადად პალასის, კლაპროტისა და სხვა ცნობილი ავტორების ნაშრომებზე მიუთითებს.

---

[1] *Джс.А.Лонгворт.* Год среди черкесссов, т. I-II, Лондон, 1840, *В.К.Гарданов.* АБКИЕА, 531-584.

[2] *Роберт Лайэлл.* Путешествие в Россию, Крым, Кавказ и Грузию. Лондон. 1825, *В.К.Гарданов.* АБКИЕА, 323-328.

რობერტ ლაიელი, როგორც ექიმი დიდად შეწუხებულია კავკასიაში იმ დროს მძვინვარე სენის შავი ჭირის გამო. მისი გავრცელების წყაროდ იგი ჩერქეზ სასულიერო პირებს მიიჩნევს, რომლებსაც, თითქოსდა მექაში მუსლიმანური აღთქმის შესასრულებლად მგზავრობის შემდეგ ჩამოაქვთ ეს დაავადება კავკასიაში.

ლაიელი საინტერესოდ აღწერს XIXს. I ნახევრის ყაბარდოელთა სოციალურ მდგომარეობასაც, კერძოდ, იგი იძლევა საყურადღებო ცნობებს მმართველობისა და საზოგადოების ძირითადი ფენების შესახებ. „მთიელ ტომთა ცხოვრების წესი ფეოდალურია; ადგილობრივი მცხოვრებლები, თუ არ ჩაეთვლით მღვდელთმსახურებას, დაყოფილნი არიან სამ კლასად – მთავრები, თავადები და გლეხები. თავადებს ყავთ მონები, რომლებიც მათ მემკვიდრეობით ეკუთვნით, მაგრამ რომელბსაც ისინი იშვიათად ყიდიან ხოლმე. გლეხები მუშაობენ თავადთა მამულში და უვლიან მათ საქონელს. თავადები სარგებლობენ მთავრების მხარდაჭერით, სთავაზობენ რა მათ ცხენებსა და საქონელს“ - წერს იგი (მოგზაურობა,Г.,328).

XIX საუკუნის კავკასიურ პოლიტიკაში შექმნილ ვითარებას დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ინტერესთა ახალი დაპირისპირება მოყვა. თურქეთის ექსპანსიას კავკასიის მიმართ რუსეთმა აქ მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობის „დაცვის“ იდეოლოგია დაუპირისპირა. მართალია, საქართველო ვერ ურიგდებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვასა და შეთქმულებებსა და აჯანყებასაც კი აწყობდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ თურქულ-ირანული ორიენტაცია აქ მაინც რეაქციულ პოზიციად განიხილებოდა. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ერთმორწმუნე სომხეთის სიმპათიები რუსეთისადმი, სადაც დეტონატორის როლს ანატოლიაში მცხოვრები სომეხი მოსახლეობა ასრულებდა. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა სომეხთა დეპორტაციის დიდი ტალღა თურქეთიდან, რომელიც 1828-1829 წლებში პასკევიჩმა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე შემოასახლა.

რუსეთისაგან „დაჩაგრულ“ თურქეთს მხარში ამოუდგა ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზია, რომელსაც თავისი კავკასიური ინტერესების რეალიზაცია თურქეთის მხარდამჭერის როლით უნდა განეხორციელებინა.

ასეთ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში მოუხდათ კავკასიაში მოგზაურობა გერმანელ მეცნიერს, იენის უნივერსიტეტის პროფესორ-ბოტანიკოსს კარლ კოხსა და ინგლისელ ჟურნალისტს ედმუნდ სპენსერს, რომელიც კაპიტნის ჩინით ინგლისის რეზიდენტად მუშაობდა ჩერქეზეთში.

პოლიტიკურ ინტერესთა გარდა, რომელსაც უფრო გამოკვეთილად და აშკარად სპენსერი ავლენდა, ორივე ეს ავტორი თავიანთ ნაშრომებში მნიშვნელოვან ცნობებს იძლევიან იმდროინდელი საქართველოსა და კავკასიის სამეურნეო-ეკონომიკური, საზოგადოებრივი და სოციალურ-კულტურული ვითარების შესახებ. ამასთან, მათ აერთიანებდა ისიც, რომ ორივე ავტორის „მოგზაურობის" ტექსტი გამოსცა კარლ კოხმა კრებულში *„კავკასიის ქვეყნები* და *სომხეთი"* (ლაიფციგი, 1851წ.).

კარლ კოხი
1809-1879 წწ.

კარლ კოხის[1] პირველი მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში 1836-38 წლებში შედგა. ამ მოგზაურობის აღწერის შედეგები ორტომეულის სახით შტუტგარტსა და ტიუბინგენში 1842-1843 წლებში გამოქვეყნდა.

1843-1844 წლებში კოხმა მეორედ იმოგზაურა კავკასიაში, რომლის შედეგებიც ასევე ახალ ორტომიან ნაშრომს დაედო საფუძვლად.

ევროპაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა კოხის პირველი ნაშრომი, რომელშიც ავტორის უშუალო დაკვირვებასა და აღწერასთან ერთად მიმოხილული იყო ერცელი კავკასიათმცოდნეობითი ლიტერატურა.

კარლ კოხი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოს სამეურნეო-ბუნებრივ პირობებს, მეურნეობის დარგებსა და სამიწათმოქმედო კულტურებს. ამ მხრივ იგი

---

[1] *Karl Koch.* Reise durch Russland nach dem Kaukas, Jsthmus, 1842-1843; *Карл Кох.* Путешествие по России и в кавказские земли, т. I. Штутгарт и Тюбинген, 1842, *В.К.Гарданов.* АБКИЕА, 585-628; *კ.კოხი,* ბრძოლის ველზე გასელა; *მისივე,* მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპეზუნტამდე (კოლხეთი და ლაზების ქვეყანა), *კ.კოხისა და ო.სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ,* გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, XII, თბილისი, 1981.

გამოჰყოფს კახეთს, სადაც „სოფლები ისე მისდევდა ერთიმეორეს, რომ ვერ გაიგებდი, სად თავდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე. მთელი მიდამო, განსაკუთრებით შილდიდან, ერთ გაბმულ ვენახს წააგავდა“ (ბრძოლის ველზე,244). „არაჩვეულებრივად ნაყოფიერ მხარედ“ მიაჩნია კოხს გურიაც (მოგზაურობა,178-179), სადაც მისი ყურადღება სიმინდისა და ფეტვის უხვმოსავლიანმა ყანებმა მიიქცია (მოგზაურობა,178 და შმდ.). კოხს მოსწონს გურული ღვინოც, რომელიც კახურის შემდეგ საუკეთესოდ მიაჩნდა. ამასთან, იგი სხვა ევროპელ მოგზაურთა მსგავსად, იწუნებს ქართული ღვინოს დაყენების ტექნოლოგიას (მოგზაურობა,178-179).

კარლ კოხი ალბათ ერთადერთი ევროპელია, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოში ნადირობას, კერძოდ კი მდ. ფაზისის აუზში გავრცელებულ ხოხობზე ნადირობის პრაქტიკას (მოგზაურობა,173 და შმდ.).

მას მხედველობიდან არ რჩება იმ პერიოდში ევროპაში განსაკუთრებით გახმაურებული „არგონავტების“ თქმულება და სვანური ოქროს სარეწების საკითხიც (მოგზაურობა,170 და შმდ.). კოხი საფუძვლიანად გაეცნო საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის თავისებურებებსაც: მთიელთა ცხოვრების წესს, ხასიათს, ზნეს, ჩვეულებებს, ადათ-წესებსა და რწმენა-წარმოდგენებს, გარეგნულ იერს, ტანსაცმელს, საკვებს და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებით ღირებულია მისი ცნობები ლაზების, მეგრელების, გურულებისა და თუშების შესახებ. ავტორი აღწერს თვითოეული მათგანის გარეგნობას, იერსახესა და მიხვრა-მოხვრას, ურთიერთშედარების საფუძველზე გამოჰყოფს მათ ლოკალურ ნიშნებს (მოგზაურობა, 171,178,185 და შმდ., ბრძოლის ველზე, 251,256).

კარლ კოხი დაინტერესებულია ქართული სუფრითა და სტუმართმოყვარეობის წესით, სადაც იგი აღწერს საკვებ რაციონს, გამასპინძლების წესსა და რიგს. ავტორი დაწვრილებით ჩერდება ქართულ ცეკვებსა და სიმღერებზე და ხაზს უსვამს მათ ორიგინალურ ხასიათს. და ბოლოს, მას მხედველობიდან არ რჩება ქალაქური ცხოვრების წესიც, რომელსაც იგი მართალია ძუნწად მაგრამ გამორჩეულად ახასიათებს ძველი თბილისის მაგალითზე (ბრძოლის ველზე, 210 და შმდ.).

ედმუნდ სპენსერი
XIX ს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კოხის თანამედროვის *ედმუნდ სპენსერის*[1] ცნობებიც, რომელიც ძირითადად ჩრდილო კავაკსიის ხალხების, კერძოდ ჩერქეზების აღწერას ეხება. მართალია, სპენსერი თითქმის არაფერს წერს ჩერქეზთა სამეურნეო–ეკონომიკური ყოფის შესახებ, მაგრამ გაცილებით ხატოვანი და სრულყოფილია მისი ჟურნალისტური ემოციით გაჟღენთილი სტრიქონები ადგილობრივი მოსახლეობის გარეგნობის, ჩაცმულობისა და მიხვრა–მოხვრის შესახებ. მისი აღწერით კავკასიელები ლამაზი და ათლეტური აღნაგობის ხალხია, არაჩვეულებრივად მოქნილი და ელასტიური, წარმოსადეგნი. მათი ტანსაცმელი პოლონურის მსგავსად ვიწრო ხიფთანისაგან შედგება, წითელი ტარსიკონის პატრონტაშით გაწყობილი. და თუმცა, ეს მათ ტყვიისაგან იცავს, მისი გაკეთებისას კავკასიელები სილამაზეზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე უსაფრთხოებაზე (მოგზაურობა,106,112 და შმდ.).

სპენსერი ეთნოგრაფიული სიზუსტით აღწერს და ერთმანეთს ადარებს რედუტ–კალეს ბაზარზე თავმოყრილი მრავალრიცხოვან ჩერქეზთა, მეგრელთა და იმერელთა მოხდენილ და ლამაზ გარეგნობას, ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობასა და ვარცხნილობას (მოგზაურობა,139-141). მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია „მაღალი ალპების მობინადრე", გოლიათური აღნაგობის, ამაყი და ველური შესახედაობის სვანებს, რომლებსაც ჩერქეზებისაგან განსხვავებით გრძელი ტყაპუჭი აცვიათ, ზემოდან კი ჩვეულებრივ კავკასიელისათვის დამახასიათებელი პატრონტაშები უკეთიათ (მოგზაურობა,140).

ჩაცმულობასთან კავშირში იხილავს სპენსერი იარაღის დამზადებისა და ტარების ტრადიციას კავკასიაში. იგი ხაზს უსვამს იარაღის დამზადების მაღალ ოსტატობას და აღნიშნავს,

---

[1] *Spenser Edmound.* The Travels in Cirkassia, London, 1837; *მისივე.* Turkey, Russia, the Black sea and Cirkassia, London, 1854; *მისივე.* The Travenl in West Caucasus, v. I-II, 1838-1839; *ო.სპენსერი.* მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ, *კ.კოხისა და ო.სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ,* გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო *ლონდა მამაცაშვილმა,* საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, XII, თბილისი, 1981.

რომ იარაღი არა მხოლოდ საომარი დანიშნულებისათვისაა გამოყენებული, რომ მას აქ ხმარობენ სამკაულად, ტანსაცმლისა და საცხოვრებელი სახლის მოსართავად. იგი საგანგებოდ ჩერდება ჩერქეზ ოსტატთა ნახელავის სინატიფესა და სილამაზეზე, მაღალი გემოვნებით დამზადებულ ოქრო-ყერცხლის სარტყლებსა და იარაღზე (მოგზაურობა,140 და შმდ., ცნობები,91-92).

ედმუნდ სპენსერი გვაცნობს კავკასიის ხალხთა ლეგენდა-თქმულებებსა და გადმოცემებს და ყურადღებას აქცევს რელიგიური სინკრეტიზმის თავისებურებებს, რაც აქ წარმართული, ქრისტიანული და მუსლიმანური რელიგიების თანაარსებობაში გამოიხატება. მას მხედველობიდან არ რჩება ხევსურთა ტანსაცმელზე და საბრძოლო ფარზე ჯვრის გამოსახულება, რასაც იგი ხევსურთა საერთო ქართული ეთნოგენეტიკური კუთვნილების საკითხებს უკავშირებს (ცნობები,98 და შმდ.).

ინგლისელი მოგზაური აშკარად განცვიფრებულია კავკასიელთა ერთგულებით მამა–პაპისეული ტრადიციებისადმი, ეროვნული ცნობიერების სიწმინდისადმი, რაც აქ მკაცრ ეთნიკურ მონოგამიურობამდე დადის. „ნამდვილი ჩერქეზები არასოდეს არ თხოულობენ ცოლად სხვა ეროვნების ქალს და ამით თავისი რასის სიწმინდეზე ზრუნავენ“. ახალი პერიოდის ევროპელ მკვლევართაგან სპენსერმა ერთერთმა პირველმა დაგმო კავკასიელ მთიელთა „საშინელი მანკი“ - სისხლის აღების წეს–ჩვეულება, რაც აქ თაობიდან თაობაზე გადადიოდა და დიდ ზიანს აყენებდა მოსახლეობას (მოგზაურობა,159).

და ბოლოს, სპენსერს აოცებს ღრუბლებამდე ატყორცნილ „კავკასიის ალპების ზოლში“ დაბადებული ხალხის უდრეკი და შეურიგებელი სული. მისი დაკვირვებით ყოველი კავკასიელის უპირველესი იმპულსია პატრიოტიზმი, სამშობლოს თავდავიწყებული სიყვარული და სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, რისთვისაც ისინი არ ზოგავენ „არც საკუთარ სისხლს, არც პირად კეთილდღეობას... საუკუნეთა მანძილზე იცავდნენ ისინი საოცარი სიმამაცით თავიანთ დამოუკიდებლობას“ (მოგზაურობა,186).

რიჩარდ ულბრაჰამი
XIX ს. I ნახევარი

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის ტრანსკავკასიის პროვინციებში კიდევ ერთი ინგლისელი

სამხედრო მრჩეველი *რიჩარდ ულბრაჰამი*[1] მოგზაურობს. მის ნაშრომში - *„მოგზაურობა რუსეთის ტრანსკავკასიის პროვინციებში და ვანისა და ურმიის ტბების სამხრეთ ნაპირის გასწვრივ 1837 წლის შემოდგომასა და ზამთარში“*, ულბრაჰამის პირადი დაკვირვებები, აგრეთვე მისი შეხვედრები ძირითადად ადგილობრივ ელიტარულ წრეებთან, დღიურების სახითაა ჩაწერილი. ავტორის შენიშვნა შესავალში, რომ მისმა ჩანაწერებმა „შეიძლება რამე დამატებითი შუქი მოჰფინონ ხალხების სოციალური და მორალური მდგომარეობის ბევრ საინტერესო ·საკითხს“ (მოგზაურობა,15), ალბათ ნაწილობრივ მაინც გამართლებულია. მართლაც, ინგლისელი მოგზაურის ჩანაწერებში აქა–იქ ვხვდებით ცნობებს ქართველებისა თუ სომხების ეროვნულ ტანსაცმელზე (მოგზაურობა,16 და შმდ.). ქალაქსა და საქალაქო ყოფაზე, თბილისის დემოგრაფიულ და კონფესიონალურ შემადგენლობაზე, ქართველი ქალის ლამაზ და მოხდენილ გარეგნობაზე, კახურ სუფრასა და ღვინის დაყენების წესზე, დიდ ქართულ გუთნეულზე და ა.შ. (მოგზაურობა,17-19,30-31 და შმდ.). აქვე უნდა ითქვას, რომ ულბრაჰიმის ამ ცნობებს, მსგავსი სიუჟეტების უფრო სრულყოფილი აღწერების პირობებში, მხოლოდ გარკვეული პერიოდის მომენტალური შეფასების თვალსაზრისით თუ აქვს მნიშვნელობა, თორემ მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირებულება არც თუ ისე მაღალია.

რუსეთის იურისდიქციის გაფართოებამ კავკასიის ცალკეულ ქვეყნებსა და მხარეებზე კიდევ უფრო გააძლიერა ცარიზმის ადმინისტრაციის ყურადღება კავკასიისა და წინა აზიის ქვეყნებისადმი. კავკასიის მიმართ ეს ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ. საუკუნის პირველივე ათწლეულიდან იწყება ანექსირებული ქვეყნების ხალხთა ენების, ისტორიისა და კულტურის, სამეურნეო-ეკონომიკური პიროებებისა და პოლიტიკური ორიენტაციების ფართომასშტაბიანი კვლევა–ძიება. ამ პერიოდში, ვიდრე XIX საუკუნის შუა ხანებამდე, რუს მეცნიერთა, მოგზაურ-

---

[1] *R.Wilbraham*, Travels in the Trauscaucasian Provinces of Russia, London 1839; *რიჩარდ ულბრაჰამი,* მოგზაურობა რუსეთის ტრანსკავკასიის პროვინციებში, *რიჩარდ ულბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში,* ინგლისურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ნანა მგელაძემ,* საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები XXVI, თბილისი, 1990.

მკვლევართა, სამხედრო თუ საზოგადო მოღვაწეთაგან, რომლებმაც მოინახულეს კავკასიის სხვადასხვა ქვეყნები და საინტერესო აღწერილობანი და შრომები დაგვიტოვეს კავკასიის ხალხების შესახებ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ *ჰენრიხ იულიუს კლაპროთს* (1783-1835წწ.), *ექვთიმე ბოლხოვიტინოვს* (1767-1837წწ.), *სიმონ ბრონევსკის* (1763-1830წწ.), *ივანე შოპენს* (1798-1870წწ.), *თეოდორე ბართოლომეის* (1800-1862წწ.), *ილია რადოჟიცკის* (1788-1861წწ.), *გრიგოლ გორდეევს* (1791-1891წწ.), *ანდრია შეგრენს* (1794-1855წწ.), *ივანე ბლარამბერგს* (1800-1878წწ.), *ვასილ ლეგკობიტოვს* (1806-1860წწ.) და სხვ.

შევჩერდებით ზოგიერთი მათგანის მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე.

ჰენრიხ კლაპროთი
1783-1835 წწ.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ XIX საუკუნის დასაწყისში კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების შესწავლას კიდევ ერთი სამეცნიერო ექსპედიცია მიუძღვნა, რომელსაც ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერი და ორიენტალისტი *ჰენრიხ კლაპროთი*[1] ხელმძღვანელობდა. მრავალი აღმოსავლური ენების ცოდნისა და ბრწყინვალე ზოგადლინგვისტური და ისტორიული მომზადების ფონზე კლაპროთმა შესანიშნავად გაართვა თავი მის წინაშე დასმულ რთულ მეცნიერულ ამოცანას. 1807-1808 წლებში კავკასიაში ორგზის მოგზაურობისას თავის დღიურებში მან დაწვრილებით აღწერა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობა (მოგზაურობა,Г.,236), ფიზიკური აღნაგობა (მოგზაურობა,Г.,247), დააზუსტა მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია, შეეხო ოსთა ეთნოგენეზისა და ბალყარელების, ყარაჩაელების, აბაზების, ყაბარდოელების, ინგუშებისა და საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის წარმოშობის მეტად რთულ საკითხებს. მასვე ეკუთვნის აგრეთვე საქართველოს, დაღესტნის, შირვანისა და აზერბაიჯანის ნაწილის ეთნოგრაფიული აღწერა, აგრეთვე არაბი გეოგრაფის მასუდის

---

[1] *J.Klaproth.* Reise in den Kaukasus und nach Georgien in den Jahren 1807 und 1808, 2 vls., Halle, 1812-1814; *მისივე.* Geographische-Historische Beschreibung des östlichen Kaukasus, Weimar, 1814; *მისივე.* Tableau historique, geographique, ethnographique et politique du Caucase et des provinces limitriphes entre la Russie et la Parse. Paris-Leipzig, 1827; *Генрих-Юлиус Клапрот.* Путешествие по Кавказу и Грузии, предпринятое в 1807-1808 гг., *В.К.Гарданов,* АБКИЕА, 236-280.

კავკასიური ჩანაწერების თარგმნა და გამოქვეყნება გერმანულ ენაზე. ამასთან ერთად, კლაპროთმა ამ პერიოდში პირველმა მოგვცა ჩრდილო კავკასიის ხალხების სამეურნეო-ყოფისა და კულტურის (მოგზაურობა,Г.,235), სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის, ზნე-ჩვეულებებისა (მოგზაურობა,Г.,250) და რწმენა-წარმოდგენების (მოგზაურობა,Г.,246) ყოველმხრივი ეთნოგრაფიული აღწერა.

ექვთიმე ბოლხოვიტინოვი
1767-1837 წწ.

ძირითადად საქართველოს ისტორიას, ლიტერატურასა და საეკლესიო ცხოვრებას ეხება რუსი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მოგვიანებით კი, კიევის მიტროპოლიტის *ექვთიმე ბოლხოვიტინოვის*[1] ნაშრომი *„ქართველთა ისტორიული გამოსახულება“*, რომელიც 1804 წელს გერმანულ ენაზე გამოიცა ქ. რიგაში. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით აღნიშნული წიგნის დანართში – ანუ „ჩანაწერში“ გადმოცემულია ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები ჩაჩნების, ყაბარდოელების, ადიღეების, ქისტებისა და სხვ. შესახებ, თუმცა მათი მეცნიერული ღირებულება არც თუ ისე მაღალია (მასალები..,К.,296).

XIX საუკუნის დასაწყისში რუსი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კავკასიის ხალხების სოციალური ორგანიზაციის საკითხებს, რაც ამ ავტორთა კვლევის სიღრმეზეც მიუთითებს. ბუნებრივია, კავკასიის ხალხთა სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ცალკეული სფეროები (მიწათმოქმედების წარმოება და სამიწათმოქმედო იარაღ–ხელსაწყოები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, ხალხური ტრანსპორტი და ა.შ.) ვიზუალური დაკვირვების საშუალებას იძლეოდა, სოციალური ორგანიზაციის ფორმები კი გარეშე დამკვირვებლისათვის „დახურულ“ თემას წარმოადგენდა და მას სხვა მეთოდებითა და საშუალებებით ჭირდებოდა გაშუქება. ამასთან იგი საკმაოდ, მაღალმეცნიერულ კვალიფიკაციასაც მოითხოვდა.

---

[1] *Евфимий Болховитинов* (1767-1837), *М.О.Коевен*, МИЭКРН, КЭС, I, М., 1955, 295-296.

სიმონ ბრონევსკი
1763-1830 წწ.

კავკასიელ აბორიგენთა სოციალური ორგანიზაციის საკითხებს ერთერთი პირველი *სიმონ ბრონევსკი*[1] შეეხო, რომელიც 1796 წელს სპარსეთში ლაშქრობის პერიოდიდან ხანგრძლივი დროით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კავკასიაში.

სიმონ ბრონევსკის ნაშრომი საყურადღებოა წმინდა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, მაგრამ მის მთავარ ღირსებას მაინც კავკასიათმცოდნეობაში ახალი მიმართულების, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური ორგანიზაციის საკითხების შემოტანა წარმოადგენს. კავკასიის მთიელებში ბრონევსკიმ მმართველობის 3 ფორმას - „მონარქიულს", „არისტოკრატიულსა" და „დემოკრატიულს" მიაკვლია, თუმცა პირველ ორს ხშირად შერეულ, ფორმადაც განიხილავს (უახლესი ცნობები, I, 38-39). თუ გამოვალთ იმ რელობიდან, რომ ამ პერიოდში კავკასიაში მართლაც საზოგადოებრივი წყობის ორი — ფეოდალური და დემოკრატიული ფორმებია გაბატონებული, ბრონევსკის ეს შენიშვნა მართებულად ჩაითვლება.

უდავოდ სწორი იყო ბრონევსკი, როდესაც მმართველობის დემოკრატიულ ფორმას კავკასიის მთიანეთის შედარებით ჩამორჩენილ, ნაკლებადგანვითარებულ ხალხებს მიაკუთვნებდა. აქედან გამომდინარე დაბალი განვითარების კავკასიელ აბორიგენებს იგი „თავისუფალ საზოგადოებად", „რესპუბლიკებად" და „ფედერაციულ რესპუბლიკებად" ყოფდა (უახლესი ცნობები, I, 39-40).

სიმონ ბრონევსკის ეს შეხედულებანი მთიელთა საზოგადოებრივი წყობის კვლევისა და ანალიზის ერთერთი პირველი ცდაა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში, რამაც სათანადო გამოხმაურება თანამედროვე მეცნიერულ გამოკვლევებშიც ჰპოვა. ამასთან, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კავკასიის მთიელთა ყოფაში მის მიერ აღწერილმა დემოკრატიულმა სისტემამ, რაც ბუნებრივია, პირდაპირი გაგებით პირველყოფილ-დემოკრატიულ ანუ პირველყოფილ-თემურ წყობას შეესაბამება, XIX საუკუნის მეცნიერებაში გადაჭარბებული შეფასება მიიღო და ხანგრძლიეი დავისა და კამათის საგნად იქცა. დღეს უკვე გარკვეულია, რომ კავკასიის მთიანეთში სტადიალურად ფეოდალური

---

[1] *С.М.Броневский.* Новейшие географические и исторические известия о Кавказе, 2 части, Москва, 1823; *მისივე.* Отрывки из путешествия по Кавказу, „Сыны отечества", 1833, ч.156 и 162.

ურთიერთობის ფორმასთან გვაქვს საქმე და, რომ მის წიაღში შემორჩენილი პირველყოფილი-თემური წყობილების გადმონაშთები მთური ფეოდალიზმის დამახასიათებელ თავისებურებებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ივანე შოპენი
1798-1870 წწ.

XIX საუკუნის 20-იანი წლების წყაროთაგან უდავოდ მნიშვნელოვანია ფრანგული წარმოშობის ავტორის *ივანე შოპენის*[1] კაპიტალური ნაშრომი სომხეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ქვეყნის რუსეთთან შეერთების წინა პერიოდის სომეხთა ყოფისა და კულტურის, კერძოდ წარმოშობისა და განსახლების, ეთნიკური ისტორიის, საზოგადოებრივი წყობისა და სოციალური ორგანიზაციის არაერთი მნიშვნელოვანი მხარე (ისტ.ძეგლი.,33 და შმდ.)

შოპენის სხვა საჟურნალო პუბლიკაციებში საუბარია სომხების, აზერბაიჯანელებისა და ქურთების ხალხური ქორეოგრაფიის ნიმუშების შესახებ (მუსიკის... შესახებ,36 და შმდ.). ამ ნაშრომებს, რომელთა ღირსებასაც თავის დროზე მარი ბროსე და ენგელბერტ კემპფერიც აღნიშნავდნენ, დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება.

ცალკე უნდა აღინიშნოს XIX საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე სამი ქართველი მეცნიერი *იოანე ბატონიშვილი* (1768-1830წწ.), *თეიმურაზ ბატონიშვილი* (1782-1846წწ.) და *დავით ტატიშვილი-ფანასკერტელი* (XIXს. I ნახ.), რომლებიც შორს იდგნენ ცარიზმის კოლონიური აპარატის კონიუქტურისაგან და არსებითად ეროვნული მეცნიერების ინტერესებიდან ამოდიოდნენ.

---

[1] *И.И.Шопен.* Исторический памятник состояния Армянской области в эпоху ее присоединения к Российской империи, СПб., 1852; *მისივე.* О музыке и пляске жителей Армянской области, журнал „Маяк", №3, 1840; *მისივე.* Обозрение российских владении за Кавказском, СПб., 1840.

იოანე ბაგრატიონი
1768-1830 წწ.

იოანე ბაგრატიონის[1] ცნობილი თხზულება „კალმასობა“ (1813-1828წწ.) თავისებური ენციკლოპედიური ნაწარმოებია მეცნიერების სხვადასხვა მხარეებზე. ორიგინალური გეგმით შედგენილ ამ ნაშრომში ავტორს მოცემული აქვს საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ყოფა-ცხოვრების საფუძვლიანი აღწერა. ამ ფონზე ნაშრომში აშკარად გამოჩნდა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე საქართველოში XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე. მართალია, ზოგჯერ მასალა თარგმნილია რუსული და უცხოური წყაროებიდან, მაგრამ ავტორი თხრობას მეტწილად საკუთარი დაკვირვების შედეგად მოპოვებულ მონაცემებზე აგებს.

„კალმასობა“ ანუ, როგორც თვით ავტორი უწოდებს „ხუმარსწავლა“, ავტორს აგებული აქვს არქაული მწიგნობრული ენით, რომელიც გაცოცხლებულია მსუბუქი და ხატოვანი, ზომიერად მოხმობილი დიალექტიზმებით, ორ მთავარ პერსონაჟზე აგებული დიალოგებით. მათი ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობის ფონზეა გაშლილი მეცნიერული მსჯელობანი, რომლის მეოხებითაც ავტორი გვიჩვენებს თანადროული საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებას, ახასიათებს ყოფასა და ტრადიციებს, დაუზოგავად ამხელს საზოგადოების მაღალი ფენების ზნეობრივ დაკნინებას, სახელმწიფო მოხელეების ანგარებასა და უმეცრებას, სამღვდელოების ფარისევლობას. ქვეყნის დამღუპველ გარემოებადაა მიჩნეული საყოველთაო უმეცრება, რაც ნიადაგს უქმნის ყოველგვარი ჯურის ბოროტებას.

იოანე ბაგრატიონს ეკუთვნის აგრეთვე ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო წყობილების რეფორმების პროექტი, რომელშიც იგი ცდილობს „განწირულებასა შინა“ მყოფი საქართველოს მძიმე მდგომარეობის ხსნას რეგულარული არმიის შექმნით. სჯულდებაში („წინადადებაი“) ეხედებით საინტერესო ეთნოგრაფიულ პასაჟებს ქვეყანაში ხელოსნობის განვითარების, სამშობლოს „მოღალატე – მამულის მუხანათთა“ მკაცრად დასჯისა და სხვ. შესახებ. მანიშნებელია, რომ ფეოდალური აშლილობის ზენიტში მყოფ ქვეყანაში იოანე ბაგრატიონი

---

[1] *იოანე ბაგრატიონი.* კალმასობა, ტ. I თბ., 1936, ტ. II, თბ., 1948; *მისივე.* სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ი.სურგულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1957.

ვახტანგის სჯულით გათვალისწინებულ „სისხლს“ მსუბუქად მიიჩნევს და შემოაქვს ახალი სასჯელის ნორმა – მარჯვენა ხელის მოკვეთა, ხოლო კაცის მესამედ მკველელისათვის სიკვდილით დასჯა.

სჯულდება ქართული იურიდიული და პოლიტიკური აზროვნების მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა მისი ხალხური ადათობრივი სამართლის ნორმებთან მიმართების თვალსაზრისით.

თეიმურაზ ბატონიშვილი
1782-1846 წწ.

30-იან წლებში შეიქმნა *თეიმურაზ ბატონიშვილის*[1] თხზულებაც, რომლის ეთნოგრაფიული ინტერესები საქართველოში გვაროვნული წყობილების საკითხებს შეეხება. ამ პერიოდის მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებებისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი გადმონაშთური მოვლენების ანალიზის საფუძველზე თეიმურაზ ბატონიშვილი აყენებს მცდარ თეორიას საქართველოში გვაროვნული წყობილების არსებობის შესახებ. სამწუხაროდ, ამ თეორიამ შემდგომში დიდი გავლენა მოახდინა ისტორიული აზრის განვითარებაზე საქართველოში. იგი ამ პერიოდის კავკასიათმცოდნეობაში შექმნილი სხვადასხვა კონცეფციების საფუძვლად იქცა, რომლებიც ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთებისა და კრიტიკული ანალიზის გარეშე ამტკიცებდნენ საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური წყობის ჩამორჩენილობას.

---

[1] *თეიმურაზ ბატონიშვილი.* ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულად საქართველოისა, სანკტ-პეტერბურგი, 1848; *შარაძე გ.* თეიმურაზ ბაგრატიონი, ტ. 1-2, თბ., 1972-1977; *ბარამიძე ა.* თეიმურაზ ბაგრატიონი და პირველყოფილი თემური წყობილების საკითხები ქართველ ტომებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 26, 1961.

დავით ტატიშვილი-ფანასკერტელი
XIX ს. I ნახ.

დავით *ტატიშვილი-ფანასკერტელის*[1] მიერ 1849 წელს გამოცემული ნაშრომი - „ქცევები და ზნეობა საქართველოში" ძირითადად ვახუშტი ბაგრატიონის ზემოთ აღნიშნული ნაშრომის კონპილაციას წარმოადგენს, მაგრამ მასში ვხედებით ორიგინალურ აღწერილობებსაც. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ავტორის მსჯელობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირებული საქორწინო წეს-ჩვეულებების შესახებ, რომელიც ქართულ ეთნოგრაფიაში ამ სოციალური ინსტიტუტის საფუძელიანი აღწერის პირველ ცდას წარმოადგენს.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოგზაურ მკვლევართა და სამხედრო მოსამსახურეთაგან მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები და გამოკვლევები ეკუთვნით *ანდრია შეგრენსა* და *ილია რადოჟიცკის.*

ილია რადოჟეცკი
1788-1861 წწ.

ილია რადოჟიცკიმ[2] სერიოზული ნარკვევები მიუძღვნა ყაბარდოელთა ადათობრივ სამართალს, აგრეთვე აღწერა ავარების, ყუბანისპირა მოსახლეობისა და ყარაჩაელების ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარეები (კანონი და ადათები, ლიტ.გაზ,1-2,1861). რადოჟიცკის ნაშრომს ყაბარდოელთა ადათობრივი სამართლის შესახებ, რომელიც წმინდა სამართლებრივ პრობლემებთან ერთად შეიცავს ლეგენდას ყაბარდოელთა წარმოშობის, მათი წოდებრივი დაყოფისა და ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე 1825 წლის ყაბარდოს

---

[1] *დავით ტატიშვილი-ფანასკერტელი.* ქცევები და ზნეობა საქართველოში, ტფილისი, 1849.

[2] *И.Т.Радожицкий.* Историческое известие о походе российских воиск в 1796 году в Дагестан и Персию, (03), 1827, ч.31, №87-88; *მისივე.* Законы и обычай кабардинцев, „Литературная газета", 1861, №1,2; *მისივე.* Кызбрун, Черкесская повесть, 03, 1827, ч.2; *მისივე.* Походные записки артилериета с 1812 по 1861 год, М., 1835; *მისივე.* Письма из Кавказского корпуса, „Северная пчела", 1829.

მოსახლეობის განსახლებას, მათ რიცხოვნებასა და ა.შ., (კანონი და ადათები, ლიტ.გაზ,1-2,1861)კრიტიკულად გამოეხმაურა ხან–გირეი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული და რადოჟიცკის სხვა ნაშრომებიც, კერძოდ ჩერქეზული გადმოცემების შუქზე ზოგიერთი ტოპონიმის ახსნის ცდა, ავართა სახანოს აღწერა და ა.შ., (ჩერქ.მოთხრ., ჩანაწერები, 1927,№32) მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ჩრდილო კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის შესწავლისათვის.

ანდრია შეგრენი
1794-1855 წწ.

ანდრია შეგრენი[1] როგორც ლინგვისტი ძირითადად ოსური ენისა და ოსურ-ქართული ლინგვისტური პარალელების საკითხებით იყო დაინტერესებული. შეგრენმა შეადგინა ოსური ენის გრამატიკაც. შეგრენის ეთნოგრაფიული შენიშვნები ოსებსა და ქართველებზე მოცემულია, აგრეთვე მის წერილებში აკადემიის პრეზიდენტისადმი. მასვე ეკუთვნის წმინდა ეთნოგრაფიული ნაშრომი ოსებისა და ინგუშების რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზში“ 1846 წელს.

გრიგოლ გორდეევი
1791-1891 წწ.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ოსეთის ეთნოგრაფიას სერიოზული გამოკვლევები მიუძღვნა კავკასიაში რუსეთის ადმინისტრაციის მოხელემ *გრიგოლ გორდეევმა.*[2] მის წერილებში დაწვრილებითაა აღწერილი ოსების ყოფა–ცხოვრების

---

[1] *А.М.Шегрен.* Осетинская грамматика с кратким словарем, СПб., 1844; *მისივე.* Религиозные обряды осетин, ингуш и их соплеменников при разных случаях, „Маяк“, XIII-XIV, 1843. გადაბეჭდილია გაზეთში „Кавказ“ (К), 1846, II полугодие, Тифлис, 1847.

[2] *Г.С.Гордеев.* Вероисповедание, суеверия, обряды, правление, обычай и нравы осетин. „Тифлисские ведомости“ (ТВ), 1830, 28,29; *მისივე.* Письма из Осетии, Тифлисские ведомости, 1830, 72-74, 77-78, 84, 87; *მისივე.* народные праздники тифлисских жителей и соединенные с ним обычай и предразсудки, ТВ, 1829, 20,21; *მისივე.* Старинные свадебные обряды в Грузии, ТВ, 1831, 5; *მისივე.* Травля зверей, конское ристалище, игра в мяч, ТВ, 1831,5.

მნიშვნელოვანი მხარეები – ფიზიკური აღნაგობა, აღზრდის მეთოდები და ხერხები, ხალხური საცხოვრებელი და მისი ინტერიერი, ავეჯი და დგამ-ჭურჭელი და ა.შ. ვრცელი ჩანაწერები მიუძღვნა გორდეევმა ოსურ ადათობრივ სამართალს, სადაც ცალკეა კვალიფიცირებული სიუჟეტები მკვლელობის, სისხლის აღების, კომპოზიციის ანუ გამოსასყიდის, ქურდობის, ცილისწამებისა და სხვ. შესახებ (ოსების რელიგ.,TB,1830,28, 29).

სამეურნეო ყოფას უკავშირებს ავტორი მიწათმოქმედების წარმოების ხერხების, სამერნეო იარაღ–ხელსაწყოების, მემკვიდრეობის განსაზღვრის, კლასობრივი და წოდებრივი დაყოფის, გადასახადებისა და ბეგარისა თუ სხვა რეალიების კვლევასაც, რომელთა შესახებაც ასევე ვრცელი ეთნოგრაფიული აღწერილობანია მოცემული მის ნაშრომებში (წერილები ოსეთიდან, TB,1830, 72 და შმდ.).

გრიგოლ გორდეევს ეკუთვნის საყურადღებო ეთნოგრაფიული სტატიები თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობის ხალხური დღესასწაულების, წეს–ჩვეულებებისა და რწმენა–წარმოდგენების, ძველქართული გართობა-სანახაობების, ნადირის დადევნების, სადღესასწაულო და რიტუალური დოღის, ქორწინების ტრადიციული ფორმებისა და სხვ. შესახებაც, რომლებიც ქვეყნდებოდა „ტიფილისსკიე ვედომოსტ“ 1829-1830 წლებში აქვე იბეჭდებოდა გორდეევის ადრინდელი „წერილები ოსეთიდან“, რომლებიც ოსებისადმი მიძღვნილ სხვა ნაშრომებთან ერთად გორდეევს კანონიერად უხვეჭს პირველი ეთნოგრაფი ოსეთმცოდნის საპატიო სახელს.

თევდორე ბართოლომეი
1800-1862 წწ.

XIX საუკუნის 20-30 იანი წლების რუს სამხედრო-დიპლომატიურ მოხელეთა შორის აღსანიშნავია *თევდორე ბართოლომეის*[1] ნაშრომი და წერილები, რომლებშიც აღწერილია მისი მოგზაურობა ირანში, თავად მენშიკოვის დიპლომატიურ მისიაში კავკასიის გავლით (საელჩო.,П.,8-9). აღნიშნულ ნაშრომში, რომელიც დღიურების სახითაა შედგენილი ბართოლომეის აღწერილი აქვს დასახელებული ქვეყნების,

---

[1] *Ф.Ф.Бартоломей.* Посольства князя Меншикова в Персию, РС, апрель-май 1904; *Бартоломей Федор Федорович* (1800-1862), *М.А.Полиевктов,* ЕППК (1800-1830), 8-10.

კერძოდ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის მოსახლეობის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების მეტად საინტერესო სურათები. ამ ჩანაწერებისადმი ინტერესს ზრდის არა მარტო ის, რომ იგი შეეხება იშვიათ მარშრუტს, არამედ ისიც, რომ ბართოლომეის ნარკვევები უახლოვდება პუშკინისეულ ლიტერატურულ სტილს და გამოირჩევა მაღალმხატვრული ექსპრესიულობითა და ემოციურობით (საელჩო.., П.,9-10).

ივანე ბლარამბერგი
1800-1878 წწ.

XIX საუკუნის 30 იანი წლების კავკასიის ხალხების ტრადიციულ-ყოფითი კულტურის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა აგრეთვე *ივანე ბლარამბერგმა*,[1] რომელიც რუსეთში 1823 წელს გერმანიიდან გადმოსახლდა და 1830 წლიდან გენერალ-ლეიტენატის ჩინით რუსეთის არმიაში მსახურობდა. ბლარამბერგს ოთხგზის (1830,1835,1837 და 1840წწ.) მოუხდა ჩრდილო კავკასიაში ჩასვლა, სადაც იგი ჩერქეზების, ქისტების, ტაგაურების, დაღესტნელებისა და ამიერკავკასიის ლეკების წინააღმდეგ განხორციელებულ საომარ ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას.

ივანე ბლარამბერგი, როგორც მრავალმხრივ განათლებული ოფიცერი გენერალური შტაბის სპეციალური დავალებით 2 წლის განმავლობაში მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის კრებსით აღწერილობაზე, შტაბის კავკასიური კორპუსის განკარგულებაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით. ამასთან, მან აღწერილობაში შეიტანა საკუთარი დაკვირვებები და რუსულ და უცხო ენებზე გამოქვეყნებული წყაროებიც.

ივანე ბლარამბერგმა შექმნა ფუნდამენტური სამტომეული ჩრდილო კავკასიის ხალხთა შესახებ ისტორიული, ტოპოგრაფიული, სტატისტიკური, ეთნოგრაფიული და

---

[1] *Иван Федорович Бларамберг.* Историческое, топографическое, статистическое, этнографическое и военное описание Кавказа, ч.1-3. 1836, *В.К.Гарданов.* АБКИЕА, 354-334; მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში (ЦГВИА) დაცულია ბლარამბერგის რამდენიმე მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ნაშრომი: *Описание народов, живущих в ущелиях Кавказских гор к востоку от Военно-грузинской дороги... Хевсуретией, Аварскими племенами и чеченцами,* ЦГВИА, кол. 414, д. 301, лл. 130-149; *Кабарда и Чечня,* ЦГВИА, кол. 414, д. 301, лл. 150-162.

სამხედრო-პოლიტიკური მიმართულებების გათვალისწინებით. სამწუხაროდ ბლარამბერგის ეს ენციკლოპედიური ნაშრომი კავკასიის ხალხების შესახებ არც თავის დროზე და არც შემდგომ არ გამოქვეყნებულა და არსებითად გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო არქივის კუთვნილებად დარჩა.

ბოლო პერიოდის კვლევა-ძიებით ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში აღმოჩნდა ბლარამბერგის სპეციალური ნაშრომები ადიღეელთა, ავარელთა, ხევსურებისა და ჩეჩნების შესახებაც.

ავგუსტ ჰაქსტჰაუზენი
1792-1866 წწ.

XIX საუკუნის შუა ხანებში ცენტრალურ და სამხრეთ რუსეთის, კერძოდ კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიისა და ეთნო-კულტურული ურთიერთობების შესახებ მნიშვნელოვანი მონოგრაფიები გამოაქვეყნა პრუსიელმა ჩინოვნიკმა ბარონმა *ავგუსტ ჰაქსტჰაუზენმა.*[1]

1843 წელს ჰაქსტჰაუზენმა უშუალოდ იმოგზაურა კავკასიის ქვეყნებში. ამასთან იგი კარგად იცნობდა და იყენებდა ტურნიფორის, დიუბუა დე მონპერესა და სხვა უცხოელ და რუს მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებსაც.

ავგუსტ ჰაქსტჰაუზენს გააჩნდა საინტერესო მოსაზრებანი სომეხთა თვითსახელის ჰაისა და ჰაისტანის შესახებ. იგი ეხება აგრეთვე სომეხთა აღნაგობისა და ეროვნული ხასიათის თავისებურებებს, ხალხური ზეპირსიტყვიერების საკითხებს, კერძოდ კი თქმულება-გადმოცემებს, ლეგენდებსა და ა.შ. (ამიერკ.მხარე,37).

ავგუსტ ჰაქსტჰაუზენი ზოგადად ეხება ჩერქეზებს, ლეკებს, აფხაზებსა და ქართველებს და იძლევა მათი საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის არაერთი მნიშვნელოვანი მხარის დახასიათებას, მაგრამ მისი ნაშრომის უდიდესი ნაწილი ოსთა ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიის, კულტურისა და ყოფის აღწერასა და ანალიზს აქვს დათმობილი (ამიერკ.მხარე,37-50). და ეს არ იყო შემთხვევითი, რადგანაც ჰაქსტჰაუზენი ერთერთი

---

[1] *А.Гакстгаузен.* Закавказский край. Заметки о семейной и общественной жизни и отношениях народов, обытающих между Черным и Каспийским морями, СПб., 1856-1857; *მისივე.* Исследования внутренней отношений народной жизни и в особенности сельских учреждении России, т. I, М., 1870.

პირველთაგანი იყო იმ უცხოელ ავტორთა შორის, რომელმაც დასვა და სერიოზულად მიუდგა ოსებისა და გერმანელების ნათესაობის საკითხს.

ამ პოზიციდანაა განხილული ოსეთის სოფლების დასახლებისა და საცხოვრებელი ნაგებობების, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, სულიერი კულტურისა და ხალხური სამართლის, ზეპირსიტყვიერების, კერძოდ მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები, სოციალური ურთიერთობის ისეთი ფუნდამენტური ინსტიტუტები, როგორიცაა ქორწილი და საქორწინო წეს–ჩვეულებები, სტუმართმოყვარეობა, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული ადათ–წესები და ა.შ. (ამიერკ.მხარე,99,113).

ავგუსტ ჰაქსტჰაუზენის ნაშრომს ამშვენებს ოსური სახლის ინტერიერის, ავეჯისა და დგამ–ჭურჭელის, სამეურნეო იარაღების შესანიშნავი ჩანახატები, რომელთაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ ოსების კულტურულ–ყოფითი რეალიების ტრადიციული ფორმების შესწავლის საქმეში.

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით ჰაქსტჰაუზენი აკეთებს შორსმიმავალ დასკვნებს ოსთა სკვითური წარმომავლობის, მათი წინარე სამშობლოსა და ამ ინდოევრმანულ ტომთა ცენტრალურ ევროპასა და სკანდინავიის ნახევარკუნძულზე განსახლების შესახებ (ამიერკ.მხარე,116-117). ამ ბოლომდე დაუსაბუთებელ დებულებებს ჰაქსტჰაუზენმა სხვა უზუსტობანიც დაუმატა და საერთოკავკასიურ სამყაროში ოსთა პრეეალირების აღირებით კავაკსიური ცივილიზაციის მონაპოვრები ინდოევროპული ტომების დამსახურებად მიიჩნია (ამიერკ.მხარე,117-118). მხედველობაში გეაქვს მის მიერ ოსურ სოფლებში ფიქსირებული სახენელი იარაღი – Sibir, რომელსაც იგი მეკლენბურგის კავთან (Naken) აიგივებს და გამოაქვს მცდარი დასკვნა აღნიშნული სახვნელის გერმანიიდან კავკასიაში გუთებისა და ალანების მიერ შემოტანის შესახებ (ამიერკ.მხარე,116-117).

ავგუსტ ჰაქსტჰაუზენის ეს შეხედულება თავის დროზე საფუძვლიანად გააკრიტიკა აკად. გ. ჩიტაიამ, რომელმაც აღნიშნული ტიპის სახვნელად ქართული ორხელა მიიჩნია, ქსნის ხეობის ოსებში მისი შესატყვისი ტერმინი გუთონ // გუთანი დაადასტურა და ჰაქსტჰაუზენის მიერ ფიქსირებული სახელწოდება – Sibir ირონულ-დიგორულ ძგბგრ // ძუბურს დაუკავშირა.

სამწუხაროდ ჰაქსტჰაუზენის კავკასიურ მასალებზე აგებულ დესკრიფციებში სხვა გულუბრყვილო და მცდარ დებულებებსაც ვხვდებით.

კავკასიის სხვადასხვა ქვეყნებში ცარიზმის ადმინისტრაციულ-კოლონიური რეჟიმის საბოლოო დამკვიდრებისა და ფინანსურ-ეკონომიკური მხარეების მოწესრიგების პროცესში საინფორმაციო-იდეოლოგიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით ზემოთ აღნიშნულ ავტორთა ჩანაწერები და ნაშრომები საკმარისი არ აღმოჩნდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე დაიწყო ახლადშემოერთებული ხალხების ყოფა-ცხოვრების ამსახველი მიმოხილვითი ხასიათის ვრცელი ფუნდამენტური აღწერების, სახაზინო დავთრებისა და პოლიტიკური კრებულების შედგენა, რომელმაც შემდგომ ფართო გაქანება ჰპოვა საუკუნის შუა ხანებსა და მეორე ნახევარში. ერთერთი პირველი ასეთი კრებულთაგანი გახლდათ ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრის *ვასილ ლეგკობიტოვის* რედაქტორობით შედგენილი კოლექტიურ ავტორთა ოთხტომეული ამიერკავკასიაში რუსეთის სამფლობელოთა სტატისტიკური, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ფინანსური მონაცემების ვრცელი მიმოხილვით, რომელიც 1836 წელს გამოიცა.[1] აღნიშნულ კრებულში საქართველოსა და კავკასიის ცალკეული ქვეყნების შესახებ შესაბამისი ნარკვევების ავტორებად ლეგკობიტოვთან ერთად გვეულინებიან ცარიზმის ადმინისტრაციული აპარატის მოხელეები *პავლე ვიშესლავცევი* (XIXს.) *გრიგოლ გორდეევი* (1791-1838წწ.), *ვასილ გრიგორიევი* (1803-1876წწ.), *დიმიტრი ზუბარევი* (1802-1850წწ.), *ნიკოლოზ ფლოროვსკი* (XIX ს.), *ალექსანდრე იანოვსკი* (1798-1871წწ.) და სხვ.

აღნიშნულ საკითხებზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება და კავკასიის ადმინისტრაციულ–ფინანსური მხარეების მოწესრიგების აუცილებლობა იმდენად აუცილებელ და გადაუდებელ ღონისძიებას წარმოადგენდა, რომ კრებულის შექმნის შესახებ საჭირო გახდა რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრის კანკრინის სპეციალური წერილი ნიკოლოზ I სახელზე. საორგანიზაციო საქმიანობაში მონაწილეობდა პასკევიჩი, რომელმაც პეტერბურგელ მოხელეებთან ერთად ამ

---

[1] Обозрение Российских владении за Кавказом в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях, 4 части, СПб., 1836.

საქმეში ჩააბა ადგილობრივი ავტორებიც. შვიდი წლის დაძაბული შრომის შემდეგ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით საბოლოოდ რედაქტირებული კრებული დაიბეჭდა. პირველ ტომში შევიდა საქართველო, მეორე ტომი დაეთმო საქართველოს, ოსეთსა და სომხეთს, მესამე აზერბაიჯანს, ხოლო მეოთხე – აზერბაიჯანსა და დაღესტნის ნაწილს.

ვასილ ლეგკობიტოვი–1806-1860 წწ., პავლე ვიშესლავეცი–XIX ს., გრიგოლ გორდეევი–1791-1838 წწ., ვასილ გრიგორიევი –1803-1876წწ., დიმიტრი ზუბარევი–1802-1850 წწ., ნიკოლოზ ფლოროვსკი–XIX ს., ალექსანდრე იანოვსკი – 1798-1871 წწ.

კავკასიის სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ყოფის ამსახველ ამ ვრცელ კრებულში შესული ნაშრომებიდან ქ. თბილისის აღწერა ეკუთვნის *პავლე ვიშესლავცევს*, მასვე ეკუთვნის, აგრეთვე მეორე სტატია–შეხედულება ამიერკავკასიაზე რუსეთთან სამეურნეო და სავაჭრო ურთიერთობის თვალსაზრისით; მთის ხალხის დისტანციის აღწერის ავტორია – *გრიგოლ გორდეევი*,[1] თბილისის გუბერნიის, თელავის მაზრისა და ნახჭევანის პროვინციებისა – *ვასილ გრიგორიევი*,[2] ყარაბახისა და ერევნის პროვინციებისა და ყაზახის დისტანციისა – *დიმიტრი ზუბარევი*,[3] თალიშის სახანოს, ახალციხის საფაშოს, ბაქოს, ყუბისა და დარუბანდისა – *ვასილ ლეგკობიტოვი*, თბილისის, სიღნაღისა და გორის მაზრების, ბამბაკ-შულავერის დისტანციის და ელისავეტოპოლის მაზრისა – ფლოროვსკი, ხოლო ოსეთსა და შაქის პროვინციებისა – *ალექსანდრე იანოვსკი*.[4]

მართალია, აღნიშნული აღწერილობისათვის მასალები ძირითადად ლიტერატურული წყაროებიდან და ოფიციალური

---

[1] *გ.გორდეევის* ნაშრომები იხ. ზემოთ.

[2] გარდა აღნიშნული ნაშრომისა იხ. *В.П.Григорьев.* Алавердский праздник, „Невский альманах" на 1829 год, СПб., 1828; *მისივე.* Грузинская свадьба, „Литературная газета", 1830,23 და სხვ.

[3] იხ.აგრეთვე *Д.Е.Зубарев.* Поездка в Кахетию, Тушстию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Бслаканскую область, „Русский вестник" (РВ), 1841, 6; *მისივე.* Абхазия, РВ, 1842,3; *მისივე.* Абхазия, РВ, 1842, 5-6 და სხვ.

[4] იხ.აგრეთვე *А.Г.Яновский.* Записки об осетинских ущельях, АКАК, VII, 1878 და სხვ.

დოკუმენტებიდანაა ამოკრებილი, მაგრამ ავტორებს გააჩნიათ საკუთარი დაკვირვებებიც, რის გამოც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ამ კრებულს ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს *ალექსანდრე იანოესკის* ნაშრომი ჩრდილო ოსეთის შესახებ, რომელშიც სხვა ეთნოგრაფიულ სიუჟეტებთან ერთად შესულია მნიშვნელოვანი მონაცემები ხალხური სამართლისა და სამართალწარმოების, მემკვიდრეობითობის ადათობრივი ნორმებისა და საოჯახო ყოფის შესახებ.

კრებულის სხვა ავტორებიდან გრიგოლ გორდეევის გარდა, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ცალკე აღნიშვნის ღირსია *ვასილ გრიგორიევი*, რომლის წერილები – *„ალაევერდობის დღესასწაული“* და *„ქართული ქორწილი“* მიძღვნილია როგორც ამ სოციალური ინსტიტუტების ერთერთი ადრინდელი აღწერა რუსულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მთლიანი კავკასიის მასშტაბით.

არანაკლებ საყურადღებოა კრებულის ავტორების – *დიმიტრი ზუბარევისა* და *პაველ ეიშესლავცევის* ნაშრომებშიც.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საზოგადოებრივ სარბიელზე პირველად გამოჩნდნენ საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებში მცხოვრები ადგილობრივი, მკვიდრი მოღვაწეები. მათი უმრავლესობა ცარიზმის სამხედრო და სამოხელეო აპარატის წარმომადგენლები იყვნენ და რუს და უცხოელ მკვლევართაგან განსხვავებით კარგად იცნობდნენ თავიანთი მშობლიური კუთხის, ზოგადად კავკასიელი ხალხების ყოფასა და კულტურას. სწორედ ამ ავტორთა კავკასიური მენტალიტეტით უნდა აიხსნას მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიების წერილებისა და ნაშრომების გამორჩეული სიზუსტე და ობიექტურობა, რაც არაერთხელ იქნა შენიშნული მომდევნო თაობების მკვლევართა მიერ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი კავკასიოლოგების *ხან გირეისა* (1808-1842წწ.) და *შორა ნოგმოვის* (1796-1844წწ.) ნაშრომები ადიღეელთა და ყაბარდოელთა ეთნოგრაფიის პრობლემებზე, *იაგორ ჭილაძე-ჭილაშვილის* (1790-1838წწ.), *ნიკოლოზ ფალავანდიშვილის* (გარდ.1855წ.), *ვასილ და იოსებ ცისკაროვების/ცისკარიშვილების* (XIXს.) წერილები საქართველოს მთიელთა ყოფა-ცხოვრების, აგრეთვე ცნობილი სომეხი მწერლის, ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებლის *ხაჩატურ აბოვიანის* (1804-1848წწ.) ვრცელი გამოკვლევა სომხეთის ქურთების შესახებ და სხვ.

ხან გირეი
1808-1842 წწ.

და მაინც, ამ რიგის კავკასიელ საზოგადო მოღვაწე და მკვლევართაგან უმნიშვნელოვანესი ფიგურა *ხან გირეი*[1] გახლდათ. მისი შორეული წინაპრები, ირიბი შტოთი ყირიმის ხანთა დინასტიას უკავშირდებოდნენ, მაგრამ ყუბანის ადიღეელთა ტომში–ბუედუგებში საუკუნოვანმა ცხოვრებამ ისინი არსებითად ადიღეელებად აქცია.

ხან გიერი იზრდებოდა პეტერბურგში, სადაც დაამთავრა კიდეც კადეტთა კორპუსი. 1826-1829 წლებში რუსეთ–ირანისა და თურქეთის ომებში, იგი იყო რუსეთის არმიის მთავარსარდლის ადიუტანტი, შავი ზღვის კაზაკთა, მოგვიანებით კი კავკასიის მთიელთა ესკადრონის ოფიცერი, ხოლო შემდეგ (1837 წლიდან) ამ ესკადრონის უფროსი, სადაც მან მიიღო ფლიგელ-ადიუტანტის სამხედრო წოდება.

ხან გირეი, როგორც იმპერატორ ნიკოლოზ I დაახლოებული პირი, დღენიადაგ მაღალ არისტოკრატიულ წრეებში ტრიალებდა. მართალია, სამწერლო და მეცნიერული მოღვაწეობა მან ნიკოლოზ I შეკვეთით დაიწყო, მაგრამ 40-იანი წლების დასაწყისში თბილისისა და პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა ხან გირეის ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი ჩერქეზთა რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების, ზოგადად მათი ცხოვრების წესის შესახებ (ჩერქეზთა გადმოცემები, РВ,1841,4-5; რწმენები, ჩვეულებანი, РВ, 1842, 1). ხან გირეის დანარჩენი 5 ნაშრომი, რომელიც არსებითად ადიღეელთა გადმოცემებს, კავკასიის მთიელთა მითოლოგიას, განსაკუთრებით კი მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის აღწერებს, ანალიზსა და განზოგადოებებს ეხება, ავტორის ბურუსით მოცული გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა (თავადი კამბულატი, Черк.пред.., 1840,10; მითოლოგია, К, 1846, 35; კუნჩუკის..., К,1846,37-38; ბესლ., К, 1847, 42-47; თავადი..., СМОМПК, 17,1893).

---

[1] *Хан Гирей.* Черкесские предания, (РВ), 1841, 4-5; *მისივე.* Вера, нравы, обычай образ жизни черкесов, (РВ), 1842, 1; *მისივე.* Князь Канбулат. Черкесское предание, 1844, 10; *მისივე.* Мифология кавказских племен, Кавказ, 1846,35; *მისივე.* Наезд Кунчука, Кавказ, 1846,37-38; *მისივე.* Бесльний Абат, Кавказ, 1847, 42-47; *მისივე.* Князь Пшськой Аходягоко, СМОМПК, 17, 1893.

ხან გირეის მიერ განხილულ საკითხთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის შესწავლას. მართლაც, დასახელებულ ნაშრომებში ხან გირეიმ ერთერთმა პირველმა დაახასიათა მთური ფეოდალიზმი კავკასიაში და იგი ადიღეელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის საფუძვლად მიიჩნია. ხაზს უსვამდა რა ადიღეელ წარჩინებულთა ფეოდალურ იერარქიას, იგი პირდაპირ მიუთითებდა ფეოდალური ექსპლოატაციის სისასტიკეზე, თუმცა, იგი საბოლოოდ კავკასიის მთიელთა ცხოვრებას, მის ისტორიას თავისი კლასის პოზიციებიდან ჭვრეტდა. გარდა ამისა, ხან გირეის დამსახურების შეფასებისას საკმარისია აღინიშნოს, რომ მის მიერ აღწერილი მთური ფეოდალიზმის თავისებურებები, ყველაზე უფრო არსებითი და საფუძვლიანია რევოლუციამდელ კავკასიათმცოდნეობით ლიტერატურაში.

შორა ნოგმოვი
1796-1844 წწ.

კავკასიის მთიელთა, კერძოდ ადიღეელთა ეთნოლოგიური შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ხან გირეის თანამედროვესა და თანამემამულეს *შორა ნოგმოვს*,[1] რომელმაც თავისი ერთადერთი, მაგრამ პრობლემურად მრავალმხრივი და მრავალპლანიანი ნაშრომი ადიღეელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ სწორედ XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში შექმნა.

შორა ნოგმოვი 1818 წლიდან მეფის რუსეთის სამხედრო სამსახურში იყო. იგი მსახურობდა კავკასიის ხაზზე, ხოლო შემდეგ ხან გირეის პოლკში მოხვდა და მისი მეთაურობით პოლონეთში აჯანყების ჩასაქრობად გაემგზავრა. 1835 წლიდან იგი თბილისშია, 1838-1843 წლებში ყაბარდოს დროებითი სასამართლოს მდივნად მუშაობდა და თავისი განსაკუთრებული

---

[1] *Ш.Б.Ногов.* История адыгейского народа, составленная по преданиям кабардинцев, напечатано с подлинной, исправленной рукописи и дополнено предисловием, биографичей автора, примсчаниями и приложениями *Ад.Берже*, КК на 1862; *Shora-Bek-Murzin Noqmow.* Die Sagen und Lieben des Tscherkessen-Volks. Überseltzt von *AD.Berge*, Leipzig, 1866.

ნიჭითა და ერუდიციით უცხოელ მოგზაურ-მკელევართა განცვიფრებას იწვევდა.

შორა ნოგმოვის ნაშრომის ცალკეული ნაწილები ავტორის გარდაცვალების შემდეგ გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკსა“ და „კავკაზის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, სრული სახით კი იგი ადოლფ ბერჟემ გამოაქვეყნა. მასვე ეკუთვნის ამ ნაშრომის გამოქვეყნება გერმანულ ენაზე 1866 წელს ლაიპციგში.

შორა ნოგმოვის ნაშრომში გაშუქებულია ადიღეელი ტომების ისტორიისა და ეთნოგრაფიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები ყაბარდოელთა თქმულება-გადმოცემების მიხედვით. დახასიათებულია ადიღეელთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის მანამდე ნაკლებადცნობილი საკითხები, სატომო და ეთნიკური სახელები და ეპონიმები, ქრისტიანობისა და მუსლიმანობის გავრცელების, საერთოდ ადიღეელთა ყოფისა და კულტურის თავისებურებები და ა.შ. ნაშრომში წარმოდგენილი საკითხები გაანალიზებულია არა მარტო ეთნოგ[1]რაფიული მონაცემების, არამედ ისტორიულ არქეოლოგიური, ლინგვისტური და ფოლკლორული მასალების შუქზე, რაც კიდევ უფრო ზრდის მის წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას.

ნაშრომის დანართში შორა ნოგმოვს შეტანილი აქვს ორი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც შეეხება ყაბარდოელთა წოდებრიობასა და წარსულის ზოგიერთ დრომოჭმულ წეს–ჩვეულებას. პირველ დანართში აღწერილია ყაბარდოელთა წოდებრივი დაყოფა და მათი ურთიერთობა, ადათობრივი სამართლის ნორმები, საქორწინო წეს-ჩვეულებები, გადასახადისა და ბეგარის სახეები („Постановление о сословиях в Кабарде“), მეორეში კი – კალიმის საფასური, დადგენილება ქალის მოტაცების აკრძალვის შესახებ, სამართლისწარმოების წესები, სხვადასხვა რანგის წოდებრიობის უფლებები და მოვალეობები და ადათობრივი სამართლის სხვა ნორმები („Народное условие, еделанное 1907 года, июля 10, после прекращения в Кабарде заразы, в отмену прежных обычаев“). სავარაუდოა, რომ ამ ნაშრომთა ძირითადი ნაწილი შორა ნოგმოვის მიერ შეკრებილი მასალების საფუძველზე უნდა იყოს დაწერილი, რაც სხვა დამსახურებასთან ერთად ავტორს ადიღეელთა ეთნოგრაფიული მასალების პირველშემკრების სახელსაც უმკვიდრებს.

ხაჩატურ აბოვიანი
1804-1848 წწ.

სომხეთში ეთნოგრაფიული კვლევა–ძიებისა და ახალი პერიოდის წყაროთმცოდნეობითი საქმიანობის პირველი ნაბიჯები გამოჩენილი სომეხი მწერლის, ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებლის *ხაჩატურ აბოვიანის*[1] სახელთანაა დაკავშირებული. 1848 წელს გაზეთ „კავკაზის" ფურცლებზე გამოქვეყნდა მისი მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ნაშრომი *„ქურთები"*, რომელშიც ავტორი უშუალო თვითმხილველის პოზიციიდან აღწერს სომხეთის ქურთების ყოფა-ცხოვრებას. შემდგომში ხაჩატურ აბოვიანმა საკუთრივ სომეხი ხალხის ეთნოგრაფიულ კვლევა–ძიებას დიდი ადგილი დაუთმო თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში და ცნობილი რომანი *„სომხების ჭრილობები"* საყურადღებო ეთნოგრაფიული სიუჟეტებით გაამდიდრა. სამწუხაროდ აბოვიანის როგორც პირველი სომეხი ეთნოგრაფის შემოქმედება და მისი დამსახურება ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

ეგორ ჩილაევი (იაგორ ჭილაძე-ჭილაშვილი)–1790-1838 წწ.
ნიკოლოზ პალავანდოვი (ფალავანდიშვილი) გარდ.1855 წ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცარიზმის სამოხელეო აპარატის ქართველ მოხელეთაგან ქართველი და კავკასიელი ხალხების შესახებ ეთნოგრაფიული ხასიათის საყურადღებო ჩანაწერები დაგვიტოვეს *ეგორ ჩილაევმა*[2] *(იაგორ ჭილაძე-ჭილაშვილი)* და *ნიკოლოზ პალავანდოვმა*[3] *(ფალავანდიშვილი)*. ჩილაევის ნაშრომში, რომელიც ავტორმა 1827 წელს დაწერა და საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მოსახლე ქართველ და ოს მთიელებს მიუძღვნა, მშენებლობის პროცესების აღწერასთან ერთად მოცემულია ეთნოგრაფიული დაკვირვებები მეურნეობის დარგების – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის, შინახელოსნობისა თუ ვაჭრობა-აღებ-მიცემობის შესახებ (მთიელი ხალხების...,347-352).

---

[1] *Хачатур Абовян.* Курды, К, 1848, 46-51; *Г.А.Абов.* Хачатур Абовян. Жизнь и Творчество, Ереван, 1948.
[2] *Е.Чилаев.* О горских народах по Военно-грузинской дороге, АКАК, т.VII, Тифлис, 1878.
[3] *В.Палавандов.*Краткое обозрение некоторых Закубанских племен, АКАК, т. VII, Тифлис, 1887.

რაც შეეხება პალავანდოვის ნაშრომს, რომელიც ავტორს 1831 წელს შეუდგენია, მიძღვნილია ყუბანის მხარის ადიღეელი ტომების – აბაძეხების, ტემირგოელების, გატულების, ჟანესა და სხვ. ეთნიკური თავისებურებების ზოგადი დახასიათებისადმი. ნაშრომში ვხვდებით საინტერესო ცნობებს ამ ტომების ლოკალიზაციის, რიცხოვნებისა და საზოგადოებრივი ყოფის საინტერესო საკითხებზე (მოკლე მიმოხ.,380-384). მანიშნებელია, რომ ორივე ამ ავტორის კავკასიური მენტალიტეტი მათ აღწერებს გამოარჩევს სიზუსტითა და ობიექტურობით, რაც არაერთხელ იქნა შენიშნული მომდევნო თაობების მკვლევართა მიერაც.

ვასილ და იოსებ ცისკაროვები
XIX ს.

დაახლოებით ამავე რიგის წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს XIX საუკუნის 40-იან წლებში მოღვაწე ორი ქართველი მთიელის *ვასილ ცისკაროვისა* და *იოსებ ცისკაროვის*[1] (*ცისკარიშვილების*) მოღვაწეობას, რომელთა წერილებში - *„მომთაბარე თუშეთი“*, *„თუში მხედარი განში“* (ვ. ცისკაროვის ავტორობით დაიბეჭდა გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“), *„დიკლო და შენაქო“*, *„ჩანაწერები თუშეთზე“* და *„თუშური სიმღერები“* (ი. ცისკაროვის ავტორობით დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“), მშობლიური კუთხის მხატვრული პეიზაჟის ფონზე თუშ მეცხვარეთა ყოფა–ცხოვრება არც თუ ისე რომანტიკულ ფერებშია აღწერილი და გადმოცემული.

ქართველი და კავკასიელი მოყვარული ეთნოგრაფებისა და მხარეთმცოდნეების ცხოვრებაში ახალი ხანა დგება XIX საუკუნის შუა ხანებიდან, მაშინ, როდესაც ცარიზმის ადმინისტრაციამ კავკასიის დაპყრობილ ხალხებს ახალი ინტელექტუალური საზრდო გაუჩინა. 1852 წელს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების გადაწყვეტილებით თბილისში გაიხსნა და ჩამოყალიბდა მრავალპროფილიანი კავკასიის მუზეუმი, რომელმაც შემდგომში საქართველოსა და კავკასიაში ახალი სამეცნიერო მიმართულებებისა და კვლევების

---

[1] *В.Цискаров.* Кочующая Тушетия, „Закавказский вестник“ (ЗВ), 1846,20,21; *მისივე.* Тушинский наездник Ганиш (Быль), ЗВ,1848,26-28.

И.Д.Цискаров. Дикло и Шенгко, К,1846,27; *მისივე.* Записки о Тушети, К, 1849, 7-13; *მისივე.* Тушинские песни, К, 1849,38.

განვითარებას შეუწყო ხელი. აქედან ეყრება საფუძველი ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბებასაც, რომლის სათავეშიც მაშინ ცნობილი ქართველი პოეტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე *რაფიელ ერისთავი* (1824-1901წწ.) აღმოჩნდა. იგი იმთავითვე მიიწვიეს ახლადდაარსებული მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტის კურატორად, სადაც მას, როგორც იმ დროისათვის ეთნოგრაფიული კვლევა–ძიებით დაინტერესებულ პიროვნებას, ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვების, სათანადო ფონდების შექმნისა და კატალოგების შემდგენლის მეტად საპატიო მისია დაეკისრა.

რაფიელ ერისთავი
1824-1901 წწ.

რაფიელ ერისთავის[1] უშუალო ხელმძღვანელობითა და პირველ ქართველ ეთნოგრაფ-მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობით განხორციელდა მდიდარი და მრავალფეროვანი საველე ეთნოგრაფიული მასალების, სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების შეგროვება, რომელშიც ნათლად იყო წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მცხოვრებთა ყოფისა და კულტურის რეალიები. ეს მონაცემები და მასალები დაედო შემდგომში საფუძვლად რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას, რომლის წყაროთმცოდნეობითი ღირებულება დღესაც ინარჩუნებს პირველხარისხოვან მნიშვნელობას.

რაფიელ ერისთავის პირველი ეთნოგრაფიული წერილები, მიძღვნილი ქართველი ხალხის სოციალური ყოფისა და რელიგიური რწმენა–წარმოდგენებისადმი გამოქვეყნდა გაზეთ

---

[1] *Р.Д.Эристов.* Лазаре, К, 1847,10; *მისივე.* Свадьба у Грузин, К, 1847,14; *მისივე,* Признаки весны, царство кукушек, происхождение сов (Из поверии грузин), К, 1849,18; *მისივე.* О тушино-пшаво-хевсурском округе, ЗКОИРГО, 3,1855; *მისივე.* Письма из Имеретии, К, 1857,52-53,57-59 და შმდ.; *მისივე.* О крестьянском сословии в Мингрелии, „Кавказская старина" (КС), 1873,4-6; *მისივე.* О привилегированных сословиях в Мингрелии, КС, 1873,6; *მისივე.* Очерк Имерети в сельскохозяйственном отношении, ЗКОСХ, 1875,2-3; *მისივე.* Этнографические очерки Сванети, „Новое обозрение" (НО), 1896,4426,4442; 1897,4555; *მისივე.* Заметки о Сванети, ЗКОИРГО, 19,1897 და სხვ.

„კავკაზში“ 1846-1849 წლებში, რომლებშიც მკვლევარი ცდილობს გაიაზროს ამა თუ იმ რელიგიური რწმენა–წარმოდგენის თუ სოციალური მოვლენის ბუნება, მისი არსი, მოგვცეს მასალის ფიქსაციის კონკრეტული მისამართი და სიტუაცია.

რაფიელ ერისთავის პირველი მონოგრაფია *„თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ“* სტრუქტურულად მრავალფეროვანი და სრულყოფილი, ფართოპლანიანი ნაშრომია, რომელშიც გაანალიზებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მხარე. კერძოდ, აქ წარმოდგენილია: მხარის მდებარეობა, ფართობი, მმართველობის ფორმები, დასახლების დრო, თემების და გვარების წარმოშობა, კლიმატი, ბუნებრივი რესურსები, სოფლები და მოსახლეობის რაოდენობა, რელიგიური მრწამსი, რწმენა-წარმოდგენები და დღესასწაულები, ხალხის ზნე-ჩვეულებანი, საქორწინო წეს-ჩვეულებები და რიტუალები. საინტერესო მასალებია მოტანილი ძმადნაფიცობის, სტუმარ-მასპინძლობის, სისხლის აღების ადათის, ხალხური სამართლისა და მართლმსაჯულების შესახებ. ეპოქალური მონაცემების დონეზეა მოტანილი ფშავ-ხევსურთა ანტროპოლოგიური დახასიათება, ტანსაცმელი და საბრძოლო აღჭურვილობა, საცხოვრებელი და საფორტიფიკაციო ნაგებობანი, სოფლის მეურნეობის დარგები, ნადირობა, ხალხური კულინარია, გართობა-სანახაობანი და ა.შ.

ყურადღებას იპყრობს რაფიელ ერისთავის დაკვირვებანი და შესაბამისი დასკვნები დასახლების ვერტიკალურ–ზონალური პრინციპის, მეურნეობის დარგთა, კერძოდ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფორმათა განლაგებისა და შეთანაწყობის, მთიელთა მეურნეობის გაძღოლის თავისებურებებისა და საოჯახო მეურნეობაში ქალის დაწინაურებული როლის, მთური საცხოვრებლის, ჩაცმულობის, ქორწინების ფორმებისა და სხვა ეთნოლოგიური სიუჟეტების შესახებ. ასევე საინტერესოა მკვლევარის დაკვირვებები მთიელთა რელიგიის სინკრეტული ხასიათის, საკულტო ძეგლების კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიის, ხატის მსახურთა ინსტიტუტის აღწერისას. შეუძლებელია არ აღინიშნოს მკვლევარის ღრმა ჰუმანიზმი, მისი სიმპათია მთიელებისადმი, მათი ზნეობრივი სიწმინდისა და სიმტკიცისადმი, აგრეთვე კრიტიკული დამოკიდებულება ისეთი უარყოფითი მოვლენებისადმი, როგორიცაა სისხლის აღება, ცრურწმენა, მკითხაობა, სხვადასხვა დაავადებანი და ა.შ.

რაფიელ ერისთავმა მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა იმერეთისა და სამეგრელოს სამეურნეო ყოფისა და კულტურის საკითხებსაც. ჯერ კიდევ 1857 წელს ქუთაისის გუბერნიაში

მუშაობისას იგი გაზეთ „კავკაზში“ აქვეყნებს ნარკვევების სერიას „*წერილები იმერეთიდან*“. რამდენადმე მოგვიანებით 1875 წელს რაფიელ ერისთავმა იმერეთის სამეურნეო ყოფასა და მატერიალურ კულტურას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა („*იმერეთი სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით*“). თავისი მონოგრაფიულობით ეს ნაშრომი, თუშ-ფშავ-ხევსურეთზე გამოკვლევასთან ერთად, მკვლევარის საუკეთესო ეთნოგრაფიული ხასიათის შრომადაა მიჩნეული. აქ დეტალურადაა აღწერილი იმერული კარ-მიდამო, თანმიმდევრულად არის მოცემული სახლის, ეზოს, ბოსტნის, ბეღელის, სასიმინდეს, საღორეს, საქათმეს და სხვა დამხმარე სამეურნეო თუ სხვა დანიშნულების ნაგებობათა დახასიათება სათანადო ილუსტრაციების თანხლებით. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ხალხურ ტრანსპორტზე („*უცნაური ანაჩა ურემი ხის ვეება მთლიანი ბორბლებით*“), რომელიც შესანიშნავად ესადაგება იმერეთის მთაგორიან რელიეფს. ავტორი დეტალურად აღწერს მდ. ყვირილაზე თევზჭერის ხერხებს, თევზსაჭერ იარაღებსა და ა.შ.

ნარკვევში დაწვრილებითაა განხილული მხარის სოფლის მეურნეობის დარგები: მევენახეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მემინდვრეობა და სხვ. საფუძვლიანადაა დახასიათებული შრომის პროცესები, მრავალფეროვანი სამეურნეო ინვენტარი. ზუსტადაა გარკვეული თითეული დარგის მნიშვნელობა იმერეთის სამეურნეო ყოფაში. ამ ნარკვევში საყურადღებოა ერისთავის მიერ ფიქსირებული ღვინის დაყენების ორი წესი იმერეთში: ჭურში ღვინის დაყენება, რომელიც უფრო გავრცელებული იყო და ღვინის საწნახელში „გაყენების“ წესი, რომელიც ტექნოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად ორიგინალურია და არქაულობის დაღს ატარებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ რაფიელ ერისთავის ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში „ღვინის გაყენების“ წესი ქართული მეღვინეობის ტექნოლოგიის ერთერთ უადრეს ეტაპადაა მიჩნეული.

ასეთივე ღირსებით გამოირჩევა ერისთავის ნაშრომები სამეგრელოსა და სვანეთზე, რომლებიც ფორმითა და შინაარსით ახლოს დგანან ზემოთ აღნიშნულ მონოგრაფიებთან. კერძოდ, სამეგრელოს სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის საკითხებზე გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილ წერილს (1862წ.) საფუძვლად დაედო ავტორის მიერ მოპოვებული მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მან მოხსენების სახით გაუგზავნა კავკასიისა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის

სამმართველოს. წერილი დეტალურად გვაცნობს მხარის მეურნეობის დარგებს რეგიონების ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. აქ ზუსტადაა განსაზღვრული მეურნეობის ამა თუ იმ დარგის გავრცელების არეალი, გამოყოფილია მეურნეობის წამყვანი დარგები: მემინდვრეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოობა. მკვლევარი საქმის ცოდნით ახასიათებს თვითეული დარგის სპეციფიკურ ნიშნებს. მიუთითებს სამეგრელოში ახალი დარგების პერსპექტიულობაზე, კერძოდ, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, ბამბის კულტურის განაშენიანებაზე. რაც მთავარია, სამეურნეო დარგების დახასიათებისას მკვლევარს, როგორც ყოველთვის ეთნოგრაფის ალღოთი, უშუალო დაკვირვების შედეგად აქვს აღწერილი ამ დარგებთან დაკავშირებული შრომის პროცესები, სამუშაო იარაღები და სამეურნეო ნაგებობანი.

ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის კარგი შენაძენია რაფიელ ერისთავის ნარკვევები სვანეთის შესახებაც. ამ გამოკვლევებში განსაკუთრებით ფასეულია სვანური ეთნოგრაფიული სინამდვილის ამსახველი ისეთი საკითხები, როგორიცაა ახალ წელთან და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რწმენა–წარმოდგენები, რომელიც მანამდე არცერთ ქართველ მკვლევარს არ შეუსწავლია.

ქართულ–კავკასიური პარალელების ძიების ცდა მკვლევარს მოცემული აქვს დაღესტანში მოგზაურობის შთაბეჭდილებებში, სადაც იგი სამუზეუმო ნივთების შეძენითაც იყო დაკავებული.

ცარიზმის სამოხელეო აპარატის მიერ კავკასიაში ადმინისტრაციულ, სამეურნეო -ეკონომიკურ, სამეცნიერო-კულტურულ და სხვა სფეროებში გატარებულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ხელშესახები გახადა წყაროები კავკასიის ხალხთა შესახებ. გარდა იმისა, რომ ეს გახლდათ ევროპულ მეცნიერებაში და, შესაბამისად, რუსეთშიც ეთნოლოგიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების ხანა, რაც თავისთავად გულისხმობდა შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნას საკუთარი და მეზობელი ხალხების ყოფისა და კულტურის შესახებ, ცარიზმის კანცელარიასა და სამოხელეო აპარატს დაპყრობილ ქვეყნებში კოლონიური ადმინისტრაციის საბოლოო დამკვიდრებისა და განმტკიცების ზრახვებიც ამოძრავებდა.

რუს და ევროპელ მოგზაურ–მკვლევართა და მეცნიერთა მონაცემები სისტემატიურ ხასიათს ღებულობს კავკასიის ომის წლებში. ამ მონაცემებს კიდევ უფრო ამდიდრებენ ოფიციალურ მოხელეთა ჩანაწერები, დემოგრაფიული და სტატისტიკური

აღწერები. ამ პერიოდის წყაროთაგან განსაკუთრებით ფასეულია *ნიკოლოზ კოლიუბაკინის* (1810-1868წწ.), *კარლ სტალის* (დაიბ. 1817წ.), *მიხეილ ვენიუკოვის* (1832-1901წწ.), *ლეონტი ლიულის* (1805-1862წწ.) ნახევრადოფიციალური ეთნოგრაფიული ჩანაწერები და ნაშრომები ჩერქეზებსა და ყაბარდოელებზე, *ვასილ გოლენიშჩევ-კუტუზოვის* (დაიბ. 1811წ.), *ოსიპ კოსტანტინოვის* (1813-1856წწ.), *ალექსანდრე კომაროვის* (1823-1904წწ.) და სხვ. ანალოგიური ხასიათის აღწერილობანი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელებზე, *პეტრე უსლარის* (1816-1875წწ.), *ბერნჰარდ დორნის* (1805-1881წწ.), *მარი ბროსესა* (1802-1880წწ.) და *ვსევოლოდ მილერის* (1848-1913წწ.), მეცნიერული გამოკვლევები კავკასიის ხალხთა ენების, ისტორიის, ეთნოგრაფიისა თუ ფოლკლორის საკითხებზე და ა.შ.

კავკასიის მთიელებთან მეცნიერ-მკვლევართა ამ უშუალო კონტაქტებში შეიქმნა სერიოზული ხასიათის გამოკვლევები, რომლებშიც საუბარი იყო არა მარტო კულტურულ-ყოფით მხარეებზე, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის საზოგადოებრივი წყობის ხასიათზეც. ბუნებრივია, კავკასიის მთიელთა ყოფაში პირველყოფილი დემოკრატიზმისა და გვაროვნული წყობილების „ძიებანი“ ძალზე შორს იყო რეალობისაგან და უკვე ამ პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით ავტორთა გარკვეული ჯგუფი კავკასიის მთიანეთში არც ფეოდალიზმის არსებობას გამორიცხავდა.

ზემოთ დასახელებულ XIX საუკუნის რუს მოგზაურ-მკვლევართა, სამხედრო-ადმინისტრაციულ მოხელეთა და საზოგადო მოღვაწეთაგან გამოვყოფთ მხოლოდ ავტორთა ჯგუფს, რომელთა ნაშრომებს პირველხარისხოვანი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა გააჩნიათ.

რუსულ მეცნიერებაში კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი წყობის შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო. მთიელთა ადათობრივი სამართლის შესწავლა იმთავითვე პრაქტიკულ მიზნებს ითვალისწინებდა და კავკასიის ხალხებში ცარიზმის ადმინისტრაციის სამართალწარმოების დამკვიდრების პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით ადათობრივი სამართლის ნორმებს დიდ ყურადღებას აქცევდა ერმოლოვის მმართველობა, რომელმაც 1822 წელს ყაბარდოელთა „დროებით სახალხო სასამართლოს“ ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის ჩვეულებითი სამართლის ნორმები დაუდო საფუძვლად. პასკევიჩის მიერ ამ პრინციპებიდან გადახვევას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოყვა. მის მიერ 1827 წელს რუსული

სამართალწარმოების შემოღების მოთხოვნამ ადგილებზე და ცენტრში ხანგრძლივი დებატები გამოიწვია.

მართალია, პასკევიჩის შემდგომ ბარონი როზენის კაბინეტი კვლავ ერმოლოვის პოზიციებს უბრუნდება, მაგრამ კანცელარიის გარკვეული წრეების ლობირებით 1840 წლის 10 აპრილის დებულებით კავკასიაში რუსული სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა შემოიღეს.

რუსული სამართალწარმოების შემოღებას კავკასიაში დიდი წინააღმდეგობები შეხვდა, რის გამოც ეს ავანტურისტული წამოწყება ნიკოლოზ I 1842 წელს გააუქმა და უპირატესობა კვლავ ხალხური ჩვეულებითი სამართლის ნორმებსა და კანონებს მიანიჭა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მთიელთა ადათობრივი სამართლის ნორმების გამოვლენასა და შესწავლას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

კავკასიის მთიელთა ჩვეულებითი სამართლის ცალკეულ საკითხებს ადრე *შარდანოვის* (1822წ.), *რადოჟიცკის* (1823,1829წწ.), *იანოვსკის* (1828წ.), *გორდეევისა* (1830წ.) და *ნოგმოვის* (1830წ.) ჩანაწერებში ვხვდებით, მაგრამ ამ პრობლემის გეგმაზომიერი კვლევა მაინც 40-იან წლებთანაა დაკავშირებული. ისევე როგორც ამ პერიოდში კავკასიაში მიმდინარე სხვა პროცესებს, ჩვეულებითი სამართლის გამოვლენასა და შესწავლასაც დიდი სიძნელეები გადაეღობა წინ. საქმე იმაში იყო, რომ ხალხურ სამართალწარმოებაში ერთობ აღრეული იყო ჩვეულებითი სამართლისა და შარიათის ნორმები.

მთავარმართებლის კანცელარიაში, რომლის კომპეტენციითაც ხორციელდებოდა ეს ღონისძიება. გადაწყვიტეს შარიათის რუსულ ენაზე თარგმნა, ხოლო ჩვეულებითი სამართლის ნორმებისა – შეკრება და ჩაწერა. შედგა ვრცელი პროგრამა კონკრეტული შემსრულებლების მითითებით, რომელთა მეშვეობითაც 1843-1845 წლებში შეკრებილი და შედგენილი იქნა ადათობრივი სამართლის 7 ტომი. ცალკეული ტომები მიეძღვნა ჩაჩნების, ყუმუხების, ყაბარდოელების, ბაყარლებისა და ყარაჩაელების, დიგორელი ოსების, ელადიკავკაზის ოლქის ოსებისა და შავიზღვისპირეთის ადიღეელების ჩვეულებით სამართალს.

მთავარმართლებლის ადმინისტრაციის სპეციალური დავალებით გენერალურ შტაბს დაევალა ამ მხარეებზე დაყრდნობით შეედგინა კავკასიის მთიელთა ადათობრივი სამართლის შემაჯამებელი კრებული, რაც განხორციელდა კიდეც 1847 წელს. მიუხედავად ამისა, ადათობრივი სამართლის ეს ძეგლები დიდი ხნის განმავლობაში სამხედრო უწყების არქივის მფლობელობაში რჩებოდა.

1880-იან წლებში სტავროპოლის სტატისტიკური კომიტეტის მდივანმა *იოსებ ბენტკოვსკიმ* (1812-1890წწ.) კავკასიის მთიელთა ადათობრივი სამართლის 2 გაერთიანებული კრებული შეადგინა, რომელშიც სრულად იყო წარმოდგენილი კავკასიის ზემოთ აღნიშნული კუთხეების ჩვეულებითი სამართლის აღწერები და საჩუქრად გადასცა იგი ოდესის უნივერსიტეტს.

1882-1883 წლებში ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა *თეოდორე ლეონტოვიჩმა* რედაქციულად გადაამუშავა ზემოთაღნიშნული კრებული და პირველად გამოაქვეყნა კავკასიის მთიელთა ადათობრივი სამართლის 2 ტომი, რომელშიც შეეიდა ჩრდილო და აღმოსავლეთ კავკასიის ხალხების ჩვეულებითი სამართლის ნორმები.[1]

ამ დიდი და მრავალმხრივი სამუშაოდან შევეხებით მხოლოდ რამდენიმე ავტორს, რომელთა ნაშრომებშიც, ადათობრივ სამართალის ნორმებთან ერთად განხილულია კავკასიის მთიელთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

ვასილ გოლენიშჩევ-კუტუზოვი
დაიბ. 1811 წ.

1843 წელს ზემოთაღნიშნული პროგრამით ცარიზმის ადმინისტრაციის სპეციალური დავალებით კავკასიის მთიელთა, კერძოდ ჩეჩენთა ადათობრივი სამართლისა და შესაბამისი ინსტიტუტების შესწავლა დაიწყო *გოლენიშჩევ-კუტუზოვმა.*[2] პირველსავე ნაშრომში *„ჩეჩნების სამოქალაქო ყოფის აღწერა ადათობრივი სამართლისა და შამილის მიერ შემოღებული ახალი მმართველობის ახსნით“*, ავტრომა ჩეჩნების თვითმმართველობის ფორმების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხებზე მსჯელობისას პირველად რუსულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება მიაქცია ნათესაური სისტემის ახალ ერთეულს - „თოხუმს“, რომელიც შემდგომ კავკასიაში ფართოდ ცნობილი პატრონომიული გაერთიანების ფართომასშტაბიანი კვლევის საფუძვლად იქცა (აღწერა,Л.,78-82).

---

[1] *Ф.И.Леонтович.* Адаты кавказских горцев. Материалы по обычному праву Северного и Восточного Кавказа (МОПСВК), чч. 1-2, Одесса, 1882-1883.

[2] *В.И.Голенищев Кутузов.* Описание гражданского быта чеченцев с объяснением адатного их права и нового управления, введенного Шамилем, *Ф.И.Леонтивич.* Адаты кавказских горцев, МОПСВК, II, 1883.

ვასილ გოლენიშჩევ-კუტუზოვის ნაშრომთა მეცნიერული ღირებულება მარტო ამ აღმოჩენით არ ამოიწურება. ჩანაწერებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ჩეჩენთა წარმოშობის, წოდებრივი ფენებისა და კლასობრივი დაყოფის, სასამართლოსა და სამართალწარმოების, ქორწინების, აღზრდის სისტემის, ქონებრივი მემკვიდრეობისა და საერთოდ საოჯახო ურთიერთობის მრავალფეროვან საკითხებს (აღწერა,Л.,89-124), რომელთა წყაროთმცოდნეობითი ღირებულება წმინდა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უაღრესად ფართო სპექტრს მოიცავდა.

ოსიპ კონსტანტინოვი
1813-1856 წწ.

თოხუმის შესახებ ახალ მასალებს აქვეყნებს გაზეთ „კავკაზის“ მფლობელი და პირველი რედაქტორი *ოსიპ კონსტანტინოვიც*,[1] რომელიც ნათესაური გაერთიანების ამ ახალ ინსტიტუტს ჭარ–ბელაქანის ოლქის ავართა „*ჯამაათსა*“ და მის შემადგენელ ნაწილებს „*თოხუმის*“ მაგალითზე აღწერს (ჭარ-ბელაქნ.,К.,1846,2-3). კონსტანტინოვის აღნიშნულ მონაცემებს, გოლენიშჩევ-კუტუზოვის აღწერასთან ერთად არსებითი ხასიათის მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. იგულისხმება თოხუმთა, ანუ ჯამაათის სოციალური გაერთიანება, რომელიც შემდგომი პერიოდის მკვლევართა ნაშრომებში „საზოგადოებრივი წყობის დემოკრატიული ფორმის“, ან კიდევ, „რესპუბლიკის“ სახელწოდებითაა მოხსენიებული.

ოსიპ კონსტანტინოვი, როგორც კავკასიური პრესის ფლაგმანის რედაქტორი, მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური და სამეცნიერო-პოპულარული წერილებით ეხმაურებოდა კავკასიაში მიმდინარე საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოვლენებსა და ფაქტებს. და მაინც, წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით

---

[1] *О.И.Константипов.* Джаро-бекаканцы до XIX столетия, „Кавказ“, 1846, 2-3; *მისივე.* Очерк Северной стороны Кавказа, „Кавказ“, 1847,2; *მისივე.* Дорожник по пути следования Государя наследника по Закавказскому краю в 1850 г. С краткими описаниями этнографическими, статистическими и историческими, Тифлис, 1850; *მისივე.* Путеводитель по Черномории, Кавказ и Закавказскому краю от Тамани до Тифлиса и потом до Кутаиа, Эревани, Шемахи и Дербента, КК, 1851.

გამორჩეული ადგილი უჭირავს მის ერცელ ნარკვევს კავკასიის ჩრდილოეთი მხარის მოსახლეობის შესახებ, რომელშიც აღწერილია ამ რეგიონის არაერთი ხალხის ყოფა-ცხოვრება. მათ შორის იგი მნიშვნელოვან ჩანაწერებს უთმობს ადიღეელთა დახასიათებას, რომელიც იმდროინდელ ავტორთა აღწერებს შორის, მართლაც, რომ სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს (ნარკვევი,К.,1847,2). კონსტანტოვს ეკუთვნის აგრეთვე 1850-1851 წლებში გამოცემული ამიერკავკასიის მხარის მეგზური და გზამკელევი, რომელშიც იგი ფრაგმენტული ხასიათის ცნობებს იძლევა სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ოსეთისა და სხვ. შესახებ.

ალექსანდრე კომაროვი
1823-1904 წწ.

დაღესტნის მთიელთა ადათობრივი სამართლის ნორმებს შეეხო აგრეთვე *ალექსანდრე კომაროვიც,*[1] რომელმაც ეს პრობლემა ძირითადად ასევე თოხუმის სოციალური გაერთიანების ანალიზის შუქზე წარმოაჩინა (ადათები, ССКГ, 1861, 1).

გარდა ოფიციალური დოკუმენტებიდან ამოღებული მონაცემებისა კომაროვის ნაშრომი საკუთარი დაკვირვებების შედეგად მოპოვებულ მასალებსაც ეყრდნობოდა, თუმცა მას ხშირად რჩებოდა მხედველობიდან ამა თუ იმ ადათის მატარებელი კონკრეტული ხალხის მითითება. მიუხედავად ამისა, კომაროვის მიერ აღწერილი დაღესტნური თოხუმის მოდელი გამოირჩევა თავისებურებათა სიახლითა და სრულყოფით. „ყოველ თოხუმს გააჩნია თავისი სახელწოდება ან გვარი, რომელიც მეტწილად დამაარსებლის სახელიდან მომდინარეობს. ზოგიერთი თოხუმი ძველთაგანვე სარგებლობს გარკვეული უფლებითა და პრივილეგიით... თავისი წევრების მრავალრიცხოვნებით ან მათი წარმომადგენლების ჯაუ-გონებითა და სიმდიდრით გამორჩეულ ძლიერ თოხუმს ყოველთვის დიდი გაელენა ქონდა, არა მარტო თავის სოფელში,

---

[1] *А.В.Комаров.* Адаты и судопроизводство по ним, Сборник сведении о Кавказских горцах (ССКГ), 1,1861; მისივე. Народонаселение Дагестанской области; с этнографической картой, ЗКОИРГО, 8,1873; მისივე. Казикумухские и юринские ханы, ССКГ, 2,1869.

არამედ მთლიანად საზოგადებასა თუ სამფლობელოში“ - წერდა კომაროვი (ადათები,ССКГ,1861,1).

ალექსანდრე კომაროვს ეკუთვნის საინტერესო ჩანაწერები ყაზიყუმუხისა და ქიურინის ხანთა წარმომავლობისა და საგვარეულო გენეალოგიის, დაღესტნის ოლქის მოსახლეობის ყოფა–ცხოვრების, ეთნოგრაფიული დარაიონებისა და შესაბამისი რუკების დართვით და ა.შ. (ხალხთმოსახ., ЗКОИРГО, 8,1873; ყაზიყუმუხ., ССКГ, 2,1869).

კარლ სტალი
დაიბ. 1817 წ.

XIX საუკუნის 50-იან წლებში ინტერესი კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის შესახებ კიდევ უფრო ძლიერდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია *კარლ სტალის*[1] ნარკვევები ჩერქეზების ეთნოგრაფიიდან, რომელიც ძირითადად 1846-1848 წლებში დაიწერა და საბოლოოდ მხოლოდ 1852 წელს დასრულდა.

კარლ სტალის „ეთნოგრაფიული ნარკვევები“ ძირითადად ადიღეელთა, ნაწილობრივ კი ყაბარდოელთა აღწერას მოიცავს. ავტორი აქ დაწვრილებით მიმოიხილავს ადიღეელ ტომებს, მათი განსახლებისა და ლოკალიზაციის ზოგად მონაცემებს. ამასთან, იგი ნარკვევებში არ ივიწყებს მეზობელ ხალხებსაც – ნოღაელებს, აბაზინებს და ოსებს, რომელთა რელიგიას, ადათ-წესებსა და ჩვეულებებს, წარმართობისა და ქრისტიანობის ნაკვალევს, ათალიკობას, შურისძიების ფორმებს, ოჯახსა და საოჯახო ყოფას, ქორწინებას და ა.შ. სპეციალურ პასაჟებს უთმობს. ავტორი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტს, ხალხურ ხელოსნობასა და ხელოვნებას, ფოლკლორს, სამხედრო საქმეს, ხალხურ სამართალს, საგარეო ურთიერთობათა თავისებურებებს (ეთნ. ნარკვ., КС,XXXI,1900).

ადიღეელებისა და ყაბარდოელების საზოგადოებრივი ყოფის საკითხებზე მსჯელობისას, სოციალური ორგანიზაციის დონის შესაბამისად, სტალი მათ არისტოკრატიულ და დემოკრატიულ საზოგადოებებად ყოფს. სტალს მიაჩნდა, რომ თემი ანუ გენი ადამიანის პოლიტიკური ორგანიზაციის პირველი

---

[1] *К.Ф.Сталь.* Этнографический очерк черкесского народа, Кавказский сборник (КС), т. XXI, 1900.

დანაყოფი იყო, რომელშიც კავკასიის მთიელები უხსოვარი დროიდან ჩარჩნენ და დღესაც ვერ დაუღწევიათ თავი (ეთნ.ნარკვ.,КС,XXXI,1900).

მანიშნებელია, რომ იგი კავკასიის მთიელებს ჰომეროსის ეპოქის ბერძნებს ადარებდა და მათ, ბუნებრივია, შეცდომით გვაროვნული ანუ გვაროვნულ-თემური წყობილების საფეხურზე მდგომ ხალხებად მიიჩნევდა. მიუხედავად რიგი მცდარი ინტერპრეტაციებისა, სტალის ჩანაწერებს *„თოხუმის“ //„კლანის“ //„გენსის“, „გვარისა“* და *„გვაროვნული კავშირის“*, როგორც საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის საწყისი ფორმებისა და მათი უნივერსალური ხასიათის შესახებ ზოგადისტორიული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა გააჩნდა და იგი ამ თეორიული კვლევების ერთერთ პირველ ავტორადაა მიჩნეული.

მიხეილ ვენიუკოვი
1832-1901 წწ.

აღნიშნულ პრობლემას ადიღეელთა თოხუმის მაგალითზე გაკვრით შეეხო *მიხეილ ვენიუკოვიც*.[1] მასვე ეკუთვნის ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელთა ეთნოგრაფიული ყოფის ფრაგმენტული აღწერებიც, რომლებიც ასევე ადიღეველთა ყოფასა და კულტურას შეეხება (რამდ.აღწ.,ЗИРГО,2,1883). ამავე ნაშრომებში ცალკეა დახასიათებული აბაზები, ყარაჩაელები, ნოღაელები, აგრეთვე მცირერიცხოვანი შაფსუღები და ბჟედუგები, მოცემულია მათი მოკლე ისტორიული ექსკურსი, განსახლების გეოგრაფიული საზღვრები, მეურნეობის დარგები, საოჯახო ყოფა, საზოგადოებრივი წყობის ფორმები და ა.შ. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ყველა ეს ხალხები იყოფიან გვარებად ანუ თოხუმებად (რამდ.აღწ.,ЗИРГО,2,1883).

მეტად მნიშვნელოვანია ვენიუკოვის მიერ შედგენილი ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ეთნოგრაფიული რუკები, რომელთაც ცალკე ერთვის მოკლე აღწერილობანი და, რასაც უაღრესად დიდი დოკუმენტური მნიშვნელობა გააჩნია.

---

[1] *М.И.Венюков.* Очерк пространства между Кубанью и Белой, Записки Имистраторского русского географического общества (ЗИРГО), 1863,2; *მისივე.* Население северо-западного Кавказа в три эпохи его колонизации русскими в 1841, 1860 и 1863 гг., ЗИРГО, 1864,1; *მისივე.* Несколько данных для описания северо-западного Кавказа на западе от р.Белой, ЗИРГО, 1863,2.

ლეონტი ლიული
1805-1862 წწ.

ეპიზოდური ხასიათის ეთნოგრაფიული ცნობებია დაცული ამავე პერიოდის ავტორის *ლეონტი ლიულის*[1] წერილებში, რომლებიც ძირითადად ჩერქეზების, კერძოდ ნატუხაელების, შაფსუღებისა და აბაძეხების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებს, აგრეთვე ადობრივი სამართლის ნორმებს ეხება (საერთ.შეხ., ЗКОИРГО, 4, 1857; ნატუხ.., ЗКОИРГО, 4, 1857 და სხვ.). მასვე ეკუთვნის ვრცელი ნარკვევი ჩრდილო კავკასიის ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მოკიდებული ანტიკური ხანიდან ვიდრე XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. საყურადღებოა ნარკვევებში მოტანილი უშუალოდ ავტორის მიერ მოძიებული მასალები, რაც მას ქერჩის, რედუტ-კალესა და ფოთის საკარანტინო-საბაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობებზე ყოფნისას შეუკრებია. აღნიშნულ ნარკვევებში წარმოდგენილია, აგრეთვე მეტად ფასეული ეთნოგრაფიული სიუჟეტები ადიღეელთა შესახებ (ვაჭრობის შესახ., ЗВ,14-16,1848).

და ბოლოს, ლიულიეს ეკუთვნის სპეციალური ნაშრომი ჩერქეზთა სტუმარ-მასპინძლობის შესახებ, რომელშიც იგი ვრცლად აღწერს ამ ინსტიტუტთან დაკავშირებულ ტრადიციებსა და ქცევის ნორმებს.

ნიკოლოზ კოლუბიაკინი
1810-1868 წწ.

ზემოთ დასახელებულ ავტორთაგან გენერალ-ლეიტენანტი *ნიკოლოზ კოლუბიაკინი*[2] უშუალოდ

---

[1] *Л.Я.Люлье.* Общий взгляд на страны, занимаемые горскими народами, называемыми черкесами (адиге), абхазцами (азега) и другими, смежними с ними, ЗКОИРГО, 4,1857; *მისივე.* О натухажцах, шапсугах и абадзехах, ЗКИРГО, и 4,1857; *მისივე.* Верования, религиозные обряды и предразсудки у черкес, ЗКОИРГО, 5,1862; *მისივე.* Учреждения и народные обычай у шапсугов и натухажцев, ЗКОИРГО, 7,1866; *მისივე.* О гостеприимстве у черкес. Кавказ, 7,1859; *მისივე.* О торговле с горскими племенами Кавказа на северо-восточном берегу Черного моря, ЗВ, 1848 14-16.

[2] *Н.П.Колюбакин.* Взгляд на жизнь общественную и нравственную племен черкесских, Кавказ, 1846,11; *მისივე.* Об отношении поселян к владельцам

სამსახურეობრივი მოვალეობით იყო დაკავშირებული კავკასიასთან. იგი ჯერ, როგორც ჭარ-ბლაქანის ოლქის უფროსი (1845 წლიდან) ხოლო შემდეგ ქუთაისის ვიცე (1859 წლიდან) და სამხედრო გუბერნატორი (1857 წლიდან), სამეგრელოს მმართველი (1858 წლიდან) ერევნის და კვლავ ქუთაისის გუბერნატორი და ჯარების სარდალი (1861 წლიდან), სისტემატიურად აქვეყნებდა წერილებსა და ნარკვევებს იმერეთზე, გურიაზე, ჭარ–ბლაქანზე და ამიერკავკასიის სხვა კუთხეებზე (შეხედ., К.,11, 1846; გლეხთა საკ. იმერეთში..., მოსკ. უნივ. საზ..., I, 1865).

ნიკოლოზ კოლიუბაკინმა თავისი წვლილი შეტანა კავკასიის ხალხების სოციალური ორგანიზაციის ადრინდელი ფორმების შესწავლის საქმეშიც. იგი ერთერთი პირველთაგანი გახლდათ, რომელმაც მტკიცე პროტესტი გამოთქვა კავკასიელ მთიელთა ყოფაზე მიკერებული ჩამორჩენილობის, თითქოსდა „ველურობის“ იარლიყის შესახებ (შეხედ.,К.,11,1846). კოლიუბაკინის დებულებებმა მთიელთა სოციალური ურთიერთობების განსხვავებული დონის შესახებ შემდგომში ხელი შეუწყო რუსულ მეცნიერებაში ჩამოყალიბებულ შეხედულებას კავკასიის მთიელთა განვითარებული ფეოდალური წყობის შესახებ. მოგვიანებით ამ შეხედულების საპირისპიროდ შედარებით ნაკლებად განვითარებული ხალხების სოციალური დონის აღმნიშვნელ ცნებად რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვიდრდება ტერმინი „დემოკრატიული მმართველობა“, „თავისუფალი საზოგადოება“, „რესპუბლიკა“, „ფედერაციული რესპუბლიკა“ და ა.შ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მეფის რუსეთის სამოხელეო აპარატი ახალ, მიზანმიმართულ ინიციატივებს იჩენდა სწრაფად და სრულყოფილად აესახა კავკასიის ქვეყნები და ხალხები რუსეთის იმპერიის ხაზინას სამეურნეო-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებში. ხშირ შემთხვევაში ეს ღონისძიებანი დადებით როლს ასრულებდა თვით კავკასიელი ხალხების ცხოვრებაში. კავკასიის არაერთი

земли в Белоканском округе, Кавказ, 1848, 52; *მისივე*. Об Абхазии. Исторический очерк, Кавказ, 1853,71; *მისივე*. По случаю крестьянского вопроса в Имеретии, Гурии и Мингрелии.

чтение в обществе истории и древностей российских при Московском университете, кн.1,1865.

ქვეყანა საუკუნოვანი ფეოდალური ჩამორჩენილობის დაძლევის ზღურბლს უახლოვდებოდა და მოწინავე საზოგადოებრიობა ცხოვრების ახალ, პროგრესულ ფორმებზე გადასვლას დაბრკოლებებითა და წინააღმდეგობებით როდი ხვდებოდა.

რუსული პერიოდიკა:
„რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერები", 1852-1916 წწ.;
„რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოამბე", 1872-1917 წწ.

1850 წელს თბილსში დაარსდა ერთერთი უძველესი გეოგრაფიული სამეცნიერო ორგანიზაციის – რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კავკასიაში საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებას. ათეული წლების განმაკლობაში განყოფილება სცემდა მრავალმხრივ საინტერესო ჟურნალებს „ჩანაწერებისა" და „ცნობების" სერიით.[1] ამ გამოცემების რედაქტორები იყვნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ვ. სოლოგუბი, ი. ბართოლომეი, ნ. ბერძენიშვილი, მ. ლომიძე, დ. პაგირევი, ნ. კოვალევსკი, ლ. ზაგურსკი, ა. ლიაისტერი და ე. ვერდერევსკი. ორივე ამ ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ ა. ევლახოვი, დ. ბაქრაძე, დ. ჭონქაძე, გ. ყაზბეგი, დ. ხიზანიშვილი, მ. ჯანაშვილი, ი. ბართოლომეი, გ. რადე, ჰ. უსლარი და სხვ., რომელთა მონოგრაფიებს, წერილებსა და სტატიებს კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის შესახებ პირველხარისხოვან წყაროთა მნიშვნელობა გააჩნიათ.

აღნიშნულია ავტორთა მონოგრაფიები და სტატიები თემატიკურად მრავალფეროვანი და მრავალმხრიეია. აქ განხილულია ამიერ და ჩრდილო კავკასიის ხალხების, მცირე ეთნიკური თუ ეთნოგრაფიული ჯგუფების ტრადიციული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებები – წარმოშობისა და განსახლების, ეთნიკური ისტორიის, ეთნოეკოლოგიური გარემოს, ეთნო-კულტურული ვითარების ისტორიული კანონზომიერების, მატერიალური და სულიერი

---

[1] Записки кавказского отдела Императорского русского географичесского общества (ЗКОИРГО), Тифлис 1852-1916; Известия кавказского общества Императорского русского географического общества; (ИКОИРГО), Тифлис 1872-1917.

კულტურის ფასეულობების, ხალხური სამართლისა და სოციალური ინსტიტუტების, რელიგიური დღესასწაულების, რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

გამოქვეყნებულ ნაშრომთა უმრავლესობა ეყრდნობა თვით ავტორთა მიერ ფიქსირებულ საველე ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ისტორიულ წყაროებს და შესრულებულია ეპოქისათვის დამახასიათებელი ეთნოლოგიური გამოკვლევების სტანდარტების მიხედვით. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნულ გამოცემათა პუბლიკაციების უმრავლესობა აპრობირებულია და ანოტირებულია თავად ჟურნალის ან სხვა პერიოდული გამოცემების ფურცლებზე. ორივე ეს ჟურნალი დიდ ყურადღებას აქცევდა ავტორთა ბიო-ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს, აქვეყნებდა პერსონალიებს.

რუსული პერიოდიკა:
„ცნობათა კრებული კავკასიის მთიელთა შესახებ", 1868-1881 წწ.; „მასალების კრებული კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერისათვის", 1881-1927 წწ.

რუსული საიმპერატორო მედიის ამავე კატეგორიის ფუნდამენტურ წყაროთა რიგს მიეკუთვნება უმნიშვნელოვანესი სერიული გამოცემები კავკასიის მთიელთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ცნობებისა და მასალების შეკრებისა და მათი ყოველმხრივი აღწერის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.[1] აღნიშნულ გამოცემათა დამაარსებლები და რედაქტორები იყვნენ ნ. ვორონოვი (ССКГ), ნ. კოროვაევი და ლ. ლოპატინსკი (СМОМПК). СМОМПК-ის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შედიოდნენ ნ. მარი, ა. დირი, ა. ლიაისტერი, დ. პაელოვი, ნ. იაკოვლევი, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ე. ვეიდენბაუმი და ი. ტატიშვილი.

ССКГ-ს ფურცლებზე დაბეჭდილ წერილებსა და სტატიებს შორის გამოირჩევა ბარონ პ. უსლარის, ა. პლოტტოს, ი. ჩერნის, ნ. გრაბოვსკის, აგრეთვე ადგილობრივი კავკასიელი ავტორების დ. შანაევის, ბ. გატიევის, ი. კანუკოვის, უ. ლაუდაევის, გ. ამიროვისა და სხვ. წერილები ოსების, ინგილოების, ჩაჩნების, დაღესტნელების, ინგუშების,

---

[1] Сборник Сведении о кавказских горцах (ССКГ), Тифлис 1868-1881; Сборник мотериалов для описания метностей и племен Кавказа (СМОМПК), Тифлис 1881-1927.

ყაბარდოელების, მთიელი ებრაელებისა და სხვ. შესახებ, რომლებშიც მოცემულია ამ ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

რამდენადმე განსხვავებული მიზნები და ამოცანები გააჩნდა ჟურნალ СМОМПК-ის რედაქციას. აღნიშნულ ჟურნალს სცემდა კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველო, რის გამოც ავტორთა უმრავლესობას ადგილობრივი სკოლების მასწავლებელთა კონტიგენტი შეადგენდა. შესაბამისად იყო შერჩეული თემატიკა – კავკასიის ცალკეული კუთხეების სოფლების მონოგრაფიული აღწერა და შესწავლა. აღწერის პროცესში კულტურულ-ყოფითი რეალიების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ფოლკლორული მასალების ფიქსაციას, სადაც წინა პლანზე იყო წამოწეული ეთნოლოგიური კვლევებისათვის ასევე საინტერესო თემატიკა – ხალხური დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები.

СМОМПК-ის ავტორთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავთ მ. ჯანაშვილის, ე. კოზიუბსკის, კ. იანოვსკის, კ. ჰანის, ა. დირის, დ. დერჟავინის, ს. ეგიაზაროვისა და სხვ. ცნობილ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებსა და წერილებს. მათი უმრავლესობა კავკასიის სხვადასხვა ხალხების ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა თუ ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ეხება და მყარ წყაროთმცოდნეობით ბაზას ქმნის ეთნოლოგიური კვლევებისათვის.

ზემოთ აღნიშნულ ავტორთა ნაშრომებისაგან განსხვავებით ძირითადად სოფლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერითაა შემოფარგლული ჟურნალის ავტორ-მასწავლებელთა წერილები და მონოგრაფიები. მხოლოდ საქართველოდან 80-90-იან წლებში СМОМПК-ის ფურცლებზე აქტიურად თანამშრომლობდნენ სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, ქართლ-კახეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების ცნობილი პედაგოგ-მასწავლებლები გ. ჯაფარიძე, ს. ჯორბენაძე, ნ. მინდელი, მ. საღარაძე, ფ. ხუსკივაძე, ე. ზედგენიძე, ტ. მამალაძე, დ. მარგიანი, ი. კაპანაძე, ი. ქობალია, ტ. თაბუკაშვილი, ფ. მთავრიეული, ე. ცაგარეიშვილი და სხვ.

სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და ჩრდილო კავკასიის სხვა ქვეყნებიდან ანალოგიურ წერილებს აქვეყნებდნენ პედაგოგთა ახალი პლეადის წარმომადგენლები – გ. ბუნიატოვი, ა. გრიქოროვი, გ. ოსიპოვი, ა. ტერ-მარქაროვი, ა. კალაშოვი, ე. მელიქ-შახნაზაროვი, მ. ეფენდიეული, მ. ბეჟანოვი, მ. აფანასიევი, ვ.

ტეპცოვი, ე. ლალაიანცი, გ. ვანციანი, ა. კიასბეკოვი, ფ. იანოვიჩი, ს. კარგინოვი, ნ. ტალიცკი, ვ. სისოევი, ნ. კარაულოვი, ს. გაბიევი და სხვ.

რეგიონალური აღწერილობისა და ანალიზის ამსახველ ამ წერილებსა და სტატიებში ხშირად ჩანს დასახელებულ ავტორთა დაკვირვების სწორი მიმართულება, საკუთარი ხალხის ყოფა-ცხოვრების, მატერიალური და სულიერი ფასეულობების ღრმა ცოდნა, რაც ზოგჯერ ცნობილ მოგზაურ-მკვლევართა მახვილ თვალსაც კი გამორჩენია მხედველობიდან.

რუსული პერიოდიკა:
„კავკასიის სოფლის მეურნეობა“, 1893-1913 წწ.; „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ჩანაწერები“, 1893-1909 წწ.; „კავკასიის სოფლის მეურნეობის განყოფილების შრომები“, 1885-1893 წწ.; „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კრებული“, 1878-1894 წწ.;

კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო 1850 წელს თბილსში დაარსებული კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მოღვაწეობა და მის მიერ გამოცემული სპეციალური კრებულები და ჟურნალები.[1]

ამ სერიულ გამოცემათა წყაროთმცოდნეობით ღირებულებას ეთნოლოგიური გამოკვლევების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამოც, რომ, როგორც წესი, სპეციალურ დანიშნულების წერილებსა და სტატიებში შეტანილია მეტად საინტერესო მონაცემები კავკასიის ხალხების მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მებაღეობა–მებოსტნეობის, მევენახეობა–მეღვინეობის, მებრეშუმეობისა თუ მეფუტკრეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე.

---

[1] Кавказское сельское хозяйство КСХ, Тифлис, 1893-1913; Записки кавказского общества сельского хозяйства ЗКОСХ, Тифлис, 1893-1909; Сборник кавказского общества сельского хозяйства (СКОСХ), Тифлис, 1878-1894; Труды кавказского отдела сельского хозяйства (ТКОСХ), Тифлис, 1885-1893 და სხვ.

რუსული პერიოდიკა:
„მასალები ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის", ტტ. I-VII, 1885-1887 წწ.; „მასალების კრებული ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის", ტტ. I-V, 1887-1888წწ.; „მასალები კავკასიაში სახაზინო საზაფხულო და საზამთრო საძოვრების მოწყობისა და მესაქონლეობის შესწავლისათვის", ტტ. I-IV, 1887-1895 წწ.

კავკასიის ხალხების სამეურნეო-ეკონომიკური ყოფის შესწავლის მიმართულებით მართლაც რომ შეუფასებელია ცარიზმის კანცელარიის სამოხელეო აპარატის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის მხარის სახაზინო გლეხობის მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის მოწესრიგების მიზნით ჩატარებული კოლოსალური სამუშაოები, რომელსაც შედეგად მოჰყვა ყველა ზემოთჩამოთვლილი დარგების აღწერილობათა კორპუსები შვიდ ტომად.[1]

ამ მასალების მეცნიერულ ანალიზსა და განზოგადოებას მიეძღვნა ხუთი სქელტანიანი ტომი.[2]

ამავე თვალსაზრისითაა შესრულებული კავკასიის მხარის საზამთრო და საზაფხულო საძოვრებისა და სათიბების საკუთრების განსაზღვრის, აღრიცხვა-მოწყობისა და ექსპლოატაციის ფორმებისადმი მიძღვნილი ოთხტომეულიც.[3]

კავკასიის ხალხებისა და ქვეყნების სოფლის მეურნეობის შესწავლის, მისი ორგანიზაციისა და მოწყობის მიზნით განხორციელებულ ამ ფართომასშტაბიან, რთულ და მრავალწლიან საქმიანობაში, სახელმწიფო მოხელეებთან ერთად ჩაბმული იყვნენ ცნობილი კავკასიათმცოდნეები – ეკონომისტები, ისტორიკოსები, იურისტები, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალისტები. ქ. ვერმიშევის, ა. კალანტარის, ი.

---

[1]Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края (МИЭБГКЗК), тт. I-VII, Тифлис, 1885-1887.

[2] Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края (СМИЭБГКЗК), тт. I-V, Тифлис, 1887-1888.

[3]Материалы для устроиства казенных летних и зимних пастбишу и для изучения скотоводства на Кавказе (МУКЛЗПИСК), тт. I-IV, Тифлис, 1887-1895.

ანდრონიკოვის, ა. ნატროეევის, ა. არღუთინსკის, პ. ეოზიანოვის, ს. ბუნიატოვის, ა. გლასკოს, ვ. კამენსკის, ს. ზელინსკის, დ. რუდნევის, დ. კალესტინოვის, მ. სკიბიცკის, ი. ბახტაძის, ა. საფაროვის, ტ. ბოლოტოვის, ნ. ნიკიფოროვის, ა. ძეკონსკის, პ. ღამბაროვის, სტ. ყორღანოვის, ა. პარეაცკის, ა. ერიცოვის, გ. ჩურსინის, ს. ეგიაზაროვის, ვ. რიზენკოს, პ. ტიმოფეევის, ა. ჟირნოვის, ე. ტურკინის, პ. ვარავინის, ვ. გეევსკის, მ. მაჩაბელის, ს. მაჩაბელისა და სხვ. ნაშრომები შეიცავენ მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეების მეურნეობის წარმოების ხერხებზე და საშუალებებზე, სამეურნეო-ბუნებრივ რესურსებზე, შრომის ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებზე, საკვები მცენარეულის, ბოსტნეულისა თუ შიანური საქონლის ჯიშებზე, ბინადარი და მომთაბარე მეურნეობის მასშტაბებზე, მეურნეობის სხვადასხვა დარგთა შეთანაწყობის თავისებურებებზე და ა.შ.

ამ პრობლემათა ეთნოლოგიური დატვირთვის გვერდით, ხსენებულ ავტორთა შრომებში ხშირად ვხვდებით წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათის სიუჟეტების სპეციფიკურ ხედვას, ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების ზუსტი გამოვლენისა და ფიქსაციის, ყოფითი რეალიების ანალიზისა და განზოგადოების შესაშურ ინტუიციას, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ ნაშრომთა ეთნოლოგიური წყაროთმცოდნეობის ხარისხს.

რუსული პერიოდიკა:
„ტფილისის უწყებანი“, 1828-1833 წწ.; „ამიერკავკასიის მოამბე“, 1836-1864 წწ.; „კავკასიის კალენდარი“, 1846-1917 წწ.; „კავკაზი“, 1846-1918 წწ.; „კავკასიის სიძველეები“, 1872-1873 წწ.; „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“, 1866-1904 წწ.

და ბოლოს, აღნიშნული კრებულებისა და მრავალტომეულების გვერდით კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური კვლევების სფეროში მნიშვნელოვან წერილებსა და სტატიებს აქვეყნებდნენ რუსული მედიის კავკასიური ფლაგმანები თბილისში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების სახით.[1]

---

[1] „Тифлисские ведомости“ (ТВ), 1828-1833; „Закавказский вестник“ (ЗВ), 1836-1964; „Кавказский календарь“ (КК), 1846-1917; „Кавказ“ (К), 1846-1918; ჟურნალები „Кавказская страна“ (КС), 1872-1873; „Акты кавказской археографической комисии“ (АКАК), 1886-1904 და სხვ.

„Тифлисские ведомости“ ჯერ კიდევ საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს დაარსდა ა. გრიბოედოვის ინიციატივით. იგი მთავრობის ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა და სპეციალურ სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ ნ. ფალავანდიშვილი, პ. სანკოვსკი, ს. ბებუთოვი, ა. სუმბათოვი, ე. ჭილაშვილი და სხვ. გაზეთის ოფიციალური რედაქტორები იყვნენ ს. დოდაშვილი და ე. სუხორუკოვი, რომელიც შემდგომ ვ. გორდეევმა შეცვალა.

„Тифлисские ведомости“-ს ავტორებად გამოდიოდნენ ი. ბურცოვი, გ. გორდეევი, ვ. სუხორუცკოვი, პ. სანკოვსკი, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი და სხვ. ეთნოლოგიური ხასიათის სტატიები ძირითადად ძველი თბილისის მცხოვრებთა ხალხურ დღესასწაულებს, საქორწინო წეს-ჩვეულებებს, ძველქართულ ხალხურ თამაშობებს, გლოვისა და დაკრძალვის წეს-ჩვეულებებსა და სხვ. ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს ეხებოდა. ამ გაზეთსა და მასში მოთავსებულ ეთნოგრაფიულ წერილებსა და სტატიებს თავის დროზე მაღალ შეფასებას აძლევდა ა. პუშკინი.

რუსეთის მთავრობის შემდეგი ოფიციალური ორგანო „Закавказский вестник“-ი, რომლის ერთერთი რედაქტორი პ. იოსელიანი იყო, ხშირად აქვეყნებდა ი. პოლონსკის, ი. სლავიცკის, ვ. პერევალენკოს, ნ. ბერძენიშვილის, ა. სავანელის ეთნოგრაფიულ სტატიებსა და წერილებს ძველ საქართველოში ახალი წლისა და ქრისტეშობის დღესასწაულების, დაკრძალვის წეს–ჩვეულებების, ზოგადად ქართული მითოლოგიის პერსონაჟების, ქართული ზეპირსიტყვიერებისა და სხვ. შესახებ.

მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური წერილები და სტატიები იბეჭდებოდა გაზეთ „Кавказ“-ის ფურცლებზეც. მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ხელშეწყობით ო. კონსტანტინოვის მიერ დაარსებული გაზეთის რედაქტორებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ი. სლავიცკი, თ. ბობილევი, ე. შვარცი, ნ. ვორონოვი, დ. ერისთავი, მ. ტებენკოვი და ი. მილიუტინი. „Кавказ“-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული ეთნოლოგიური წერილები ეხებოდა საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ეთნოგენეზისისა და ეთნიკური ისტორიის, ყოფისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებს. განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო ქართული ეთნოლოგიის შესახებ დაწერილი სტატიები და წერილები, რომელთა ავტორებიც იყვნენ დ. ბაქრაძე, რ. ერისთავი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი და სხვ. გაზეთის სამხარეთმცოდნეო მიმართულებას ჯერ კიდევ 1847 წელს მაღალი შეფასება მისცა ა. ბელინსკიმ.

„Кавказский календарь“-ში ძირითადად კავკასიის ისტორიის ქრონიკები იბეჭდებოდა, მაგრამ აქვე ქვეყნდებოდა სამხედრო-სტატისტიკური, ლიტერატურულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ნარკვევები. მეტად მნიშვნელოვანი იყო კალენდარის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები კავკასიის მთიანეთის ხალხებისა და ქვეყნების, ჩაჩნეთისა და ჩაჩნების, ხევსურეთის, გუდამაყარის ხეობისა და სხვა კუთხეების, აგრეთვე ზოგადი წერილები კავკასიური რასების, კავკასიის ხალხების ეთნოლოგიური კლასიფიკაციისა და სხვ. შესახებ. აღნიშნული სტატიებისა და წერილების მაღალი ეთნოლოგიური ღირებულება განპირობებული იყო იმითაც, რომ აქ ავტორებად გვეელინებიან პ. იოსელიანი, ა. ბერჟე, ი. ცისკარიშვილი, რ. ერისთავი და სხვა გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევარები.

არსებითად ამ ტრადიციებს აგრძელებდა ა. ერიცოვის მიერ დაარსებული ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ჟურნალი „Кавказская старина“, რომლის ავტორთა შორის ხშირად ვხვდებით ცნობილ ქართველ მწერალსა და ეთნოგრაფს რ. ერისთავს.

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის ჟურნალი „Акты кавказской археографической комисии“, რომლის რედაქტორადაც სხვადასხვა დროს ა. ბერჟე, დ. კობიაკოვი და ე. ვეიდენბაუმი გამოდიოდნენ, ძირითადად კავკასიის მთავარმართებელთა მმართველობის წლების მიხედვით დალაგებულ, მეფისნაცვლის კანცელარიაში დაგროვილი საარქივო მასალის თანდათანობით დამუშავებასა და პუბლიკაციას ითვალისწინებდა, თუმცა აქ ხშირად ეთნოგრაფიული სიუჟეტების აღწერა-ანალიზის ცდებსაც ვხვდებით.

და ბოლოს, ზემოთ აღნიშნულ ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან წერილებში, სტატიებსა და ნაშრომებში მაქსიმალური ობიექტურობითაა გაშუქებული XIX საუკუნის მეორე ნახევრის კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის დამახასიათებელი თავისებურებები, მოცემულია მათი კულტურულ-ისტორიული და სოციალურ ეკონომიკური ვითარების განზოგადებისა და ანალიზის პირველი ცდები.

ეს მონაცემები იმთავითვე დაედო საფუძვლად კავკასიის ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის ფუნდამენტური პრობლემების კვლევას და რიგ შემთხვევებში დღესაც აქვთ შენარჩუნებული პირველხარისხოვანი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება.

XIX-XX საუკუნეების მიჯნა ევროპული და რუსული ეთნოლოგიური მეცნიერების პროგრესის დაჩქარებული პროცესებით აღინიშნა. შორეული, ეგზოტიკური ქვეყნებისა და ხალხების აღწერასთან ერთად კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცა საკუთარი, კერძოდ რუსეთში იმპერიის განაპირა, ევროპული ცივილიზაციისაგან გარკვეულწილაად ჯერ კიდევ შორსმდგომი ხალხების აღწერასა და შესწავლას. მათ შორის კავკასიის მთიელთა შესწავლას ისტორიულ-ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ლინგვისტური, ფოლკლორული თუ სხვა მომიჯნავე მეცნიერების მონაცემების შუქზე, ცარიზმის კოლონიური სისტემის ზემოთაღნიშნული ინტერესების გამო პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

კავკასიის მთიელთა ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიის, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის შესახებ კვლევა–ძიებას მრავალმხრივი ინტერესები ამოძრავებდა. წმინდა ეთნოლოგიურ ინტერესებთან ერთად, იმავითვე დიდი ყურადღება ექცეოდა მთიელთა ენათა ოჯახების, ენების, დიალექტებისა და კილო-კაკების შესწავლას და მათ ლინგვისტურ ანალიზს. კვლევის ამ შედეგებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ ხალხის წარმოშობის, ლოკალიზაცია-განსახლების, ეთნო-კულტურული ურთიერთობებისა თუ ხალხთა დიდი მიგრაციებისა და გადასახლებების მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქების პროცესში. ენებისა და დიალექტების შესწავლას პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნდა წმინდა კოლონიური თვალსაზრისითაც, რაც ცარიზმის ადმინისტრაციულ-სამოხელეო აპარატს უადვილებდა ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობას.

აქედან გამომდინარეობდა ის ცხოველი ინტერესი, რასაც იჩენდნენ მეფის რუსეთის სამხედრო–ადმინისტრაციულ სამსახურში მყოფი რუსი და უცხოელი მოგზაურ–მკვლევარები კავკასიაში.

პეტრე უსლარი
1816-1875 წწ.

აღნიშნულ პერიოდში მთის კავკასიურ ენათა კვლევა-ძიების საქმეს დიდი ღვაწლი დასდო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილმა

წელრმა, ბარონმა *პეტრე უსლარმა.*[1] 1861-1871 წლებში უსლარმა დიდი ძალა და ენერგია შეალია აფხაზური, ჩეჩნური, ხუნძური, ლაკური, დარგოული, ლეზგიური და თაბასარანული ენების შესწავლას, 7 მონოგრაფია მიუძღვნა ამ ენათა კლასიფიკაციის საკითხებს და მათი ფონეტიკური შემადგენლობა და გრამატიკული სტრუქტურა პირველად აქცია ლინგვისტური მეცნიერების კვლევის საგნად (კავკ.ეთნ., ენათ. მეცნ., I-VII, 1887-1896).

თანამედროვე კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვანია უსლარის მიერ ჯერ კიდევ 1864 წელს გამოთქმული მოსაზრება იბერიულ–კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ.

ბარონ უსლარს ეკუთვნის აგრეთვე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული საენათმეცნიერო და ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები და სტატიებიც (აფხ.ანბ.,СМОМПК,6; უძვ.თქმ., ССКГ,10,1881, და სხვ.).

კავკასიის ხალხთა ეთნოლინგვისტურ კვლევის პიონერებად უნდა ჩაითვალონ აგრეთვე ცნობილი რუსი და უცხოელი ორიენტალისტები – *ბერნჰარდ დორნი, მარი ბროსე* და *ევსევოლოდ მილერი.*

ბერნჰარდ დორნი
1805-1881 წწ.

ბერნჰარდ დორნმა,[2] როგორც ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ და ირანულ სემიტური ფილოლოგიის თვალსაჩინო სპეციალისტმა, მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა კასპიის ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ხალხების ენათმეცნიერების, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს (კასპ., СПб., 1875; მოგზ. ანგ., ТВОИАО, 8 და სხვ.). იგი 1842

---

[1] *Услар П.К.* Абхазская азбука, СМОМПК, 6; *მისივე.* Военно статистическое обозрение Эриванской губернии, СПб., 1853; *მისივე.* Древнейшие сказания о Кавказе, ЗКОИРГО, XII; ССКГ, 10,1881; *მისივე.* О колхах, ЗКОИРГО, XIV, 2; *მისივე.* Этнография Кавказа. Языкознание, тт. I-VII, Тифлис, 1887-1896.

[2] *Дорн Б.А.* Азиатский музей. „Ученые записки АН", 1864 т. 5, кн.2; *მისივე.* Каспии. О походах древных русских в Татаристан, СПб., 1875; *მისივე.* Отчет о путешествии по Кавказу и Южному берегу Каспийского моря, „труды восточного отдела Имперсторского археологического общества" (ТВОИАО), 8.

წლიდან საიმპერატორო-სააზიო მუზეუმის დირექტორი გახდა და დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის ხალხების ყოფისა და კულტურის ამსახველი სამუზეუმო კოლექციების შეგროვების, მეცნიერული დამუშავების, საექსპოზიციოდ მომზადებისა თუ დაცვის საქმეში.

ვსევოლოდ მილერი
1848-1813 წწ.

70-80-იან წლებში ოსებისა და კავკასიის სხვა ხალხების ენების, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ისტორიის შესწავლას დიდი ამაგი დასდო ცნობილმა რუსმა ფილოლოგმა-ორიენტალისტმა და ეთნოგრაფმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვსევოლოდ მილერმა.[1] მისი გამოკვლევები კავკასიური ენებისა და ზოგადად ეთნოგრაფიის საკითხებზე გამოირჩევა ფაქტოლოგიური მასალის სიახლითა და მისი მეცნიერული ანალიზის სიღრმით.

კავკასიის ეთნოგრაფიული შესწავლით მილერი 70-80 წლებში დაინტერესდა და ამ მიზნით 1879-1886 წლებში ხუთჯერ იმოგზაურა კავკასიაში. მილერი განსაკუთრებით დაინტერესთა ოსეთის ისტორიითა და ეთნოგრაფიით,სადაც მას მეგზურობას უწევდნენ შემდგომში ცნობილი ოსი ეთნოგრაფები საბა კოკიევი, ინალეკო თხოსტოვი, სოლომონ ტოკაევი და სხვ. თავის მხრივ მილერმა დიდი გავლენა მოახდინა მ. კოვალევსკის, ი. ანისიმოვისა და ნ. ხარუზინის შემოქმედებაზე და დააინტერესა ისინი კავკასიის ეთნოგრაფიით.

ვსევოლოდ მილერის ეთნოგრაფიულ ეტიუდებში ოსეთზე აღწერილია ოსების წარმოშობისა და განსახლების საკითხები, მათი ტრადიციული ყოფა, კერძოდ რწმენა–წარმოდგენები და ტრადიციები, ჯადოქრობა, მკითხაობა, დაკრძალვის წესები, კერის თაყვანისცემა და ა.შ.ფაქტობრივად მილერის ეს ნარკვევები ოსეთის ძველი რელიგიის შესწავლის ერთერთ პირველ ცდას წარმოადგენდა (ოსეთ.მთებში, РМ,9,1881; ჰიპოთ., КВ,11,1900; კავკ.ენათმეცნ., ЭО,3-4,1906 და სხვ.).

---

[1] *Миллер В.Ф.* В горах Осетии, РМ, 188169; *მისივე.* Гипотеза о родстве этрусского языка с кавказскими, КВ, 1900, 11; *მისივე.* Горские общества Кабарды, ВЕ 1884,6; *მისივე.* Кавказское языкознание и вопросы этнографии Передней Азии ЭО, 1906, 3,4; *მისივე.* О некоторых древних погребальных обредах на Кавказе, ЭО, 1911, 1,2.

როგორც დაშკოვის ეთნოგრაფიული მუზეუმის განძის მცველი და ეთნოგრაფიული მასალების კრებულის რედაქტორი (1885-1897წწ.), მილერი სისტემატურად აღწერდა აღნიშნული მუზეუმის სიძველეებს. ამ და სხვა, პირადად მის მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, იგი იძლევა კავკასიის სხვადასხვა ხალხების – ქართველების, ყაბარდოელების, ოსების, ქურთების, ავარიელების, სომხებისა და ჩაჩნების მოკლე აღწერილობას ეთნოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით (ოსეთ.მთებში, PM,9,1881; მთის საზ., BE,6,1884 და სხვ). მილერს ეკუთვნის აგრეთვე ცალკე წერილები კავკასიის ხალხების რწმენა-წარმოდგენების შესახებ საფლავის ქვებზე დატანილი წარწერების მიხედვით, ცალკე აქვს გამოქვეყნებული დაკრძალვის წეს-ჩვეულებები კავკასიის ხალხებში და ა.შ. (ზოგ.ძველი, ЭО,1-2,1911).

მილერის ეს ჩანაწერები და ნაშრომები გამოირჩევა ღრმა აკადემიზმით და სანდოობის მაღალი რეიტინგით.

მარი ბროსე
1802-1880 წწ.

რამდენადმე ადრე, XIX საუკუნის შუა ხანებში ქართული და სომხური ენათმეცნიერების, საქართველოსა და სომხეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლას ფასდაუდებელი ამაგი დადო ცნობილმა ფრანგმა ორიენტალისტმა *მარი ბროსემ*.[1]

ქართულ–სომხური ენათმეცნიერული ძიებანი ბროსემ პარიზში დაცულ ხელნაწერთა შესწავლით დაიწყო. ამასთან, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა სენ–მარტენთან და პეტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზ ბატონიშვილთან. ამ პერიოდში იგი აქვეყნებს რამდენიმე ქართველოლოგიურ ნაშრომს და მათ შორის ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებს, რამაც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში.

---

[1] *Brosset M.* Histore de la Georgie denuis L'antiquite jusqu au XIX Siecle, v. I-VII, St-Pв., 1849-1858; Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie, execute en 1847-1848, livr. 1-3, St-Pb., 1849-1851; *მარი ბროსე.* საქართველოს ისტორია, ნაწ.1-2, ტფილისი, 1895-1900. *Хантадзе Ш.А.* Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тб., 1970; *მისივე.* მარი ბროსე, თბილისი, 1966.

1847-1848 წლებში ბროსემ იმოგზაურა საქართველოში. ეპიგრაფიკულ, ნუმიზმატიკურ და სხვა სახის დოკუმენტურ ნიმუშებთან ერთად იგი აგროვებს ისტორიულ—ეთნოგრაფიული ხასიათის მნიშვნელოვან მასალას, რომლის საფუძველზეც პეტერბურგში აქვეყნებს შემაჯამებელ მონოგრაფიას 3 ტომად (Rapports.,1-3,1849-1851).

მარი ბროსე, როგორც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1837წ.) ქართულ—სომხური ფილოლოგიის განხრით, დაუღალავ მუშაობას ეწევა ლინგვისტიკის დარგშიც. ამ მუშაობის შედეგი გახლდათ ბროსეს მიერ ევროპულ ლინგვისტურ მეცნიერებაში პირველად გამოთქმული ვარაუდი ქართული ენის ინდოევროპულ ენათა ინდოირანულ შტოსადმი კუთვნილების შესახებ, რაც ასევე აქტუალურად ჟღერს თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერების თვალსაზრისითაც.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი კავკასიის ხალხთა ისტორიაში ახალი მოვლენებითაც აღინიშნა. ცარიზმის კოლონიური რეჟიმის სიმკაცრის მიუხედავად კავკასია, განსაკუთრებით კი ამიერკავკასიის ქვეყნები, რუსეთის კვალდაკვალ, ევროპული ცივილიზაციის ორბიტაში მოექცნენ. კავკასიის ევროპეიზაციის საწყისებს თან ახლდა ევროპის მოწინავე ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების მიღწევათა გაცნობა, ცხოვრების ევროპული წესის არა მარტო გაცნობიერება, არამედ მთელ რიგ სფეროებში მისი დამკვიდრების პირველი ცდებიც. რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღვივებისა და განვითარების საქმეში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა რუსი სოციალ დემოკრატების პროგრესიული ნაწილის იდეურ გავლენებსაც.

ცარიზმის ადმინისტრაციამ მხედველობაში მიიღო კავკასიის როგორც ძველი ცივილიზაციის მატარებელი რეგიონის იმიჯი და ინტელექტუალური განვითარების ინტერესთა სფეროში ახალ ინიციატივებს ჩაუყარა საფუძველი.

საუკუნის შუა ხანებიდან კავკასიაში ამ მიზნით გაფართოვდა ადრე დაწყებული საქმიანობა, გაიხსნა მთელი რიგი ახალი საზოგადოებრივ პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოებები და დაწესებულებები, დაარსდა მხარეთმცოდნეობითი ხასიათის ჟურნალ-გაზეთები და ა.შ. ამ მხრივ ბაქოსთან, ერევანთან, ელადიკავკაზთან და სხვა

ქალაქებთან ერთად განსაკუთრებულ ადგილს იჭერს თბილისი, რომელიც კავკასიაში რუსეთის მფლობელობის განმტკიცების პირველივე წლებიდან იქცა კავკასიის სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური მართვის ცენტრად. სწორედ ამან განაპირობა თბილისის სამეცნიერო კულტურულ ცენტრებში კავკასიათმცოდნეობით დაინტერესებულ კავკასიელ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა მოხდგომა, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ იმ პერიოდში რუსული კოლონიური პოლიტიკით განპირობებული კავკასიური პრობლემების ფართომასშტაბიან კვლევა–ძიებას.

საზოგადოებრივ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამ აღმავლობის პროცესში თბილსური „მეტროპოლიის" როლით უნდა აიხსნას ქართულ-კავკასიური ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო დარგების განვითარება-გაფართოების საქმეში ადგილობრივი ქართული ინტელიგენციის განსაკუთრებული როლიც, რომელთა დიდი ნაწილი სწორედ ეროვნული მეცნიერების წამყვანი დარგის–ეთნოლოგიის პრობლემებით იყო დაინტერესებული. ამ მხრივ, ზემოთ აღნიშნული ერთეულ მოღვაწეებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერ-მკვლევართა ახალი მძლავრი ნაკადი შეემატა.

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა საერთოკავკასიურ ასპარეზზე გამოჩენას ხელს უწყობდა თავად საქართველოში მიმდინარე მრავალმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო თაოსნობაც. მანიშნებელია, რომ ამ პერიოდში საქართველოში კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით მყარ ნიადაგზე დგება ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოლოგიური კვლევა-ძიება, საკუთარი ხალხის წარმომავლობის, მისი ეთნიკური ისტორიისა და კულტურის, ყოფისა და ტრადიციების ეროვნული თავისებურებების შესწავლის საქმე.

ამ პერიოდში თბილისურ „მეტროპოლიაში" ფართო ინტერესი ჩნდება ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში ახლადჩამოყალიბებულ ეთნოლოგიურ კვლევა-ძიების, იქ შექმნილი სკოლებისა და მიმდინარეობის მიმართ, სადაც საველე-საექსპედიციო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სპეციალურად შემუშავებული მეთოდიკით წარიმართა. ქართველ მოღვაწეთა და მკვლევართა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება მტკიცედ დაუკავშირდა რუსული და ევროპული მეცნიერების პროგრესულ მსოფლმხედველობას, რამაც განსაზღვრა კიდეც ამ ეპოქის ქართული ეთნოლოგიური კვლევა-ძიების თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების ეროვნულ-დემოკრატიული ხასიათი. ამ ქრონოლოგიურად ვრცელ და შინაარსობრივად

რთულ პერიოდში ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე, ქართული ეთნოლოგიის სამსახურში ჩადგნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერ-მკვლევარები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები – *პეტრე უმიკაშვილი* (1838-1904წწ.), *ალექსანდრე ხახანაშვილი* (1864-1912წწ.), *ნიკოლოზ ბერძენიშვილი* (1820-1874წწ.), *ნიკოლოზ ხიზანიშვილი* (1851-1906წწ.), *დიმიტრი ბაქრაძე* (1826-1890წწ.), *ბესარიონ ნიჟარაძე* (1852-1919წწ.), *იონა მეუნარგია* (1852-1819წწ.), *ზაქარია ჭიჭინაძე* (1854-1931წწ.), *დიმიტრი ჯანაშვილი* (1840-1905წწ.), *ნიკო ჯანაშია* (1872-1918წწ.), *მოსე ჯანაშვილი* (1885-1934წწ.), *თედო სახოკია* (1868-1956წწ.) და სხვ.

ქართულ-კავკასიური ეთნოლოგიური კვლევა-ძიების პრობლემური მიმართულებების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულეს თერგდალეულთა ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფუძემდებლებმა, გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა *ილია ჭავჭავაძემ* (1837-1907წწ.), *აკაკი წერეთელმა* (1840-1915წწ.), *იაკობ გოგებაშვილმა* (1840-1912წწ.), *ეკა ფშაველამ* (1861-1915წწ.), *ალექსანდრე ყაზბეგმა* (1848-1893წწ.) და სხვ., რომლებმაც თავიანთი მრავალფეროვანი მოღვაწეობით ფაქტობრივად განსაზღვრეს მეცნიერების ამ ეროვნული დარგის პრაქტიკულ-თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

პეტრე უმიკაშვილი
1838-1904 წწ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი *პეტრე უმიკაშვილი*,[1] რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1864წ.) სიცოცხლის ბოლო წლებამდე თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლად მუშაობდა,

---

[1] *პ.უმიკაშვილი.* ხალხური სიტყვიერება, ნაწილი I, ლექსები, ანდაზები, გამოცანები, რედაქცია. ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა, ტფილისი, 1937; *მისივე.* ხალხური სიტყვიერება, ტტ. I-IV, შემდგენელი *მ.ჩიქოვანი* და *ვ.მაცაბერიძე.* წინასიტყვაობა, შენიშვნები და რედაქცია მიხეილ ჩიქოვანისა, თბილისი, 1964; *მისივე.* ჩვენი მიწა-წყლის საქმე, „დროება“, 1883 №73; *მისივე.* ხევსურების ყოფა, „დროება“, 1883, №78; *მისივე.* ოსმალოს საქართველო, შავშეთი, „ივერია“, 1877, №18; *მისივე.* გურჯები (ქართველები) ოსმალეთში, „ივერია“, 1888, №21 და სხვ.

არაერთი ლიტერატურულ-პუბლიცისტური და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევის ავტორია. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ზეპირსიტყვიერების პოპულარული, ზოგჯერ კი ახალი, სრულიად უცნობი ნიმუშების – ლექსების, ზღაპრების, გამოცანებისა და ანდაზების შეკრება-გამოქვეყნების საქმეში. პეტრე უმიკაშვილმა 1874 წლიდან გამოქვეყნებული წერილები და მონოგრაფიები (*„ლექსები სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი“, არსენას-ლექსი, „ეთერიანი“, „ქართული ანდაზები“*) შეავსო და გაამდიდრა ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ნიმუშებით და ქართული ფოლკლორის მისეულ კოლექციაში შეიტანა ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და სხვ. მიერ შეკრებილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ძეგლები. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ კოლექციაში წარმოჩენილი არაერთი საინტერესო ეთნოგრაფიული სიუჟეტი.

ალექსანდრე ხახანაშვილი
1864-1912 წწ.

ამ პერიოდის ქართველ მეცნიერთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობილ ფილოლოგსა და ისტორიკოსს *ალექსანდრე ხახანაშვილს,*[1] რომელიც თავისი განათლებით, პროფესიული ინტელექტითა და მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობით მოწინავე ევროპული მეცნიერების პლეადას წარმოადგენდა. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1888წ.) იგი სამოღვაწეოდ რჩება მოსკოვში. ჯერ იგი აქვე ემზადებოდა საპროფესოროდ, შემდეგ კი ლექციებს კითხულობდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ლაზარევის სახელობის მოსკოვის

---

[1] *ალ. ხახანაშვილი.* ქართული სიტყვიერების ისტორია, I-2, ტფილისი, 1904-1913; *მისივე.* Древнейшие пределы рассселения грузин по Малой Азии, „Чтения в Обществе истории и древностей российских при Московском университете“, 1890; *მისივე.* О мохевцах, „Сборник материалов по этнографии, издаваемый при Дашковском этнографическом музее“ (ДЭМ), 3, 1888; *მისივე.* Тушины. ЭО, 1889; *მისივე.* Праздник нового года у грузин, ЭО, 3, 1889; *მისივე.* Месхи. ЭО, 3, 1891; *მისივე.* Обычай грузинских крестьян при пахании, ЭО, 1891; *მისივე.* Суд общины у грузин-горцев, ЭО, 1, 1893; *მისივე.* Земледельческие обычай крестьян в Кахети, ЭО, 3, 1894; *მისივე.* Языческая религия грузин, „Кавказ и Средняя Азия“, Баку, 1899 და სხვ.

აღმოსავლური ენების უნივერსიტეტში (1889წ.). მოგვიანებით მან კვლავ მოსკოვის უნივერსიტეტში გააგრძელა ლექციების კურსი.

ალექსანდრე ხახანაშვილმა ბევრი იმოგზაურა საქართველოსა და კავკასიის პროვინციებში ქართულ-კავკასიური სიძველეების აღსანუსხავად და შესასწავლად. ამავე პრობლემას ითვალისწინებდა მისი მოგზაურობა იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისშიც.

ალექსანდრე ხახანაშვილის ეთნოლოგიური მემკვიდრეობის საყურადღებო ნაწილია მისი დაინტერესება ქართველი ხალხის წარმოშობისა და თავდაპირველად განსახლების, აგრეთვე ქართულ-კავკასიური მთური ფეოდალიზმის პრობლემებით, რომელსაც მაშინ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ცნობილი ევროპელი და რუსი მკვლევარები. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული სიტყვიერების შესწავლას, რომელსაც 1895-1907 წლებში რუსულ ენაზე ოთხტომეული მიუძღვნა. ხახანაშვილმა გამოსცა ქართული ზღაპრების ორი წიგნი (1902-1904წწ.), შეისწავლა ქართული მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და მისი ისტორია მსოფლიო ასპარეზზე გაიტანა.

მოსკოვის საიმპერატორო არქეოგრაფიული (1888წ.) და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო (1904წ.) საზოგადოებების ნამდვილი წევრი - ხახანაშვილი დიდად იღწვოდა საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის პოპულარიზაციისათვის. ამ მხრივ თავისი მოღვაწეობის შედეგებზე იგი ორჯერ – ჟენევასა (1894წ.) და პარიზში (1897წ.) ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესებზე გამოვიდა მოხსენებებით.

ნიკოლოზ ბერძენიშვილი
1820-1874 წწ.

შესასწავლი ეპოქის ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობაში თავისი წვლილი შეიტანა გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორის თანაშემწემ *ნიკოლოზ ბერძენიშვილმა*,[1] რომელიც თავისი

---

[1] Н.Г. *Берзенов.* Кееноба, К, 1850, 28; *მისივე.* Кудианоба, К, 1850,33; *მისივე.* Удод, поверье грузин, К, 1850,54; *მისივე.* Грузинские гадальщицы, ЗВ, 1855,31; *მისივე.* Чона (из деревенских нравов Грузии), К, 1854,4; *მისივე.* Джамбазы, Гульбища, ЗВ, 1855,7; *მისივე.* Очерки деревенских нравов грузии, К, 1854, 71-

მოღვაწეობით განსაზღვრაედა კიდეც აღნიშნული გაზეთის მიმართულებას. ნ. ბერძენიშვილის მიერ 50-იან წლებში გამოქვეყნებულ წერილებში საინტერესო მონაცემებია მოტანილი ყვენობის, კუდიანობის, ჯადოქრობა-მკითხაობისა და ჯამბაზობის შესახებ (ყვენ., K., 28, 1850; კუდ., K., 33, 1850 და შმდ.). ხალხური გართობა-თამაშობების, წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების უმრავლესობა ბერძენიშვილის ავტორობით პირველადაა აღწერილი ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. იგი გახლდათ ქალაქის ეთნოგრაფიის ერთერთი პირველი მკვლევარიც, რაც დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად გამოცემულ მონოგრაფიაში აისახა (თბილისი ისტ. და ეთნ. თვალსაზრისით, 1870).

ნიკოლოზ ხიზანაშვილი
1851-1906 წწ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას ღირსეული გამგრძელებელი გამოუჩნდა ცნობილი ქართველი მეცნიერი-იურისტის ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის *ნიკოლოზ ხიზანაშვილის*[1] სახით, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარ თემას ქართული სამართლის ისტორია წარმოადგენდა.

ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი პრობლემების ხალხური სამართლის შუქზე შესწავლისა და ანალიზის თვალსაზრისით, ხიზანიშვილის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან აღსანიშნავია მონოგრაფიები:

---

72 და შმდ.; 1858,28,55 და შმდ.; Д.З.Бакрадзе, Н.Г.Берзенов. Тифлис в историческом и этнографическом отношениях, Тифлис, 1870.

[1] *ნ.ხიზანაშვილი.* უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი", XI-XII, 1882, II, 1883; *მისივე.* სოფლის თვითმმართველობაზე, „დროება", 1883,162,163; *მისივე.* ძველი ქართული ოჯახი, „დროება", 1885, 2-3,5,89,92,96 და შმდ.; *მისივე.* ეთნოგრაფიული წერილები. ფშავ-ხებსურეთი, „დროება", 1884, №231,241;1885,№165-166; „ივერია", 1886,№267-269; 1887,№8,14-5 და შმდ.; *მისივე.* აღდგომა ძველ დროს, „ივერია", 1888, №205. *მისივე.* საახალწლოდ (შესახებ იმისა თუ როგორ ატარებდნენ ძველად საქართველოში ახალ წელს), „ივერია", 1889,№1; *ნ.ურბნელი.* ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, ტფილისი, 1890; *მისივე.* ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, ტფილისი, 1890; *ნ.ხიზანიშვილი.* ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940; *მისივე.* რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, 1982;

„ფშავ-ხევსურეთი“ და *„ქართული ოჯახი წარსულში“*. პირველ მონოგრაფიაში საფუძვლიანადაა აღწერილი და შეწავლილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფა-ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მხარეები – საოჯახო ყოფა, ქორწინების ინსტიტუტი, ხევისბერობის, დასტურის, შულტას, ქადაგობის, მესულთნისა თუ ბოსლობის სოციალურ-რელიგიური ფუნქციები. ამავე ჭრილშია მოცემული დაკრძალვის, სიცოცხლით დამარხვის, სულის ცხენის, ჭირის წყენის, ყაბახის, დოღისა და სხვ. რელიგიურ-ყოფითი რიტუალებისა და ცერემონიების აღწერილობა და ანალიზიც („დროება,1884,1885,1886“).

ქართველ მთიელთა ოჯახისადმი მიძღვნილი მონოგრაფიაში ხიზანიშვილი ყურადღებას ამახვილებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ოჯახის ფორმებზე და მათ დამახასიათებელ თავისებურებებზე. მთიელთა ოჯახი და საოჯახო ყოფა განხილულია ქართული წერილობითი წყაროების მონაცემების შუქზე. ავტორი იყენებს და ეყრდნობა იმდროინდელი ცნობილი მეცნიერების დ. ლებბოკის, გ. სპენსერის, ე. ტეილორისა და სხვ. ცნობილ ნაშრომებს და მთიელთა სოციალური ორგანიზაციის დასახასიათებლად ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში პირველად იძლევა უმნიშვნელოვანეს დასკვნებს. კერძოდ, პირველად კავკასიათმცოდნეობით ლიტერატურაში ხიზანიშვილმა მეცნიერულად დაასაბუთა დებულება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ადრეფეოდალური ურთიერთობების არსებობის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, იმ დროს, ე.წ. *„გეაროვნული თეორიის“* ბატონობის პირობებში, დიდი ხნით დარჩა მკვლევართა ყურადღების მიღმა („დროება“,1885,2-3,5 და შმდ.).

მნიშვნელოვანია აგრეთვე ხიზანიშვილის შეხედულებები ხალხურ წეს-ჩვეულებებზე. ავტორის აზრით ხალხური წეს-ჩვეულება „დიდი საუნჯეა, რადგანაც მით კაცს შეუძლია დაიცვას პიროვნული თავისებურება“. თუმცა აქაც ადამიანმა უნდა გაარჩიოს წეს-ჩვეულების სიავე და სიკეთე. ხიზანიშვილის სიტყვით, წეს-ჩვეულების დაცვა მხოლოდ მაშინაა საჭირო „...თუ იგი ხალხის ვინაობის გამომხატველია და ამასთანავე ზნეობითს კანონს არ ეწინააღმდეგება“. „სწორედ ასეთი ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებითს იერს, პიროვნულ ხასიათს“.

ნიკოლოზ ხიზანიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ადათობრივი ნორმების შესწავლაში ქართული სამართლებრივი ძეგლების მონაცემების შუქზე. ამ მხრივ უდავოდ მნიშვნელოვანია ნაშრომები და მონოგრაფიები: *„ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“* (ტფ.,1890), *„ძეგლისდება მეფე*

გიორგი ბრწყინვალესი" (ტფ.,1840) და სხვ., რომლებშიც საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართული ჩვეულებითი სამართალი და ოსტატურადაა გამოყენებული იგი სამართლის ინსტიტუტების ისტორიის გამოსაკვლევად.

დიმიტრი ბაქრაძე
1826-1890 წწ.

XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1879წ.) *დიმიტრი ბაქრაძე.*[1]

თბილისის სასულიერო სასწავლებლისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ (1851წ.) დიმიტრი ბაქრაძე საქართველოში ბრუნდება და მუშაობას იწყებს გორის სამაზრო სკოლაში. უკვე ამ პერიოდს (1852-1857წწ.) ეკუთვნის ავტორის პირველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, რომელიც რეგულარულად ქვეყნდებოდა ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში.

1858-1861 წლებში დიმიტრი ბაქრაძე მსახურობდა ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში, რომლის შემდეგაც სიცოცხლის ბოლო წლებამდე მუშაობდა ქ. თბილისში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის თავმჯდომარეობდა საადგილმამულო კომისიას და ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას.

1873 წელს დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით დაარსდა კავკასიის მოყვარულ არქეოლოგთა საზოგადოება, 1879 წელს

---

[1] *Д.З.Бакрадзе.* Археологическое путешествие по Гурии и Аграре, СПб., 1878; *მისივე.* არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987. *მისივე.* Замстка о Батумской области, ИКОИРГО, VI, 1878-1881; *მისივე.* Историко-этнографический очерк Карской области, Тифлис,1883; *მისივე.* Сцены из грузинской жизны К, 1850,91-93. გადაბეჭდილია ჟურნალში: „Современник", 1851, 1-2; *მისივე.* Мое знакомство с пшавами, К, 1850,97-99; *მისივე.* Осетны-георгианцы, К, 1851,69; *მისივე.* Сванетия, К, 1861,1-2,4. გადაბეჭდილია ЗКОИРГО, 6,1864; *მისივე.* Закатальской округ, „Кавказское обозрение" (КО), 1887, 45-46,50,54,58; *მისივე.* Кавказ в древних памятниках христьянства, „Записки общества любителей кавказской археологии", Тифлис, 1875; *დ.ბაქრაძე.* საქართველო (ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა), ტფილისი, 1877-1878; *მისივე.* Замстки о Закатальском округе, ЗКОИРГО, 14,1,1890.

კი, დავით ყიფიანთან და ილია ჭავჭავაძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. 1889 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა თბილისი საეკლესიო მუზეუმი – ქართულ სიძველეთა შეკრებისა და დაცვის ერთერთი უმნიშვნელოვანესი კერა საქართველოში.

დიმიტრი ბაქრაძე კავკასიის მკვიდრ მკვლევართა შორის ერთერთი პირველთაგანია, რომლის აკადემიური მოღვაწეობა საისტორიო მეცნიერების, კერძოდ კი ეთნოგრაფიის დარგში, საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში მის მრავალგზის მოგზაურობა-ექსპედიციებისა და უშუალო დაკვირვებების შედეგებს ემყარებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი მოგზაურობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომლის დროსაც იგი საფუძვლიანად გაეცნო და აღწერა გურიის, აჭარის, შავშეთის, არტაანის, კლარჯეთისა და სხვ. მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. დიმიტრი ბაქრაძის ეს ჩანაწერები დაედო საფუძვლად ისეთ კაპიტალურ ნაშრომებს, როგორებიცაა *„არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“* (СПб.,1878), *„შენიშვნა ბათუმის ოლქის შესახებ“* (ЗКОИРГО,VI,1879-1881), *„ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“* (Тифл.,1883) და სხვ.

ადრეული ნაშრომებიდან ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გაზეთ „კავკაზში“, ჟურნალებში „კავკაზსკოე ობოზრენიესა“ და „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერებში“ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მისი წერილები, სტატიები და ნარკვევები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია *„სცენები საქართველოს ცხოვრებიდან“* (К,1850-91-93), *„ჩემი გაცნობა ფშაველებისა“* (К,1851,97-99), *„საქართველო და ქართველები“* (К,1851,13-15,30-34), *„ოსი-გეორგიანელები“* (К,1851,69), *„სვანეთი“* (К,1861,1-2,4), *„ზაქათალის ოლქი“* (КО,1887,45-46,50,54,58) და სხვ.

ამ წერილებში აეტორი იძლევა ქართველთა ყოფისა და კულტურის მრავალმხრივ აღწერას. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ფასდაუდებელია მისი ჩანაწერები და ანალიზი აჭარისა და სამხრეთ საქართველოს ზემოთ აღნიშნული სხვა კუთხეების ყოფა-ცხოვრების შესახებ, სადაც იგი ერთერთი პირველი იძლევა თურქეთის მფლობელობის ბოლო პერიოდის ქართული მოსახლეობის დასახლების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, დგამ-ჯურჭლის, შრომისა და

საბრძოლო იარაღ-აღჭურვილობის, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, კერძოდ ოჯახისა და ნათესაობის ფორმების, გვარისა და თემის, ქორწინების ინსტიტუტის, ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების დეტალურ აღწერებს.

დიმიტრი ბაქრაძის ეს მონაცემები იმ პერიოდში საქართველოს ამ ისტორიულ პროვინციებში, ქართველ მოგზაურ-მკვლევართა მიერ მეცნიერული კვლევა-ძიების განხორციელების უკიდურესად შეზღუდულ პირობებში, ერთადერთი და უნიკალური მასალა გახლდათ ამ კუთხეების მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემების გასაშუქებლად.

დიმიტრი ბაქრაძეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართული ლიტერატურული და სამეცნიერო წყაროების თავმოყრისა და გამოცემის საქმეში. 1875 წელს მან რუსულ ენაზე ლექსიკონის სახით შეადგინა და გამოსცა ლექსიკურ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი *„კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში“* (Записки..,1875), რომელშიც მოცემულია მრავალფეროვანი ცნობები საქართველოსა და სომხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ.

ბესარიონ ნიჟარაძე
1852-1919 წწ.

დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების საქმეში ამ პერიოდში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ეთნოგრაფმა და ფოლკლორისტმა – *ბესარიონ ნიჟარაძემ.*[1] მისი

---

[1] *თავისუფალი სვანი, სახალხო დღესასწაულები სვანეთში:* შობა-ახალწელიწადი, გაზ. „შრომა“, 1883, V, 26, №20; ლიფაანალ, „შრომა“ 1883, VI, 9 №22; ლიმპარი და ლიქერაში, „შრომა“ 1883, VI,23,№24; *მისივე.* სახალხო დღესასწაულები სვანეთში, გაზ„დროება“, 1884, X, 19, №226, 1884,X,24,№229; *სვანი.* ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში: სასამართლოს წარმოება გაზ„ივერია“, 1886,№49; თემი, ოჯახი, „ივერია“, 1886,№55; ცოლ-ქმრობა, გათხოვილი ქალიშვილის უფლება, გაყრა, მემკვიდრეობა, მიწის მფლობელობა, საზოგადო, სასოფლო და სათემო ადგილები, დამნაშავისა და მტრის უფლებანი, „ივერია“, 1886, №62; საზოგადოების მოვალეობანი და მისი დამოკიდებულება სხვა საზოგადოებასთან, მისაცემი ძიძისა, მჭედლისა და სხვა მოჯამაგირეთა. საქონლის გაკეება, სხვა-და-სხვა დანაშაული და საზღაურის რაოდენობა მის კვალობაზე, ზომები, საწყაესები, „ივერია“, 1886,72-73; *თავისუფალი სვანი.* ზოგიერთი საკმაწვილო თამაშობანი სვანეთში,

წერილები, სტატიები და მონოგრაფიები სვანეთის ეთნოგრაფიასა და ფოლკლორზე *„თავისუფალი სვანის“*, *„სვანის“* და *„ბესარიონ სვანის“* ფსევდონიმებით რეგულარულად იბეჭდებოდა „ივერიის“, „დროების“, „შრომისა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

„ბუნებით სვანმა“ ბესარიონ ნიჟარაძემ ფართო განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო შემდეგ ცნობილი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების ალექსანდრე ყიფშიძის, ნიკო ლომოურის, იონა მეუნარგიასა და სხვ. გარემოცვაში. „სვანეთის შვილმა“, რომელიც ილია ჭავჭავაძის რჩევით დაბრუნდა მშობლიურ მხარეში საქართველოს სიძველეთა შესწავლის მიზნით, წმინდა ისტორიულ და გეოგრაფიულ ნარკვევებთან ერთად, ძვირფასი მემკვიდრეობა დატოვა ეთნოგრაფიული კუთხით საქართველოს ერთერთი ტიპიური რეგიონის – სვანეთის შესახებ.

ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიულ სტატიებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ნარკვევებს სვანების ჩვეულებით სამართალზე („ივერია“, 1886, №№49, 55,62,72-73), რომელსაც იმ პერიოდის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული ფუნქციები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი დაწერილია ეპოქის ცნობილი მეცნიერების ე. ტეილორის, ო. შრედერისა და სხვ. მონაცემებზე დაყრდნობით და უძვირფასესი ინფორმაციული წყაროა სვანეთის სოციალური ორგანიზაციის შესახებ.

ეთნოგრაფიული წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით სანიმუშოა და ეპოქალური მოთხოვნების დონეს პასუხობს ბესარიონ ნიჟარაძის ფასდაუდებელი მასალები სვანური საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, კერძოდ ცოლქმრული ურთიერთობის, ქორწინების, გაყრის, მემკვიდრეობის, მიწათმფლობელობის ფორმების, ამა თუ იმ სუბიექტის უფლებამოვალეობის, ძუძუმტეობისა და გაძიძავების ინსტიტუტის, სხვადასხვა სახის ქირავნობისა და მისი საზღაურის, ზომაწონისა და საწყაო საშუალებების, ხალხური დღესასწაულების

„ივერია“, 1886, №149,152; *მისივე.* სვანების საიქიო (ეთნოგრაფიული წერილი), „ივერია“, 1888, 116,118; *მისივე.* უშგულის აღწერა, „ივერია“, 1888, №№35,37 და შმდ.; *მისივე.* იალბუსის გარშემო, „ივერია“, 1889 №№100-104,107,110-115,118-119,123-125; *Виссарион Нижарадзе.* Сванетские пословицы, загадки и песни, СМОМПК, X,1890; *ბ.ნიჟარაძე.* ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ალ. რობაქიძის რედაქტორობით, I-II, თბილისი, 1962-1964;

და საყმაწვილო თამაშობებისა და სხვ. შესახებ („შრომა“, 1883, „დროება“, 1884, „ივერია“, 1886,1888,1889 და შმდ.).

ბესარიონ ნიჟარაძის მიერ შეკრებილი ანდაზები, გამოცანები და სიმღერები გამოქვეყნებული იყო ჟურნალ СМОМПК – ში (X,1890), ხოლო *„სვანური ზღაპრები“*, სვანურ-რაჭული საგმირო-საისტორიო სიტყვიერების ნიმუშები ცალკე წიგნად დაიბეჭდა ქუთაისში (სვან. ზღაპ., 1893).

იონა მეუნარგია
1852-1919 წწ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს კულტურულ-ისტორიული ეითარების ეთნოგრაფიული ასპექტები მნიშვნელოვან-წილადაა ასახული ცნობილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის *იონა მეუნარგიას*[1] კრიტიკულ-ლიტერატურულ ნაშრომებში. 1874 წელს იგი გარიცხეს თბილისით სასულირო სემინარიიდან პოლიტიკური მოტივების საფუძველზე, რომლის. შემდეგაც ევროპაში გაემგზავრა და ერთხანს სწავლობდა ჟენევის აკადემიასა და პარიზში. აქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ფრანგული და გერმანული ენები და ახლო ურთიერთობა დამყარა იმ პერიოდის გამოჩენილ პიროვნებებთან. მოწინავე ევროპული იდეებით აღჭურვილი ახალგაზრდა 1878 წელს დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. აქედან მოკიდებული იონა მეუნარგიას კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, ნარკვევები და ფელეტონები რეგულარულად ქვეყნდებოდა „დროებაში“, „ივერიაში“, „ტიფლისსკი ვესტნიკში“, „კავკაზში“, „ნოვოე ობოზრენიეში“, „მოამბეში“, „კვალში“ და სხვ. მალე იონა მეუნარგია აირჩიეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად, რომლის შემდეგაც იგი კიდევ უფრო მეტი ენერგიით ჩაება ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

ეთნოგრაფიული წერილების გვერდით მეუნარგიას ეკუთვნის აგრეთვე მსხვილტანიანი მონოგრაფია სამეგრელოს სამთავროს ბოლო პერიოდის, კერძოდ, დავით დადიანის

---

[1] *იონა მეუნარგია.* სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1939.

მმართველობის შესახებ. ეთნოგრაფიულ მასალებსა და დოკუმენტებზე დაწერილ ამ ნაშრომში დაწვრილებითაა მიმოხილული სამეგრელოს მიწის მეურნეობა, სიმინდის, პურის, ბრინჯის, ფეტვის, კვახის, კანაფის, მუხუდოს, ოსპის, ლობიოს, სელის, ბამბისა და სხვა კულტურების ჯიშები, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოობა და მებოსტნეობა, მათი გავრცელების არეები, მოელა-მოშენების ხერხები და საშუალებები, დახასიათებულია გზები, არხები და სამიმოსვლო არტერიები, სამეგრელოს სამთვაროს მაზრები და სოფლები, სასამართლო და ძველი კანონები, ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, სავაჭრო ადგილები და ცენტრები, მრეწველობის დარგები და ა.შ. (სამეგრ.სამთ., X-XIII,XVI).

იონა მეუნარგია იყო 1888 წელს განხორციელებული „ვეფხისტყაოსნის" ქართველიშვილისეული გამოცემის ერთერთი ინიციატორი, აგრეთვე რუსთაველის პოემის ფრანგულ ენაზე ახალი თარგმანის ავტორი.

ზაქარია ჭიჭინაძე
1854-1931 წწ.

XIX საუკუნის ბოლო ათასწლეულებსა და XX საუკუნის დასაწყისში უაღრესად ნაყოფიერი იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, გამომცემლის, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარის *ზაქარია ჭიჭინაძის*[1] მოღვაწეობა. იდეური მიმართულებით ხალხოსანი მკვლევარის 120-ზე მეტი ნარკვევსა და კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილში საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების ამსახველი სიუჟეტები იყო ასახული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭიჭინაძის ეთნოგრაფიული ნარკვევები თურქეთის უღლისაგან ახლადგანთავისუფლებული სამაჰმადიანო

---

[1] *ზ.ჭიჭინაძე.* ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები, ტფილისი, 1904; *მისივე.* სამცხე-საათაბაგო. ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები ხალხზედ, ვაჭრობაზედ, კათოლიკობასა და მათ სამღვდელოებაზედ და სხვ., ტფილისი, 1905; *მისივე.* ისტორია ოსმალეთის, ყოფილი მუსლიმან ქართველთა საქართველოსი, ბათუმი, 1911; *მისივე.* მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში, ტფილისი, 1911; *მისივე.* მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველო'ში, ტფილისი 1913; *მისივე.* ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი. ლაზისტანი ისტორიულის და ეთნოგრაფიულის მხრით, ტფილისი, 1927.

საქართველოს მოსახლეობის საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობის ტრადიციული ფორმებისა და ინსტიტუტების შესახებ (მესხ.-ჯავახ. ცნობები, 1904, სამცხე-საათ., 1905, მუსლ. ქართ., 1913, ლაზისტანი.., 1927 და სხვ.).

ნარკვევებში მოტანილია სამაჰმადიანო საქართველოს სოფლების, დასახლების ფორმების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სხვა კულტურულ ყოფითი რეალიების, ტრადიციული ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების, ოჯახისა და ქორწინების ფორმების ვრცელი აღწერილობანი მოსახლეობის მიერ უცხოელ დამპყრობთა მიმართ გაწეული წინააღმდეგობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართო ფონზე (მუსლ.ქართ., 1913,ლაზისტანი..,1927 და შმდ.).

ზაქარია ჭიჭინაძის ამ და სხვა ნაშრომებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის დასასრულს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მიერ წამოწყებული ფართომასშტაბიანი თაოსნობის – ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და შემდგომი განმტკიცების საქმეში მხარდაჭერია თვალსაზრისით. ფაქტობრივად, ავტორის აღნიშნული ნაშრომები თერგდალეულთა ამ დიდი ეროვნული მოღვაწეობის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ამავე თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ზაქარია ჭიჭინაძის საგამომცემლო მოღვაწეობა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ქართული ხელნაწერების შეგროვება და წიგნების გაერცელება, რასაც იგი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ახლადშემოერთებულ ქართულ პროვინციებში – აჭარასა და სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებში.

დიმიტრი ჯანაშვილი
1840-1905 წწ.

XIX საუკუნის 80-90-იან წლების ქართველ ავტორთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი ისტორიკოსის ეთნოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის *დიმიტრი*

ჯანაშვილის[1] ნაშრომები საქართველოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული პროვინციის - საინგილოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესახებ.

წარმოშობით ინგილო დიმიტრი ჯანაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ 12 წელი მღვდლად მუშაობდა საინგილოში, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული სკოლების დაარსების საქმეში.

1878-1881 წლებში, მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, დიმიტრი ჯანაშვილმა გააგრძელა პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისში, შემდეგ იგი კვლავ ეკლესიის მსახურია კახეთში და მეტად სასარგებლო მოღვაწეობას ეწევა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრის სტატუსით.

დიმიტრი ჯანაშვილი როგორც თავისი ეპოქის შვილი სისტემატურად აქეყნებდა წერილებსა და სტატიებს ქართული პრესის ფურცლებზე. მისი ანტიბატონყმური, ხალხოსნური იდეები ხშირად იბეჭდებოდა „დროების“, „იეერიის“, „ნობათის“, „მოამბის“, „მნათობის“, „ცისკარისა“ და სხვ. ფურცლებზე, სადაც იგი ხშირად გამოდიოდა აგრეთვე ქართული ენისა და ეროვნული ცნობიერების საკითხებზე (ცისკარი,1865,4-5 და სხვ.). წერილებში ქართველი ხალხის და, კერძოდ, საინგილოს ყოფა-ცხოვრების შესახებ დიმიტრი ჯანაშვილს მიმოხილული აქვს ტრადიციული ყოფისა და კულტურის არაერთი საკითხი, კერძოდ, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა, ქალის მდგომარეობა, სასულიერო წოდების ადგილი და როლი ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ა.შ. (...საინგილო,1907).

ნიკოლოზ ჯანაშია
1872-1918 წწ.

პირველხარისხოვანი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა გააჩნია XIX-XX საუკუნეების გზასაყარზე მოღვაწე *ნიკოლოზ*

---

[1] *დ. ჯანაშვილი.* საჭიროა ამჟამად თხზულებანი იწერებოდნენ ქართულ ენაზედ თუ არა?, ცისკარი, 1865, №4-5; *მისივე.* ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, ტფილისი, 1903; *მისივე.* შაჰ-აბასის შემოსევა და საინგილო, ტფილისი, 1907.

ჯანაშიას[1] ეთნოლოგიურ მემკვიდრეობას. აფხაზეთში მოღვაწე ცნობილმა პედაგოგმა, ეთნოგრაფმა და ფოლკლორისტმა, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის სკოლებში ხანგრძლივი პედაგოგიური საქმიანობის შემდეგ, დიდი ამაგი დასდო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის ფილიალის გახსნას. მოგვიანებით (1910წ.) იგი სათავეში ჩაუდგა ფილიალის მუშაობას, ხოლო 1915 წელს გადამწყვეტი როლი შესარულა სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის დაარსებაში.

ნიკოლოზ ჯანაშიას წყაროთმცოდნეობითი ხასიათის სამეცნიერო ნაშრომები ეხება ქართველი და აფხაზი ხალხების რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს, მიცვალებულის კულტს, ხალხურ მედიცინას, ქორწინების ინსტიტუტს, ბავშვის დაბადებისა და აღზრდის რიტუალებსა და ა.შ. (Рел.вер., XB,IV,1,1915; V,3,1916; статьи.., 1960).

ნიკოლოზ ჯანაშიას ეთნოლოგიური ხასიათის წერილები „სახალხო გაზეთში", „მოამბეში", „აკაკის კრებულში" და „ხრისტიანსკი ვოსტოკში", სულიერი კულტურის ცალკეულ მხარეებთან ერთად აშუქებს სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის, სოციალური ურთიერთობის არაერთ მნიშვნელოვან მხარეს. ავტორის ამ და სხვა ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ და არაერთხელ იყენებდნენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი და სხვა ცნობილი ქართველი ეთნოგრაფები და ისტორიკოსები.

მოსე ჯანაშვილი
1885-1934 წწ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეთნოლოგიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა მნიშვნელოვანწილად გაამდიდრეს მოსე ჯანაშვილისა და თედო სახოკიას ნაშრომებმა.

---

[1] *Н.С.Джанашиа.* Религиозные верования абхазцев, XB, IV,1,1915; *მისივე.* Абхазский культ и быт, XB, V,3, 1916; *მისივე.* Статьи по этнографии Абхазии Сост.и.предисл. *Х.С.Бгажба,* Сухуми, 1960; *მისივე.* აფხაზები, „აკაკის კრებული", №8, II, 1898, №4, II, 1899; *მისივე.* აფხაზური ლეგენდა, „აკაკის კრებული", №5, III, 1898; *მისივე.* აფხაზები (ეთნოგრაფიული მასალები), „მოამბე", №№2,5,11, II, 1897, №№7,11, II, 1898, №4, II, 1899.

მოსე ჯანაშვილი,[1] როგორც ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სასულიერო სემინარიისა და ქუთაისსა და თბილისში. 1897-1926 წლებში იგი იყო საქართველოს საეკლესიო მუზეუმის გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეობის დამსახურებული პროფესორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი, საქართველოში თანამედროვე მეცნიერული კვლევა-ძიების ერთერთი ფუძემდებელი.

მოსე ჯანაშვილის მრავალმხრივმა სამეცნიერო მოღვაწეობამ კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა მრავალრიცხოვან წერილებში სტატიებსა და მონოგრაფიებში ლინგვისტიკის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის დარგში. ავტორის მნიშვნელოვან ეთნოლოგიურ ნაშრომებად უნდა ჩაითვალოს პირველწყაროებზე დაყრდნობით შედგენილი

---

[1] *მ. ჯანაშვილი.* საინგილო, „სასოფლო გაზეთი", №21, 1877; *მისივე.* საინგილო, „დროება", №229, 1878; *მისივე.* მოგზაურობა საინგილოში, „დროება", №№145-146, 1880; *მისივე.* მოგზაურობა კახეთში, „დროება", №№119-117, 1881; *მისივე.* მოგზაურობა ქართლში, „დროება", №№39,54,57-58,59,1882; *მისივე.* Кахи, Кавказ, №150, 1884; *მისივე.* საინგილო, „ივერია" №№191-198, 1886; *მისივე.* Краткий очерк Кахского участка в географическом, этнографическом и сельскохозяйственном отношении, ТКОСХ, №3, 1887; *მისივე.* აღდგომის დღესასწაული საინგილოში, „ივერია", №87,1888; *მისივე.* ბოსლობა რაჭაში, ივერია, №2, 1890; *მისივე.* ტფილისის მაზრა. ისტორია, ეთნოგრაფია, მეურნეობა, „ივერია", №№12,23,1890; *მისივე.* Картвельские поверья, СМОМПК, 17, 1893; *მისივე.* Грузины и грузинки, НО, №4622, 1897; *მისივე.* Этимология картвельских этнографических и географических имен, СМОМПК, XXVII, 1900; *მისივე.* К вопросу о происхождении курдов, Кавказ, №163, 1896; *მისივე.* Абхазия и абхазцы, (этнографический очерк, ЗКОИРГО, XVI, 1904; *მისივე.* საინგილო. გეოგრაფია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ძველი საქართველო, II, ტფილისი, 1913;). *მისივე.* Гори и его окрестности, СМОМПК, XXXIV, 1904; *მისივე.* О родстве грузинского языка с индо-европейскими. Доклад на заседании подсекции этнографии и лингвистики 18 июля 1913 г., Тифлис, 1913; *მისივე.* საინგილო, ტფილისი, 1910; *მისივე.* მესხეთი, ტფილისი, 1915; *მისივე.* მესხეთი„ „საქართველო", №45-46, 1915; *მისივე.* ქართველები და ქართული ენა, „საქართველო" №№18, 21, 1915, №223, 1918; *მისივე.* ჩერქესნი, „საქართველო" №96, 1919; *მისივე.* აბაზინები, „საქართველო", №97, 1919; *მისივე.* ჩაჩნები, „საქართველო", №98, 1919; *მისივე.* ლეკები, ოსები, „საქართველო", №№98, 200, 1919.

ნარკვევები კახეთის ზაქათალის ოლქის სამეურნეო ყოფისა და კულტურის შესახებ, მონოგრაფია აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ, სადაც საუბარია მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებებზე, ქართველური ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგიის, ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და სხვ. შესახებ (საინგ., ძვ. საქ., II, 1913; Абхазия.., ЗКОИРГО, XVI, 1904; Этимология.., СМОМПК, XXVII, 1900).

მოსე ჯანაშვილი დაინტერესებული იყო კავკასიის სხვა ხალხების ეთნოგრაფიის საკითხებითაც. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ბიობიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია ქართველ მემატიანეთა და მკვლევართა მრავალფეროვანი ცნობები აბაზინების, ჩერქეზების, ოსების, ძურძუკების, დიდოელების, ალანების, წოვა თუშების, ხაზარების, რუსებისა და სხვ. შესახებ. სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ავტორმა ქურთების წარმოშობისა და ეთნიკური ისტორიის საკითხებს (ჩერქესნი, „საქართველო“, 96,1919; აბაზინები, „საქართველო“, №97, 1919 და შმდ.; К вопросу о происх.Курдов,К,163).

აღნიშნული ნაშრომებით მოსე ჯანაშვილი ახალი ქართული ეთნოგრაფიის ერთერთ ფუძემდებლად გვევლინება. იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციების შეგროვებას, საეკლესიო მუზეუმის შექმნას, არქეოგრაფიული ძეგლების სისტემატიზაციას.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მოსე ჯანაშვილის სამეცნიერო ნაშრომები ქართული ენის გრამატიკის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის დარგში. ქართული ხალხის წარმოშობისა და ეთნოგენეტიკური კვლევების ჭრილში უაღრესად მნიშვნელოვანია ავტორის ნაშრომი ქართული ენის გრამატიკის შესახებ, სადაც იგი ენის განვითარების ისტორიული პროცესების კვლევა-ძიების შედეგებზე დაყრდნობით ცდილობს დაასაბუთოს ქართველურ ენათა ერთობლიობის იდეა, აგრეთვე ქართველურ ენათა ინდოევროპულ ენებთან ნათესაობის კონცეფცია (О родстве.., 1913).

თედო სახოკია
1868-1956 წწ.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ეთნოგრაფიაში მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივია ცნობილი ეთნოგრაფისა და ლექსიკოგრაფის *თედო სახოკიას*[1] მოღვაწეობა. ჯერ ჟენევის ხოლო შემდეგ სორბონის უნივერსიტეტის მსმენელი, იგი იყო ევროპის ეთნოლოგიის უახლესი მიღწევების უშუალო მონაწილე და ქართულ პრესაში აქტიურად ეხმაურებოდა აღნიშნულ დარგში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებსა და პროცესებს.

სამეცნიერო-პუბლიცისტური მოღვაწეობა სახოკიამ დაიწყო 1988 წელს ილია ჭავჭავაძის „იენერიაში". 1900 წელს იგი შეეიდა პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში. 1901 წლიდან სახოკია თანამშრომლობს რომში მიხეილ თამარაშვილთან, 1902 წლიდან კი საფრანგეთში მყოფი ქართველების ახალგაზრდული გაზეთის „საქართველოს" რედაქტორია. აქ მოღვაწეობისას იგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე აქვეყნებს.

თედო სახოკია ბევრს მოგზაურობდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რომლის შედეგებსაც ეთნოგრაფიული წერილების სახით აქვეყნებდა გაზეთებში - „დროება", „სახალხო გაზეთი",

---

[1] *თედო სახოკია.* სამურზაყანო, ჟურნ. „მოამბე", №16, 1996; *მისივე.* გურია, „მოამბე", №4,10,1897,№1,2,4,6,1898; *მისივე.* აჭარა, „მოამბე" №4,10,1898, №1, 1900, №1,3,5,7,9,-10,1901; *მისივე.* აფხაზეთი, „ცნობის ფურცელი", №№2309,2349,1903,№2386,1904; *მისივე.* სამეგრელოს მითოლოგიიდან, „მოამბე", №1 1897; *მისივე.* ყვავილ ბატონები სამეგრელოში, „მოამბე", №1, 1897; *მისივე.* ახალი წელი ანუ კალანდა სამეგრელოში, „მოამბე", №1, 1897; *მისივე.* Les menhirs en Georgie. „Bulletin de la Societe d'excursions scientifiques", II, 1901-1902; *მისივე.* Le culte de la petite verole en Georgie. „Bulletin et memoires de la Societe d'antropologie de Paris", 1903; *მისივე.* Animal folklore in Georgia. „Man", 1,1901; *მისივე.* По Мингрелии (Брачные обряды), „Петроградские ведомости", 176,178,181,191,1916; *მისივე.* მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მსე, III, 1940; *მისივე.* ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1956; *მისივე.* მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, გ. ჩიტაიას რედაქტორობითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1950; *მისივე.* ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გ. ჩიტაიას რედაქტორობითა და ბოლოსიტყვაობით, ტ. I, თბილისი, 1950; ტ. II, თბილისი, 1954, ტ. III, თბილისი, 1955.

„მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „ნოეოე ობოზრენიე“, „კავკაზი“ და სხვ.

თედო სახოკია თავისი მეცნიერული შემოქმედებით ახალი ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. კლასიკური ეთნოგრაფიული მეთოდოლოგიით შესრულებულ მის ნაშრომებს დღესაც უაღრესად დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა გააჩნია.

თედო სახოკიას პირველი ეთნოგრაფიული ნარკვევები პარიზის, პეტერბურგსა და თბილისის პრესაში გამოქვეყნდა. მკვლევარის მეცნიერული ინტერესები იმთავითვე ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის, სოციალური ურთიერთობის სფეროები გახლდათ და პრობლემათა ფართო სპექტრიც ამ ინტერესებით იყო განსაზღვრული. ავტორმა სპეციალური წერილები მიუძღვნა სამეგრელოში მითოლოგიის საკითხებსა და წმინდა გიორგის კულტს, მონოგრაფიულად შეისწავლა და გამოაქვეყნა „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“ (სამეგრ.მით.., „მოამბე“, №1,1897; ახალი წელი.., №1,1897; მიცვ.კულტი, მსე, III, 1940).

მეგრელთა მითოლოგიის სფეროდან სახოკია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მითებს ავი სულების შესახებ, რომელთა შორისაც ყველზე სრულად მას ოჩოკოჩზე და დიხაშკოჩზე არსებული რწმენა–წარმოდგენები აქვს აღწერილი. ასევე დაწერილებითაა მიმოხილული ახალ წელთან ანუ კალანდასთან დაკავშირებული რიტუალები, კერძოდ, აღწერილია მეგრული ოჯახის საკალანდო სამზადისი, მეკვლის ანუ მაკუჩხოლეს ინსტიტუტი და ა.შ. ქორწინების ინსტიტუტზე მსჯელობისას სახოკია დაწვრილებით აღწერს მეგრელთა ნათესაობის სისტემას, გინოძირაფას ანუ საცოლის გასინჯვის პროცედურას, შანუას ანუ დანიშვნას, მოყონოფას ანუ საცოლის მოყვანას საქმროს სახლში და დიარას ანუ საქორწილო ლხინს. ავტორს მხედველობიდან არ რჩება მზითვის პრობლემა, ნეფე-დედოფლის საქორწინო სამოსელი და თავსაბურავი და ა.შ. (ეთნ.ნაწ., 1956; მოგზ., 1950).

და მაინც, თედო სახოკიას ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად გაზეთ „ცნობის ფურცელის“ სპეციალური დავალებით განხორციელებული ეთნოგრაფიული „მოგზაურობანი“ უნდა ჩაითვალოს, რომლის მიზანიც გახლდათ ფართო მკითხველისათვის გაეცნო იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა.

გურიაში მოგზაურობისას ავტორის ყურადღება მიუპყრია ისტორიული და ახლანდელი გურიის საზღვრებს, ისტორიულ და ზეპირსიტყვიერ ცნობებს ტერმინ „გურიის“ შესახებ,

მოსახლეობის საქმიანობას, კერძოდ ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას, რაც აქ, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში საუკუნის დასასრულის კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად მიაჩნია. ავტორი მხედველობიდან არ უშვებს ვაჭრის ჩაცმულობასაც და ხაზს უსვამს, რომ ეკონომიკური პროგრესის მიუხედავად ვაჭარი ჯერ კიდევ ქართულ სამოსელს ატარებს და იშვიათია ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილი გურული (მოგზ.,1950).

ოზურგეთის საგანმანათლებლო ცენტრების აღწერის გვერდით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურიის სოფლის სურათები. ავტორი დეტალურად აღწერს გურულ კარ-მიდამოს, ყავრითა და ისლით გადახურულ ოდა-სახლებს, მონასტრებს, მეურნეობის დარგებს, ადგილობრივი გლეხობის რწმენა-წარმოდგენებსა და ა.შ. სახოკიამ ერთერთმა პირველმა ქართველ მკვლევართაგანი აღწერა ქართული ჩამური და მისი ვარიაციები, რომელმაც შემდგომში მკვლევარებს საშუალება მისცა გამოეთქვათ ვარაუდი ამ მეტად ფასეული კულტურული ელემენტის ადგილობრივი ქართული წარმოშობის შესახებ.

და ბოლოს, სახოკია აღფრთოვანებულია გურულების სილამაზითა და სიჩაუქით, რაც არაერთხელა აქვს აღნიშნული თავის ჩანაწერებში (მოგზ.,1950).

მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ სახოკიას მოგზაურობა აჭარაში, რომელიც ის-ის იყო განთავისუფლდა ოსმალეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან. ავტორი ზემო აჭარაში გურია აჭარის მთიდან გადასულა და მისი ყურადღება იმთავითვე მიუპყრია აჭარელთა ეროვნული ცნობიერების საკითხს. მანიშნებელია, რომ აჭარელი გლეხისა თუ წარჩინებული ფენის ყოფა-ცხოვრების ყველა დეტალის აღწერისას, სახოკია მრავალგზის უსვამს ხაზს მათ ტრადიციულ ქართულ ხასიათს. აჭარელის კარ-მიდამო, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი, მეურნეობის დარგები და მათი გაძღოლის ხერხები, სტუმართმასპინძლობის ტრადიციები, სისხლის აღების წეს-ჩვეულება, რწმენა-წარმოდგენები, მშობლიური ენის შემონახულობა და დაცვა, სამშობლო მიწის ერთგულება და სიყვარული, აგრეთვე ყოფის სხვა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო კომპონენტები სახოკიას უცილობლივ მიაჩნია იმის დასტურად, რომ აჭარის მოსახლეობამ უცხოელ დამპყრობთა მძიმე უღელის პირობებშიც კი შემოინახა ცხოვრების ქართული წესი – ქართველობა (მოგზ.,1950). ავტორის ამ მონაცემებსა და დასკვნებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ადგილისა და როლის განზოგადებული შეფასებისას

სამხრეთ-დასავლეთ და საერთოდ საქართველოს უახლეს ისტორიაში.

მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია თედო სახოკიას ეთნოგრაფიული ჩანაწერები სამურზაყანოსა და აფხაზეთის შესახებაც.

სამურზაყანოში ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს მეგრული სოფლის დასახლების ფორმას და სამართლიანად განასხვავებს აქაურ გაფანტულ დასახლებას აღმოსავლეთ საქართველოს შეჯგუფული სამოსახლოებისაგან. ქართულ ეთნოგრაფიაში ერთერთი პირველი და სრულყოფილია მეგრული კარმიდამოს, სახლისა და კერის სახოკიასეული აღწერა (მოგზ.,1950), რაც შემდგომ და დღესაც სამეგრელოს ისტორიითა და ეთნოლოგიით დაინტერესებულ მკვლევართა სანდო და პირველხარისხოვან წყაროთმცოდნეობით მასალას წარმოადგენს.

სამეურნეო ყოფის სფეროდან ასევე ფასეულია ავტორის ჩანაწერები მეგრული მეჯოგეობის შესახებ, განსაკუთრებით კი მეგრული სულგუნის დამზადების შესახებ (მოგზ.,1950), რამაც შემდგომ ტექნოლოგიური პროცესების შედარებისა და ანალიზის საფუძველზე, ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცა დაეყენებინათ იგი სახელგანთქმული იტალიური კარკავალიოს გვერდით.

მეტად საყურადღებოა მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მონაცემები მესაქონლეობის მფარველი ღვთაების მიქელ-გაბრიელის (მიქამ-გარიოს) შესახებაც.

თედო სახოკიას „მოგზაურობის" ციკლს აგვირგვინებს აფხაზეთი, რომლის შესახებაც ავტორმა ასევე მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი მასალები დაგვიტოვა. ზემოთ აღნიშნული ეთნოგრაფიული სიუჟეტების გვერდით სახოკია აფხაზეთში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სულიერი კულტურის სფეროს. იგი დიდი მეცნიერული გულისყურითა და სიზუსტით აღწერს წმინდა ხისა და ხეიენების კულტს აფხაზეთში (მოგზ.,1950), რაც კაკასიის ხალხებში არაერთხელ აღუნიშნავთ ზემოთ აღნიშნულ ევროპელ მკვლევარებს.

თედო სახოკია საყურადღებო მონაცემებს იძლევა აფხაზთა მიცვალებულის კულტის შესახებაც. აღწერს რა გლოვა-დასაფლავების წესსა და მიცვალებულის სულის მოსახსენებელ სხვა რიტუალებს, ავტორი აფიქსირებს აღნიშნული კულტის რადიკალური ტრანსფორმაციის ფაქტს აფხაზეთში (მოგზ.,1950), მაშინ როდესაც XVI საუკუნის ცნობილი იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობით აფხაზები მიცვალებულს არა მიწაში მარხავდნენ, არამედ ხეებზე ჰკიდებდნენ.

თედო სახოკიას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ფოლკლორისა და ლექსიკოგრაფიის განვითარების საქმეშიც. მისი ცნობილი ნაშრომები ამ მომიჯნავე დარგებზე შეიცავენ უმდიდრეს მასალებს ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის სხვადასხვა სფეროების შესახებ (ქართული ხატოვანი.., 1950-1955).

თედო სახოკიას ეთნოლოგიური მემკვიდრეობა საუკეთესო მაგალითია ჭეშმარიტი მკვლევარი-მამულიშვილისა, რომელიც კარგად იცნობს, ობიექტურად აფასებს და სათანადოდ იყენებს ევროპელი და სამამულო მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენელთა ეთნოლოგიურ მონაცემებს კავკასიის ხალხების შესახებ და ახალი ეთნოგრაფიული მასალებით ამდიდრებს მას.

ქართველ მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა ამ მრავალფეროვანი ეთნოლოგიური შემოქმედების გვერდით XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიაში მეტად ნაყოფიერ საქმიანობას განაგრძობენ რუსი თუ რუსეთის სამსახურში მყოფი სხვა უცხოელი მოგზაურ-მკვლევარებიც. ეს საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა 60-იანი წლებიდან, მაშინ როდესაც დღის წესრიგში დადგა საველე ეთნოგრაფიული მასალებისა და სამუზეუმო კოლექციების მიზანმიმართული და გეგმაზომიერი შეგროვების საკითხი. სწორედ ამ პერიოდში და ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიქმნა *გუსტავ რადეს* (1831-1903წწ.), *მაქსიმე კოვალევსკის* (1851-1916წწ.), *ადოლფ ბერეკეს* (1828-1896წწ.), *ნიკოლოზ დუბროვინის* (1873-1904წწ.) *რიხარდ ერკერტის* (1830-1900წწ.), *კორნელი ბოროზდინის* (1828-1996წწ.), *ალექსანდრე სტოიანოვის* (1841-1914წწ.), *ევგენი ვეიდენბაუმის* (1845-1918წწ.), *კარლ ჰანის* (1848-1925წწ.), აგრეთვე თბილისში მოღვაწე *გრიგოლ ჩურსინისა* (1874-1930წწ.) და სხვ. ნაშრომები, წერილები და სტატიები პერიოდულ გამოცემებში და პრესის ფურცლებზე, რომლებშიც კავკასიის სხვადასხვა ხალხების ყოფითი კულტურის არაერთი ფაქტი, მოვლენა თუ დეტალია აღწერილი. მანიშნებელია, რომ ამ მონაცემებს ზოგჯერ განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნდათ კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი და სოციალური ინსტიტუტების, მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის რეალიების კვლევისა და ანალიზის პროცესში. ასეთ შეფასებას, პირველ რიგში, იმსახურებენ რიგი თეორიული ხასიათის მონოგრაფიები (მ. კოვალევსკი, ე. ვეიდენბაუმი, კ. ჰანი და სხვ.), რომელთაც

კავკასიათმცოდნეობითი ეთნოლოგია ეპოქის შესაბამისად ახალ საფეხურზე აიყვანეს.

გუსტავ რადე
1831-1903 წწ.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებას დიდი ამაგი დადო წარმოშობით გერმანელმა ბუნებისმეტყველმა და ეთნოგრაფმა *გუსტავ რადემ*.[1] რუსეთის ადმინისტრაციის სამსახურში შესვლის შემდეგ – 1852 წლიდან იგი უკლებლივ მონაწილეობდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კომპლექსურ ექსპედიციებში, მუშაობდა ყირიმში, ხელმძღვანელობდა პეტერბურგის აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმს, საიდანაც 1863 წელს კავკასიის მუზეუმის დირექტორად გადმოიყვანეს. ამიერიდან იგი თბილისში დამკვიდრდა, დიდი წელილი შეიტანა სამუზეუმო საქმიანობაში და საერთოდ კავკასიის ეთნოგრაფიულ შესწავლაში.

გუსტავ რადეს ინტერესების სფერო კავკასიის მკვიდრთა ტანსაცმლისა და საომარი იარაღ-აღჭურვილობის შესწავლა გახლდათ, თუმცა იგი არასოდეს შემოფარგლულა ვიწრო პროფილით და თავის ნაშრომებში, როგორც სამუზეუმო საქმიანობის ინიციატორი და ხელმძღვანელი ქართველ და კავკასიელ მთიელთა ყოფისა და კულტურის ფართო სპექტრს მიმოიხილავდა (Хевсурия.., ЗКОИРГО, 11, 1880, 2, 14, 1890; Предв.отч.., ЗКОИРГО, VII, II, 1872). მიუხედავად ამისა, გუსტავ რადე, ისევე როგორც მრავალი უცხოელი მკვლევარი, ყოფისა და კულტურის უნიკალური რეალიების გამოვლენა-შესწავლით იყო შემოფარგლული და იმ პერიოდის სამუზეუმო პრაქტიკაში დამკვიდრებულ ეთნოგრაფიული მასალებისა და სამუზეუმო ექსპონატების შეკრების რარიტეტულ მეთოდს უხდიდა ხარკს (Краткий пут..,1899).

---

[1] *G.J.Radde*. Die Chewsuren und ihr Land. Ein monografischer Versucht in Sommer 1876, Gassel, 1878; *Г.И.Радде*. Хевсурия и хевсуры (Опыт монографии). Описание путешествия, совершенного летом 1876 года. Перевод с немецкого под ред. Е.Г.Вейденбаума. ЗКОИРГО, 11,1880; 2,14,1890; *მისივე*. Предварительный отчет о путешествии доктора Г.Радде по Кавказу летом 1865 г., ЗКОИРГО, VII, вып. II, 1872; *მისივე*. Заметки о хевсурии, ЗКОИРГО, 14,1,1887; *მისივე*. Краткий путеводитель по Кавказскому музею, Тифлис, 1899.

მაქსიმე კოვალევსკი
1851-1916 წწ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებას უმნიშვნელოვანესი ნაშრომები მიუძღვნა ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა, ეთნოლოგმა, იურისტმა და სოციოლოგმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა *მაქსიმე კოვალევსკიმ*.[1]

მორგანის, ბახოფენის, მაკ–ლენანისა და ლებბოკის იდეებით გატაცებული კოვალევსკი კავკასიის მთიელთა ურთიერთობის პრობლემების კვლევისას სწორედ ოჯახის, გვარისა და მატრარქატის პრობლემებით დაინტერესდა, რაც იმდროინდელ ევროპულ მეცნიერებაში ფართო დისკუსიის საგნად იყო ქცეული.

მაქსიმე კოვალევსკიმ სწორად განჭვრიტა მის წინაშე დასმული ამოცანის სირთულე და გადაწყვიტა მეცნიერული კვლევა ძიება-წარემართა არა ლიტერატურული მონაცემების, არამედ საკუთარი საველე მასალების საფუძველზე. ამ მიზნით მან კავაკსიის სხვადასხვა კუთხეები სამგზის – 1883,1855 და 1887 წლებში მოინახულა.

პირველი მოგზაურობა, რომელიც მან იმ დროს უკვე ცნობილ მეცნიერთან ვსევოლოდ მილერთან ერთად განახორციელა, ძირითადად ოსეთის შესწავლას მიუძღვნა, თუმცა ვლადიკავკაზიდან მაინც მოახერხა ყაბარდოში ჩასვლა. საველე მუშაობასთან ერთად მან დიდი ყურადღება დაუთმო ვლადიკავკაზისა და ნალჩიკის სამართლებრივ უწყებათა არქივების შესწავლას. კოლევსკის მიერ აქ მოპოვებული მასალები საფუძვლად დაედო მეცნიერულ მოხსენებებს, წერილებსა და სტატიებს, საბოლოო ჯამში კი კაპიტალურ

---

[1] *М.М.Ковалевский.* Поземельные и сословные отношения у горцев Северного Кавказа. РМ, 12, 1883; *მისივე.* В горских обществах Кабарды. „Вестник Европы" (ВЕ), 4,1884; *მისივე.* Некоторые архаические черты семейного и наследственного права осетин. „Юридический вестник" (ЮВ), 6-7,1885; *მისივე.* У подошвы Эльбруса, ВЕ, 1-2,1886; *მისივე. В.Сванети, ВЕ,* 8-9, 1886; *მისივე.* Современный обычай и древный закон. Обычное право осетин в истории сравнительном освещении, тт 1-2, М., 1886; *მისივე.* Пшавы. Этнографический очерк, ЮВ, 2, 1888; *მისივე.* родовое устройство Дагестана, ЮВ, 12, 1888; *მისივე.* Дагестанская народная правда, ЭО, 1, 1890; *მისივე.* Поклонение предкам у кавказских народов, „Вестник всемирной истории", 3,1902; *მისივე.* Закон и обычай на Кавказе, тт. 1-2, М., 1890.

ორტომეულს ოსეთის ჩვეულებითი სამართლის პრობლემებზე (Некоторые арх..,ЮВ,6-7,1885; Обычн.пр.осетин.тт.1-2 1886).

1885 წლის მოგზაურობისას კოლევსკი მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ ი. ივანიუკოვთან, ცნობილ მუსიკოს ს. ტანეევთან და ფოტოგრაფ გ. ერმაკოვთან ერთად ძირითადად მუშაობდა სვანეთში, რომლის საფუძველზეც დაწერა (ივანიუკოვთან თანავტორობით) ორი სტატია „იალბუსის მისადგომებთან“ და „სვანეთში“ (У эльбр.,ВЕ,1-2,1886; В Сванети, ВЕ,8-9,1886).

მესამე კავკასიური ტურნე კოვალევსკისათვის ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა და ძირითადად ცენტრალური და აღმოსავლეთ კავკასიის რეგიონები მოიცვა. ამჯერადაც მას თან ახლდა ი. ხატისოვი, ხოლო ჯგუფს დახმარებას უწევდა თიანეთის მხარის უფროსი ლ. ჯანდიერი. კოვალევსკი და მისი ჯგუფი თვეზე მეტ ხანს მუშაობდა ხევსურეთში, ფშავში და თუშეთში, საიდანაც დაბრუნდა თბილისში. შემდეგ ჯგუფი გაემგზავრა საქართველოს ოლქში, აქედან კი გადავიდა დაღესტანში და მოინახულა ავარეთი, შემდეგ კი დარგოს, ყაზიყუმუხისა და ხაიდაყ–თაბასარანის ოლქები, დერბენტი, ბოლოს კი თათებით დასახლებული სოფელი ქ. ბაქოს მახლობლად.

მესამე მოგზაურობის შედეგებს მიეძღვნა რამდენიმე მოხსენება და სტატია, ხოლო საერთოდ კავკასიურ მასალებს, ასევე კაპიტალური ორტომეული – „კანონი და ზნე–ჩვეულებები კავკასიაში“ (Род.устр. Дагест., ЮВ,12,1888; Дагест.нар.., ЭО,1,1890; Закон и обычай..,тт.1-2,1890).

მაქსიმე კოვალევსკის პირველი შემაჯამებელი ორტომეული ოსეთის შესახებ მიძღვნილია ოსების ადათობრივი სამართლის შესწავლისადმი, რაც შეეხება ბოლო შემაჯამებელ ნაშრომს, მასში აღწერილია კავკასიის მთიელთა, უპირატესად კი დაღესტნის ხალხების მატრიარქატისა და პატრიარქალური გვარის გადმონაშთები.

ზოგადად კოვალევსკის ნაშრომთა ძირითად პრობლემებს წარმოადგენს კავკასიის მთიელთა გვაროვნული წყობის, კერძოდ მატრიარქატისა და პატრიარქატის გადმონაშთური ფორმების შესწავლა მიწაითმფლობელობის შესაბამისი ფორმების თავისებურებათა კვლევისა და ანალიზის შუქზე. ზემოთ აღნიშნულ ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გვარისა და გვაროვნული წყობის უნივერსალობის დასაბუთებას კავკასიის მაგალითზე. მკვლევარი დიდ ყურადღებას უთმობს მატრიარქატის, როგორც ისტორიული ეტაპის, აგრეთვე დიდი

ოჯახის ანუ პატრიარქალურ–საოჯახო თემის ცხოველმყოფელობის, მისი ისტორიული როლისა და მნიშვნელობის, და რაც მთავარია, კავკასიაში მთური ფეოდალიზმის თავისებურებათა გამოვლენასა და დადგენას.

მაქსიმე კოვალევსკის ნაშრომები კავკასიათმცოდნეობაში ავტორის დამოუკიდებელ ევოლუციონისტურ კონცეფციაზე დაფუძნებული პირველი გამოკვლევებია, რომლებიც უშუალოდ საველე-ეთნოლოგიური მასალების, საარქივო მონაცემებისა და ხელნაწერების გამოყენებითაა დაწერილი. ამასთან, კოვალევსკი მარტო მასალების შემკრებად და არქივარიუსად კი არა, არამედ ამ მონაცემების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანი თეორიული დებულებების ავტორადაც გვევლინება. განზოგადოებული მეცნიერული დასკვნები და შედეგები, მოხსენებებისა და პუბლიკაციების მეოხებით ავტორს შეჰყავს ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში.

მაქსიმე კოვალევსკის კავკასიათმცოდნეობით ნაშრომებს რიგი თეორიული ხასიათის უსუსტობანი და შეცდომებიც გააჩნდა. მისი ნაშორმების გაცნობისას ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება კავკასიაში გვაროვნული წყობილების ავტორის თანადროულად არსებობის შესახებ. მკვლევარს არა აქვს ხაზგასმული, რომ XIX საუკუნის ბოლოს გვაროვნული წყობილება კავკასიაში შორსწასული რღვევის პროცესს განიცდის და მხოლოდ გადმონაშთური ფორმის სახითაა შემონახული. აქედან მომდინარეობს მკვლევარის შემდგომი შეცდომებიც, კერძოდ დაღესტნური „თოხუმის“ ანუ გვარის შემადგენელი პატრონომიული ერთეულის აღიარება გვარად, მისი ფართო გაგებით, კავკასიის მთიელთა გვარის, თითქოსდა, ხელოვნური წარმომავლობა, მთური ფეოდალიზმის გარედან შემოსულა კავკასიაში და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა კოვალევსკის მეცნიერული მემკვიდრეობა კავკასიის ისტორიისა და ეთნოლოგიის განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპადაა მიჩნეული.

ადოლფ ბერჟე
1828-1896 წწ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის უცხოელ მკვლევართაგან აუცილებელია აღინიშნოს რუსეთის იმპერიის სამსახურში

მყოფი ფრანგული წარმოშობის მეცნიერი და მოგზაური *ადოლფ ბერჟე*,[1] რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის კავკასიის არქეოლოგიური კომისიის დაარსებაში, შემდეგ კი – 1964 წლიდან მის ხელმძღვანელობაში. მისივე რედაქტორობითა და რედაქციითაა გამოცემული ამ კომისიის საყოველთაოდ ცნობილი „აქტები" თერთმეტ ტომად, რომელშიც ამომწურავადაა ასახული იმ პერიოდისათვის კავკასიათმცოდნეობაში ჩატარებული თითქმის ყველა სამუშაო კავკასიის სიძველეთა გამოვლენის, შესწავლისა და დაცვის საქმეში.

ჯერ კიდევ 50-60-იან წლებში ბერჟე ხშირად მოგზაურობდა საქართველოში, სპარსეთსა და დაღესტანში და იმდროინდელი პრესის ფურცლებზე დაგვიტოვა დაღესტნის ხალხების, ჩაჩნებისა და კასპიისპირეთის მხარის საინტერესო ეთნოგრაფიული აღწერები. საქართველოში ბერჟეს ანალოგიური დაკვირვებები გააჩნია სამეგრელოს მოსახლეობის ყოფა–ცხოვრების შესახებაც (Прикасп.край, КК, 1857; Матер., КК, 1859).

ადოლფ ბერჟეს ეკუთვნის აგრეთვე შემაჯამებელი ნაშრომი კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიის შესახებ, რომელიც მან ორიენტალისტთა საერთაშორისო ყრილობის შრომათა პირველ ტომში დაბეჭდა (Этн.обозр.., СПб. 1879-1880). ბერჟე ერთერთი პირველია, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა თურქულ–მონღოლურ ტომებს კავკასიაში. ამ მხრივ იგი ერთად იხილავს ნოღაელების, ყარაჩაელების, ბალყარელებისა და ყუმუხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საინტერესო საკითხებს (Татарск.пл..,К,86 და შმდ. 1859).

ადოლფ ბერჟე ყურადღებას აქცევდა კავკასიაში მოღვაწე ადგილობრივ ავტორთა შრომების რედაქტირება–გამოცემის საქმესაც. მან ერთერთმა პირველმა ითაყა შორა ნოგმოვის

---

[1] *А.П.Берже.* О народных праздниках, постах и знаменательных днях у мусульман-шиитов вообще и у персидских в особенности, КК на 1856 год.; *მისივე.* При-Каспийский край, КК, на 1857 год; *მისივე.* Краткий обзор горских племен на Кавказе, КК на 1858 год; *მისივე.* Материалы для описания Нагорного Дагестана; с картой, КК на 1859 год; *მისივე.* Чечня и чеченцы, КК на 1860 год; *მისივე.* Краткий очерк путешествия по Дагестану, К, 1-3,1862; *მისივე.* Отрывок из путешествия по Мингрелии, К, 25, 1868; *მისივე.* Этнографическое обозрение Кавказа, „Труды 3 Международного съезда ориенталистов в С. Петербурге", 1. СПб., 1879/1880; *მისივე.* Выселение горцев с Кавказа, РС, 1,2,10, 1882; *მისივე.* Татарское племя на Кавказе, К, 86,87,89-91, 1859.

ჩანაწერების პუბლიკაცია, თარგმნა და 1861 წელს სრულად გამოსცა იგი რუსულ და გერმანულ ენებზე.

ნიკოლოზ დუბროვინი
1873-1904 წწ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის კავკასიათმცოდნეობაში განსაკუთრებული წვლილი მიძღვის რუს სამხედრო ისტორიკოსს, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს *ნიკოლოზ დუბროვინს.*[1]

XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში დუბროვინი მივლინებული იქნა კავკასიის მთავარ შტაბში სამხედრო-ისტორიული სამუშაოების ჩასატარებლად. ამასთან, კავკასიის მთავარმართებელმა მას დაავალა კავკასიის რუსეთთან შეერთების ისტორიის დაწერაც. ამ მიზნებიდან გამომდინარე დუბროვინის ნაშრომთა უმრავლესობა კავკასიაში ცარიზმის კოლონიური ადმინისტრაციის მიერ გაჩაღებულ დაპყრობით ომებს ეხება. მრავალმხრივი ფაქტობრივი მასალების შემცველი, მდიდარ საარქივო მონაცემებზე დაფუძნებული მონოგრაფიები, წერილები და სტატიები საყურადღებოა ეთნოლოგიური გამოკვლევების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ნ. დუბროვინის კაპიტალური ნაშრომი კავკასიაში რუსეთის ომებისა და მფლობელობის შესახებ (История..,тт.I-VI,СПб.18-18), რომლის ექვსტომეულის პირველ ტომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კავკასიის ხალხების ეთნოლოგიურ მიმოხილვას. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ავტორის მიერ 1871 წელს ცალკე გამოცემული მონოგრაფია *„კავკასია და იქ მოსახლე ხალხების ნარკვევები“* (Очерк..,кн.1-3,СПб.,1871), სამხედრო კრებულში გამოქვეყნებული ვრცელი წერილი ადიღეელების შესახებ და ა.შ.

ნარკვევების პირველ ორ წიგნში მოცემულია კავკასიის ხალხების სისტემატური და მრავალმხრივი აღწერა. კერძოდ, პირველ წიგნში დუბროვინი იძლევა ჩერქეზების (ადიღეელების), ყაბარდოელების, ნოღაელების, ოსების, ჩაჩნებისა და დაღესტნის ხალხების მიმოხილვას, მეორე წიგნი, კი აფხაზების,

---

[1] *Н.Ф.Дубровин.* История войны и владичества русских на Кавказе, тт. I-VI, СПб., 1876-1888; *მისივე.* Очерк Кавказа и народов его населяющих, 1. Кавказ, 2. Закавказье, 3. Библиографичсский указатель источников к двум первым книгам, СПб., 1871.

ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების აღწერას ეძღვნება. არსებითად კომპილიაციური ხასიათის ეს ნარკვევები, რომლებშიც სპეციალურ ლიტერატურასთან ერთად გამოყენებულია საარქივო მონაცემებიც, თანაბარი მეცნიერული ღირებულებისა არ გახლავთ. მიუხედავად ამისა, კავკასიის ხალხების ერთიანი ეთნოგრაფიული მიმოხილვა იმ პერიოდის რუსული კავკასიათმცოდნეობის უცილობელ მიღწევას წარმოადგენდა.

უაღრესად საინტერესოა ნარკვევების მესამე წიგნიც, რომელიც მთლიანად პირველი ორი ტომის ბიბლიოგრაფიულ საძიებელს წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საძიებელი აღჭურვილია ანოტაციებითა და ვრცელი შენიშვნებით, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დუბროვინის ეს ნაშრომიც ერთერთი პირველი ბიბლიოგრაფიული ლექსიკონია, სადაც გეოგრაფიულ სახელწოდებათა, ისტორიული სახელების, ისტორიულ-ქრონოლოგიური მონაცემების გვერდით მოცემულია საინტერესო ეთნოგრაფიული ჩანაწერებიც.

ნიკოლოზ დუბროვინის ამ ნაშრომებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ საარქივო-სამუზეუმო მონაცემებისა და სხვა ლიტერატურული წყაროების გათვალისწინებასთან ერთად, ხშირ შემთხვევაში ავტორის საკუთარი დაკვირვების შედეგად იქმნებოდა და იწერებოდა, კავკასიის მთიელთა საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, სოციალური ორგანიზაციის შესწავლისას არაერთხელ იყენებდნენ და ეყრდნობოდნენ ცნობილი მკვლევარები ვეიდენბაუმი, კოვალევსკი, ბერჟე და სხვები.

რიხარდ ერკერტი
1830-1900 წწ.

კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიულ აღწერას ასეთივე განმაზოგადოებელი ნაშრომი - *„კავკასია და მისი ხალხები“*, მიუძღვნა პრუსიელმა მკვლევარმა, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტმა *რიხარდ ერკერტმაც.*[1] ეთნოგრაფიულ ჩანაწერებთან ერთად კავკასიაში მას ანტროპოლოგიური დაკვირვებებიც უწარმოებია, თუმცა ერკერტის მთავარ ინტერესს

---

[1] *R.Ercert.* Der Caucasus and seine Völker, Lpz.,1887; *მისივე.* Sprachen des caucasischen Stanmes, Bd., 1-2,W.,1895; *მისივე. Р.Ф.Эркерт (фон),* Антропологические измерения кавказских народов и описание измерении субъуктов, ИКОИРГО, VIII, 1873.

ენათმეცნიერების საფერო წარმოადგენდა. მისი მთავარი შრომა ლინგვისტიკაში - *„კავკასიური ძირის ენები“*, გამოცემულია ორ ტომად, რომლებშიც ხუთასზე მეტი სიტყვა თითქმის ყველა კავკასიური ენების პარალელებს მოიცავს. ამასთან ერთად, ერკერტი იძლევა ფრაზეოლოგიურ ანალიზს და კავკასიის ხალხთა ენების მოკლე გრამატიკულ მიმოხილვასაც.

საქართველოს, კერძოდ სვანეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ საინტერესო ნაშრომები ეკუთვნით *კორნელი ბოროზდინსა* და *ალექსანდრე სტოიანოვს.*

კორნელი ბოროზდინი
1828-1996 წწ.

კორნელი ბოროზდინმა[1] 14 წელი დაჰყო სამეგრელოში, სადაც იგი ჯერ აღმზრდელად მუშაობდა სამეგრელოს მთავრის დადიანის კარზე, ხოლო შემდეგ ეკატერინე დადიანის მდივანი გახდა. 1866 წელს გამოვიდა ბოროზდინის პირველი ნაშრომი *„ბატონყმობის მდგომარეობა სამეგრელოში“*, ხოლო 1885 წელს – *„ამიერკავკასიის მოგონებანი“* სვანეთისა და სამეგრელოს შესახებ, რომლებშიც ისტორიული, ეკონომიკური, იურიდიული და ეთნოგრაფიული ხასიათის მეტად საყურადღებო ცნობებს ეხედებით. ბოროზდინს ეკუთვნის აგრეთვე საინტერესო ჩანაწერები ამიერკავკასიაში ამქრობის ინსტიტუტისა და მისი ორგანიზაციის შესახებაც.

ალექსანდრე სტოიანოვი
1841-1914 წწ.

ალექსანდრე სტოიანოვმა[2] წლების განმავლობაში ქუთაისსა და ბათუმში აღმზრდელ–პედაგოგად და გიმნაზიის დირექტორად მუშაობის პროცესში მოინახულა სვანეთი და აქ

---

[1] *К.А.Бороздин.* Крепостное состояние в Мингрелии, ЗКОИРГО, VIII, 1873; *მისივე.* Закавказские воспоминания. Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 год, СПб., 1885; *მისივე.* Об амкарствах в Закавказье ИКОИРГО, X, 2, 1882.

[2] *А.И.Стоянов.* Путешествие по Сванети, ЗКОИРГО, X, 2, 1880; *მისივე.* Народные предания и пословицы в Сванети, СМОМПК, 10, 1890.

მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მიუძღვნა მეტად საინტერესო წერილი. სვანთა საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის რიგ საკითხებთან ერთად, სტოიანოვს აღწერილი აქვს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა–ცხოვრების სხვა მხარეებიც. მან ერთერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება სვანური ზეპირსიტყვიერების ძეგლებსაც.

ევგენი ვეიდენბაუმი
1845-1918 წწ.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური წყაროთმცოდნეობა მნიშვნელოვნად გაამდიდრა გამოჩენილი კავკასიოლოგის *ევგენი ვეიდენბაუმის*[1] ნაშრომებმა.

კავკასიაში ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში ვეიდენბაუმი უშუალოდ გაეცნო კავკასიის მთიელთა ყოფას და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებისა და ხალხების ისტორიის, ეთნოლოგიის, ბიბლიოგრაფიისა და არქეოგრაფიის პრობლემებზე მრავალი წერილი, სტატია და გამოკვლევა გამოაქვეყნა.

იმ პერიოდის ეთნოლოგიურ გამოკვლევათა შორის სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს ვეიდენბაუმის ნარკვევები წმინდა ხეებისა და ხეივნების კულტისა და თაყვანისცემის შესახებ. რომელთა პირველი და სერიოზული კვლევა ზემოთალნიშნულ უცხოელ მკვლევართა ფრაგმენტული ცნობების შემდეგ ფაქტობრივად მის დამსახურებას წარმოადგენს (О свящ.дереве, ИКОИРГО, VII,1873; Свящ.рощи,Тифл., 1888). ასევე საინტერესოა ვეიდენბაუმის ნარკვევები ეთნოარქეოლოგიის პრობლემებზე, რაც კავკასიაში ქვისა და ლითონის ნაკეთობისა და დარაბ-ხელსაწყოების გამოყენებას ეხება (Заметки..,ИКОИРГО,IV,3-5, 1876), ნაშრომი კავკასიის ძველი ეთნოგრაფიის ჭრილში განხილული ამაზონკების ცნობილ თემატიკაზე (Кавк.амоз.,Тфл.,1901) და ა.შ. მოგზაურ-მკვლევარის დაკვირვებანი

---

[1] *Е.Г.Вейденбаум.* О священном дереве „Сегут", ИКОИРГО, VII, 1873; *მისივე.* Священные рощи и деревья у кавказских народов. Тифлис, 1888; *მისივე.* Заметки об употреблении камня и металов у кавказских народов. ИКОИРГО, IV, 3,5,1876; *მისივე.* Кавказские амазонки (материалы для древней этнографии Кавказа), „Знание", №9-10, 1872; *მისივე.* По поводу черкесов в Дагестане, ТВ, 246, 1876; *მისივე.* Кавказские этюды. Исследования и заметки. Тифлис, 1901; *მისივე.* Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888; *მისივე.* От Батума до Артвина, Кавказ, 6-10, 1879.

და სათანადო ჩანაწერებია შესული გზამკვლევსა და წერილში, რომელიც ბათუმიდან ართვინამდე მოგზაურობისას ჩაუწერია ვეიდენბაუმს (От Батума..,К,6-10,1879).

და ბოლოს, ზემოთაღნიშნული წერილები, ჩანაწერები და დაკვირვებები დაედო საფუძვლად ვეიდენბაუმის „კავკასიურ ეტიუდებს" (Кавк.этюд..,Тфл.,1901), რომელიც კავკასიის მთიელთა შესახებ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სერიოზულ ეთნოლოგიურ ნარკვევს წარმოადგენს. შეუძლებელია არ აღინიშნოს ვეიდენბაუმის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ერთი თავისებურებაც. მართალია, მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები არ იყო მიძღვნილი კავკასიის ცალკე აღებული რომელიმე ხალხისადმი, მაგრამ ავტორის მიერ მოტანილი მეტად საინტერესო მონაცემები ცალკეული ეთნოგრაფიული სიუჟეტებისა და თემების მიხედვით განზოგადებულია ზოგადკავკასიური და ზოგადეთნოგრაფიული თვალთახედვის შუქზე. კელეევის ასეთი მიმართულება, იმ პერიოდში მოღვაწე ავტორთა ჯერ კიდევ დესკრიფციულ ნაშრომთაგან განსხვავებით, თეორიული ანალიზისა და განზოგადოების შემოტანის ერთერთ პირველ ცდას, შესაბამისად კი, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

კარლ ჰანი
1848-1925 წწ.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისს ემოხვევა ცნობილი გერმანელი მეცნიერის *კარლ ჰანის*[1] კავკასიოლოგიური ნაშრომები, რომლებიც ლიტერატურულ მონაცემებთან ერთად უშუალოდ ავტორის მიერ შეკრებილ ეთნოლოგიურ მასალებზეა აგებული. ჰანის ნაშრომთა წყაროთმცოდნეობით ღირებულებას სრდის გერმანელი მეცნიერის თბილისური მოღვაწეობის პერიოდი, სადაც იგი ჯერ ტიუბინგენის უნივერსიტეტში სწავლის, ხოლო შემდეგ ოდესის

[1] *Hahn C.* Die Vorstellungen der Swanlten von dem Leben nach dem Tode, Ausland, 65, 1892; *მისივე.* Bilder Aus dem Kaukasus. Neue Studien zur kenntis Kaukasiens, Leipzig, 1900; *მისივე.* Neue Kaukasische Reisen und Studien. Reisen nach Mingrelien, Samurzakan und Abchazien. Leipzig, 1911; *მისივე.* Нечто об одежде и религии Хевсур, Кавказ, 166, 1898; *მისივე.* Поездка в Мингрелию, Самурзакан и Абхазию (летом 1900г.), КВ, 4,5, 1902; *მისივე.* Путешествие в Кахетию и Дагестан летом 1898 г., СМОМПК, 31, 1902; *მისივე.* Поездка к верховьям Большой Лиахвы и Ксани летом 1903г., СМОМПК, 35, 1905.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გადმოსახლდა. სხვადასხვა დროს იგი იყო თბილისის ვაჟთა I და ქალთა I გიმნაზიების დირექტორი, გერმანული, ლათინური და ბერძნული ენების მასწავლებელი. თავისუფალ დროს ჰანი მოგზაურობდა საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში, კერძოდ, ხევსურეთში, კახეთში, დაღესტანში, სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში, რომელთა შესახებაც დაგვიტოვა საინტერესო ეთნოგრაფიული ჩანაწერები (Поездка..,КВ,4-5,1902; Путешеств.,, СМОМПК,91,1902;35,1905).

ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების სხვადასხვა ასპექტების გაშუქებისას ჰანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლიფანალის დღესასწაულის აღწერას სვანეთში, სადაც მას შესწავლილი და გაანალიზებული აქვს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რელიგიური რიტუალებისა და ცერემონიალების მეტად რთული კომპლექსი. იგი დაწერილებით ეხება მიცვალებულის სულის მოგზაურობას საიქიოში, ცოდვა-მადლის შეფასების კომპონენტებს, განსაკუთრებით კი სააქაოს სულის მოსახსენიებელი სუფრის მრავალფეროვან რიტუალებს, რომელშიც მკაცრი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი სააქაოს ჭირისუფალთა ვალდებულებები მიცვალებულის მიმართ (Die Vorst.,Ausl..,65,1892). ჰანი კარგად ამჩნევს ხევსურთა განსხვავებულ შეხედულებებს სამყაროს აგებულების შესახებ და სამოთხის თეთრი ციხე-კოშკი, განსაკუთრებით კი ცათამწვდომი ალვის ხე ზესკნელის, შუა და ქვესკნელის სიცოცხლის ხედ, ან კიდევ სამყაროს ამ სამივე დონის გამაერთიანებელ ღერძად მიაჩნია (Bild..,Lpz.,1900$Herto..,K.166, 1898).

კარლ ჰანის სხვა ეთნოლოგიური მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია კავკასიური გეოგრაფიული სახელწოდებების ახსნა-განმარტებები, თარგმანები და ბიბლიოგრაფიული ნაშრომები და ა.შ.

გრიგოლ ჩურსინი
1874-1930 წწ.

XX საუკუნის პირველივე წლებიდან გამოვიდა სამეცნიერო ასპარეზზე ცნობილი რუსი, შემდეგ კი საბჭოთა ეთნოგრაფი *გრიგოლ ჩურსინი*,[1] რომელმაც

---

[1] *Г.Ф.Чурсин.* Культ железа на Кавказе, К,173,1901; *მისივე.* Культ мертвых на Кавказе, К, 97,1901; *მისივე.* Почитание огня на Кавказе, К, 121,1902; *მისივე.*

კავკასიათმცოდნეობითი ლიტერატურა მრავალი საყურადღებო ეთნოგრაფიული ნარკვევით გაამდიდრა. 1894 წელს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩურსინმა არაერთი ექსპედიცია ჩაატარა კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში და შეაგროვა საყურადღებო მასალები.

აღნიშნული მასალების საფუძველზეა დაწერილი ჩურსინის ცნობილი ნარკვევები რკინისა და მიცვალებულის კულტების შესახებ კავკასიაში (Культ.жел., К, 173, 1901; Культ.мертв., К, 97 1901), ცეცხლთაყვანისმცემლობა და წმინდა ხეების კულტი (Почит.огня.., К, 121,1902; Почит.дер..,К,5,1903), საქორწინო წეს-ჩვეულებები კავკასიაში (Свадебн..,К,2,1902) და ა.შ. კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის ზოგად მიმოხილვას მიუძღვნა ჩურსინმა, აგრეთვე, ცალკე მონოგრაფიად გამოცემული შემაჯამებელი ნარკვევიც (Очерки..,Тифл.,1913).

გრიგოლ ჩურსინი იყო ახალი პერიოდის კავკასიათმცოდნეობით ეთნოგრაფიაში რეგიონალური ეთნოგრაფიული კვლევების ერთერთი პირველი ინიციატორიც. კერძოდ, მის კალამს ეკუთვნის საქართველოსა და კავკასიის ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ოლქებსა და პროვინციებზე გამოქვეყნებული ნაშრომები და წერილები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ეთნოგრაფიული წერილები და ნარკვევები ყარაჩაელებზე, დაღესტნის ხალხებზე, ოსებზე, აზერბაიჯანელებსა და სომხებზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან კი – კახეთზე, თუშეთზე, აჭარაზე, აფხაზეთსა და ა.შ. (Нар. обычаи..,ЗКОИРГО, XXV,1906).

Почитание деревьев на Кавказе, К, (Иллюстрированное приложение), 5,1903; *მისივე.* Свадебные обычай и обряды на Кавказе, К, 2,1902; *მისივე.* Очерки по этнологии Кавказа, Тифлис, 1913; *მისივე.* Народные обычай и верования в Кахети, ЗИКОИРГО, XXV, 1906,2; *მისივე.* этнографические заметки о Карачае, К, 305,306,1900; *მისივე.* Музыка и танцы у карачаевцев, К, 270,1901; *მისივე.* Свадьба у тушин. К, 202,1904; *მისივე.* Поездка в Карачай, ИКОРГО, 23,3,1915; *მისივე.* Осетины. Этнографический очерк, Тифлис,1925; *მისივე.* Азербайджанские курды (Этнографические заметки), „Известия Кавказского историко-архивного института в Тифлисе" (ИКИАИТ), 3, 1925; *მისივე.* Талыши. Этнографические заметки, ИКИАИТ, 4,1926; *მისივე.* Армяне Зангезура, Тифлис, 1931; *მისივე.* Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957; *მისივე.* Этнографические картинки. Суеверия относительно волков. К, 328, 1903; *მისივე.* ბახმარო, 1901; *მისივე.* მახინჯაური 1902 და სხვ. *გ.ჩურსინი, ალაისტერი.* კავკასიის გეოგრაფია, ტფ., 1924, *მათივე,* ამიერკავკასიის გეოგრაფია, ტფ., 1929.

გრიგოლ ჩურსინს ეკუთვნის ა. ლიაისტერთან ერთად გამოქვეყნებული გეოგრაფიული ხასიათის მონოგრაფიები, სადაც ცალკე ადგილი ეთმობა კავკასიის ხალხთა განმაზოგადებელ ეთნოგრაფიულ ნარკვევებს (კავკასიის გეოგრ., ტფ. 1924; ამიერკავკ. გეოგრ., ტფ., 1929).

სამწუხაროდ, ჩურსინის ეთნოლოგიური მემკვიდრეობის მრავალფეროვნებისა და მრავალმხრივობის მიუხედავად, მისი ნაშრომები ხშირად მხოლოდ ეთნოგრაფიული ფაქტების კონსტანტაციითაა შემოფარგლული და იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი თეორიული ანალიზისა და განზოგადოების პრეტენზია არ გააჩნიათ.

Вахтанг Шамиладзе

ЭТНОЛОГИЧЕСКИЕ СВЕДЕНИЯ ГРУЗИНСКИХ И ЗАРУБЕЖНЫХ ПУТЕШЕСТВЕННИКОВ-ИССЛЕДОВАТЕЛЕЙ О НАРОДАХ КАВКАЗА

Резюме

В монографии рассмотрены сведения грузинских и зарубежных путешественников-исследователей об этнологии кавказских народов с древнейших времен вплоть до конца XIX века. Автор обозревает ассирийско-урартские источники и сведения из Библии, записи путешественников-исследователей античной и византийской эпохи, труды авторов ранне - и среднефеодального периодов и Возрождения. Особое внимание уделено сведениям путешественников-исследователей XVII-XIX веков, которые отражают включение кавказа в глобальные процессы "восточной дипломатии" и усиление заинтересованности ведуших европейских держав и российской империи этим регионом с целию завоевания торгово-экономических и политических влияний. В этом же контексте представлены этнологические данные тех многочисленных источников и отдельных авторов, которые служили окончательному утверждению российского колониального режима на Кавказе.

Данные древнейшего периода являются уникальным источником в преистории и этнологии кавказских народов. Если отражающие военные походы ассирийско-урартские источники касаются в основном закавказских народов и так или иначе знакомят с ними древнейший цивилизованный мир Передней Азии, то в записях античных и византийских авторов Кавказ занимает одно из самых значительных мест среди "варварских" народов, окружающих античный мир. Сведения античных авторов становятся особенно многообразными с VIII-VI веков до н.э., когда

Кавказ превращается в значительный очаг расселения греко-римских колоний. В сочинениях Геродота, Ксенофонта, Страбона и других авторов античности собраны ценнейшие сведения об этногенезе и этнической истории, ареале расселения, хозяйственной деятельности, материальной и духовной культуре, а также о характерных особенностях социальных институтов народов Закавказья и Северного Кавказа. В источниках этой категории особую ценность представляют данные об этно-культурных взаимоотношениях кавказских народов с цивилизованным миром Средиземноморья и Передней Азии. Несколько позднее византийские путешественники-исследователи продолжают традиции своих предшественников и, описывая и фиксируя иссторико-этнологические сведения о кавказских народах, еще более рашсириают этнологическую базу данных о них.

В работе значительное место занимают фрагментарные сведения путешественников-исследователей ранне - и среднефеодального периодов, в частности, описания деятельности первых христианских миссионеров в кавказском регионе. В противовес этому, в период завоевании Кавказа арабским халифатом, видные арабские географы и историки оставили фундаментальные описания кавказских народов. В работу также включены сведения тех европейских миссионеров и путешественников-исследователей, которые эпизодически посещали Кавказ в поисках торговых путей в страны Ближнего и Дальнего Востока. К сожалению, эти попитки европейских государств надолго были приостановлены с выходом монгольских орд на мировую арену, когда Кавказ в течение многих и многих лет становится целью их опустошительных набегов. Тут же следует отметить особую роль тех путешественников-исследователей и дипломатических миссий, которые в этот тяжелейший для Кавказа период оставили отрывочые, поверхностые сведения об этнологии кавказских народов.

Заинтересованность европейских государств ведущим в Китай и Индию т.н. шелковым путем, получила особый стимул в эпоху великих географических открытий. Богатейшие историко-этнологические и географические сведения путешественников-исследователей этого периода являются неоценимым источником для этнологического исследование кавказских народов.

В работе показана целая плеяда путешественников-исследователей этого длительного и значительного периода, охватывающего среднефеодальную эпоху, трудами которых цивилизованная Европа нового времени впервые ознакомилась с закавказскими народами. С этого времени начинается особая заинтересованность европейских государств кавказскими странами и народами, что в дальнейшем обусловило постоянное русско-европейское соперничество в этом регионе и определило характер и направленность источников этого периода. В связи с этим, нельзя не отметить деятельность итальянских колонистов кавказского Причерноморья нового периода и дипломатических корпусов европейских государств, их представителей, различных эмиссаров научного и специального назначения, деятельность христианских миссионеров позднего периода.

Естественно, особый ряд источников составляют связанные с захватом Кавказа донесения специальных экспедиций царской администрации и командированных на Кавказ отдельных ученых-исследователей. В работе особое место занимают мероприятия, предпринятые с целью окончательного утверждения на Кавказе царстского управленческого аппарата, как-то хозяйственно-статистические описания, культурно-просветительная деятельность, саязанная на Кавказе, в частности, в Тбилиси, с учереждением императорских научных обществ, многопрофильного Кавказского музея, широкой сети прессы и периодики. Благадаря неустанному труду занятых именно в этой сфере ученых-исследователей и чиновников осуществилось детальное описание кавказских стран и народов. В многотомниках этих материалов и результатов исследований участвовали многочисленные русские, поступившие на русскую службу иностраные и кавказские ученые-исследователи, собраны всеобъемлющие этнологические сведения о быте и культуре о некоторых до тех пор малоизвестных племенах и народах Кавказа.

Следует отдельно отметить известных европейских ученых, иногда волее и неволее вовлеченных водоворот российской и европейской колониальной политики, труды которых сыграли значительную роль в постановке на научные рельсы изучения обшественного бытия и социальной организации кавказских народов.

Из источников этнологического характера в работе особое место занимают собственно кавказские источники и

работы местных авторов, в числе которых из ранного периода выделены труды грузинских и армянских историков и грузино-армянские хроники и летописи, а из позднейшего периода - первые национальные ученые-исследователи кавказских народов, историко-этнологические записи и труды которых выделяются глубоким знанием истории, быта и культуры собственных народов.

Наконец, в работе повествование о био-библиографических данных развертывается на фоне развития исторических процессов, протекаюших в данном периоде на Кавказе.

Монография рассчитана учебним пособием для студентов и аспирантов обшествоведческих факультетов и для лиц, заинтересованных вопросами истории и этнологии Грузии и Кавказа.

Vakhtang M. Shamiladze

ETHNOLOGICAL DATA OF GEORGIAN AND FOREIGN TRAVELERS-RESEARCHERS ABOUT PEOPLES OF THE CAUCASUS

Annotation

The monograph deals with the notes of Georgian and foreign travelers-researchers about ethnology of peoples of the Caucasus from times immemorial to the end of XIX century. The author reviews Assyrian-Urartu sources and biblical data, records of Antique and Byzantine travelers and researchers, sources of authors of early and middle-feudal era and epoch of Renaissance. Special emphasizes is made on the data of travelers-researchers of XVII-XIX centuries, which express the inclusion of the Caucasus into global process of "Oriental Diplomacy" and the increased interest of leading states of Europe an Russian empire towards the region with the view of securing trade-economic and political influences there. Ethnological data of multiple sources and certain authors, who served to a deed of final settling of Russian colonial regime in the Caucasus are presented in the same context.

The data of ancient period are unique sources for the earliest history and ethnology of the Caucasian peoples. While Assyrian-Urartu sources depicting military operations refer mainly the peoples of Transcaucasia and more or less make us familiar with the ancient civilized world of Asia Minor, the records of Antique and Byzantine authors assign to the Caucasus one of the central places among the regions of "vandals" neighboring the Antique world. The data of Antique authors become especially diverse from VIII-VI B.C., when the Caucasus becomes the important center of dislocation of new Roman settlements. In the works of Herodotus, Xenofontes, Strabo and other authors most precious data are accumulated about ethnic genesis and ethnic history, area of dislocation,

economic activity, material and spiritual culture, and peculiarities inherent to social institutions of the peoples living on the south and north slopes of the Great Caucasus. In the sources of this category especially precious are the themes describing ethnic-cultural relations of the peoples of the Caucasus with the Asia Minor and Mediterranean civilized world. Somewhat later Byzantine travelers-researchers continue traditions of their fore-runners and by description and fixation of historical-ethnographic data of the Caucasian peoples still more enrich the ethnologic knowledge about them.

The work assigns a rather important place to the fragmental data of travelers-researchers of early and middle-feudal era, and namely to the activity of early Christian missioners in the region of the Caucasus. The situation changes markedly during expansion of Arab caliphates in the Caucasus, which was accompanied by fundamental descriptions about the peoples of the Caucasus made by Arab geographers and historians. Alongside with it, the work tells about episodic visits of missioners and travelers-researchers to the Caucasus, which were connected with the interest of European states in the search of trade-caravan roads passing through Asia Minor and Far East countries. Unfortunately this great initiative of European countries was stopped for a long period as a result of appearance of tribes of Mongols and Tamerlane, when the Caucasus became the arena of those foreign conquerors. The specific role and place of those travelers-researchers and now already of diplomatic missions in such heavy period for the Caucasian peoples which remained in history in the form of records about ethnology should be emphasized.

Interest to the so called Silk Road leading to China and India, among the European countries became a new stimulus in the epoch of great geographical exposures and in the epoch of Renaissance. The richest historical-ethnologic and geographical

corps of travelers and researchers of that period is a precious source for the ethnological study of the peoples of the Caucasus.

The work describes a whole plead of travelers-researchers of this long and especially important middle era and Renaissance epoch, whose descriptions and works were the sources which helped the civilized Europe to get information about peoples of the Caucasus. It was from this time that European states reveal special interest towards the countries and peoples of the Caucasus, which later became an arena of constant rivalry of Russia and Europe in this region, which to the certain extent determined the nature and direction of the sources of that period. In this connection, we can not avoid mentioning the activity of Italian colonists and diplomatic corps of European countries, their representatives, different scientific and special designation ambassadors, Christian missioners of the late period in the black sea region of the Caucasus. Naturally, special expeditions and missions of certain scientists-researchers of Russian tsarist administration to the Caucasus, which ere connected with Caucasian expansion belong to the specific kind of sources.

Special place is dedicated to the measures carried out by tsarist office apparatus with the view of final settling in the Caucasus – economic-statistical reviews, cultural-educational activity connected with the formation in the Caucasus, and namely in Tbilisi, of a wide system of Emperor's scientific societies, multi-profile Caucasian museum, press and journals. Namely it was as a result of especially hard efforts of the scientists and researcher and administration officers employed in those spheres that detailed description of Caucasian countries and peoples were accomplished. Multi-volume works dedicated to the materials and the results of studies, which were compiled and elaborated at the participation of many Russians and foreigners working in Russian institutions and the Caucasian scientists-researchers include thorough ethnologic information

about the life mode and culture of the tribes and peoples of the Caucasus unknown up to that time.

Scientists of European significance, who were drawn to the colonial policy of Russian and Europe, sometimes without their awareness, whose works are attributed special significance for launching a matter of search and research of social life and social organization of the Caucasian peoples on the rails of scientific principles should be emphasized specifically.

Among the sources of ethnologic nature, special place in the work is devoted to the Caucasian sources and local authors. With this in view Armenian and Georgian historians, Georgian-Armenian chronicles and annals of the epochal significance are selected from the early period. From the later period the first national scientists and researchers of the Caucasian peoples are chosen, whose records and works of historical-ethnological nature with the view of a level of knowledge of the history of their own people and ethnological problems, their capacity to reach the essence and reliability have no example.

And to finish with, narration about the bio-bibliographic data is given at the background of the progress of historical processes going on in the Caucasus of that period.

The book is designed as a subsidiary handbook for the students and post-graduate students of the departments of social sciences of the State University and generally for the persons interested in the science of sources of ethnology of Georgia and the Caucasus.

შემოკლებათა ახსნა

АБКИЕА – В.К.Гарданов. Адыги, балькарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., Нальчик, 1976
АКАК – Акты кавказской археологической коммиссии
ВДИ – Вестник древней истории
ВЕ – Вестник Европы
ДЕМ – Сборник материалов по этнографии, издаваемый при Дашковском этнографическом музее
ЕПК (XIII-XVIII вв.) – М.А.Полиевктов. Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935
ЗВ – Закавказский вестник
ЗИРГО – Записки Императорского русского географического общества
ЗКОИРГО – Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества
ЗКОСХ – Записки Кавказского общества сельского хозяйства
ИКИАИТ – Известия Кавказского историко-архивного института в Тифлисе
К – Кавказ
КК – Кавказский календарь
КО – Кавказское обозрение
КС – Кавказская старина
КСб – Кавказский сборник
КСХ – Кавказское сельское хозяйство
КЭС – Кавказский этнографический сборник
МИЭБГКЗК – Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
МИЭКРН – Материалы по истории этнографии Кавказа в русской науке
МОПСВК – Материалы по обычному праву Северного и Восточного Кавказа
МУКЛЗПИСК – Материалы для устройства казенных летних и зимних пастбищ и для изучения скотоводства на Кавказе
НЕС – Новые ежемесячные сочинения
НО – Новое обозрение
ОЗ – Отечественные записки
РВ – Русский вестник
РМ – Русская мысль
РС – Русская страна

СМИЭБГКЗК – Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края
СКОСХ – Сборник Кавказского общества сельского хозяйства
СМОМПК – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа
ССКГ – Сборник сведении о кавказских горцах
ТВ – Тифлисские ведомости
ТВОИАО – Труды восточного отдела Императорского археологического общества
ТКОСХ – Труды Кавказского общества сельского хозяйства
УКН – Г.А.Меликишвили. Урартские клинообразные надписи, М., 1960
ХВ – Христианский Восток
ЦГВИА – Центральный государственный военно-исторический архив
ЮВ – Юридический вестник
BG – De Bello Gothico
BP – De Bello Persico
BV – De Bello Vandalico
DA – De Aedificilis
HGM – Dindorfius Ludovicus. Historici Great Minores, V, II, Lipsae, 1871
HN – Historia Naturalies
OD – Orbis Descriptio
მოქც.ქ. – მოქცევაი ქართლისაი
ქც. - ქართლის ცხოვრება

ავტორთა და წყაროების საძიებელი

ასურულ-ურარტული წყაროები, ბიბლიური მონაცემები. ძვ.წ. XII-XVIII სს., 16-21
ჰეკატე მილეთელი, ძვ.წ. VI-V სს., 21
ფსევდო სკილაქს კარიანდელი, ძვ.წ. 521-485 წწ., 21-22
ჰეროდოტე ჰალიკარნასელი, ძვ.წ. 484-406 წწ., 22-24
ჰიპოკრატე, ძვ.წ. 460-337 წწ., 24-25
ქსენოფონტე, ძვ.წ. 445-355 წწ., 25-27
კალიმაქსი, დაახლ. ძვ.წ. 300-240 წწ., 27
სტრაბონი, ძვ.წ. 64/63-ახ.წ. 23/24 წწ., 28-31
აპოლონიოს როდოსელი, ძვ.წ. III ს., 31-35
ფლავიუს არიანე, 90/95-175 წწ., 35-37
პლინიუს სეკუნდი, 23-79 წწ., 37-39
დიონისიოს პერიეგეტი, II ს. დაახლ. 124 წ., 39-40
კლავდიოს პტოლემაიოსი, გარდ.დაახლ. 168 წ., 41-42
ამიანე მარცელინი, V ს., 42-43
პროკოპი კესარიელი, VI ს., 44-45
აგათია სქოლასტიკოსი, 536-582 წწ., 45-46
მასუდი, გარდ. 956 წ., 51
ალ-მუკადასი, დაიბ. 947/948 წ., 52-53
ალ-ისთახრი, XI ს. I ნახევარი, 53-55
იბნ-ჰაუკალი, X ს. II ნახევარი, 55-57
აგათანგელოსი, IV ს. II ნახევარი, 57-58
მოვსეს კალანკაუტაცი, X ს., 58-59
მხითარ გოში, XII ს. I ნახ. XIII ს. დასაწყისი, 59-60
აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V-XIII სს., 60
მოქცევაი ქართლისაი, VII-IX სს., 60-61
ქართლის ცხოვრება, VII-XII სს., 61-62
ლეონტი მროველი, XI ს., 62-66
დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, XII ს., 66-67
ალ-იაკუთი, 1178/9-1229 წწ., 70-71
ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინი, დაიბ. 1281/2 წ., 71-72
ზაქარია ალ-ყაზვინი, დაიბ. 1203 წ., 72-73
რაშიდ-ად-დინი, 1247-1318 წწ., 73-74
იბნ-ბატუტა, 1304-1377 წწ., 74-75
იბნ-ჰალდუნი, 1332-1406 წწ., 74-75
ალ-უმარი, 1301-1349 წწ., 75
ალ-მუჰიბბი, გარდ. 1384 წ., 75
ალ-კაშკანდი, 1355-1418 წწ., 75

პლანო კარპინი, 1182-1252 წწ., 77
რუბრუკვისი, 1215/20-1293 წწ., 77-78
მარკო პოლო, დაახლ. 1254-1324 წწ., 78-79
იოჰან შილტბერგერი, 1381-1440 წწ., 82-83
რუი გონსალეს დე კლავიხიო, გარდ. 1412 წ., 83-84
ათანასე ნიკიტინი, გარდ. 1472 წ., 84
ჯოსაფატ ბარბარო, 1413-1493 წწ., 85-86
ამბროსიო კონტარინი, XV ს., 86-87
პიედრო დელლა ვალე, 1586-1652 წწ., 87-88
ჯორჯიო ინტერიანო, XV-XVI ს. დასაწყისი, 88-89
ემილიო დორტელი დ'ასკოლი, XVI ს. ბოლო – XVII ს., 93-94
ჯიოვანი ლუკა, XVI ს., 94-95
ენგელბერტ კემპფერი, 1651-1716 წწ., 96
ანტონ (კლაუდიო) ფერანი, 1605-11689 წწ., 96
არქანჯელო ლამბერტი, XVII ს., 96-98
ქრისტოფორე კასტელი, XVII ს. I ნახევარი, 98-100
ჟან ბაპტისტ ტავერნიე, 1605-1689 წწ., 100
ადამ ოლეარიუსი, 1600-1671 წწ., 101
ჟოსეფ-პიტონ დე ტურნიფორი, 1656-1708 წწ., 101-103
ჰასან რუმლუ, დაიბ. 1531/32 წ., 104
ისქენდერ მუნში, 1560/61-1634 წწ., 104-105
იბრაჰიმ ფეჩევი, 1574-1651 წწ., 105
მუსტაფა ნაიმა, 1655-1716 წწ., 105-106
მეჰმედ რაშიდი, გარდ. 1735 წწ., 106
ქათიბ ჩელები, 1609-1657 წწ., 107-108
ევლია ჩელები, 1611-1682/83 წწ., 108-110
აბრი დე ლა მოტრე, 1674-1743 წწ., 111
ნიკოლას ვიტსენი, 1670-XVIII ს. დასაწყისი, 111
ქსავერიო გლავანი, XVIII ს., 112-113
კარლ პეისონელი, 1727-1790 წწ., 113-114
იაკობ რეინეგსი, 1744-1793 წწ., 114-115
იან პოტოცკი, 1761-1815 წწ., 116
თეოდორე ელჩინი, XVII ს., 117
პაველ ზახარიევი, XVII ს., 117
ნიკიფორე ტოლოჩანოვი, XVII ს., 118-119
ალექსი ივლევი, XVII ს., 118-119
ეფიმ მიშეცკი, XVII ს., 118
ივანე კლიუჩაროვი, XVII ს., 118
ვასილ გაგარა, XVII ს., 119
მიხეილ ტიხონოვი, XVII-XVIII ს. დასაწყისი, 120

სამუელ გმელინი, 1744-1774 წწ., 122
იოჰან გიულდენშტედტი, 1741-1781 წწ., 122-123
პეტრე პალასი, 1741-1811 წწ., 123-124
გოტლიბ შობერი, 1670-1739 წწ., 125
იოჰან გერბერი, გარდ. 1734 წ., 125-126
არტემ ჟოლინსკი, 1689-1740 წწ., 126
იოჰან ლერხი, 1703-1780 წწ., 126-127
ალექსანდრე იაკოვლევი, გარდ. 1727 წ. შემდგომ, 127
ნიკოლოზ იაზიკოვი, 1740-1777 წწ., 128
სტეფანე ბურნაშოვი, 1743-1824 წწ., 129-130
ვახუშტი ბაგრატიონი, 1696-1757 წწ., 130-131
ჟაკ ფრანსუა გამბა, 1763-1833 წწ., 133-134
ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, 1798-1850 წწ., 134-135
ჟან დე შარინი, 1793-1852 წწ., 135-136
შარლ დე ბესი, 1729-1838 წწ., 136-137
ჯეიმს ბელი, XIX ს., 137-138
ჯონ ლინეეორტი, XIX ს., 138
რობერტ ლაიელი, 1790-1831 წწ., 138-139
კარლ კოხი, 1809-1879 წწ., 140-141
ედმუნდ სპენსერი, XIX ს., 142-143
რიჩარდ ულბრაჰამი, XIX ს. I ნახევარი, 143-144
პენრიხ კლაპროთი, 1783-1835 წწ., 145-146
ექვთიმე ბოლხოვიტინოვი, 1767-1837 წწ., 146
სიმონ ბრონევსკი, 1703-1830 წწ., 147
ივანე შოპენი, 1798-1810 წწ., 148
იოანე ბაგრატიონი, 1768-1830 წწ., 149
თეიმურაზ ბატონიშვილი, 1782-1846 წწ., 150
დავით ტატიშვილი-ფანასკერტელი, XIX ს. I ნახევარი, 151
ილია რადოუეცკი, 1788-1861 წწ., 151-152
ანდრია შეგრენი, 1794-1855 წწ., 152
გრიგოლ გორდეევი, 1791-1891 წწ., 152-153
თეოდორე ბართოლომეი, 1800-1862 წწ., 153-154
ივანე ბლარამბერგი, 1800-1878 წწ., 154-155
ავგუსტ ჰაქსტჰაუზენი, 1792-1866 წწ., 155
ვასილ ლეგკობიტოვი, 1806-1860 წწ., 158
პავლე ვიშესლავეცი, XIX ს., 158-159
გრიგოლ გორდეევი, 1791-1838 წწ., 158-159
ვასილ გრიგორიევი, 1803-1876 წწ., 158-159
დიმიტრი ზუბარევი, 1802-1850 წწ., 158-159
ნიკოლოზ ფლოროვსკი, XIX ს., 158-159

ალექსანდრე იანოვსკი, 1798-1871 წწ., 158-159
ხან გირეი, 1808-1842 წწ., 160-161
შორა ნოგმოვი, 1796-1844 წწ., 161-162
ხაჩატურ აბოვიანი, 1804-1848 წწ., 163
ეგორ ჩილაევი (ჭილაძე-ჭილაშვილი), 1790-1838 წწ., 163-164
ნიკოლოზ პალავანდოვი, გარდ. 1855 წ., 163
ვასილ ცისკარიშვილი, XIX ს., 164
იოსებ ცისკარიშვილი, XIX ს., 164
რაფიელ ერისთავი, 1824-1901 წწ., 165-168
ვასილ გოლენიშჩევ-კუტუზოვი, დაიბ. 1811 წ., 171-172
ოსიპ კონსტანტინოვი, 1813-1856 წწ., 172-173
ალექსანდრე კომაროვი, 1823-1904 წწ., 173-174
კარლ სტალი, დაიბ. 1817 წ., 174-175
მიხეილ ვენიუკოვი, 1832-1901 წწ., 175
ლეონტი ლიული, 1805-1862 წწ., 176
ნიკოლოზ კოლიუბიაკინი, 1810-1868 წწ., 176-177

რუსული პერიოდიკა:
„რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერები“, 1852-19116 წწ.; „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოამბე“. 1872-1917 წწ., 178-179

რუსული პერიოდიკა:
„ცნობათა კრებული კავკასიის მთიელთა შესახებ“, 1868-1881 წწ.; „მასალების კრებული კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერისათვის“. 1881-1927 წწ., 179-181

რუსული პერიოდიკა:
„კავკასიის სოფლის მეურნეობა“, 1893-1913 წწ.; „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ჩანაწერები“, 1893-1909 წწ.; კავკასიის სოფლის მეურნეობის განყოფილების შრომები“, 1885-1893 წწ.; „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კრებული“, 1878-1894 წწ., 181

რუსული პერიოდიკა:
„ტფილისის უწყებანი“, 1828-1833 წწ.; „ამიერკავკასიის მოამბე“, 1836-1864 წწ.; „კავკასიის კალენდარი“, 1846-1917 წწ.; „კავკაზი“, 1846-1918 წწ.; „კავკასიის სიძველეები“, 1872-1873 წწ.; „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“. 1866-1904 წწ., 182-183

რუსული პერიოდიკა:
„მასალები ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის“, ტტ. I-VII, 1885-1887 წწ.; „მასალების კრებული ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის“, ტტ. I-IV, 1887-1888 წწ.; „მასალები კავკასიაში სახასინო სახაფხულო და სასამთრო სამოურების მოწყობისა და მესაქონლეობის შესწავლისათვის“, ტტ. I-IV, 1887-1895 წწ., 183-185

პეტრე უსლარი, 1816-1875 წწ., 186-187
ბერნჰარდ დორნი, 1805-1881 წწ., 187-188
ვსევოლოდ მილერი, 1848-1813 წწ., 188-189
მარი ბროსე, 1802-1880 წწ., 189-190
პეტრე უშიკაშვილი, 1838-1904 წწ., 192-193
ალექსანდრე ხახანაშვილი, 1864-1912 წწ., 193-194
ნიკოლოზ ბერძენიშვილი, 1820-1874 წწ., 194-195
ნიკოლოზ ხიზანაშვილი, 1851-1906 წწ., 195-197
დიმიტრი ბაქრაძე, 1826-1890 წწ., 197-199
ბესარიონ ნიჟარაძე, 1852-1919 წწ., 199-201
იონა მეუნარგია, 1852-1919 წწ., 201-202
ზაქარია ჭიჭინაძე, 1854-1931 წწ., 202-203
დიმიტრი ჯანაშვილი, 1840-1905 წწ., 203-204
ნიკოლოზ ჯანაშია, 187201918 წწ., 204-205
მოსე ჯანაშვილი, 1855-1934 წწ., 205-207
თედო სახოკია, 1868-1956 წწ., 208-212
გუსტავ რადე, 1831-1903 წწ., 213
მაქსიმე კოვალევსკი, 1851-1916 წწ., 214
ადოლფ ბერეე, 1824-1896 წწ., 216-218
ნიკოლოზ დუბროვინი, 1873-1904 წწ., 218-219
რიხარდ ერკერტი, 1830-1900 წწ., 219-220
კორნელი ბოროზდინი, 1828-1996 წწ., 220
ალექსანდრე სტოიანოვი, 1841-1914 წწ., 220-221
ევგენი ვეიდენბაუმი, 1845-1918 წწ., 221-222
კარლ ჰანი, 1848-1925 წწ., 222-223
გრიგოლ ჩურსინი, 1874-1930 წწ., 223-225

სარჩევი

შესავალი 3

I. ისტორიულ–ეთნოლოგიური წყაროების ზოგადი მიმოხილვა 9

II. ისტორიულ-ეთნოლოგიური წყაროები და მოგზაურ-მკვლევართა ცნობები. 16

Этнологические сведения грузинских и зарубежных путешественников-исследователей о народах Кавказа. Резюме 226

Ethnological Data of Georgian and Foreign Travelers-Researchers about Peoples of the Caucasus. Annotation 230

შემოკლებითი ახსნა 234

აუტორთა და წყაროების საძიებელი 236

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,75
სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 11,45
ტირაჟი 500

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge